

1920



# სეკონდების გზაგა





ყველაზე ძვირად ღირს  
კანკა

# „ჩელიუსკინის“ ფოტო

10945

ჩელიუსკინელთა და გმირ მფრინავთა ღლიურები, ნაკრავ-  
ვები, ნაამბობნი, წერილები, ფოტოსურათები



სახტმენიკური  
ბამომცემლობა

ტექნიკა და  
შ რ მ შ ა

ტფილისი  
1 9 3 4

რედაქტორი—ვ. წულუკიძე  
ტექ-რედაქტორი { თამარ იოსელიანი  
კორექტორი {  
ქალაქის ზომა 62×88  
მთავლიტი № 3514  
ტირაჟი 4000  
შეკ. № 448  
გადაცვა სტამბას—1934, 15/VII  
დასრულდა ბეჭდვა—1934, 15/VIII



## გამომცემლობისაგან

ბრწყინვალედ დამთავრდა საბჭოთა ქვეყნის შეტევა ჩრდილოეთის სტიქიის წინააღმდეგ.

ეს წიგნი, რომლის ავტორები მეტწილად „ჩელიუსკინის“ ეპოპეის უშუალო მონაწილენი არიან, მიზნად ისახავს აღადგინოს ცხოვლად მკითხველის მეხსიერებაში ჩელიუსკინელთა და მათ მშველელ გმირ მფრინავთა შეუპოვარი ბრძოლის სურათები და მათი თავდადებით გამოწვეული უკეთილშობილესი განცდები.

ამ განცებიდან მთავარია სიამაყის გრძნობა, შეგნება იმის, რომ ჩვენმა ქვეყანამ საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით სტიქიის დაუნდობლობისაგან იხსნა თავისი საუკეთესო შვილები; იხსნა საკუთარი ძალებით, სხვების დაუხმარებლად. არქტიკაში მოპოვებული გამარჯვება—ეს არის ბოლშევიკური ორგანიზაციულობის შედეგი;—ეს არის საბჭოთა ავიაციის, საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა ტექნიკის გამარჯვება, რომელიც ნათლად უმტიცებს მთელს მსოფლიოს საბჭოთა კავშირის ძლევაშოსილ ინდუსტრიულურ წინსვლას და კულტურულ წარმატებას.

ჩელიუსკინელთა გადარჩენამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა აზრის და ნებისყოფის მთლიანობა, მათი დარაზმულობა პარტიის გარშემო, მათი უსაზღვრო თავდადება სოციალიზმის საქმისათვის.

მაგრამ ამ კრებულის დანიშნულება მარტო ის არ არის, რომ აღადგინოს მკითხველში სიამაყის ეს დიადი განცდა. მისი მიზანია აგრეთვე აღბეჭდოს და განამტკიცოს მკითხველის შეგნებაში ჩელიუსკინელთა და მათ მშველელ გმირთა მაგალითი, რომელიც მუდამ უნდა მოგვიწოდებდეს—ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ისე, როგორც მტუშაობდენ და იბრძოდეს ჩელიუსკინელები და გმირი მფრინავები, მუდამ ისე მალლა გვეჭიროს პარტიის და საბჭოთა ქვეყნის დროშა, როგორც ეპოპეის მონაწილეებს, ვიყოთ ისე მჭიდროდ დარაზმული, როგორც ამხ. შმიდტის შესანიშნავი ბანაკი.

დე, ამ წიგნში მოთხრობილ გმირულ ამბებიდან ყველა ჩვენ-  
განმა მიიღოს ვაკვეთილი, კრიტიკულად შეაფასოს და თავისი მუ-  
შაობა შეადაროს გმირების მაგალითს, რომ ავიდეთ ახალ საფეხურზე,  
რომ ბრძოლის და შრომის გზით უშიშრად გავსწიოთ წინ ახალ გა-  
მარჯვებისაკენ.

— : —

კრებულს საფუძვლად დაედვა „პრაქდა“-სა, „იზვესტია“-სა და  
სხვა ცენტრალურ საბჭოთა გაზეთებში დაბეჭდილი მასალები.

„ჩელიუსკინის“ ეპოპეის გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის უურ-  
ნალისტ ამხ. ვანო წულუკიძეს, რომელიც არის აგრეთვე ამ კრე-  
ბულის შემდგენელი და შიგ. მოთავსებულ მასალების მთარგმნელი  
და რედაქტორი.

I  
ბრძოლა ჩრდილოეთის დიდი  
საზღვაო გზისათვის

## 1553 წლიდან „ჩელიუსკინის“ ეპოპეამდე

ატლანტიის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში საზღვაო გზად ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანის გამოყენების აზრი ჩაისახა ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დამდეგს. ჯერ კიდევ მაშინ იყო ცდები აღმოეჩინათ ევროპიდან ჩინეთსა და ინდოეთში ყინულოვან ოკეანეზე მიმავალი გზა.

პირველად ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელის ძებნას ყინულოვან ოკეანეში შეუდგენ ინგლისელები. ჰუგო ვილოუბის და რიჩარდ ჩენსლერის (1553 წ.), სტეფან ბუროუსის (1556 წ.) ექსპედიციები რუს ზღვისპირელების შემდეგ პირველად შევიდნენ კარის ზღვაში.

ინგლისს შემდეგ ჩრდილოეთის გზით დაინტერესდა ჰოლანდია. ბრიუნელის ექსპედიცია 1566 წელს, ყინულებთან უნაყოფოდ ბრძოლის შემდეგ, იძულებული გახდა „იუგორკას შარიდან“ უკან დაბრუნებულიყო. ყველაზე აღსანიშნავია კორნელი ნაის და ვილემ ბარენცის ექსპედიციები, თუმცა მათ არ აღმოუჩენიათ ჩრდილოეთის საზღვაო გზა, მაგრამ მათ მაინც გაიარეს „იუგორკის შარი“ და მიაღწიეს კარის ზღვას.

მე-17 საუკუნეს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის და აზიის ჩრდილოეთ ნაპირებს გასწვრივ გრძელდებოდა საზღვაო გზის ძებნა, არ მოუტანია არქტიკაზე რაიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება.

უკიდურეს ჩრდილოეთის სასტიკი ბუნება, ჩრდილოეთის ზღვებზე აღმართულ დაბრკოლებებთან ბრძოლის ნაკლები გამოცდილება და სუსტი ტექნიკური საშუალებანი იწვევენ უმამაცეს მეზღვაურთა მარცხს და თითქოს ცხადჰყოფენ იმ აზრს, რომ ჩრდილოეთის გზა გამოუღებარია პრაქტიკული მიზნებისათვის.

ექსპედიციები განახლდნენ მხოლოდ 200 წლის შემდეგ.

მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე თეთრს ზღვასა, ბარენცისა და კარის ზღვებში, ევროპელების გამოჩენამდე, რუსი ზღვისპირელები ეწეოდნენ საზღვაოსნო ვაჭრობას და სარეწაო წარმოებას.

მე-17 საუკუნის დამდეგს ციმბირში შეხიზნული კაზაკები მდინარე ენისეით შევიდნენ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში და აქედან ზღვით მიაღწიეს მდ. პიასინის შესართავს. 1637 წელს ელისეი ბუზა მდინარე ლენით და შემდეგ ზღვით მივიდა მდ. ოლეშკამდე, ხოლო შემდეგ წელს მიაღწია მდ. იანს. რამდენიმე წლის შემდეგ ივანე პოსტნიკოვმა აღმოაჩინა მდინარე ინდიგირკა და მიაღწია მის შესართავს. 1644 წელს მიხეილ სტადუხინმა აღმოაჩინა მდ. კოლიმის შესართავი.

1648 წელს სემიონ დეჟნოვმა, კოლიმიდან გასულმა, შემოუარა ზღვით ჩუკოტკის ნახევარკუნძულს, გაიარა ბერინგის სრუტე და აღმოაჩინა მდ. ანადირის შესართავი.

მაგრამ კაზაკების ეს აღმოჩენები დიდხანს ნაკლებცნობილი იყვნენ. მხოლოდ პეტრე პირველის დროიდან იწყება გაგზავნა რუსული სამეცნიერო ექსპედიციების, რომელთაც თან ღებდა რამდენიმე გეოგრაფიული აღმოჩენა. 1728 წელს ბერინგი უკვე დარწმუნებულია, რომ არსებობს სრუტე, რომელიც ეხლა მის სახელს ატარებს. 1733 წლიდან მუშაობას იწყებს „დიდი ჩრდილოეთის ექსპედიცია“, რომელიც ამოცანად ისახავდა საბოლოოდ გადაეჭრა ციმბირის ამერიკასთან შეერთების საკითხი, აეწერა ჩრდილოეთ რუსეთის ყველა სანაპირო, შეეკრიბა ცნობები მათ შესახებ და შეედგინა რუქები.

„დიდი ჩრდილოეთის ექსპედიცია“, რომელიც ოთხ რაზმად იყო დანაწილებული, მუშაობას ეწეოდა 10 წლის განმავლობაში. ერთერთი ამ რაზმის მონაწილე — მესაქე სემიონ ჩელიუსკინმა სპეციალურად გამოიკვლია და ასწერა ტაიმირის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთის ყველაზე შორეული კიდური, რომელსაც შემდეგ სახელად ჩელიუსკინის კონცხი დაერქვა.

ექსპედიციის მუშაობის შედეგად გადაღებულ იქნა აზიის მთელი ჩრდილოეთ სანაპირო, ე. ი. თეორეტიულად გადაწყვეტილი იქნა საკითხი ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელის შესახებ.

1760—1762 წლებში საბალოჟკინმა პირველად შემოუარა გარშემო ახალ მიწას. რამდენიმე წლის შემდეგ იაკობ ჩირაკინმა აღმოაჩინა „მატოჩკინ შარი“. მე-19 საუკუნის დამდეგს უფ-



რო დაწვრილებით იქნა გამოკვლეული დიდი ჩრდილოეთის გზის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილი.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ლიტკემ, პახტუსოვმა და ცივოლოკამ გამოიკვლიეს და შეისწავლეს ახალი მიწა. შემდეგ კარის ზღვაში რამდენიმეჯერ იმოგზაურეს ნორვეგიელმა მრეწველებმა, რომლებმაც დაამტკიცეს ამ ზღვაზე სანაოსნო მიმოსვლის შესაძლებლობა.

1874 წელს ინგლისელი კაპიტანი ჯოზეფ ვილინსი გემ „დიანაზე“ ზღვით მიტურდა ენისეის შესართავამდე, „დიანა“ იყო პირველი გემი, რომელიც ასე შორს შეიჭრა აღმოსავლეთში.

1875 წელს შვედი პროფესორი ა. ე. ნორდენშმელდი იანტა „პრევენით“ მივიდა ენისეის შესართავში და აქედან ნავით ენისეიმდე. „პრევენი“ მშვიდობით დაბრუნდა ევროპაში. მომდევნო წელს ნორდენშმელმა გაიმეორა თავისი მოგზაურობა გემ „იმერიტ“ ამრიგად საზღვაო გზა ევროპიდან ციმბირში, ე. ი. დიდი ჩრდილოეთის საზღვაო გზის დასავლეთ ნაწილი უკვე დადგენილ იქნა.

კარის ექსპედიციების წარმატებით გამხსნევებულმა ნორდენშმელმა გადასწყვიტა საზღვაო მიმოსვლა ანტლანტიიდან წყნარ ოკეანეში. 1878 წელს 22 ივლისს ნორდენშმელი გავიდა გემ „ვეგათი“. აგვისტოს შუა რიცხვებში „ვეგა“ გაცილდა ჩელიუსკინის კონცხს და 24 აგვისტოს მიაღწა მდ. ლენის შესართავს. რამდენად ექსპედიცია აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა, იმდენად მას წინ ხედებოდა ყინულები. რაც უფრო უახლოვდებოდა თავის მიზანს ბერინგის სრუტეს, იმდენად უფრო ძნელი ხდებოდა წინსვლა. ბოლოს პიტლეკაის დაბალ წყლებში „ვეგა“ მოემწყვდა ყინულებში. ბერინგის სრუტეს იგი დაშორებული იყო სულ 222 კილომეტრით.

როგორც კი ზამთრობის შემდეგ „ვეგა“ განთავისუფლდა ყინულებისაგან, ორ დღეში იგი შევიდა ბერინგის სრუტეში. ასე გადაწყდა ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დამდეგს წამოყენებული ამოცანა. ნორდენშმელის შემდეგ, ეს გზა გაირა კიდევ ორმა ექსპედიციამ. პირველი მათგანი იყო ყინულისმჭრელ ტრანსპორტზე „ტაიმირსა“ და „ვაიგაჩზე“ მოწყობილი რუსული ჰიდროგრაფიული ექსპედიცია ბ. ვილკიცკის მეთაურობით. ამ ექსპედიციამ იმოგზაურა 1914 და 1915 წლებში ვლადივასტოკიდან არხანგელსკში, დაიზამთრა რა ტაიმირის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაპირებთან. მეორე იყო როალდ ამუნდსენის ექსპედიცია გემ „მოდზე“, რომელიც ნორვეგიიდან მივიდა ბერინგის სრუტეში და რომელსაც შეხვდა აქ ორი ზამთრობა.

მხოლოდ საბჭოთა ექსპედიციამ ოტო შმიდტის შეთაურობით ყინულისმჭრელ „სიბირიაკოვზე“ 1932 წელს დააგვირგვინა პოლიარულ მკვლევართა 500 წლოვანი ბრძოლა, პირველად გაიარა რა მთელი გზა თეთრი ზღვიდან წყნარ ოკეანემდე 65 დღის განმავლობაში და ამით პრაქტიკულად დაამტკიცა ჩრდილოეთ საზღვაო გზის გავლის შესაძლებლობა ერთ ნავიგაციაში,

მრავალასწლოვანი ამოცანა გადაწყვეტილ იქნა. საბჭოების ქვეყანამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ „არ არის ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის ალება არ შეეძლოს ბოლშევიკურ გაბედულობას და ორგანიზაციულობას“.

## საბჭოთა არქტიკა

„რუსეთს ყინულოვან ოკეანეზე იმდენი სანაპირო აქვს, რომ ჩვენს ქვეყნას სამართლიანად თვლიან ამ ოკეანის სანაპიროებზე მდებარე ქვეყნად.“—ასე წერდა დაახლოვებით ამ 30 წლის წინათ გენიალური რუსი მეცნიერი დ. ი. მენდელეევი. საბჭოთა კავშირის ჩრდბლოეთის ნაპირებზე მდებარე მხარეებს და ოლქებს უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის 40 %-ტი.

რევოლუციის დამდეგისათვის საბჭოთა არქტიკის სანაპიროები თითქმის გამოუკვლეველი იყო. კარის ზღვის შესახებ გაბატონებული იყო საყოველთაო შეხედულება, თითქოს იგი გაუვალი „ყინულების ტომარაა“—ასე უწოდებდა ამ ზღვას აკადემიკოსი ბერი.

ამჟამად კარის ზღვა უკვე მისაწვდომი საზღვაო გზაა დასავლეთ ევროპიდან მდინარეებში—ობსა და ენისეიში. ამასთან თითქმის ყოველწლიურად ტარდება ამ გზაზე რეისები მნიშვნელოვანი ტვირთბრუნვით. საბჭოთა მკვლევარების შესანიშნავი საგამოკვლეო მუშაობის მიხედვით, ბარენცის ზღვა დღეს უკვე ყველაზე უფრო შესწავლილი ზღვაა. დიდი მუშაობა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ პოლიარულ ზღვების—ლაპტევისა და აღმოსავლეთ ციმბირის ზღვების შესასწავლად.

### მოწინავე ფორპოსტები უკიდურეს ჩრდილოეთში.

რევოლუციამდე საბჭოთა კავშირის არქტიკულ მხარეებში არსებობდა მხოლოდ ოთხი რადიოსადგური, ეხლა კი მუშაობს 21 პოლიარული სადგური, რომელნიც მდებარეობენ საბჭოთა კავშირის მთელი ჩრდილოეთ სანაპიროების გასწვრივ.



1934 წელს საბჭოთა კავშირის პოლიარული სექტორის ყველაზე ნაკლებ გამოკვლეულ ნაწილში მოწყობილი იქნება კიდევ 15 პოლიარული სადგური. 1933 წელს პოლიარულ სადგურებზე ზამთრობდა დაახლოებით 300 კაცი. 1934 წლის დამლევს მოზამთრეთა რიცხვი მიაღწევს 450 კაცს.

პოლიარული სადგურების—უკიდურეს ჩრდილოეთში სოციალიზმის ამ მოწინავე ფორპოსტების ადამიანები მუშაობენ არქტიკის მძიმე პირობებში ისეთივე ენთუზიაზმით, როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა მშრომელი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან მფრინავები—საბჭოთა კავშირის გმირები, რომლებმაც თავისი გაფრენებით მთელი მსოფლიოს განცვიფრება გამოიწვიეს და აგრეთვე მფრინავები—ბაბუშკინი, ჩუხნოვსკი, ალექსეევი, სტრაუბე, ფარიხი და ლინდელი, რომლებიც მომსახურებას უწევენ ლენა-კოლიმის ექსპედიციას და გამობრძმედილ პოლიარელის ნ. ნ. ურვანცევის ხელმძღვანელობით მომუშავე ნორდვიკის ექსპედიციას.

საბჭოთა პოლიარულ მკვლევართა მოწინავე რიგებში იმყოფება არა ერთი და ორი ქალი. ასეთია ზინაიდა უშაკოვა, რომელსაც თავის ქმართან გ. უშაკოვთან ერთად რამდენიმე ზამთარი აქვს გატარებული კუნძულ ვრანგელზე, სადაც იგი აწარმოებდა დიდ კულტურულ მუშაობას ადგილობრივ კოლონიაში. ასეთები არიან: —ირინა სიბირიაკოვა—1921 წელს ახალ მიწაზე მოწყობილ ექსპედიციის მონაწილე, რომელსაც მრავალი წელი უმოგზავრია გემ „სიბირიაკოვით“ და ახლა განაგებს სრულიად საკავშირო საარქტიკო ინსტიტუტის გეოფიზიკურ სექტორს; დემე —ფრანც იოსების მიწაზე მოწყობილ პირველ ზამთრობის მონაწილე, რომელიც ამჟამად ზამთრობს ჩრდილოეთ მიწაზე; ლიუდმილა შრადერი —უელენის სადგურის რადიო-მუშაკი, რომელსაც შეუწყვეტილი რადიოკავშირი ჰქონდა გაბმული შმიდტის ბანაკთან.

### მიმდინარეობს თვალუწოდოველი მიწების დასახლება.

თითქმის ყოველ წელიწადს საბჭოთა კავშირის ტერიტორიას ემატება არქტიკაში საბჭოთა ექსპედიციების მიერ აღმოჩენილი ახალი კუნძულები და არქიპელაგები. თითქმის ყოველწლიურად მიმდინარეობს საბჭოთა კოლონიებით და მოზამთრეებით აქამდე უკაცრიელი არქტიკულ მიწების დასახლება. 1924 წელს საბჭოთა დროშა ამართული იქნა ვრანგელის კუნძულზე, ხოლო ორი წლის

შემდეგ კუნძულზე დასახლდა დაახლოვებით 200 კაციისაგან შემდგენილი საბჭოთა კოლონია.

1928 წელს ყინულისმკრელმა „კრასინმა“, ნობილეს ექსპედიციის გადარჩენის შემდეგ, საბჭოთა დროშა აღმართა ფრანც იოსების მიწაზე. 1930 წელს ყინულისმკრელ „სედოვით“ გამგზავრებულმა ექსპედიციამ ო. ი. შმიდტის მეთაურობით ჩაიყვანა იქ პირველი მოზამთრეები. 1930 წ. იგივე ყინულისმკრელი „სედოვი“ იმავე ო. ი. შმიდტის მეთაურობით, პირველად პოლიარული მოგზაურობის ისტორიაში, მიაღწა დასავლეთიდან ჩრდილოეთ მიწას და მიიყვანა იქ მოზამთრეთა ჯგუფი გ. უშაკოვის მეთაურობით.

„სედოვის“ უკან გამობრუნების წინ, გ. უშაკოვმა გაზ. „იზვესტიას“ გამოუგზავნა შემდეგი რადიოგრამა:

„ჩრდილოეთის მიწა იქნება გამოკვლეული“.

გ. უშაკოვმა და მისმა ამხანაგებმა — გეოლოგმა ურვანცევმა, რადისტმა ვ. ხოდოვმა და მონადირე ს. ყურავიოვმა სასახელოდ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება. მოზამთრეებმა ძალღებობით შემოიარეს ჩრდილოეთის მიწის ყველა კუნძული და კარტაზე შეიტანეს დაახლოვებით 37 ათასი კვ. კილომეტრი.

1930 წელს ჩრდილოეთის მიწისაკენ მიმავალმა „სედოვმა“ აღმოაჩინა ვიზეს კუნძული, რომლის არსებობა 1913 თეორეტიულად იწინასწარმეტყველა პროფესორმა ვ. ი. ვიზემ ვემ „სვიატაია ანა“-ს დრეიფის შესწავლის და კარის ზღვის ყინულების რეჟიმის ანალიზის საფუძველზე. იმავე 1930 წელს აღმოაჩინილ იქნენ ისააჩენკოს, ვორონინის, სამოილოვიჩის კუნძულები და სხვა.

1932 წელს ყინულისმკრელ „რუსანოვით“ გამგზავრებულმა ექსპედიციამ მიაღწია სვერდრუპის კუნძულს, რომელზედაც მანამდე ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, და აღმართა მასზე საბჭოთა დროშა. დიკსონის კუნძულიდან ჩრდილოეთის მიწისაკენ მიმავალმა იმავე ექსპედიციამ აღმოაჩინა უცნობ კუნძულების მთელი ჯგუფი, ხოლო 40 მილის გავლის შემდეგ კიდევ ერთი. 1933 წელს „სიბირიაკოვით“ მოგზაურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა გაზ. „იზვესტიას“ და საარქტიკო ინსტიტუტის სახელობის კუნძულები.

1932 წელს მოზამთრეებით დასახლებული იქნა აზიის მატერიკის ჩრდილოეთის უკიდურესი წერტილი — უკაცრიელი კონცხი ჩელიუსკინი, ხოლო 1933 წელს — კუნძულები ბელლი და ნორდვიკი. დაბოლოს, სრულიად ახლახან — 1934 წლის მაისში მოწყობილი იქნა პოლიარული სადგური კუნძულ დუნაიზე, რომელიც მდებარეობს მდ. ლენის შესართავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

საბჭოთა პოლიარული მკვლევარების უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ყინულისმკრელ „სიბირიაკოვის“ აქეთ-იქით მიმოსვლა არხანგელსკიდან ვლადივასტოკამდე.

„სიბირიაკოვის“ რეისი გაიმეორა 1933 წელს აწ უკვე სახელგანთქმულმა „ჩელიუსკინმა“, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე მილის გავლა დააკლდა ბერინგის სრუტის წმინდა წყლამდე.

1934 წელს ჩრდილოეთის საზღვაო გზით ვლადივასტოკიდან არხანგელსკამდე იმგზავრებს მესამე საბჭოთა გემი ყინულისმკრელი: „ლიტკე“ დ. ს. დუპლიცკის ხელმძღვანელობით.

დიდი ჩრდილოეთის საზღვაო გზით რეგულიარულ მიმოსვლას ანტლანტიის და წყნარ ოკეანებს შორის ექნება განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისათვის.

### ყინულისმკრელი და თვითმფრინავი.

დიდი ჩრდილოეთის საზღვაო გზის დაუფლება წარმოადგენს იმ გეგმიანი და სისტემატიური მუშაობის შედეგს, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აწარმოებდა არქტიკაში.

პოლიარული ყინულების დასაძლევად ყინულისმკრელ გემების გამოყენების ინიციატორი იყო ს. ო. მაკაროვი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით 1899 წელს ინგლისში აგებული იქნა პირველი რუსული ყინულისმკრელი „ერმაკი“. მაკაროვს დიდი უთანასწორო ბრძოლა დასჭირდა მეფის დიდ ჩინოვნიკებთან, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ ყოველგვარ ახალ თაოსნობას. „ამბობენ, ყინულოვანი ოკეანის ტოროსები დაუძლეველიაო, — გულის ტკივილით წერდა მაკაროვი, — ეს შეცდოანაა, ტოროსების დაძლევა შეიძლება, დაუძლეველია მხოლოდ ადამიანის ცრუმორწმუნეობა“....

ეს „ცრუმორწმუნეობა“ მთლიანად მოდრეკილი იქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. „კრასინის“ ისტორიულმა ლაშქრობამ 1928 წელს ნობილეს ექსპედიციის გადასარჩენად, განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადჰყო ყინულისმკრელების დიდი უპირატესობა პოლიარულ ყინულებთან ბრძოლაში. „ლენინის“ და „კრასინის“ ლაშქრობა „მალიგინის“ დასახმარებლად 1932 წელს, ყინულისმკრელების „ლენინის“, „კრასინის“ „სედოვის“ და „მალიგინის“ მოგზაურობა 1932 — 1933 წელში შპიცბერგენზე და „კრასინის“ ბრწყინვალე რეისი ახალ მიწისაკენ მის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილამდე 1933 წლის მარტ-აპრილში, — თვალსაჩინოდ ამტკიცებენ, რომ ყინულისმკრელების

საშუალებით შეიძლება მოწესრიგდეს გემების მოგზაურობა არქტიკის წყლებზე ზამთრის პერიოდშიაც.

არქტიკის ათვისებაში დიდი როლის შესრულება აქვს დაკისრებული თვითმფრინავს. ბევრმა არ იცის, რომ პირველი გაფრენა არქტიკაში მოახდინა რუსმა მფრინავმა ნაგურსკიმ, რომელიც 1914 წელს შეეცადა „ფარმანიდან“ აღმოეჩინა გ. სედოვის ექსპედიცია. საბჭოთა კავშირში საარქტიკო კვლევისათვის თვითმფრინავის გამოყენების ინიციატორი იყო ცრობილი პოლიარელი მფრინავი ბ. გ. ჩუხნოვსკი, რომელმაც 1924 წელს მოახდინა რამდენიმე გაფრენა ახალ მიწაზე. საარქტიკო გამოკვლევების ისტორიაში პირველი გაფრენა ყინულზე მოახდინა საბჭოთა მფრინავმა მ. ს. ბაბუშკინმა 1926 წელს. მას შემდეგ საბჭოთა პოლიარელი მფრინავები ყოველწლიურად საარქტიკო ექსპედიციების განუყრელი თანამგზავრნი არიან.

1928 წლიდან გაიხსნა ჩრდილოეთის პირველი საჰაერო ხაზი მდინარე ლენაზე ირკუტსკიდან—იაკუტსკში. რეგულარულად მუშაობს აგრეთვე კრასნოიარსკ-იგარკის ხაზი და სხვ.

1934 წელს საბჭოთა არქტიკის თვითმფრინავების პარკი შეიჭრება ახალი ძლიერი აპარატებით: სამჯერ იზრდება თვითმფრინავთა რიცხვი, წელს ეწყობა ახალი ავიობაზები ტიკსის ბუხტაში, კონცხ სევერნიზე და კონცხ ჩელიუსკინზე. კონცხ სევერნიზე ეწყობა ჩრდილოეთ სანაპიროებზე პირველი ანგარი.

### მოკავლის ძველანა.

საბჭოთა არქტიკა და ჩვენი პოლიარული კუთხეები ებმებიან სოციალისტურ მშენებლობაში. კოლის ნახევარკუნძულზე, ხიბინის ტუნდრებში შექმნილია უდიდესი სამთო ქიმიური კომბინატი. პეჩორაში სწარმოებს ნავთისა და ქვანახშირის მოპოვება. იამალაზე მუშაობენ თევზის დასაკონსერვებელი ქარხნები. იგარკაში (ენისეის შესართავთან) აგებულია ნავთსადგური და ხე-ტყის ქარხნები. მდ. ლენისათვის ეწყობა საკუთარი ფლოტი. 1933 წელს პოლედჟეში დაიწყო აგება გემთსამშენებლო ქარხნების, რომელნიც მ/წლის ნავიგაციისათვის უკვე გამოუშვებს რამდენიმე გემს.

არქტიკა საბჭოთა მკვლევარების წინაშე შლის თავის დაუღველ სიმდიდრეებს.



## „ჩელიუსკინის“ წინამორბედნი

პოლიარულ გამოკვლევათა ისტორიაში ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როცა ექსპედიციის მონაწილეებს გემის დაღუპვის შემდეგ უხდებოდათ დიდი ხნით ყინულებზე ცხოვრება ან მოდრეიფე ყინულებით მოძრაობა.

ერთი პირველთაგანი, რომელიც არქტიკის ყინულებს გაეცნო, იყო ინგლისელი მეზღვაური პარრი, რომელმაც 1927 წელს სცადა მოგზაურობა შპიცბერგენის ნაპირებიდან ჩრდილოეთის პოლუსისაკენ. ერთი თვის უნაყოფო ბრძოლის შემდეგ პარრი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. 20 წლის შემდეგ არა ერთი და ორი გემი გაემგზავრა ყინულოვან ოკეანეში იმ მიზნით, რომ ეპოვათ ფრანკლინის ექსპედიცია, რომელიც უკვალოდ დაიკარგა ამერიკის წყლებში მეფე ულიამის მიწის დასავლეთ ნაპირებს ახლო. ამ ძებნის დროს ზოგი გემი მოჰყვა ყინულებში და მასზე მყოფთ მოუხდათ ზამთრობა არქტიკაში.

გრელანდიის აღმოსავლეთ ნაპირებთან 1869 ოქტომბერში ყინულებმა გასრისეს და ჩაძირეს გერმანულ პოლიარულ ექსპედიციის გემი „განზა“. ექსპედიციის მონაწილეები გადმოსხდნენ ვებერთელა ყინულის მინდორზე და მოაწყვეს მასზე დროებითი საცხოვრებელი. ზამთრობა საერთოდ კარგად მიმდინარეობდა. მაგრამ ყინულის მინდორი მიიწვედა სამხრეთისაკენ და თანდათან მცირდებოდა. 1870 წელს იანვარში ამ ყინულოვანი მინდორის დიამეტრი 50 მეტრამდე შემცირდა. მაისის დამდეგს მასზე შეხიზნულები იძულებული გახდნენ მოშორებოდნენ არასაიმედო თავშესაფარს და ნაევებით წამოსულიყვნენ გრელანდიის ნაპირებისაკენ. 1870 წელს 13 ივნისს მშვიდობით მოაღწიეს გრელანდიას, ხოლო აქედან ისინი გამოიყვანეს კოპენჰაგენში.

თითქმის ასეთივე ხანგრძლივი დრეიფი განიცადეს ამერიკული გემის „პოლიარისის“ კომანდის მონაწილე ამერიკელებმა და ესკიმოსებმა. 1873 წლის ოქტომბერში ეს გემი ყინულებმა მოიმწყვდიეს გრელანდიის დასავლეთ ნაპირებს ახლო. გემი გადაიხნიქა

კომანდის ნაწილი გადმოვიდა ყინულზე, მაგრამ ღამით გემი სრულიად ჩაიძირა. გათენებისას აღმოჩნდა, რომ ყინულზე იმყოფებოდა 19 კაცი. ზამთარი მშვიდობიანად გაატარეს, მაგრამ აპრილის დამდეგს ყინული დაიძრა სამხრეთისაკენ. დაიწყო ყინულის სწრაფი დნობა. „პოლიარისის“ კომანდა მოთავსდა ერთადერთ ნავეზე, ნახევრად გაყინულნი და დამშეულნი ისინი ყოველწუთს მოელოდნენ სიკვდილს. მაგრამ 29 აპრილს ჰორიზონტზე გამოჩნდა გემი, რომელიც მიეშველა და გადაარჩინა ისინი.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლები არქტიკის ისტორიაში დაიწყო პოლიარული დრეიფით, რომელმაც დიდი როლი ითამაშა არქტიკის გამოკვლევის საქმეში. ამერიკელი დე-ლონგის ექსპედიციის გემი „ჟანეტა“, რომელიც სან-ფრანცისკოდან გავიდა 1879 წელს, ყინულებმა მოიძვყვიდნენ ვრანგელის კუნძულის დასავლეთით. ამ ყინულებთან ერთად გემი დრეიფით წავიდა ჩრდილო-დასავლეთისაკენ და თითქმის ორი წლის შემდეგ ჰერნიეტიისა და ჟანეტის კუნძულებს მახლობლად გემი დაიღუპა.

დე-ლონგმა გადასწყვიტა წამოსულიყო თანამგზავრებით მატერიკისაკენ. ჯერ ყინულებზე ებრა ფეხით, ხოლო შემდეგ ნავით გაბოსულიყო მდინარე ლენის შესართავთან. მაგრამ ყინულზე სიარული წარმოუდგენლად ძნელი აღმოჩნდა. ყინულის ველი, რომელზედაც მოდიოდა დე-ლონგი თანამგზავრებით, ჩრდილოეთისაკენ მიიწვედა. ექვსი კვირის განმავლობაში სამხრეთის მიმართულებით გავლილი იქნა მხოლოდ 150 კილომეტრი. ბოლოს, როგორც იქნა, ყინულებს თავი დააღწიეს. ამერიკელები ჩაეშვენ ნავეებით წყალში და გაჰყვნენ შემოდგომის ზღვის მღელვარე მდინარეებს. შუა სექტემბერში ღამით ნავეები ერთმანეთს დაშორდნენ. ერთი მათგანი უკვალოდ დაიკარგა. ჯგუფი, რომელთანაც დე-ლონგი იმყოფებოდა, გადმოსხდა ლენის შესართავთან. აქ ყველა დაიღუპა სიცივისა და შიმშილისაგან, გარდა ორი მეზღვაურისა, რომელნიც მათ დასახმარებლად იყვნენ გაგზავნილნი. ხოლო მესამე ჯგუფმა ასე თუ ისე მშვიდობიანად მიაღწია უახლოეს დასახლებულ პუნქტს.

გავიდა 3 წელიწადი. „ჟანეტას“ და მისი ეკიპაჟის დაღუპვა უკვე დავიწყებას ეძლეოდა, მაგრამ სამხრეთ გრელანდიის ერთ-ერთ ბუხტში ესკიმოსები შეხვდნენ ყინულს, რომელზედაც ეწყო ტანსაცმელი და ფიცარი დაწერილი ქალაქის ნაგლეჯი. გამოირკვა, რომ ეს იყო „ჟანეტას“ ეკიპაჟის ნივთები.

გაიგო თუ არა ეს ამბავი გაზეთებიდან ცნობილმა ნორვეგიელმა მკვლევარმა ფრიტიოფ ნანსენმა გადასწყვიტა თავის გემით შეჭრილიყო მოდრეიფე ყინულებში.



ნანსენი თავისი გემი „ფრამიტ“ გავიდა 1893 წელს. ექსპედიცია „ფრამის“ გემი ყინულებში უნდა შესულიყო „ჟანეტის“ დალუპვის ადგილას, მაგრამ ზღვის მდინარებამ და ქარებმა გემი გაიტაცეს დასავლეთისაკენ. მაშინ ნანსენმა და მისმა თანამგზავრებმა გადასწყვიტეს ეცადათ თხილამურებით მისვლა ჩრდილოეთ პოლუსამდე.

ნანსენის უმაგალითო ლაშქრობა მიმდინარეობდა წარმოუდგენლად მძიმე პირობებში. მიაღწია რა ჩრდილოეთის სივანედის 86°—14 ე. ი. ჩრდილოეთის იმ წერტილს, რომელზედაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, ნანსენმა გადასწყვიტა დაბრუნებულიყო და გამოემართა ფრანც-იოსების მიწისაკენ. აქ ნანსენმა გაატარა ზამთარი და შემდეგი წლის ზაფხულზე გამოეშურა კონცხ ფლორასაკენ, სადაც შეხვდა ინგლისელ ჯეკსონის ექსპედიციას. ამ ექსპედიციის დამხმარე გემმა ნანსენი და მისი თანამგზავრებო მიიყვანა ნორვეგიაში. თითქმის იმავე დროს იქვე მივიდა „ფრამიტ“, რომელიც მოდრეიფე ყინულებთან ერთად მშვიდობიანად მიმოდიოდა ორი წლის განმავლობაში და ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა წმინდა წყალში.

პოლიარულ გამოკვლევათა ისტორიაში ერთერთი ტრაგიკული ფურცელია გ. ბრუსილოვის ექსპედიციის მოგზაურობა გემ „სვიატაია ანნაზე“. გემს ამოცანად ჰქონდა დასახული ემოგზავრა ჩრდილო-აღმოსავლეთ გასავალ ხაზზე, ე. ი. იმ გზით, რომელიც ბრწყინვალედ გაიარა 1932 წელს ერთ საზაფხულო ნავიგაციაში საბჭოთა ყინულისმჭრელმა „სიბირიაკოვმა“.

1912 წლის შემოდგომაზე გემი „სვიატაია ანნა“ კარის ზღვაზე, ნახევარკუნძულ იამალასთან ყინულებმა მოიძწყვიდეს. აქედან დაიწყო მისი მძიმე დრეიფე ყინულებში. 1914 წლის 23 აპრილს ეკიპაჟის ნაწილმა—11 კაცმა შტურმან ალბანოვის მეთაურობით მიატოვა გემი და გამოსწია მატერიკისაკენ.

76 დღის უმძიმეს დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ, ალბანოვმა და მისმა თანამგზავრებმა მიაღწიეს ფრანც-იოსების ერთერთ კუნძულს. მაგრამ ერთი კაცი გზაზე დაჰკარგეს. აქედან კონცხ ფლორაზე გადასვლის დროს სიმშინლისაგან მოკვდა კიდევ ორი, ოთხი დაიკარგა უკვალოდ და ორიც გაიტაცა ქარიშხალმა. კონცხ ფლორაზე გადმოვიდნენ მხოლოდ თვით ალბანოვი და მეზღვაური კონდრატი, რომელიც ამჟამად ბრუსილოვის ექსპედიციის ერთადერთი ცოცხალი მონაწილეა. 9 დღის შემდეგ გ. ი. სედოვის ექსპედიციის გემმა თავის ბორტზე აიყვანა გაწვალებული მეზღვაურები. „წმინდა ანნას“ ბედი გამოურკვეველი დარჩა.

არქტიკის საბჭოთა სექტორში უკანასკნელ წლებში მოხდა დიდი ცვლილება. ჩვენი ყინულისმკრელები რამდენიმე დღეში გადაიან. იმ გზას, რომლის გავლას ავსტროუნგრეთული ექსპედიცია პაიერის და ვეიპრების, ან რუსული ექსპედიცია გ. სედოვის მეთაურობით წელიწადზე მეტს მოუნდენ. რეისები მურმანსკ-ფრანც-იოსების მიწა, არხანგელსკ-მატოჩკინ-შარი და შემდეგ კონცხი ჟელანიე სრულიად ჩვეულებრივი შოვლენა შეიქნა.

შეიცვალა პოლიარული კვლევის მეთოდები. შესამჩნევად გაუმჯობესდა არქტიკაში მიმოსვლის ხერხები და საშუალებანი. პოლიარული კვლევის სამსახურში ჩადგა ჰაეროპლანი და რადიოკაშირი, რომლებმაც ესოდენ დიდი როლი ითამაშეს გმირ ჩელიუსკინელების გადარჩენაში.

# დიად დღეების ქრონიკა

## ვანკარეში, უელენი

შმიდტს, გოგროვს, ვორონინს, კანეკელს და ყველა ჩელიუსკინელს.

მივსალმებით და მხურვალედ ვულოცავთ მამაც ჩელიუსკინელებს, რომლებიც გმირულად და ოგანიზაციულად ებრძოდნენ მკაცრ კოლიარულ სტიქიას და რომელთაც მტკიცედ გადაიტანეს ოკრი თვის ტყვეობა ყინულებში.

ვუშამდგომლობთ ს. ს. რ. კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე:

1. დაჯილდოებულ იქნას ყველა ჩელიუსკინელი, აგრეთვე უშაკოვი და პეტროვი „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.
2. აგებულ იქნას მოსკოვში გონუშები „ჩელიუსკინის“ კოლიარული ლაშქრობის სახსოვრად.
3. მიეცეს ყველა ჩელიუსკინელს ერთდროული ჯილდო ნახევარი წლის ჯამაგირის რაოდენობით.

- ი. სტალინი
- ვ. ვოლოტოვი
- კ. ვოროვილოვი
- ვ. კუბიშევი
- ა. შდანოვი

1933 წელი.

16 ივლისი. ლენინგრადი. თენდება „ჩელიუსკინი“ ნელნელა შორდება ნავთსადგურს. უკანასკნელი ხანგრძლივი, გამოსამშვიდებელი საყვირი. წინ—ბალტიის ზღვა, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე—ბერინგის სრუტე—წყნარი ოკეანე. გემის კაპიტანი—ვორონინი. ექსპედიციას მეთაურობს ოტო იულევიჩი შმიდტი.



10945

25 ივლისი. კობენჰაგენი კიჩოს უკან დარჩა. გეზი მურმანსკზე.

30 ივლისი. გადავჭერთ პოლიარული წრე.

3 აგვისტო. მურმანსკში ვტვირთავთ გემზე ნახშირს ჩვენთვისა და „კრასინისათვის“.

11 აგვისტო. ისევ ზღვაზე ვართ.

13 აგვისტო. აღმოვაჩინეთ „კურდღელი“, კუთხის ორმოში იჯდა. დაუპატიჟებელი სტუმარი გადაეცა „არკოსს“, რომელიც წინ შემოგვხვდა.

15 აგვისტო. პირველი „სერიოზული“ ცინულები. პირველი დაჯახება „ჩელიუსკინის“ კორპუსზე.

22 აგვისტო. რადიოთი გამოწვეულმა „კრისინმა“ წაიღო თავისი ნახშირი. მივიწვეთ სრული ნაბიჯით.

### პირველი ცინულები.

1 სექტემბერი. ერდოს იქით—ჩელიუსკინის კონცხია. მეგობრების—„სედოვის“, „სტალინის“, „კრასინის“, „სიბირიაკოვის“, „რუსანოვის“ და „ჩელიუსკინის“ შეხვედრა. ესალმებიან ერთმანეთს ხანგრძლივი საყვირებით.

10 სექტემბერი. დაიწყო პოლიარული ცინულები. პირველად ავამოქმედეთ ამონალი. ნელა მივიწვეთ წინ.

17 სექტემბერი. ტრავერსზე „კოლიუჩინი“. მთელი კომანდა ცინულზეა. ავრალით გამოგვაქვს გემი ცინულის ბრკალებიდან.

21 სექტემბერი. „ჩელიუსკინი“ ისევ დატოროსებული ცინულების ზოლშია.

მუშაობა დაიწყეს ინგლისური და გერმანული ენების, გეოლოგიის, მიმდინარე პოლიტიკის და ლენინიზმის შემსწავლელმა წრეებმა.

25 სექტემბერი. დრეიფი უეცრად შეწყდა. „ჩელიუსკინი“ უძრავია. პოლიარული დუმილი.

26 სექტემბერი. გადაწყდა შევუერთოთ მკვდარი მინდორი მასში ჩაქედილ „ჩელიუსკინით“ ცინულების საერთო დრეიფს. ავამუშავეთ ამონალი. ამონალი უძღური აღმოჩნდა.

5 ოქტომბერი. ახლოს ჩანს კოლიუჩინის უბე. მოულოდნელად გაჩნდნ წყლები.

10 ოქტომბერი, ნელა მივიწვეთ წინ. „ჩელიუსკინი“, რომელიც პირდაპირ ბუქსირზე ჰყვას აყვანილი კომანდას, იპყრობს მეტრს მეტრზე. კომანდა „მუშაობს“ ამონალით.

## „ჩელიუსკინი“ დრეივობს.

**17 ოქტომბერი.** ბერინგის სრუტემდე 76 კილომეტრია. ცინულებს მიაქვთ გემი ჩრდილოეთისაკენ.

**26 ოქტომბერი.** ცინულის მინდორი და მასთან გემიც დრეიფმა ზაიტაცა აღმოსავლეთისაკენ. ბერინგამდე—150 კილომეტრია.

**4 ნოემბერი.** უკვე რამდენიმე დღეა ცინულის ველი გემითურთ მიდის სამხრეთისაკენ. გვერდი ავუარეთ დიომიდის კუნძულს. ბაბუშკინი მიფრინავს დასაზვერად:

წყლამდე, წმინდა წყლამდე მხოლოდ 6 მილილა დარჩა.

**9 ნოემბერი.** კამჩატკის ტაიფუნებმა წარიტაცეს ცინულის მინდორი და მიაქროლებენ მას ჩრდილო-აღმოსავლეთით ამერიკის ნაპირებისაკენ.

**24 ნოემბერი.** ცინულის მინდორი გემს მიაქანებს ჩუკოტისკენ. მეცნიერი მუშაკები ჰკრებენ მასალას პოლიარული ზღვის მდინარე-ბაზე ზამთრის პირობებში.

**30 ნოემბერი.** ისევ დრეიფი სამხრეთ-დასავლეთით.

**21 დეკემბერი.** მზე აღარ ჩნდება. დრეიფი ვრანგელის კუნძულის მიმართულებით.

**23 დეკემბერი.** ისევ კოლიუჩინო. ხალხი ახლა კი მიხვდა, რომ დავიზამთრეთ.

**31 დეკემბერი.** ღამის 12 საათი. ზამთრის ნათელი პოლიარული ღამეა.

## 1934 წელი.

**5 იანვარი.** შუალამისას დაიწყო ცინულების შეკუმშვა. გემი ძიგძიგობდა, როგორც ციებ-ცხელებიანი. ცინული ჭრიალებდა, იტოროსებოდა, ემუქრებოდა გემს გასრესას.

**6 იანვარი.** ისევ სიმშვიდეა.

**7 იანვარი.** ცინული ისევ იტოროსება და აწვება „ჩელიუსკინის“ კორპუსს. ყველაფერი მზად არის ცინულზე გადასატანად. მშფოთვარე დღეა.

**10 იანვარი.** შმიდტი დებეშას გზავნის: „დრეიფი შებრუნდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ჩრდილო-აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ამსხვრევს მრავალ-მეტრიან ცინულის ტოროსებს. ცინული დიდი ძალით და ხმაურით აწვება გემს. კორპუსი უძლებს შეკუმშვას, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის მიღებულია ზომები. სამეცნიერო მუშაობა ვრძელდება“.



28 იანვარი. ოტო იულევიჩმა წაიკითხა ლექცია „ფრეიდის თეორია“.

3 თებერვალი. რადიო „ჩელიუსკინიდან“: ქარს მოაქვს ცინულები დიდ ტოროსებად, ხან მიაქვს. ჩნდება წყალი, რომელიც ჩვენ თვალწინ იფარება ნორჩი ცინულით. მიმდინარეობს ცინულის შესწავლა. საგანგებო ხელსაწყო ზომავს ჩვენი თვალისთვის შეუმჩნეველ ტალღებს, რომლებიც მოძრაობენ ცინულზე ქარის დროს ზღვის ტალღების მსგავსად.

12 თებერვალი. დღეს დრეიფი შეწყდა. ვდგევართ. ტემპერატურა მინუს 31. გემიდან 3 კილომეტრზე გამონახულია მოედანი აეროდრომისათვის.

13 თებერვალი. „ჩელიუსკინის“ დაღუპვა. 15 საათზე და 30 წუთზე კონცხ სევერნიდან 155 მილის და კონცხ უელენიდან 144 მილის მანძილზე ჩაიძირა ცინულებისაგან გაჭყლებილი „ჩელიუსკინი“. ეკვაჟი და ექსპედიცია გადმოსხდა ცინულოვან მიწოდორზე. გემიდან ჩამოსვლის დროს დაიღუპა მწე მოგილევჩი.

#### მთელი ძალები სახელოვანთა გადასარჩენად.

14 თებერვალი. საკავშირო სახკომსაბჭომ ჩელიუსკინელთა გადასარჩენად მოაწყო მთავრობის კომისია ვ. ვ. კუიბიშევიცის თავმჯდომარეობით. ჩუკოტის ნახევარ კუნძულზე გამოყოფილია საგანგებო სამეული ჩრდილოეთის კონცხის პოლიარული სადგურების უფროსის ამხ. პეტროვის თავმჯდომარეობით.

15 თებერვალი. ჩუკოტის ნახევარ კუნძულზე გამოცხადებულია მარხილებში (ნარტებში) შესაბამელ ძალების მობილიზაცია. ონმანის კონცხზე ეწყობა ჩელიუსკინელთა დახმარების ბაზა. მფრინავებს — ლიაპიდევსკის და კონკინს, რომელნიც უელენში იმყოფებიან, წინადადება მიეცათ გაფრინდნენ ავარიის ადგილას.

16—17 თებერვალი. ჩუკოტკზე პურგაა.

17 თებერვალი. ამონაწერი ჩელიუსკინელ მარკოვის დღიურიდან: „დღეს წავედი ცინულოვან ბორცვების სანახავად, რომლებმაც გასრისეს „ჩელიუსკინი“. თავიანთი სიმაღლით ისინი მომაგონებენ ყოფილ გემს. მე პირველად ვნახე ესოდენ დიდი ტოროსები. მასზე შეხობებული მე ალბად ძალიან პატარად ვჩანდი, როცა ზვიდან ვაკვირდებოდი ჩვენს ბანაკში მიმდინარე მუშაობას. მარცხნივ იდგა უკანასკნელ წუთში ამოღებული თვითმფრინავი. მარჯვნივ ახალ სახლთან ფუსფუსებდა ხალხი. სახურავზე და კედელზე თოვლს



აყრიდენ, რომ ბინა უფრო თბილი გაეხადათ, მუშაობდენ უხმოდ. ამხანაგების ერთი ჯგუფი მიათრევდა ძელებს, რომელნიც გემის და-ღუპვის შემდეგ ამოტივტივდენ. 3 კაცი აკეთებდა ანძას, ზედ გამა-გრებულ ჩვენი დიდი დროშით. ახლო აღიოდა კვამლის ბოლი—ლუ-შელის მკეთებლები ახურებდენ თიხას, რომელიც წინასწარ გემიდან ვადმოტანილ იქნა ლუმელების და სამზარეულოს გასაკეთებლად. ბა-ნაკის ცენტრში, „სამეურნეო“ მუშაკს კანცელს—ბუფეტის გამგეს წესრიგში მოყავს ყუთები სურსათით.

**18 თებერვალი.** დღეს ამხანაგების ნაწილი გადასახლდა ახლად აგებულ საცხოვრებელ სახლში. მფრინავი ლიაპიდევსკი აკეთებს პირველ ცდას მიაღწიოს ბანაკამდი პურგასა და ქარბუქში.

**19 თებერვალი.** კუიბიშევის კომისიამ ბრძანა: გაგზავნონ პრო-ვიდენიეს ბუხტში ორი თვითმფრინავი კამჩატკიდან და სამიც ვლა-დივასტოკიდან.

**20 თებერვალი.** უშაკოვი და პილოტები სლევნიოვი და ლევანევსკი გაემგზავრენ ამერიკაში. მათ მიცემული აქვთ დავა-ლება მოაწყონ ჩელიუსკინელთა დახმარება ალიასკის მხრიდან.

**21 თებერვალი.** 13—21 თებერვლამდე ყინულის მინდორი, რომელზედაც იმყოფება შმიდტის ბანაკი, გაიწია 23 კილომეტრით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ყინულები მიიწ-მოიწიენ. ბანაკზე გაიარა ნაპრაღმა. მდგომარეობა შდიმეა.

**23 თებერვალი.** ბანაკი თავის ქვეყანასთან ერთად დღესასწა-ულობს წითელი არმიის დღეს. დამთავრდა სასიგნალო ანძის კეთება.

**25 თებერვალი.** „Совсем обжились, вечером все брились“—წერს ჩელიუსკინელი მარკოვი.

**27 თებერვალი.** ჩელიუსკინელთა ბანაკი. პოლიარული ზღვა. ექსპედიციის უფროს შმიდტს. გიგზავნით გმირ ჩელიუსკინელებს მხურვალე ბოლშევიკურ სალამს. აღტაცებით ვადვენებთ თვალყურს თქვენს გმირულ ბრძოლას სტიქიასთან და ვღებულობთ ყოველგვარ ზომებს თქვენს დასახმარებლად. დარწმუნებული ვართ თქვენი სასა-ხელო ექსპედიციის კეთილ დასასრულში და მასში, რომ არქტიკი-სათვის ბრძოლის ისტორიაში თქვენ შეიტანთ ახალ სასახელო ფუ-რცლებს.

სტალინი,  
მოლოტოვი,  
ვოროშილოვი,

კუიბიშევი.  
ორჯონიკიძე.  
კაგანოვიჩი.

**2 მარტი.** გამოვიდა საბანაკო კედლის გაზეთის—„არ დავნებდები“ პირველი ნომერი.

**5 მარტი.** მფრინავმა ლიაპიდევსკიმ, ბორტმექანიკოს რუკოვსკისთან და მფრინავ მეთვალყურე პეტროვთან ერთად, თვითმფრინავ AHT 4-ით მოახდინა ბრწყინვალე გადაფრენა ბანაკში და უელენში ჩამოიყვანა 10 ქალი და 2 ბავში.

**6 მარტი.** ბანაკმა საშინელი ღამე გაათენა. გაჩნდა ფართო ნაპრალები. ყინული ტოროსდება. ხის ბარაკი, სადაც ცხოვრობდა ჩელიუსკინელთა ნახევარი და სადაც ჯერ კიდევ გუშინ ქალები და ბავშვები იმყოფებოდნენ, ყინულისაგან გაგლეჯილია ორად. დანგრეულია სამზარეულო.

**7 მარტი.** მფრინავები გალიშევი და დორონინი ემზადებიან ხაბაროვსკიდან გამოსაფრენად. ლენინგრადიდან მოდის თვითმფრინავით მფრინავი ბოლოტოვი, ხაბაროვსკში მოფრინავს ვოდოპიანოვიც. გემი „სმოლენსკი“ მოდის კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან.

**9 მარტი.** ბანაკის გადარჩენილ ნახევარში ვისმენდით ოტო იულევიჩის ლექციას დიალექტიკურ მატერიალიზმზე.

**11 მარტი.** „სტალინგრადი“ ოლიუტოროკშია.

**13 მარტი.** „სმოლენსკმა“ ოლიუტოროკში გადმოტვირთა კამანინის რგოლის 5 თვითმფრინავი.

**13 მარტი.** საღამოს ვისმენდით ოტო იულევიჩის მორიგ ლექციას.

**14 მარტი.** დამთავრდა „ჩელიუსკინის“ გადასარჩენი ცენტრალური ბაზის მოწყობა ვანკარემის კონცხზე.

მფრინავმა ლიაპიდევსკიმ კონცხ ონმანზე იძულებითი დაშვების დროს დააზიანა თვითმფრინავი. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ჩელიუსკინელების დასახმარებლად ლენინგრადიდან გაგზავნონ ყინულისმკრელი „კრასინი“.

**17 მარტი.** მფრინავები გალიშევი, დორონინი და ვოდოპიანოვი გაფრინდნენ ჩრდილოეთისაკენ. დორონინი და გალიშევი იმავე დღეს ჩაფრინდნენ ამურის ნიკოლაევსკში. ვოდოპიანოვი დააბრკოლა ქარბუქმა და დაბრუნდა უკან.

**18 მარტი.** დაიწყო „კრასინის“ დატვირთვა. ვოდოპიანოვისეგ გაფრინდა ხაბაროვსკში და მიფრინდა ნიჟნიტამბოვსკში. შორეულ აღმოსავლეთში მივიდა ბირნბაუმის ექსპედიცია დირიჟაბლით.

**20 მარტი.** გალიშევი, დორონინი და ვოდოპიანოვი ოხოტსკში არიან.

**21 მარტი.** კამანინის რგოლი ოლიუტოროკიდან გაფრინდა ჩრდილოეთისკენ.

**22 მარტი.** დაიღუპა ორი თვითმფრინავი „III—2“, რომელნიც გადმოტვირთულ იქნენ გემ „სტალინგრადიდან“. გალიშევი, დორონინი და ვოდოპიანოვი ნაგარეგოში არიან. უშაკოვი, ლევანესკი და სლეპნიოვი—ფერბენსკში. „ჩელიუსკინელთა ბანაკში ბიჭები ერთობიან“.

**23 მარტი.** „კრასინი“ გავიდა კრონშტადტიდან და პანამით მიისწრაფვის არქტიკისაკენ ჩელიუსკინელების დასახმარებლად.

**27 მარტი.** გალიშევი, დორონინი და ვოდოპიანოვი—გიეიგოში არიან.

**29 მარტი.** იგივე მფრინავები—კამენსკოეში. ჩრდილოეთში პურგა. ჩელიუსკინელთა ბანაკში: „ლღეს შევავსეთ სასურსათო მარაგი. მოვკალით ორი დათვი“...

**30 მარტი.** კატასტროფა შეემთხვა ლევანესკის თვითმფრინავს, რომელიც ნომიდან ვანკარემში გაფრინდა. მფრინავის გამანცვიფრებელმა ოსტატობამ გადაარჩინა თვითმფრინავის ეკიპაჟი დაღუპვას, ხოლო თვითმფრინავი სრულ დაღეწვას.

**1 აპრილი.** მოულოდნელად ვანკარემში მიფრინდა ბაბუშკინი „ჭრილობაშეხვეულ“ თვითმფრინავ „III—2“-ზე.

**3 აპრილი.** სლეპნევი მიფრინდა უელენში. გალიშევი, დორონინი, და ვოდოპიანოვი—კამენსკოეში. კამანინი და მოლოკოვი უელენში მიმავალ გზაზე არიან.

### ყველა გადმოსხმულია საბჭოთა მიწაზე.

**7 აპრილი.** სლეპნიოვი, კამანინი და მოლოკოვი მიფრინდნენ ვანკარემში და მაშინვე გაეშურნენ შმიდტის ბანაკში. სლეპნიოვმა ბანაკში დაშვებისას დააზიანა თვითმფრინავი. კამანინმა და მოლოკოვმა ვანკარემში ჩამოიყვანეს 5 ჩელიუსკინელი.

**8 აპრილი.** ცუდი ამინდია, ხეღვა არ არის. მფრინავმა მოლოკოვმა სცადა შმიდტის ბანაკში მიფრენა, მაგრამ ვერ მოახერხა.

**9 აპრილი.** ავად გახდა ო. ი. შმიდტი. მთავრობის კომისიამ უბრძანა შმიდტს გადააბაროს ექსპედიციის ავტ. ბობროვს. ჩრდილოეთში—პურგაა.

**11 აპრილი.** მოლოკოვმა, კამანინმა და სლეპნიოვმა 2 დღეში მატერიკზე გადმოსხეს 57 ჩელიუსკინელი.

განსაკუთრებით თავი ისახელა მოლოკოვმა.

**12 აპრილი.** მუშაობენ ვოდოპიანოვი, კამანინი და დორონინი. წინა დღით ვოდოპიანოვმა და დორონინმა მოახდინეს გმირული გადაფრენა უცნობ ანადირის ქედზე, რომ შეემოკლებიათ გზა ვანკარემისაკენ.

სლენიოვს თავის თვითმფრინავით მიჰყავს ექსპედიციის უფროსი ო. ი. შმიდტი ნომში.

**13 აპრილი.** მოლოკოვს, კამანინს და ვოდოპიანოვს ვანკარემში გადმოყავთ უკანასკნელი 6 ჩელიუსკინელი.

ო. ი. შმიდტი.

## ჩვენი ლაშქრობა

ბერლინიდან გამომგზავრების წინა დღით ამხ. ო. ი. შმიდტი გამოვიდა საბჭოთა კოლონიის კრებაზე, რომელსაც უამბო „ჩელიუსკინის“ ლაშქრობის, დაღუპვის და ყინულოვან ბანაკში ექსპედიციის მონაწილეთა ცხვრების ისტორია.


გაივლის მრავალი წელიწადი. საბჭოთა კავშირის ისტორიას დაამშვენებს მიღწეული გმირობის ახალი ფურცლები, სოციალიზმის მშენებელი ადამიანის გაუგონარი სიმამაცის იშვიათი მაგალითები.

„ჩელიუსკინის“ დაღუპვა—ეს გრანდიოზული ტემაა ფუნჯისა და კალმის ოსტატებისათვის. ეს ტემაა, რომელიც გაშორდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და ჩვენი ეპოქის საზღვრებსაც. უდიდესი და კეთილშობილი ამოცანაა—ნაჩვენები იქნას ერთად შედუღებული კოლექტივი, რომელიც დროებით ტყვედ ჩაუვარდა ჯერ კიდევ მოუდრეკელ სტიქიას, მაგრამ, რომელიც მუდამ მზად არის შემდგომი ბრძოლისა და ბუნების ძლიერი ძალების დამარცხებისათვის.

საბჭოთა კოლონიის კრებაზე ბერლინში ამხანაგთა წრეში ოტო იულის-დე შმიდტი მოყვა „ჩელიუსკინის“ დაღუპვის ამბავს. შისი ნაამბობიდან ყველაზე მკაფიო იყო ის ადგილები, სადაც მოთხრობილი იყო ას ოთხი ადამიანის ძალა და მათი უმჭიდროვესი კავშირი.

— ჩვენს ლაშქრობაში,—განაცხადა ო. ი. შმიდტმა, ექსპედიციის მონაწილეებმა ბევრი რამ განიცადეს და უაღრესად გამოიცვალენ ისინი ამ ლაშქრობის განმავლობაში. მე ოდნავ არ ვფარავ,

ნახ. დენის



მ. ა. შმიდტი



რომ „ჩელიუსკინის“ გამგზავრებისას, მე კიდევ არ მყავდა საკმაოდ შემჭიდროებული კოლექტივი, არ მქონია იდეალური დისციპლინა. ჩვენთან ექსპედიციაში იყვნენ მშენებელი მუშები, რომელთაც სუსტად ჰქონდათ წარმოდგენილი, თუ რა არის არქტიკა.

ლაშქრობა დაიწყო საკმაოდ მძიმე პირობებში. სიძნელეებმა მოიმატეს, როცა შუა აგვისტოში გემი რამდენიმეჯერ დაზიანდა. საერთოდ გემების მცირეოდენა დაზიანება საარქტიკო ექსპედიციებში ნორმალური მოვლენაა და თავისთავად არ იძლევა საფუძველს პანიკისათვის. თვით ყინულისმჭრელებსაც ჰშირად აზიანებენ ყინულები. მაგრამ „ჩელიუსკინის“ უფრო ცუდი საქმე შეემთხვა: ყინულებმა მას დაუმტვრიეს რამდენიმე „გვერდი“, — კორპუსის მდავარი სიმაგრეები. ამ დაზიანებული ადგილების შეკეთებას მოხმარდა ბოძები, რომელნიც დანიშნული იყვნენ ვრანგელის კუნძულზე აღსამართავად და მასზე ელექტრომაგეთულების გასაბმელად.

პირველი ავარიები უკვე შეიქნა ადამიანების საუკეთესო შემოწმების და მათი შემდგომი გამობრძმების საშუალებად. ამ ავარიებმა შესაძლებლობა მოგვცეს შეგვეჩიხა და ხელახლა გაგვენაწილებია სამუშაოზე ჩვენი ძალები.

ჩვენ ვფიქრობდით და მოველოდით, რომ „ჩელიუსკინი“ კვალდაკვალ გაყვება „კრასინს“. ჩელიუსკინის კონცხთან ჩვენ შევხვდით ყინულისმჭრელს. გამოირკვა, რომ „კრასინს“ დაკარგოდა ერთ-ერთი ხრახნილი, რაც სანახევროდ ამცირებდა მის ძალას. ყინულისმჭრელს აღარ შეეძლო ჩვენთან წამოსვლა. წამოიჭრა საკითხი გაგვეგრძოთ თუ არა გზა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გველოდა სიძნელეები, — გაცილებით უფრო დიდი იმაზე, ვიდრე შეემთხვა „სიბირიაკოვს“. ჩვენ გავსწიეთ წიხ. პირველად ვფიქრობდით, რომ ყველაფერი რიგზეა. ეს აზრი განსაკუთრებით განამტკიცა „აღლუმმა“ ჩელიუსკინის კონცხთან — ჩრდილოეთის ამ ყველაზე მიუწლომელ პუნქტს ახლოს. ამ კონცხის აღმოჩენის მომენტიდან (მე-18 საუკუნეში) შარშანდელ წლამდე კონცხის ნაპირებს მიდგომია მხოლოდ 9 გემი.

და აი ასეთ ადგილას 1933 წელს შემოდგომაზე ერთმანეთს შეხვდა 11 საბჭოთა გემი. აქ თავი მოიყარეს „ჩელიუსკინმა“, „სედოვმა“ „სიბირიაკოვმა“ და ჩვენი პოლიარული ფლოტის სხვა დიდმა გემებმა. ამ „აღლუმმა“ ექსპედიციის მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მაგრამ მალე დაიწყო მკაცრი დღეები. შემდეგში ჩვენ უკვე მართოდ-მართო მოგვიხდა მგზავრობა. პირველად თითქოს ყველაფერი წესიერად მიმდინარეობდა, მაგრამ ჯერ ერთი, იღვა ნისლიანი და



მასთან ქარიშხლიანი ამინდი. ამის შედეგად დაეკარგეთ რამდენიმე დღე, რადგან შეუძლებელი შეიქნა კურსის აღება. ამავე დროს საჭირო იყო, რაც შეიძლება მეტი სიჩქარე: ნავიგაციის ვალა უკვე თავდებოდა. მეორე—ჩვენ არ გვქონდა საფრენოსნო დაზვერვა, რომელიც თავის მოქმედებას დიდ მინძილზე გაავრცელებდა. მართალია, ჩვენ გვქონდა პატარა თვითმფრინავი „III—2“, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ მოკლე მანძილზე, ამასთან ამ თვითმფრინავით აფრენა შეიძლებოდა ან წმინდა წყლის ან სრიალა ყინულის ზედაპირიდან. ასეთი პირობები არ შეგვხვდებოდა და ჩვენც იმედი უნდა გვქონოდა ნაპირებიდან წარმოებული დაზვერვის. ჩვენ მოველოდით, რომ როცა „ჩელიუსკინი“ მიუახლოვდებოდა ჩუკოტის ზღვას, ნაპირიდან ჩვენ მომსახურებას გაგვიწევდნენ ძლიერი თვითმფრინავები. ერთი ასეთი თვითმფრინავი შავი ზღვიდან იქ გადააფრინა ამხ. ლევანევი სკიმ, რომელმაც, როგორც მოგვხსენებთ, დახმარება გაუწია ავარიაში ჩავარდნილ ამერიკელ მფრინავს მატერნს.

ჩვენ მივიწვედით ისე, რომ წინ არ გვიძღვოდა საპაერო დაზვერვა და ჩვენი ხედვაც თუთხმეტ-ოც კილომეტრზე შორს არ მიდიოდა. ამასთან უაღრესი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გვცოდნოდა, თუ რა მოგველის შემდეგში. „ჩელიუსკინი“ მიიწვედა ძალიან ნელა. გემის ერდოზე (ბორტზე) გვყავდნენ ამხანაგები, რომლებიც ვრანგელის კუნძულზე უნდა გადმომსხდარიყვნენ, მაგრამ კუნძულზე მიდგომა არ ხერხდებოდა; ჩვენ გადავწყვიტეთ წავსულიყავით ბერინგის სრუტესაკენ, ხოლო შემდეგ, თუ შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, მივდგომოდით ვრანგელის კუნძულს აღმოსავლეთით. მაგრამ, რაც უფრო დრო გადიოდა, ნელა მიიწვედა „ჩელიუსკინი“. 17 სექტემბერს კოლიუჩინის კუნძულთან პირველად მოვემწყვდიეთ ყინულებში და მხოლოდ 5 ოქტომბერს ისევ მოგვეცა შესაძლებლობა დამოუკიდებლად დავძრულიყავით. წლის ამ დროში აქ ცურვა უკვე აღარ შეიძლება, რადგან ყინულის სიმკვრივე მეტად მნიშვნელოვანი ხდება. 4 ნოემბერს დიდი ჭაპან-წყვეტით მივალწიეთ დიომიდის კუნძულს ბერინგის სრუტეში. მალე ჩვენ შეგვეძლო დაგვენახა წყნარი ოკეანე, მაგრამ ჩვენ გვაშორებდა მკვრივი ყინული 15-20 კილომეტრის მანძილზე. დამოუკიდებლად ამ ყინულის გაჭრა ჩვენ არ შეგვეძლო და ჩვენც გავმართეთ მოლაპარაკება ყინულისმჭრელ „ლიტკესთან“. იგი უნდა დატვირთულიყო ნახშირით და შემდეგ გამოგზავრებულიყო ჩვენსკენ, მაგრამ ვერც მან შესძლო გაერღვია ყინულის ჯაფშანი. ყინულისმჭრელი დაუძლურდა ჯერ კიდევ გასული წლების ბრძოლაში.

ორი წლის მძიმე ზამთრობამ დაასუსტა „ლიტკე“. ამ ხანებში ჩვენ წამოგვეწია ძლიერი მდინარება და ყინულებთან ერთად დაუნდობლად წაგვიტაცა ჩრდილოეთისაკენ.


ექსპედიციის მონაწილეთა დაძაბულმა მუშაობამ, რომელსაც გემი უნდა ეხსნა ყინულების ტყვეობისაგან, ერთ მტკიცე ერთეულად გადააქცია ყველა მონაწილე. მათ შორის არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩამორჩენილი, რადგან მათ ხელს უწვდიდა და წინ მიუძღოდა კოლექტივი. გრძელდებოდა მეცნიერული მუშაობა, რომელიც განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგან იგი სწარმოებდა ისეთ ადგილებში, სადაც წინათ არასოდეს არ ყოფილა სამეცნიერო ექსპედიციები. ეს მეცნიერული მუშაობა მოგვცემს ძალიან ბევრს რასმე და ჩვენ ამ ადგილების შესასწავლად უკვე აღარ დაგვჭირდება ექსპედიციების გაგზავნა. ზანდახან გაგვიელვებდა იმედი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება, თუმცა გემი კიდევ რამდენიმეჯერ მოხვდა ყინულების მუხრუჭში. ყინულები კი თანდათან ფარავდნ თვალით დასანახ მთელ მანძილს და გემიც მთელი ამ მასით ნელინელ მიიწევდა. ზანდახან ყინულებს შორის ჩნდებოდნ ნაპრალეები და ყინულებიც ერთმანეთს შორდებოდნ. შემდეგ ძლიერი მოწოლით შევიწროებული ცალკე ყინულები ზევით ამოცურდებოდნ და ზედ შთებივით იმართებოდნ. ყინულების ასეთ მოწოლას მცირე ზიანი მოქონდა გემისთვის, მაგრამ იგი მაინც ჯერ კიდევ მთელი რჩებოდა. ყოველ შემთხვევისათვის უარეს მოველოდით ყინულების ერთი მეტად ძლიერი მოწოლის შემდეგ გადაწყდა მარაგის ერთი ნაწილი გადმოგვეტანა გემის ბანზე, რომ ავარიის დროს შეუფერხებლად გადმოგვეყარა ყინულზე.

საჭირო იყო დაგვემზადებია 8 ტონა სასმელი წყალი. საიდან უნდა მიგველო იგი? უნდა იცოდეთ, რომ ზანდაზმული ყინული თანდათან კარგავს თავის სიმლაშეს, მარილიანობას. ჩვენ გემზე შეგვქონდა ასეთი ყინულის ლოდები და ვადნობდით. ეს მძიმე სამუშაოა. ექსპედიციის ყოველი მონაწილე ამ საქმეს ყოველდღიურად 4-დან 9 საათს ანდომებდა, მაგრამ ეს მუშაობა ძალიან ამაგრებს ადამიანის ჯანს და მატებს ძალღონეს. ყველა ჩვენგანს დიდებული მადა ჰქონდა. 40 გრადუსიან ყინვაში მუშაობა ცუდი როდია! ამასთან ეს მუშაობა მჭიდროდ გვაკავშირებდა ერთიმეორეს და ხელს უწყობდა ნიჭიერ ორგანიზატორების გამოვლინებას ჩვენ შორის.

ჩვეულებრივ ყინულის ზვავები დაცურავდნ „ჩელიუსკინიდან“ 2—5 კილომეტრის დაშორებით. და ჩვენც ველოდით, შემოვიდოდნ თუ არა ისინი ჩვენს ზოლში.

და აი 13 თებერვალს, უზარმაზარმა ყინულის ზეგამმა გემს შე-  
მოტევა დაუწყო. „ჩელიუსკინის“ დაღუპვის სურათი ყველასთვის  
უკვე ცნობილია. მის აღწერას ეხლა არ შევუდგები. მე ვნახე ფილმი,  
რომელიც გადმოგვცემს ერთერთ ჩვენს წინანდელ ჩრდილოეთურ-  
ლაშქრობას. ეს ფილმი კარგია, მაგრამ გადამწყვეტი მომენტები  
უაღრესად მყვირალა ფორმით არის გადმოცემული. ყოველ ნა-  
ბიჯზე გაისმის ექსპედიციის უფროსის ხმა: „წინ“, „ჩქარა“ „უფრო  
ჩქარა“ და ა. შ. ნამდვილად ბოლშევიკები ასე არ მუშაობენ და  
სიმაგრეებს ასე არ იპყრობენ. როცა „ჩელიუსკინი“ იძირებოდა  
არავის გაუგონია ხმამალალი ბრძანება, არც პათეთური სიტყვა  
წარმოუთქვამს ვისმე, და არც იყო ეს სრულიად საჭირო, ისიც კი-  
მეტი იყო მიგვეთითებია ვისმესთვის, გააკეთე ესა თუ ის საქმეო.  
ყველაფერი ეს წინასწარ შემზადებული იყო. ყველა ჩუმად აკეთებდა  
იმას, რაც დიდი ხნით ადრე იყო გათვალისწინებული. მხოლოდ  
ძაღვების მცირეოდენი გადაჯგუფების საჭიროებამ მოითხოვა ამ  
მომენტში რამდენიმე განკარგულება.

ფოტო კინოოპერატორ შ ა ფ რ ა ნ ი ს.



„ჩელიუსკინი“ დაღუპვის წინ.

თავისთავად მდგომარეობა იყო უაღრესად პათეთური. გემი  
ნელნელა იძრებოდა, ხოლო ამავე დროს წინასწარ გამომუშავებული  
გეგმით, სრული სიმშვიდით, აუჩქარებლად მიმდინარეობდა დიდი და-  
მეტად სასწრაფო მუშაობა.

ორი საათი და ათი წუთი გავიდა იმ მომენტიდან, როცა „ჩელიუსკინს“ შემოერთებენ ყინულები იმ დრომდე, ვიდრე იგი მთლიანად დაიძირებოდა. ყინულის ზედავი „ჩელიუსკინს“ უტევდა წინიდან, ზედავის წინ გაჩნდა ნაპრალი. უზარმაზარი ყინულის ნაწილი შეჩერდა, ხოლო მეორე ნაწილი განაგრძობდა სვლას, მოადგა გემს და ჩაძირა. ყინული შეიჭრა გემის შიგნით, დაძრა ქვაბი და დაამტვრია ტუმბოები. ყინულმა გააფუჭა თითქმის ყველა სამანქანო ნაწილი. კიდევ კარგი, რომ ქვაბი არ აფეთქდა.

ჩვენ გადმოვტვირთეთ, რაც გათვალისწინებული გვქონდა. ბევრი რამ ისეთი გადმოვზიდეთ, რასაც გეგმით არ ვითვალისწინებდით. განსაკუთრებით დაუფიქსარია ჩვენთვის თვითმფრინავის გადმოტვირთვა.

ამხანაგთა ჯგუფი თავს დასტრიალებს იმ მომენტში უკვე უმწეო „ამფიბიას“. მათი რიცხვი 10 კაცზე მეტი არ არის. კიჩოზე დგას და გადმოტვირთვას თვალყურს ადევნებს ჩემი თანაშემწე ბობროვი. ერთობზე ბრძანებებს იძლევა კაპიტანი ვორონინი. დრო-და-დრო მე შევდივარ რადიო-კარავში და ვგზავნი დეპეშებს საქმის მიმდინარეობაზე. კარვიდან რომ გამოვუდი, შევნიშნე, რომ თვითმფრინავს თავს დატრიალებს მხოლოდ ექვსი კაცი. მათი ძალღონე საკმაო არ არის მანქანის ყინულზე გადმოსატვირთად. გემის ცხვირი კი უფრო და უფრო ღრმად იძირება წყალში. მივდივარ ჩვენს ინჟინერთან და ვეუბნები „მიდით თვითმფრინავთან და დაეხმარეთ, თორემ გვიან იქნება“. მან მშვიდად შემომხედა და მიპასუხა, უკვე გვიანაო. მაგრამ მაინც მივიდა და დანარჩენ ამხანაგებთან ერთად პირდაპირ ხელით გადმოათრია მანქანა ყინულზე.

კიჩოზე დარჩა თუთხმეტი კაცი, კიჩოს ტრიუმი იყო ერთადერთი ადგილი, რომელიც ყინულებს არ შეემტვრია და მისი მეოხებით გემი უძლებდა კიდევ შეტევას. კიჩოზე დარჩენილ ამხანაგებს გადმოქონდათ ნავთით სავსე ყუთები. როცა გემმა უფრო სწრაფად იწყო ჩაძირვა, ვიდრე წინათ იძირებოდა, წყალი მიადგა გემის ბანს და მთლიანად დაფარა იგი. წყალი მიიწვედა უკვე კაპიტანის ხილისაკენ, მაშინ უკვე გაცა ბრძანება ტრიუმიდან ყველა ყინულზე გადასულიყო. უკანასკნელად ტრიუმიდან გამოვიდა სამეურნეო ნაწილის გამგე (ზავხოზი) მოგილევიჩი, რომელიც, ჩემთან, ვორონინთან და ბობროვთან ერთად—ყველაზე მეტ ხანს დარჩა დასაღუპად განწირულ გემზე. ჩვენ ვუცდიდით, ვიდრე ყველა გემზე არ ჩავიდოდა. ზედნაშენები, რომელიც ის იყო დასტოვა კაპიტანმა, ჩამოინგრა.

ვორონინი დავარდა ყინულზე. ესევე შემემთხვა მეც. მოვიღვევიჩი კი განაგრძობდა კაპიტანის ხილზე დგომას. მე დავუძახე:



„ბორის, გადმოხტი, თორემ გვიან იქნება.“ იგი ოდნავ ქვევით ჩამოვიდა, მშვიდად ამოიღო ჯიბიდან ჩიბუხი და განაგრძობდა დგომას. მე არ ვიცი რა დაემართა ამ კაცს. იგი არ იყო ისეთი ადამიანი, რომელიც ასეთ შემთხვევის დროს დაიბნევა ხოლმე. შეიძლება მას სურდა მოეცადა იმ წუთისათვის, რომ ჩაძირული გემიდან უკანასკნელი ჩამოსულიყო.

მე ისევ დავუძახე. „გადმოხტი, გვიან იქნება“. ამ წუთში წყალი შევიდა მილში. გემი აყირავდა, მიიღო რა სრულიად ვერტიკალური მდგომარეობა. მოგილვეიჩის თავს დაეცა კაპიტანის ჩამონგრეული ხიდის ნარჩენები. მან თავი გაინთავისუფლა ამ ნარჩენებისაგან, მაგრამ მაშინვე მას თავს დაეცა გადმოგორებული ბოჭკები. ყველა გავეხვიეთ მურსა და ჭვარტლში, რომელიც წყალმა გამოდენა საკვამლე მილებიდან. ამის შემდეგ გემი ჩაიძირა. ჩვენ აღარაფერი შეგვეძლო. მოგილვეიჩი გემთან ერთად ზღვის ფსკერზე დაეშვა.

ასე დაილუბა გმირულად თავის პოსტზე კომკავშირელი ბორია მოგილვეიჩი. ეს ერთადერთი ჩვენი მსხვერპლია.

დალამდა. მაშინ ჩვენ კიდევ არ ვიყავით დარწმუნებული, დაილუბა თუ არა ვინმე, ბორიას გარდა. მოვახდინეთ გამოძახება. ყველა აღმოჩნდა.

მოგილვეიჩის რომელღაც მეგობარი სტიროდა, მაგრამ ეს არ იყო სისუსტის ნიშანი. ამხანაგმა მალე დასძლია მწუხარებას და გამხნვედა.

როდესაც ჩვენ ყინულზე აღმოვიჩნდით, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საჭირო შეიქნა სიმშვიდე და დასვენება. ჩვენ გავშალეთ კარგები. გაიცა განკარგულება, რომ ყველა დაწოლილიყო და დაეძინებია.

დილით შევეუდექით ბანაკის მოწყობას. არავინ იცოდა, რამდენხანს მოგვიხდებოდა აქ დარჩენა. ჩვენს შორის იყვნენ ცალკე გამოუცდელი ამხანაგები, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ წავსულიყავით ქვეითად ნაპირისაკენ. ჩვენი გამოანგარიშებით, მატერიკის უახლოეს წერტილამდე იყო 150 კილომეტრი. ვიღაცა ცდილობდა დაემტკიცებია, რომ სრული ნაბიჯით ამ მანძილის გავლა შეიძლებოდა სამ-ოთხ დღეში. მართლაც, თუ ასფალტზე ვიართ, ეს ანგარიში შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ ყინულის ანგარიში სულ სხვაა. ამის დასამტკიცებლად გვაქვს მრავალი საკმაოდ მჭერმეტყველი მაგალითი. საკმაოა გავიხსენოთ, თუნდაც შვედელ ანდრეს ექსპედიციის ისტორია. ანდრეს ჰქონდა სამი მარხილი, ბრეზენტის ნავი, მა-

გრამ თავისი თანამგზავრებით ოთხი დღის განმავლობაში გაიარა ორი-სამი კილომეტრი.

ისინი, ვინც ფიქრობდენ, თითქოს ყინულზე სიარული არც ისე რთული საქმე იყოს, ბევრ რასმე ვერ ითვალისწინებდენ. მათ არ იცოდენ, რომ საჭირო გახდებოდა თითქმის ყოველ ნაბიჯზე ყინულის უზარმაზარ ლოდების გადალახვა, მათზე შეხობება და ჩამოხობება. გარდა ამისა საჭირო იქნებოდა 20 დღის სამყოფი სურსათ-სანოვაგის თრევა, ქალების, ბავშვების და ავადმყოფების ზიდვა. მართალია, თვით კატასტროფის შედეგად ჩვენს შორის არავინ გამხდარა ავად, მაგრამ ექსპედიციის მონაწილეებს შორის იყვნენ გულის და ფილტვების ავადმყოფობით და რევმატიზმით დაავადებულნი. რადემართებოდათ მათ, რომ ქვეითად გავდგომოდით გზას მატერიკისაკენ.

ფეხით გამგზავრებას ზოგიერთები გვირჩევდენ საზღვარგარეთიდანაც. იქ წერდენ, რომ ჩელიუსკინელებს ნამდვილი „ბელადი“ ყოლოდათ, იგი გამოიყვანდა მათ ნაპირზეო. მართლაც, ასი კაცისგან შეიძლება ნახევარს მიაღწია ნაპირამდი. ეს სავსებით დააკმაყოფილებდა თეორიას იმის შესახებ, რომ ბელადები უნდა გამოდიოდენ გამარჯვებულნი იმ მასების გვამებზე გადაბიჯებით, რომელთაც ისინი წინამძღოლობენ. მაგრამ ეს თეორიები ჩვენი თეორიები არ არის, და ჩვენ ისინი უარყავით ისე, როგორც უარყევს თავიანთი პირვანდელი გეგმები იმ ამხანაგებმაც, რომელთაც ეს გეგმები წამოაყენეს.

რალა გვრჩებოდა? რა უნდა გვექნა? გვრჩებოდა ის, რომ უნდა გველოდინებია. ლოდინი კი ხანდახან ყველაზე ძნელი რამ არის. ეს იყო სერიოზული გამოცდა ჩვენი ამხანაგებისათვის. და მე ვიყავი ძალზე მოხარული, რომ ჩვენი ბანაკის ხალხმა ეს გამოცდა ჩააბარა.

მაგრამ საჭირო იყო ლოდინი არა პასიურად, — საჭირო იყო ლოდინი ბრძოლით, საჭირო იყო ბანაკში კულტურული ცხოვრების მოწყობა. ჩვენ გადავწყვიტეთ გადაგვექცია ბანაკი სანიმუშო საბჭოთა ახალშენად.

მეორე დღეს გამოუშვით პირველი ნომერი კედლის გაზეთის, რომელსაც ეწოდებოდა „არ დავენებდებით“. მაშინვე დაიწყო მუშაობა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ვიცავდით რა ჰიგიენის წესებს, ჩვენ დავავალეთ ყველა ჩელიუსკინელს ღამით გაუხდელი არ დაწოლილიყვნენ. რადგან კარვებში ბავშვებთან ცხოვრება უხერხული იყო, დავიწყეთ სახლის აგება. საშენი მასალა საკმაოდ გვქონდა, რადგან ზღვამ ამოატივტივა „ჩელიუსკინის“ ზენაშენების ნამსხვრევები. ასაგებ ადგილებზე ვეზიდებოდით ხე-ტყეს

და თან ვმღეროდით „ღუბინუშკას“. ხან კი ვდუმდით, როცა მღერას არ გვანებებდა 40 გრადუსიანი ყინვა.

სეზონის მუშები—ჩვენი მშენებლები, რომელთაც ეგონათ, რომ კარგი ხარჯით და სმა-ჭამით ისე მივიდოდნენ დანიშნულ ადგილამდე, რომ არაფრის აგება არ შეხვედებოდათ, ძალიან შეცდნენ. მათ დასჭირდათ მთელი თავისი უნარის და მოხერხების გამოყენება, რომ აეგოთ სახლი ყინულებში. ჩვენ სახლს გარშემო შემოვატკეპნეთ თოვლი და ამით მივაღწიეთ, რაც შეიძლება, ნაკლებ სითბოგამტარიანობას. შემდეგ, ჩვენ ავაგეთ სამზარეულო, მოვახმარეთ რა ამას „ჩელიუსკინიდან“ გადმოტვირთული 2.000 ცალი აგური. ყინულისაგან და თოვლისაგან სასმელი წყლის მისაღებად გამოვიყენეთ რკინის ბოჭკა. მეორე ასეთი ბოჭკა ჩვენმა მექანიკოსმა პურის საცხობ თორნედ გადააქცია. პირველად ჩვენ კარგებს ვათბობდით ნახშირით, შემდეგ შეშით, მაგრამ შეშა ძლიერ კვამლს იძლეოდა. აქ ჩვენ დაგვეხმარენ გამომგონებლები, რომლებმაც მოაწყვეს ვათბობის მეტად ორიგინალური სისტემა: მათ დადგეს ბოჭკა ნავთით. ბოჭკიდან გაიყვანეს მილი კარავში, ხოლო მილის ბოლოს შიამაგრეს ნამდვილი ფორსუნკა. ვათბობის შესანიშნავი სისტემა მივიღეთ. იგი თითქმის არ საჭიროებდა მეთვალყურეობას.

ბანაკში გამოვაცხადეთ კონკურსი სუფთა კარავზე და ისეთ „პალატაზე“, რომელიც ტექნიკურად უკეთ იქნებოდა მოწყობილი. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა იმას, რომ გვეცხოვრა, რამდენად შესაძლებელი იყო, კულტურულად, და ყოველივე ეს უფროდაუფრო ამჭიდროვებდა კოლექტივს.

ახალმა პირობებმა, ცხადია, ახალი ორგანიზაცია წარმოშვა. ძირითად ორგანიზაციად ხდებოდა კარავი. კარავში ამხანაგები მოთავსდნენ მეგობრობისა და დაახლოვების პრინციპის მიხედვით. კარავის უფროსი პასუხს აგებდა, როგორც კარგი შინაური ცხოვრებისათვის, ისე კარავში მყოფთა სამუშაოებზე გამოსვლისათვის.

მუშაობა შეიძლებოდა 12 საათს—განთიადიდან დაბინდებამდე. ჩვენ მოვაწყვეთ სამი ბრიგადა; ამასთან ბრიგადირებს ირჩევდნენ თვით ბრიგადები. მე მყავდა სამი მოადგილე, მაგრამ სამუშაოებზე გამოსვლას ხელმძღვანელობდნენ არა ისინი, არამედ სხვა ამხანაგები, რომლებმაც თავი ისახელეს, როგორც კარგმა ორგანიზატორებმა. მე მახსოვს, როცა ჩვენ ვქმნიდით მეთაურთა რაზმს, გამოყვეს ოთხი კომუნისტი—გემთსაამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტები. ისინი შესანიშნავი მუშაკები გამოდგნენ. ერთი მათგანი—კოლესნიჩენკო მუშაობდა მეოთხე მექანიკოსის დუბლიორად. მეორე ბრიგადის ბრი-

გადირი გახდა ახალგაზრდა ბოტანიკოსი—უპარტიო შიშოვი. მესამე ბრიგადას, რომელშიაც შედიოდა ყველა შტურმანი, ბრიგადირად ყავდა ბოცმანი ზაგორსკი.

რას საქმეს ვაკეთებდით ჩვენ ბანაკში? პირველად ჩვენი ძირითადი საქმე იყო შეშისა და სააღმშენებლო მასალის ამოღება წყლიდან. ყინულზე, ხოლო შემდეგ—აეროდრომების გაწმენდა. ჩვენ მოვხაზეთ. ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი მოედნების ქარტა. შემდეგ ამ მოედნებს (სიგრძით არა უმეტეს 400 მეტრისა) ვწმენდით და ვტკეპნიდით. ხანდახან მოხდებოდა, რომ სამი ოთხი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ, ამ მოედანს ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა მოდრეიფე ყინული. ჩვენ ვიწყებდით ახალი აეროდრომის მოწყობას და ვაგებდით კიდევ ერთს სათადარიგო აეროდრომს.

ხშირად ხდებოდა, რომ მფრინავები მოფრინდებოდნენ ხოლმე წინასწარ შეთანხმებული ჩვენთან იმის შესახებ, რომ ფლაგები დასმული იქნებოდა სწორედ იმ აეროდრომზე, რომელიც მთელი იყო; არავინ იცოდა, თუ რომელი აეროდრომი იქნებოდა მთელი მათი მოფრენის მომენტი სათვის. ეს მუშაობა დიდძალ დროს მოითხოვდა. ბოლოსდაბოლოს მომუშავეებს ასეთი დამოკიდებულობა გამოუმუშავდა ყინულისადმი: „ასეთი ზნე გაქვს? მაშ, ჩვენ გიჩვენებთ სეირს“? დღითი-დღე მტკიცდებოდა შეუპოვრობა და ნებისყოფა.

ჩელიუსკინელების მიერ ბანაკში გატარებული გმირული დღეები აუცილებლად დიდ როლს ითამაშებენ ექსპედიციის მონაწილეთა შემდგომ ცხოვრებასა და მუშაობაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ არქტიკის დაპყრობის პათოსი სისხლსა და ხორცში გაუჯდათ ჩვენს ამხანაგებს და ამჟამად არცერთი მათგანი არ შეაქცევს ზურგს შორეულ ჩრდილოეთში მუშაობას მანამდე, ვიდრე მოპოვებული არ იქნება საბოლოო გამარჯვება სტიქიაზე.

თვითმფრინავების ისტორია თქვენ იცით. პირველად ნაპირზე იყო ლიაპიდევსკის ერთი თვითმფრინავი. ერთხელ იგი გამოფრინდა ჩვენსკენ, დაჰყო ჰაერში 7 საათი, მაგრამ ბანაკს ვერ მოაგნო. ჩვენ კი გვეგონა, რომ ჩვენი ბანაკი ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი იყო ჩუკოტის ნახევარკუნძულზე. შეიძლება ასეც არის, მაგრამ უზარმაზარ ყინულოვან სივრცეებს შორის იგი იმდენად მცირე წერტილად ჩანდა, რომ ადვილი არ იყო მისი მიგნება თვითმფრინავიდან. გზის გარკვევაში საჭირო იყო დიდი სიზუსტე. რადიოთი ჩვენ ვიძლეოდით ცნობებს ბანაკის შუალიმის კოორდინატებზე, რომლებიც განისაზღვრებოდნენ ვარსკვლავების მოძრაობით. მაგრამ ერთი დღის განმავლობაში ყინულები იმდენად შორს მიდიოდნენ, რომ ეს



ცნობები უკვე ძველდებოდნენ. ამავე დროს ყველა მოუთმენლად მო-  
ვლოდა თვითმფრინავს. ხშირად ქალებსა და ბავშვებს თბილ ტანსა-  
ცმელს ვაცმევდით და ვგზავნიდით აეროდრომზე, იქ რამდენიმე საათს  
იყინებოდნენ მანამდე, ვიდრე ანძიდან არ შეატყობინებდნენ, რომ თვით-  
მფრინავმა ვერ შესძლო დაფრენა და დაბრუნდა უელენშიო. ჩვენ  
უკანვე ბანაკში ვბრუნდებოდით და მოთმინებით ისევ მივდიოდით  
შეორე დღეს აეროდრომზე.

ეს განმეორდა რამდენიმეჯერ.

მესამე დღეს, როცა ისევ მივიღეთ ცნობა ლიაპიდევსკის გამო-  
ფრენის შესახებ, მე განვაცხადე, რომ 40 გრადუსიან ყინვაში აე-  
როდრომზე დგომა, განსაკუთრებით ბავშებისა, დიდხანს არ ღირსთქო.  
ამიტომ ჩვენ ბანაკიდან გავედით ორი საათით უფრო გვიან. ნახე-  
ვარი გზაც არ გვქონდა გავლილი, როცა გამოჩნდა თვითმფრინავი.  
თვითმფრინავი დატრიალებდა აეროდრომს. შეიქნა სიხარული  
უდიდესი! უნებურად ყველას აღმოხდა შეძახილი: „გაუმარჯოს საბ-  
ჭოთა ავიაციას“.

ამ სიხარულში ბევრი გულუბრყვილობა იყო, რადგან მაღლა  
თვითმფრინავზე, რასაკვირველია, ვერ გავაგონებდით, მაგრამ სიხა-  
რულმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ თვით მშვიდი კაპიტანი ვორო-  
ნინი გადამეხვია, დამიწყო კოცნა და ხვეწნა გველაპარაკა ერთმანე-  
თან „შენ“-ობით.

აეროდრომამდე რჩებოდა კიდევ ორი კილომეტრი. ვხედავთ,  
ჰაეროპლანი ეშვება, მაგრამ გაურკვეველია: ვარდება ძირს, თუ ნო-  
რმალურად ჯდება.

აეროდრომზე ყოველთვის მორიგეობდა სამი თავგანწირული  
ადამიანი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ აეროდრომის მდგო-  
მარეობას. თუ რამე მოხდებოდა, ისინი დაუყონებლივ გვაცნობებდნენ  
ბანაკში, რომ მივშველებოდით.

როგორც იქნა, შევამჩნიეთ: თვითმფრინავი გაქანდა მოედანზე,  
მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა. ჩვენ ეუმეტებთ ნაბიჯს, მაგრამ  
აეროდრომზე მისვლა გაჭირდა, რადგან ღამის განმავლობაში ბანაკსა  
და აეროდრომს შორის ალაგალაგ წარმოშობილიყო წყალი, რომე-  
ლხედაც ნავით უნდა გადავსულიყავით. 13 კაცი იძულებული გავხდით  
უკანვე ბანაკში დავბრუნებულიყავით და პირდაპირ რბენით მიგვე-  
თრია ნავი.

ლიაპიდევსკიმ გვალოდინა 2 საათი. საბედნიეროდ იგი საკმაოდ  
აღრე მოფრინდა და მას ჰქონდა დროის მარაგი.

მივალწიეთ თუ არა თვითმფრინავს, დავიწყეთ მანქანაში ბავშვებისა და ქალების მოთავსება.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დგებოდა ბანაკიდან მორიგეობით გასამგზავრებელთა სიები, ჩვენს ქალებს შეეტყვოთ, რომ გადაწყვეტილია მათი პირველ რიგში გაგზავნა. ქალებმა ნამდვილი „ბუნტი“ მოაწყვეს. ერთი ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ოტო იულევიჩ, კარგად შემომხედეთ! ნუ თუ მე არ შემიძლია ვიმუშაო ისე, როგორც მამაკაცმა“. მე ვხედავ, რომ მას შეუძლია მუშაობა. მან ეს იცის და ამიტომ ასე დაჟინებით მეხვეწება დავტოვო ბანაკში. მის კვალზე მოდის მეორე ქალი და მეუბნება: „ქმარი აქ რჩება, მე კი მაგზავნით, ჩვენ ერთად ამდენი ზამთრობა გავგიტარებია, — რატომ გვაშორებთ ახლა ერთმანეთს“.

განსაკუთრებით ახმაურდენ ჩვენი პარტიული ქალები. ისინი ამბობდენ: „რა არის ეს? პარტიის წესდების რომელ მუხლშია ნათქვამი, რომ ქალები უფრო ადრე გაამგზავროთ? სად არის თანასწორობა?“

რასაკვირველია, მე რომ მებრძანებია ქალებისათვის გამგზავრებულებიყვნენ, ბრძანება დაუყოვნებლივ იქნებოდა შესრულებული. მაგრამ მე არ მსურდა ერთმანეთს ჩხუბით დავშორებოდით. ერთადერთი, რამაც ჩვენ გვიშველა, იყო შითითება საერთაშორისო მდგომარეობაზე. მე მათ გავეხუმრე: თითონვე იფიქრეთ, როგორი იქნება შთაბეჭდილება საზღვარგარეთ, თუ ჩვენ საბჭოთა პოლიარული მკვლევარები თვითმფრინავით პირველად მამაკაცებს გავგზავნით, ხოლო ქალებს კი ყინულზე დავტოვებთ“. ამის შემდეგ კი ქალებმა იარაღი დაყარეს.

პირველ რიგში გასამგზავრებელთა თვითმფრინავში ჩაჯენა ხდებოდა 40 გრადუსიან ყინვაში. თითოეულ ქალს ეცვა ორი შუბა და ბეწვიანი შალვარი. ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორი კონტურები ექნებოდათ ჩვენ ქალებს. ცხადია, თვითონ მარტო ვერ შესძლებდენ თვითმფრინავში ჩასხდომას, ჩვენ მათ ვაჯენდით და ისინიც თავდაყირა ქანაობდენ თვითმფრინავზე, რომლებიც დანიშნული იყო ტვირთვების, და არა ადამიანების გადასაზიდავად. ჩავაჯინეთ თუ არა ქალები, მაშინვე გადავეცით მათ ბავშვები, ეს უფრო კოხტა და მსუბუქი ქმნილებანი.

გაცილებისას ქალებს შემდეგ დარიგებას ვაძლევდით:

„ისრისეთ ყურები, ცხვირი, თორემ საშინელი ყინვა ხეირს არ დაგაყრისთ“.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზევით სიმაღლეზე ყინვა გაცილებით უფრო სუსტია.

აეროდრომიდან ყველა „შინ“ დაებრუნდით მეტად მხიარულ გუნებაზე: კატასტროფის მომენტიდან სულ ორი კვირა იყო გასული, გადასარჩენი ოპერაციები კი უკვე დაიწყო!

შემდეგ გადმოფრენაზე ლიაპიდევსკის იძულებითი დაშვება მოუხდა. ახლო-მახლო კი სხვა მანქანა არ ყოფილა.

და აი დაიწყო ლოდინი.

მთავრობის მიერ გამომუშავებული გადასარჩენი მუშაობის პროგრამა ჩვენ ვიცოდით რადიო-დეპეშებიდან. ჩვენ ვიცოდით, რომ მუშაობა მთელი სიგრძე-სიგანით იშლება. ვიცოდით, რომ ჩვენ დასახმარებლად მოფრინავენ საუკეთესო მფრინავები, მარჯათა დამხმარე ძალის სახით ჩვენსკენ მოეშურება „კრასინი“, რომ ჩვენდა საშველად იგზავნებიან ღირიუბლები.

დახმარების მოლოდინში ჩვენ სხვადასხვა ანგარიშებს ვადგენდით. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თუ თვითმფრინავები გადაარჩენენ 50 კაცს მაინც, დანარჩენები შეეცდებიან ნაპირებს მიაღწიონ ნაგებობით. იყო სხვა გეგმებიც. ჩვენ ვიცოდით, რომ ლამობდნენ ჩვენსკენ ძაღლების გამოგზავნას. მაგრამ ეს შეეძლო მხოლოდ უშაკოვს, რომელმაც იცის ჩრდილოეთი, როგორც არავინ და რომელმაც სამამხანაგთან ერთად გაატარა ორი წელიწადი ჩრდილოეთ მიწაზე: ისინი იყვნენ პირველი ადამიანები ჩრდილოეთ მიწებზე. აი ამ უშაკოვმა ძაღლებით გაიარა 5.000 კილომეტრზე მეტი.

ჩვენ ისე დიდებულად მოვაწყვეთ ჩვენი საქმე, რომ უკვე დაგვებადა აზრი შემოგველო დასვენების საათები. უკვე გაჩნდა საკუთარი წარმოების ჭადრაკები, შაშები.

გემზედაც, ვიდრე იგი არსებობდა, ჩვენ თავისუფალ დროს ვანდომებდით ასეთ გართობას, ან წრეებში მუშაობას, მაგრამ იქ ყველაფერი ეს ძალიან ჩვეულებრივი რამ იყო საეჭოთად. აქ ყინულზე კი, წარმოიშვა რაღაც ახალი. რაღაც ახალი განწყობილებები ეფუფლებოდა ჩვენს აშხანაგებს. ერთხელ მე მომმართა ერთმა მეცნიერმა მუშაკმა, წინათ ინტელიგენტ-ინდივიდუალისტმა.

— აქ, ყინულზე, — მითხრა მან, — მე შევიგნე, რაც წინათ ვერ შემეგნო: მე შევიგნე კოლექტივის უდიდესი ძალა და როლი.

ბანაკში ჩვენ ვაწყობდით მოხსენებებს და ეს მოხსენებები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა მე მომმართა თხოვნით — მომეწყო ლექციების სერია დიალექტიკურ მატერიალიზმზე. და ეს ლექციებიც დიდი წარმატებით ჩატარდა.

ადამიანები იზრდებოდნენ ჩვენ თვალწინ. ბანაკი გადაიქცა შესანიშნავ საბჭოთა — პარტიულ სკოლად. და მხოლოდ ამის მეოხებით

ჩვენ შევინარჩუნეთ შეუპოვრობა და ამხანაგური შემქიდროება იმ მომენტამდე, ვიდრე ჩვენ დასახმარებლად წარმოებული ოპერაციები ესოდენი ბრწყინვალეებით არ დამთავრდენ.

ბოკ. ბრომონი.

## ბრძოლა კოლიუჩინთან

დაიწყო სექტემბრის ყინვები. „ჩელიუსკინი“ უახლოვდებოდა ჩუკოტის ნახევარკუნძულის პირველი თოვლით გადათეთრებულ

ნაპირებს. უკან მოვიტოვეთ დიდი და მძიმე გზა. ამას მოწმობდენ ნახვრეტი მარჯვენა ქიშხე, ხრახნი დამტვრეული ლაპოტით (ფრთით).

არქტიკაში დადგა ზამთარი. ზღვა დაიფარა მძიმე ყინულოვანი მინდვრებით. გახშირდა ქარბუქი და პურგა ყინულებს შუა მოქცეულმა წყლებმა გადაიკრეს თხელი გამჭვირვალე მკვრივი ყინული.

უნდა დაგვეჩქარებია სვლა აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ წინ გველობებოდენ ყინულები შეუპოვრობით. „ჩელიუსკინი“ გაჭირვებით მი-



იწევს წინ და ღუმელები უანგარიშოთ ნთქავდენ ნახშირს.

კაპიტან ვორონინს, კარგა ხანია, უკვე დაავიწყდა ძილი და მგონი სულ გადასახლდა ანძის სამეთვალყურეო ბოქკაში.

იგი ცდილობდა ცვისით ჰორიზონტზე შეემჩნია წმინდა წყალი, მაგრამ ირგვლივ მოსჩანდენ მხოლოდ გაუვალი ტოროსები—ერთიმეორეზე აყუდებულ ყინულთა დაუსრულებელი ქაოსი.

ხრახნი თავგამოდებით ურტყამდა უზარმაზარ ყინულებს და ამ დარტყმებისაგან ბარბაცებდა გემის მთელი კორპუსი. ყოველ



წუთს ჩვენ მოგველოდა „სიბირიაკოვის“ მდგომარეობაში ჩავარდნა, ე. ი. უხრახნოდ დარჩენა. ჯმუხი მკვრივი მექანიკოსი ტოიკინი წამდაუწუმ ხან მანქანის ბერკეტს მივარდებოდა და ხან ტელეგრაფის აპარატს. ის იყო იგი მორჩებოდა პასუხის გაცემას კაპიტანის შეკითხვაზე, რომ მაშინვე ღებულობდა ახალ სიგნალს. ტოიკინის სისწრაფესა და სიმარდებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. საკმაო იყო შეენელებია ყურადღება, რომ სრული სვლით მიმავალი „ჩელიუსკინი“ გრიალით და ზათქით დაჯახებოდა ცინულოვან მთას. მუდამ ყურებ-დაცქვეტილი უსმენდა ტოიკინი ხრახნის რიტმულ მუშაობას.

ცინულები კი უფროდაუფრო მეტი შეუპოვრობით გადმოდიოდნენ იერიშზე და „ჩელიუსკინს“ უკვე გამოეღია ძალღონე გაერღვია მის გარშემო შემოვლებული სალტე.

ნორდ-ვესტის წყნარი ქარი აუჩქარებლად მიათრევდა გემს მთელი გარშემორტყმული ცინულით აღმოსავლეთისაკენ. ეს—დრეიფია. ჩვენ კი სრული სვლით სწრაფად უნდა გვემგზავრა, რომ ცინულებში არ ჩავრჩენილიყავით და არ დაგვეზამთრებია.

ბნელ, უმთვარო ღამით ვანკარემის კონცხთან „ჩელიუსკინი“ ჩაწვა ცინულოვან ტომარში: მრავალწლიანი პოლიარული ცინულების ვეებერთელა გუნდები შემოერტყენ მას ყოველი მხრიდან.

გადავსწყვიტეთ გაგვეკაფა გზა ამონალით. ჩავდევით ქილა, შევეურთეთ დენი. დამაყრუებელი გრგვინვით ჰაერში აირტყორცნენ ცინულოვანი კლდეების ვებერთელა ნამტვრევები და ძლიერმა ტალღამ გაიარა გემის კორპუსს ქვეშ. აფეთქების ადგილზე გაჩნდა გაშლილი და აფორიაქებული ტოროსების სქელი ქაში, მაგრამ სასურველი დაკლანკილი ნაპრალები არ წარმოიშვა. გემი მაგრად დაჯდა მრავალმეტრიან ცინულებში.

ოტო იულევიჩმა მიიხმო მფრინავი ბაბუშკინი — „მიხაილ სერგევიჩი, — უთხრა მან, — უნდა გაფრინდე ცინულების დასაზვერად.

ამ ლაშქრობაში პირველად უნდა მომხდარიყო პატარა ლურჯი ჩიტის — „III—2“ გამოცდა. ბორტმექანიკოსი ვალავინი 15 წუთს ახურებდა მოტორს. შემდეგ გამოაცხადა, რომ მანქანა მზად არის გასაფრენად. თვითმფრინავი ნელა დაუშვეს წყლის ზოლზე. მოტორიანმა ნავმა ბუქსირით წაიყვანა „ამფიბია“ წყლის ზოლის დაშორებულ კიდეში. საავიაციო სქელ ქურქებში ჩაცმული ბაბუშკინი და კაპიტანი ვორონინი ძლივს შეძერგნ მანქანაში.

აგუგუნდა მოტორი. ლურჯი ჩიტი შეიქრა ჰაერში, შემოუარა გემს თავზე და უცბად მიიმალა ჰორიზონტს იქით.

ერთ საათში სრულიად მოულოდნელად თვითმფრინავი ამო-  
ცურდა ნისლოვან სიბნელიდან და ჩვენ არა თუ დავინახეთ, არამედ  
გავიგონეთ მისი ხმაური, როცა იგი თავს დასტრიალებდა წყლის  
ვიწრო ზოლს, რომ აერჩია დასაჯდომი ადგილი.

— ჩვენს წინ,—გულისტკენით აღნიშნავდა ვორონინი, ძლივს  
ამოძრავებდა რა გაყინულ ტუჩებს,—მძიმე ყინულების ვრცელი ველია,  
ასეთი ჩვენ წელს ჯერ არ შეგვხვედრია. იგი გაჭიმულია 30 მილის  
სიგრძეზე. მის ბოლოში წმინდა წყალია, მაგრამ როგორ უნდა მივა-  
ღწიოთ იქამდე?

ექსპედიციის უფროსის კაიუტაში ოპერატიული თათბირია,  
ირჩევა საკითხი: როგორ მოიქცენ შემდეგში?

— ლოდინი არ შეიძლება, განაცხადა გადაჭრით შმიდტმა,  
ყოველგვარი საშუალებით უნდა გავიკაფოთ გზა წინასვლელად.

მაგრამ მთელი ღამე და მეორე დღეს შუადღემდე ერთ ადგილს  
ვერ გავშორდით: შეკუმშვამ, გაანადგურა წყლის პატარა ზოლები.  
მართალია, კაპიტანი შეეცადა დაეძრა გემი, მაგრამ ერთ საათში  
გემმა შეძლო მხოლოდ... 3 მეტრის გავლა. საბედნიეროდ დრეიფი  
მიგვათრევდა აღმოსავლეთისაკენ. დღელამეში ყინულოვან ველთან  
ერთად ჩვენ წავიწიეთ 18 მილის მანხილზე. მაგრამ წმინდა წყალში  
გასასვლელი მაინც არ სჩანდა.

21 სექტემბერს ნისლში გამოჩნდა კუნძულ კოლიუჩინის შავი  
სილუეტი. „ჩელიუსკინს“ დრეიფი მიათრევდა იმ ადგილისაკენ, სა-  
დაც ერთი წლის წინათ ავარიას განიცდიდა ყინულისმჭრელი „სიბი-  
რიაკოვი“.

ორი დღის შემდეგ, როცა კუნძული კოლიუჩინი კიჩოს უკან  
შავად და გაურკვეველად გამოიყურებოდა, ჩვენ მოულოდნელად მოგ-  
ყევით გაჩერებულ, უძრავ ყინულების ზოლში. დრეიფი შეწყდა.  
ჩვენ თავი ამოვყავით ახალ ხაფანგში, რომელიც მოემზადებია ვერაგ  
სტიქიას.

გემი დადუმდა. მხოლოდ ქარი სისინით მღეროდა ერთფერო-  
ვან მოსაწყენ სიმღერას და ვენტილიატორის გაღებულ ხახაში ხმა-  
მალლა გუგუნებდა ქარბუქი.

ყოველ ოთხ საათში ზედა ხიდზე გამოჩნდებოდა ხოლმე წითელი  
თავსაფრით ოღგანიკალაევნა კომოვა — ექსპედიციის მეტეო-  
როლოგი, ერთ წუთს შემდეგ იგი ჩამოდიოდა შტურმანების კრილში  
და კითხვაზე სულ ერთდამავეს გვიპასუხებდა:

— ისევ ნორდოსტია. არც ძალა და არც მიმართულება ქა-  
რისა ოდნავ არ შეცვლილა.

დაიწყო საუბარი ზამთრობის შესახებ. თუმცა ექსპედიციის მონაწილეთა უმრავლესობა ოპტიმისტურად იყო განწყობილი, ზამთრობის გაგონებაც კი არ უნდოდათ. „ჩელიუსკინი“ იდგა უძრავად. ჩვენგან ერთი მილის დაშორებით იწყებოდა ძალუმად მოდრეიფე ყინულის ზოლი. იქ მიმდინარეობდა ყინულთა გრანდიოზული მოძრაობა. ყველაფერი მიიწვევდა, მიქროდა აღმოსავლეთისაკენ, — იქ, სადაც იყო ჩვენი ხსნა და საითაც არ შეეძლო სვლა „ჩელიუსკინს“. მხოლოდ ერთი მილის გავლა და ძლიერი მდინარეება ჩვენ გაგვიტაცებდა კონცხ სერდცე-კამენისაკენ, ხოლო იქიდან გასვლა ბერინგის სრუტეში, როგორც გვარწმუნებდა კაპიტანი ვორონინი, არც ისე რთულია ნოემბერში, მაგრამ ყინულებისაგან შებოჭილი გემი იდგა. ბერინგის სრუტეს ჩვენ გვაშორებდა რაღაც 70 მილი.

ისევდაისევ მივმართავდით ყინულოვანი ველის აფეთქებას. ამხანაგები მსუსხავ წყალში შეტოპილნი ტოროსებზე მიათრევდნენ ამონალის მძიმე ქილებს, დებდნენ ყინულებში, უერთებდნენ დენს, მოუთმენლად მოელოდნენ აფეთქებას, მაგრამ ამას მოსდევდა იმდენად უმნიშვნელო შედეგი, რომ გემი ერთი მეტრიტაც ვერ იძროდა წინ.

აღარაფერი გვრჩებოდა გარდა იმისა, რომ გველოდინებია ქარის მიმართულების შეცვლისათვის, ხოლო ლოდინი — ეს ყველაზე მძიმე რამ არის ჩვენს პირობებში.

ჩვენ ვიდექით შვიდი დღელამე. გვქონდა რა მანქანები გამზადებული, დროდადრო მივაბრუნ-მოვაბრუნებდით ხრახნს ხოლმე, რომ იგი ყინულში არ შეყინულიყო.

ჩვენ მოლოდინში ვიყავით, მაგრამ საკითხი იყო, თუ რამდენხანს უნდა გველოდინებია. მოვასწრებთ თუ არა ბერინგის სრუტეში შესვლას არქტიკული სიცივეების დაწყებამდე?

რადისტს კრენკელს მოქონდა არა საიმედო ამბები: თურმე ასეთივე მძიმე ყინულოვანი ვითარებაა ყველგან. თვით ლაპტევის ზღვაში ათბალიანი ყინული ყოფილა.

— რამდენიმე დღის შემდეგ, — აღიარა ვორონინმა, — უკვე გვიან იქნება ქარის მიმართულების გამოცვლის იმედი ვიქონიოთ. ყინვები ისე მაგრად შებოჭავენ ყინულებს, რომ ვერავითარი ქარები ვერ შესძლებენ მათ გაფანტვას. მაშინ ზამთრობა აუცილებელია.

იმედი, რომ აგვეცდებოდა ზამთრობა, თანდათან ჰქრებოდა. ჩვენმა სინოპტიკმა გვაცნობა, რომ ტყუილა ნუ ელთ რაიმე სამხრეთულ ანტიციკლონსო.

— ვნანობ რომ ახლა საშუალო საუკუნეები არაა, — ხუმრობდა ოტო იულევიჩი, — ბოძზე ჩამოვკიდებდით ასეთ წინასწარმეტყველს.

ლოდინი და არათრის კეთება აუტანელი რამ იყო. საკვირველი არ არის, თუ ყველა გამოძგონებლად გადაიქცა და თავს იმტვრევდა ყინულების ტყვეობიდან „ჩელიუსკინის“ გამოხსნის პროექტებზე. ერთი ასეთი პროექტი ეკუთვნოდა რადისტ ივანოვს. იგი წინადადებას იძლეოდა — გაგვეთხარა არხი ერთი კილომეტრის მანძილზე მოდრეიფე ყინულების რაიონამდე, მან გამოიანგარიშა კიდეც, რომ ამ საქმის გასაკეთებლად საკმაო იქნებოდა რვა დღელამე, თუ ყოველდღიურად 100 კაცი იმუშავენდა.

ზოგიერთებს ეს წინადადება მოეწონა და მისაღებად მიიჩნიეს, მაგრამ უფრო გამოცდილმა ამხანაგებმა მათ იმედი გაუცრუეს: ჯერ ერთი ის, რომ დრეიფის ზოლამდი ერთი კილომეტრი კი არა, ერთი ვილია, თუ თითქმის ორჯერ მეტი, მერე — ყინულის სისქე ნახევარი მეტრი კი-არა არამედ 10—15 მეტრია. ეს მოასწავებდა იმას, რომ რვა დღის მაგივრად საჭირო იყო რამდენიმე თვის მუშაობა, ამასთან ყინულების მორიგ შეკუმშვას შეეძლო თვალის დახამხამებაში გაენადგურებია მთელი ეს არხი.

ასე გახუნდა ერთი მეორეზე წარმოდგენილი პროექტები. გავიდა ხანი და თვით ვორონინს დაებადა აზრი ექსპედიციის მონაწილეთა ენერჯიის უფრო რაციონალურად გამოყენებისა. მან მოითათბირა შმიდტთან და ერთ საღამოს გემზე შესდგა საერთო კრება.

— დღეს მე თქვენ შეგყარეთ, — გვითხრა ოტო იულევიჩმა, — რათა გაგაცნოთ იმ მუშაობის გეგმას, რომელიც გათენებისას დაიწყება. როგორც იცით, ნაწიბურზე ყინულსვლა გრძელდება. გემი მზად უნდა ვიყოლიოთ იმისათვის, რომ შესაძლებლობა ექნეს დამოუკიდებლად იმოძრაოს, თუ ჩვენ ისევ აღმოვჩნდით მოდრეიფე ყინულების ზოლში. მაგრამ „ჩელიუსკინი“ დგას ნაწიბურის პარალელურად და ძალზე უჭირს დაძვრა. ჩვენ უნდა შემოვებრუნოთ გემი ისე, რომ ყოველ მომენტში მან შეძლოს დამოუკიდებლად მუშაობა. გემს უნდა შემოვამტვრიოთ გარსშემორტყმული ყინულები: ეს მას საშუალებას მისცემს დაიძრას საჭირო მიმართულებით. გესმით რას ნიშნავს ეს?

— გვესმის! — უპასუხა ერთმა ასეულმა კაცმა და ბრძოლა დაიწყო.

წერაქვებით, ბარებით შეიარაღებული ჩელიუსკინელები სიმღერით შეუდგენ შეტევას, ორ ბრიგადად განაწილებული ყველა, მეცნიერ მუშაკიდან — ცეცხლფარეშამდე, შეუდგა მრავალმეტრიან ყინულის მტვრევას.

ეს გაუგონარი მუშაობა იყო. თვითმფრინავთან რომ ვისმე შეეხედა ამ ამბისათვის, მას თვალწინ წარმოუდგებოდა უზარმაზარი



ყინულოვანი უდაბნო და მასზე ჭიანჭველები, რომლებიც ნემსებით ჩხვლეტდნენ უძლიერეს ყინულის ჯავშანს. დიახ, უდიდეს თავხედობას წარმოადგენდა ცდა თითქმის ცალიერ ხელებით გაგვეწმინდა გასასვლელი გზა ამ ბუმბერაზ ყინულებში. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გეჯეროდა კოლექტივის ძალა და მამაცურად ვებრძოდით სტიქიას.

ფოლადივით მაგარი ყინულის თიოთეული სანტიმეტრი გვართმევდა აუარებელ დროსა და ენერგიას.—პირველად ჩვენ დავამსხვრიეთ და ყინულოვანი ველის დონეს გავუსწორეთ ბუმბერაზი ტოროსები, რომელნიც შეკუმშვისაგან ყალყზე შემდგარნი ყინულოვან ველზე ელაგენ. შემდეგ შევუდექით თვით ყინულოვან ველის მტკრევას. ჩვენ ვთხრიდით, ვამტკრევდით ორმეტრიან ყინულოვან მწვანე ლოდს და განზე ვაგორებდით, ხოლო ქვევიდან ბოროტად მოსისინე წყლის სიღრმიდან ისევ ამოტივტივდებოდნენ ხოლმე ახალახალი ლოდები. ჩანდა, რომ არაფრის გზით არ შეიძლებოდა სუფთა წყლამდე დასვლა, რომ ყინულის ლოდები დაუსრულებლად გააგრძელებდნენ ქვევიდან ამოტივტივებას. მაგრამ გავიდა ორი დღე და შავი წყლის ზოლი გაჩნდა გემის ერდოსთან.

და რამდენადაც მუშაობა წინ მიიწევდა, იმდენად ხდებოდა მისი რაციონალიზაცია. გაწმენდილ ადგილზე ლამლამობით თხელი მქრქალი ყინულის გაჩენა უკვე აღარ გვაშინებდა. ამხანაგები მიმოდრიოდნენ მასზე და დაატარებდნენ მარხილებს ისეთივე დარწმუნებით, როგორც მყარ ნიადაგზე. მართალია, ხშირად ვცვივოდით წყალში, მაგრამ ეს არავის აშინებდა. სწრაფად, ვიდრე დაბამბული შარვლები გაყინვას მოასწრებდნენ, მივრბოდით კაიუტაში, გამოვიცვლიდით ტანსაცმელს და ისევ ვუბრუნდებოდით სამუშაოს.

ჯანსაღი, ლაჟღაჟა ლიყებიანი მეზღვაური-სიბირიაკოველი ს ა შ ა ლესკოვი ცხენის მაგივრად ება მარხილში და ეზიდებოდა ყინულებს. ერთ დღეს მან სხვებსაც ასწავლა, თუ როგორ უნდა დასძრან ადგილიდან ყინულის ლოდებით ძალზე დატვირთული მარხილი.

— შენ ასე უშნოთ ნუ იგრიხები, ერთბაშად წინ ნუ მიიქაჩები, ჯერ განზე გასწი-გამოსწიე. ხომ გინახავს, ცხენები როგორ შევებიან?, მაშ ისწავლე ჭკუა ცხენებისაგან.

პილოტმა ბაბუშკინმა აქაც გვიჩვენა მკვდარი მარყუჭის ოსტატობა. იგი შეცოცდა ახლახან ამოტივტივებულ ყინულის კიდეზე და მასთან ერთად გააკეთა ჰაერში თითქმის სრული წრე. თითქოს მას ოდნავათაც არ ენებოდა ყინულის მოძრაობა,—იგი მშვიდად იჯდა მასზე და სპეციალური ბადით წყლიდან იღებდა ტოროსის მწვანე ნამსხვრევებს.

გავიდა 13 დღე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვმუშაობდით თითქმის დაუსვენებლად.—მხოლოდ ხანდახან ფარული იმედით შევხედავდით ხოლმე გემის მილს, რომ იქიდან ამოშავალი კვამლის მიხედვით შეგვეტყო, ხომ არ შეცვლილა ქარის მიმართულება.

ნელნელა, მაგრამ იმედიანად მიმდინარეობდა ჩვენი მუშაობა. კიჩოსა და გემის ცხვირთან გაჩნდა წყლის საკმაო ფართო ზოლი. უკანასკნელ დღეებში ისე გავვარჯიშდით, რომ წყლიდან თამამად ამოგვექონდა ყინულის 10 ტონიანი ლოდები.

4 ოქტომბერს ქარს დაეტყო ცვლილება, რასაც ასე გულის ფანქვალით ველოდით. შედეგმა ერთბაშად იჩინა თავი. მარჯვენა ერდოს მხრიდან მოულოდნელად გაჩნდა წყლის ფართო ზოლები. ისინი მოიფინენ ფრინველებით, რომლებსაც, ყინულების შეკუმშვის გამო, დიდხანს არ შეეძლოთ წყალში საკვები მოეძებნათ. დღისით დაიწყო ყინულიანი მინდვრის ნელი დრეიფი, და მასთან „ჩელიუსკინის“ დრეიფიც. ექსპედიციის მთელი შემადგენლობა გამხიარულდა, მაგრამ ავრალი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული: ჩვენ ჯერ კიდევ თავი უნდა დაგვეღწია ყინულოვან მინდვრისგან, რომლის ცენტრში წყლის ზოლზე ცურავდა ჩვენი გემი. რათაც არ უნდა დაგვეჯდომოდა, ჩვენ უნდა მოგვეპოებია დამოუკიდებელი მოძრაობის შესაძლებლობა.

5 ოქტომბერი მზიანი დღე გათენდა. კუნძული კოლიუჩინი თანდათან იმალებოდა კიჩოს უკან. დრეიფმა გემი წაიღო 3 მილზე იმ ადგილიდან, სადაც მას ასე დიდხანს მოუხდა იძულებითი დგომა.

შუადღისას კიჩოსთან ჩავდევით ორი ქილა ამონალი, რომ გავვენადგურებია კილს (გემის ხერხიმლის) ქვეშ შემძვრალი ყინული. გაისმა აფეთქების ხმა და ფართო განიერ თეთრ მინდორზე დაიკლაკნა დიდი ნაპრალი. ყინული, რომელიც გემს ერტყა,—განზე მიიწვედა, გემს თანდათან შორდებოდა. ხალხი თანდათან აღიოდა პალუბაზე. ძლივს მოასწრეს ყანულებზე მომუშავე უკანასკნელი ჯგუფის აყვანა „ლებედკით“.

— ურა, — იძახოდნენ ჩელიუსკინელები, რაკი ხედავდნენ, რომ გემი თითონ იძროდა ადგილიდან.

— ურა, ბიჭებო, ყვიროდა საპასუხოდ ხიდზე მდგარი, ჩვეულებრივ მეტად მშვიდი და თავშეკავებული კაპიტანი ვორონიჩი. იგი აღტაცებით აქნევდა თითს, ესალმებოდა რა დიდი ხნის ნანატრ შმინდა წყალს.

ისევ გაისმა კომანდის სიტყვები, ისევ არაწყუნდა ტელეგრაფი, ისევ დაიძრა „ჩელიუსკინი“, რომელსაც ამაყად აეწია მალლა თავისი დასაზიარებელი ცხვირი. თითქოს დასვენებულიაო, გემი მარჯვედ მიარღვევდა წყალს და თანდათან უფრო უმატებდა ნაბიჯს.

შორს ყინულზე ქარი აფრიალებდა ობლად დარჩენილ დრო-  
შას, რომელიც თოვლში ჩაერქო გეოდეზისტ გაკელის ბრიგადას.  
დროშა დარჩა იქ, კოლიუჩინის ქვემოლ, სადაც სტიქიასთან ბრძო-  
ლაში გამარჯვება მოიპოვეს ჩელიუსკინელებმა?


ლ. ხვატი.

## „ჩელიუსკინის“ უკანასკნელი საათი

(ი. კოპუსოვის ნაამბობი)

— ეხლა კი როგორ ხარ?

— ეხლა, მართალი გითხრათ, ყოველივე იმის შეგრძნობა, რაც  
ორი თვის განმავლობაში ყინულზე განვიცადეთ, ხდება უფრო მწვა-



ი. ა. კოპუსოვი

ვედ, — განაცხადა კოპუსოვმა, მაგრამ მაშინ მე ვერ ვგრძნობდი უშუალო საშიშროების მთელს სერიოზულობას, ფიქრათაც არ გამივლია ჩვენი დალუპვის შე-  
საძლებლობა.

გემი „სმოლენსკის“ იმ კაი-  
უტის შინა მოწყობილობა, სა-  
დაც კოპუსოვი ცხოვრობდა, ქმნიდა განწყობილებას საუბრი-  
სას. ილიუმინატორს იქით ზვირ-  
თებად ღებოდა ბერინგის  
ზღვის აქაფებული წყალი. გემი  
12 მილიანი მსვლელობით უახ-  
ლოვდებოდა პეტროპავლოვსკს.  
გვათბობდა მაისის მზე.

— აი ყინულებსაც მოვ-  
შორდით, — შენიშნა კოპუსოვ-  
მა, — მალე ვნახავ კიდევ მათ?

პროვიდენიეს ბუხტიდან  
„სმოლენსკის“ გასვლის შემდეგ

დღეებში ივანე ალექსანდრეს-ძე კოპუსოვი გატაცებით  
ასრულებდა მისთვის ახალ როლს „პრავდას“ კორესპოდენტისას. გემის

ერლოდან იგი მუდამდღე აგზავნიდა მოსკოვში მოკლე ინფორმაციულ ცნობებს. შემდეგ მან დაავალა ჩელიუსკინელებს ხელი მოეკიდათ ლიტერატურული შრომისათვის—ეწერათ ნარკვევები, წერილები. მექანიკოსებმა, მემანქანებმა, შტურმანებმა, დაღუპული გემის მეზღვაურებმა, საჰეცნიერო მუშაკებმა ხელში ფანქარი აიღეს. რბილი, მაგრამ მტკიცე და ენერგიული კოპუსოვი უმტკიცებდა ავტორებს, რომ სალიტერატურო შრომა ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ზღვის ველის ჭვრეტა ან დომინოს თამაში. ყველაფერი ეს ახალი რამ იყო კოპუსოვისათვის, რომელმაც მიზნად დაიწახა მთელი თავისი ენერგია მოეხმარებია ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისებისათვის.

„სიბირიაკოვიდან“ კოპუსოვი დაბრუნდა შრომის დროშის ორდენით, ერთი წლის შემდეგ ისევ ჩაეტარებია არქტიკული რეისი „ჩელიუსკინზე“. ისტორიაში შესულ ორივე ამ ექსპედიციაში ბოლშევიკ კოპუსოვს დაეკისრა დიდი ორგანიზაციული მუშაობა. არავის შეეძლო წინასწარ ეთქვა, რამდენხანს გაგრძელდებოდა ლაშქრობა. ყველაფერი წინასწარ უნდა გათვალისწინებულყო, სრულიად უმნიშვნელო წვრილმანიც კი. რასაკვირველია, არავის შეეძლო ეფიქრა, რომ „ჩელიუსკინის“ რეისი დამთავრდებოდა პოლიარული რობინზონადით, როცა პრიმუსის ნემსიც უმნიშვნელოვანეს პრობლემად ხდება. მაგრამ ლაშქრობაში გასულ „ჩელიუსკინს“ უნდა ჰყოლოდა არა მარტო მაგარი ადამიანები, არამედ უნდა ჰქონოდა კარგი მეურნეობა. ოტო ზულევიჩმა ეს უბანი ჩააბარა ერთერთ თავის თანაშემწეს—კოპუსოვს და არც შემცდარა არჩევანში.

\* \* \*

აღტაცებით, მღელვარებით გვიამბობს კოპუსოვი დაუფიწყარ დღეებზე.

— იდგა ნოემბრის დამლევით. „ჩელიუსკინი“ იმყოფებოდა მძიმე მოდრეიფე ყინულებში. გველოდა აუცილებელი ზამთრობა. ერთ ასეთ დღეს მე მივედი ექსპედიციის უფროსთან.

— ოტო იულევიჩ, რა უნდა ვქნათ?

— უკვე დროა მოვამზადოთ საავარიო მარაგი. საჭიროა ყველაფერი, რაც აუცილებელია, მოვაგროვოთ ერთ ადგილზე, როგორც ეს ვქენით თავის დროზე „სიბირიაკოვზე“,—თქვა ოტო იულევიჩმა,—მაგრამ ამის შესახებ შეატყობიეთ ამხანაგების მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვს, რომ გემზე არ შეიქნეს საგანგაშო განწყობილება.

სურსათ-სანოვაგე, საკარვე ტილოები, საძინებელი ტომრები, თბილი საცვლები, ბეწვიანი ტანსაცმელი და სხვა საჭირო საგნები მოთავსებული იყო სხვადასხვა საწყობში.



ჩემმა უახლოესმა თანაშემწემ, უკვე დაღუპულმა ბორის მო-  
გილევჩიმა, სამეურნეო მუშაკმა კანცელმა, მეზღვაურმა ლეს-  
კოკმა ტრიუმებში გახსნეს ბარგი, შეარჩიეს აუცილებელი ნივთები.

გავიდა რამდენიმე დღე. „ჩელიუსკინს“ ავიწროებდენ ყინულე-  
ბი. გემი ხტოდა, ერდოები ჭრიალებდენ, ლითონი წიოდა. ამხ. შმიდტმა  
გასცა განკარგულება დაეჩქარებიათ საავარიო მარაგის მომზადება  
და ექსპედიციის ყველა მონაწილე ჩაება ტრიუმებიდან ამ მარაგის  
ბანზე გადაზიდვაში.

ჰქროდა ჩრდილოეთის ძლიერი ქარი, ამოვარდა პურვა. ბრი-  
გადები გემზე მუშაობენ ერთი მეორეს შენაცვლებით. იყვნენ ისეთი  
ამხანაგები, რომლებიც ათ-ათ საათს მუშაობდენ, მაგრამ ზოგიერ-  
თებს ვერ გაეთვალისწინებიათ გემის მდგომარეობის მთელი სერიო-  
ზულობა. მხოლოდ შემდეგ, როდესაც ყინულზე აღმოჩნდით, ისინი  
ამბობდენ: „ტყულა გაგინებდით საავრალო მუშაობისთვისო.“

პირველ დეკემბრისათვის მოვრჩით ძირითადი საავრალო მარა-  
გის გადაზიდვას და მისი ნაწილი გადავიტანეთ ყინულზე სახელდა-  
ხელოდ მოწყობილ ბაზაზე. გადავათრიეთ იქ ბენზინი, ნავთი, ნახში-  
რი. დავდგით ბრეზენტის სამი<sup>1</sup> კარავი.

ორ დეკემბერს ერდოს გასწვრივ ყინულზე გაჩნდა დიდი ნაპრა-  
ლი, ალაგალაგ ყინული გაიპო და ჩვენც გადავწყვიტეთ წინ დავძრუ-  
ლიყავით. საავარიო მარავი უკანვე ერდზე გადმოვიტანეთ, მაგრამ და-  
ვაწყვეთ ისეთ წერტილზე, რომ გაჭირვების დროს შესაძლებლობა  
გვექონოდა ისევ გადაგვეტვირთა ყინულზე ერთი-ორი საათის განმავ-  
ლობაში. მტკიცედ განვსაზღვრეთ მოვალეობანი: მოგილევჩი  
პასუხს აგებდა სურსათისათვის, კანცელი კარვებისა, ტომრებში  
ჩალაგებულ ნივთებისა და ტანსაცმელებისათვის, გურევიჩი სამე-  
ურნეო მოწყობილობისა, პრიმუსებისა და ჭურჭლეულობისათვის.  
თითოეულ მათგანს მივამაგრეთ ბრიგადა. გავაფრთხილეთ ყველა:  
„იმწამსვე, სიგნალის მოცემისთანავე—ყველა თავის ადგილზე უნდა  
გაჩნდეს“. ექიმმა ნიკიტინმა განსაკუთრებულ ტომსიკებში თავი  
მოუყარა მედიკამენტების საავარიო მარავს და შეინახა თავისი კაი-  
უტის გვერდით, რადისტმა კრენკელმა მოამზადა საავარიო რა-  
დიოსადგური და აუცილებელი მოწყობილობა...

13 თებერვალს ჩვენ, როგორც ყოველთვის, ვისადილეთ კაიუტ-  
კამპანიაში. ნასადილევს თითქმის ყველა დასასვენებლად წავიდ-წამო-  
ვიდა. ოთხი დავრჩით კაიუტ-კამპანიაში და დომინოს თამაშით ვერ-  
თობოდით. მე შევედი კაიუტაში, მოვისხი ქურქი და ერდოდან ჩავედი  
ყინულზე, რომ გამეგო, რა ხდება ახლომანლო.

ჰქროდა ექვს ბალიანი ნორდოსტის ქარი. ყინვა 32 გრადუსი. გემიდან დაახლოვებით 100 მეტრის მანძილზე მოძრაობდა უზარმაზარი ყინულის ზვაფი. ერთიმეორეზე შეწოლილი ყინულების სიმაღლე აღწევდა 10 მეტრს. შეშფოთებული პატარა ჯგუფი თვალყურს ვადევნებდით ამ ყინულოვან ვულკანს. მე დაგბრუნდი გემზე. შ.მ.ი.ღ.ტ.ი. და ვ.ო.რ.ო.ნ.ი. აუზიდან ადევნებდენ თვალს ყინულების კუმშვას.

მართლაც, საჭიროა მარაგის გადაზიდვა ყინულზე.

მოგილევინი, კანცელი და გურევიჩი უკვე იღვენ თავიანთ ადგილზე. რამდენიმე წუთის შემდეგ შმიდტმა თქვა:

— შეუდექით გადაზიდვას!

უკვე გემის შიგნითაც ისმოდა, როგორ მოიწევდა საშინელი ყინულის ზვაფი. ზოგიერთებმა შემოირბინეს კაიუტები და ხალხს შეატყობიეს.

— ჩაიცივით თბილად, ყველა ზევით ადით.

გაისმა არაჩვეულებრივად ძლიერი დარტყმა. ყველაფერი შეტორტმანდა. მეორე ბიძგი იყო კიდევ უფრო შემარყვეველი. გაიპო მარცხენა გვერდი პირველი ტრიუმიდან სამანქანო განყოფილებამდი. დერეფნიდან, სადაც მოთავსებული იყო ეკიპაჟის სადგომი, შტურმანი პავლოვი ლამობდა კაიუტაში შესვლას, მაგრამ კარი არ იღებოდა; აუცილებელი გახდა ფიცრების შემტვრევა.

ერდოსთან სჩანდა ვებერთელა ხვრეტი. ამ ხვრეტილით პირდაპირ გავედით ყინულზე. საშინელება იყო მზერა; თუ როგორ ინგრეოდა გემი. მე ისევ გავიარე კიჩოზე. იქ იყვნენ შ.მ.ი.ღ.ტ.ი. და ვ.ო.რ.ო.ნ.ი. მორბის უფროსი მექანიკოსი მატუსევიჩი და მოახსენებს შმიდტს:— „გაწყვეტილია წყალსადენის მთავარი მაგისტრალი, ადგილიდან დაძრულია და დაზიანებული დინამო და დამხმარე მექანიზმები, პომპებით სარგებლობა წყლის გადასაქაჩად შეუძლებელია“.


აშკარა შეიქნა, რომ „ჩელიუსკინზე“ ცხოვრება მხოლოდ საათებით განიზომებოდა.

კოპუსოვი წუთით შეჩერდა, თვლები დახუჭა.

— დასველებულ და დაქანცულ ხალხს ყინვაში, ქარიშხალში ერთხ წუთითაც არ შეუჩერებია მუშაობა. ქალები და ბავშვები ჩამოვიდნენ ყინულზე და თავი შეაფარეს კარავს, სადაც ფიზიკოსმა ფაკიდოვმა მოაწყო თავისი „სადგური“. გემიდან იგი ასი მეტრის მანძილზე მდებარეობდა. შემდეგში აქ გავშალეთ ჩვენი ბანაკი.

ჩვენ მიერ გადმოტვირთული მარაგის ნაწილი იძირებოდა. შმიდტმა განკარგულება გასცა დამატებით გადმოეტანათ სურსათ-საწოვავე სასურსათო საწყობის ტრიუმებიდან. საწყობში უკვე წყალი

იდგა. ბორის მოგილვეიჩი ვალენკებიხ იდგა საწყობში. შემდეგ იგი გაიქცა კაიუტაში, რომ ჩაეცვა ტყავის ჩექმები. უკანასკნელ მომენტში, როდესაც მოგილვეიჩი გემიდან ჩამოდიოდა, მას თეხი დაუსხლტდა და ბოჭკებს და ძელებს ქვეშ მოყოლილი დაიხრჩო.



„ჩელიუსკინის“ დაღუპვა  
კადრები კინო-ოპერატორ შაფრანის მიერ შმიდტის ბანაკში გადაღებულ  
ფილმიდან.

— ეს გაბედული კაცი; დიდებული ამხანაგი, შესანიშნავი მუშაკი დაიღუპა ჩვენს თვალწინ.—მღელვარებით ამბობს კოპუსოვი.

— გემში წყალი მატულობდა, — განაგრძობს იგი რამდენიმე წუთის შემდეგ. — გემის ცხვირი დაბლა ეშვებოდა. კიჩო მალლა იწვევდა. მე და ოტო იულევიჩი შევედით კაპიტანის კაიუტაში, გამოვიღეთ სალაროდან ფული, შემდეგ შევედით შმიდტის კაიუტაში, წამოვიღეთ დოკუმენტები, ორდენის კოლოფი და ყველაფერი დაბლა ყინულზე გავგზავნეთ.

„ჩელიუსკინი“ იძირებოდა. 15 კაცისგან შემდგარი ჯგუფი მოათრევდა უკვე წყლით დაფარულ გემის ბანიდან ბაბუშკინის თვითმფრინავს. ყინული უკვე ფალბორტის დონეზე იყო. ჩელიუსკინელები სტოვებდნენ თავიანთ გემს. ჩვენ გამოვიარეთ ძალზე გადაზნექილ გემზე, დავათვალიერეთ — ყველაფერი იყო თუ არა გადაზიდული. მესამე ტრიუმში იდგა მუდამ მშვიდი შმიდტი ტყავის პალტოთი. იგი ჩაფქრებულიყო. მიველი მასთან და ვუთხარი:

— ასე, ოტო იულევიჩ, თავდება ჩვენი ექსპედიცია.

შმიდტმა მეტად სერიოზულად მიპასუხა.

— „ჩელიუსკინის“ დაღუპვა აუცილებელია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. ყველაფერი კარგად დამთავრდება.

... — ყველაფერია გადმოტვირთული? — იკითხა მან სწრაფად და ხმამაღლა, თითქოს თავიდან გადაეგდოს მძიმე ფიქრი.

— ყველაფერი, ღვინისა და სპირტის გარდა. ბოჭკები წყლით ავსებულ ტრიუმებშია, — ვუპასუხე მე.

— არ წამოიღოთ არც ერთი გრამი — გადაჭრით თქვა შმიდტმა.

ჩნებოდა თითზე ჩამოსათვლელი წუთები. უცბად ოტო იულევიჩს გაახსენდა, რომ ორდენის კოლოფი ცარიელია. ორდენი დარჩა კაიუტაში ფრენჩზე მიმაგრებული. სიცოცხლის გამეტებით იგი შევარდა იქ, ხელი სტაცა ფრენჩს ლენინის ორდენით და დაბრუნდა ბანზე.

უკანასკნელად გემიდან თითქმის ერთდროულად ჩამოვიდნენ: ცეცხლფარეში პარშინსკი, ვახტის მექანიკოსი ფილიპოვი, ვორონინი და შმიდტი. იმ წუთში დაიღუპა მამაცი მოგილვეიჩი.

„ჩელიუსკინი“ აღარ იყო.

დალამდა. საშინლად გვინდოდა სადმე მივგდებულყავით. დაგვეძინებია, დაგვევიწყებია ყველაფერი. მაგრამ მუშაობა ისევ გრძელდებოდა. არიგებდნენ თფილ ტყავის ტანსაცმელს. მე არ ვიცოდი, სად მომიხდებოდა ცხოვრება. შევიხედე დაბალ სახელდახელოდ დადგმულ კარავში. იქ მარტოდმარტო იჯდა ფაკიდოვი.

— იბრაჰიმ, სხვა არავინ არის შენთან? —



— ერთი ვარ. იყვნენ ბაბუშკინი და ვალავინი, მაგრამ წავიდნენ.

მე შეეძვერი კარავში. გამოვეხვიე საწოლ ტომარში და მაშინვე დავიძინე.

სწრაფად მიდიოდენ პირველი დღეები. ჩვენ ვეწყობოდით ბანაკში საფუძვლიანად. პირველ ხანებში კარვებში არ გვექონდა გათბობა, ვთბებოდით საკუთარი სუნთქვით, მჭიდროდ ვეკვროდით ერთმანეთს; თბილმა საწოლმა ტომრებმა გვიხსნეს იმ ხანებში გაყინვისაგან.

მოვაწესრიგეთ კვების საქმე. გაშლილ ადგილზე დავანთეთ კოცონი. დავდგით სამფეხი, ჩამოვკიდეთ დიდი ქვაბი. მზარეულები ზვერველი და სერგეევი გვიმზადებდნენ ცხელ საქმელს, ატარებდნენ რამეთუ დღეს ყინვაში. ჩვენ გვყავდა სამი ღორი, რომლებიც გემის დალუპვამდი ერთი საათით ადრე დავკალით, გვექონდა ხორცის კონსერვები, ჩაი, შაქარი, კაკაო, დაკონსერვებული რძე, შოკოლადი, თევზის კონსერვები, ხილის ჩილი, მაკარონი, ერბო-კარაქი, ფქვილი, ბრინჯი, ყველი, პაპიროსები.

მაგრამ 104 კაცი ვიყავით. მთელი სურსათ-სანოვაგე ზუსტად ავღრიცხეთ. გამოვიანგარიშეთ, რომ მომჭირნეობით ხარჯვის დროს ეს პროდუქტები გვეყოფოდა დაახლოებით ორთვენახევარს. საკვირველია, მაგრამ სასურსათო მარაგი პირველ დღეებში არა თუ გვაკლდებოდა, არამედ გვემატებოდა. გემის დალუპვის შემდეგ ზევით ამოტივტივდა ათი ტომარი ფქვილი. გარედან ტომრებს გადაკრდა თხელი კანი, მაგრამ შიგნით ფქვილი შესანიშნავად შენახულიყო. ნავს ახლო იპოვეს აგრეთვე ერბოთი სხვსე კასრი. აღმოჩნდა კიდევ ყუთი კონსერვებით.

პირველად ყინულოვანი „საზოგადოებრივი კვება“ დაბალ დონეზე იყო. შემდეგში ავაგეთ „ფაბრიკა-სამზარეულო“, და გამოვარკვიეთ რომ, თუ ძუნწად ვიცხოვრებდით, დარჩენილი სურსათ-სანოვაგე ოთხ თვეს თუ არა, სამ თვეს მაინც გვეყოფოდა.

ჩვენი რაციონი არ ყოფილა მაინცადამაინც უხვი: დილით—ჩაი, შუადღეზე—სადილი ერთი კერძისგან—კონსერვის სუბი ან ქაში, საღამოს—ვახშამი და ისევ ჩაი, რომელსაც ვაცხელებდით თვითონ ჩვენ საკუთარ კარვებში. კარვების სტაროსტებს ეძლეოდათ მშრალი პაიოკი: სამი დღის საყოფი შესქელებული რძის ერთი ქილა, ყოველ მეოთხეათვანს—რიგრიგობით თევზის კონსერვები, შემდეგ—ცოტაოდენი შაქარი, კანფეტები, გალეტები, ხანდახან ყველი, ღორის ხორცი, გვირიგებდნენ ფქვილს, რომლისგანაც ვაცხოვდით პრიმუსებზე პურის

კვერებს, შემდეგ, როდესაც რკინის ბოჭკაზე მოვაწყვეთ მეტად ეშმაკურად სახაბაზო, პურს ვაცხოვრებთ მთელი კოლექტივისათვის.

პროდუქტები შენახული გვექონდა საგანგებოდ გამოყოფილ უბანზე. ვახტის მუშაკები სასტიკად იცავდნენ ამ საწყობს. მიუხედავად მეტად მაგარი ნორმებისა, ერთხელაც არ ყოფილა ცდა ვისმე გაეუმჯობესებია კოლექტივის ხარჯზე თავისი პირადი მდგომარეობა.

ძალიან ვზოგავდით საამშენებლო მასალას. ვფიქრობდით მოგვეწყო მეორე ბანაკი, მაგრამ, როცა 6 მარტს ღამით ჩვენი საერთო საცხოვრებელი გაიპო, ჩვენ უკუვაგდეთ ჩვენი გეგმები. ყინულზე „საცხოვრებელ კომბინატების“ შექმნის თეორია დაიმსხვრა.

შემდეგ ნება დაგვრთეს გამოგვეყენებია ხე-ტყე კარვების გასაუმჯობესებლად. ძირს ყინულზე ვდებდით ფიცრებს და ამგვარად ვღებულვოდით იატაკს. ვაკეთებდით კარკასს და ჩვენი კარვებიც პატარა ქოხებად გარდაიქმნენ. ნება მოგვცეს აგრეთვე გაგვეთბო კარვები თხიადი და მაგარი სათბობით. აქ დიდი უნარი გამოიჩინეს გამომგონებლებმა — თითქმის ყოველ კარავს ჰქონდა გათბობის საკუთარი მეთოდი.

ასე ვცხოვრობდით ჩვენ შმიდტის ბანაკში, დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ქვეყნის ღონისძიება დაგვაბრუნებდა ჩვენ საბჭოთა მიწაზე. 20 კომუნისტისგან შემდგარი ჩვენი კოლექტივი იყო მტკიცე, გაბედული, შეურყეველი. ისე, როგორც მიწაზე, ჩვენს ბანაკშიაც, კომუნისტები იდგნენ ავანგარდში. ექსპედიციის უშარტიო მუშაკები ხედავდნენ, თუ რა ორგანიზაციულ ძალას წარმოადგენდნენ კომუნისტები საბანაკო ცხოვრების მძიმე დღეებსა და წუთებში, თუ როგორ ამხნევებდნენ ისინი ამხანაგებს, თუ როგორ ებრძოდნენ ისინი ყოველგვარ სისუსტეს ჩელიუსკინელების რაზმში, ხედავდნენ პარტიულ ბირთვს გარშემო, თუ როგორ ირაზმებოდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები და ახლა ისინი მოისწრაფიან პარტიაში.

— დიახ, დიდაა ძალა ბოლშევიკური პარტიისა.

\* \* \*

ზღვაზე ჩამოწვა სალამოს ნისლი.

„სმოლენსკი“ უახლოვდებოდა პეტრეპავლოვსკს.

კობუსოვმა „ყინულოვანი ადამიანისაგან“ მოულოდნელი სიცქვიტით თქვა:

— ეხლა მითხარი ჩვენი ქვეყნის ახალი ამბები! რა ამბავია მოსკოვში?

## უჯრედი ყინულზე

ჯერ კიდევ ლენინგრად—მურმანსკის მოკლე გადასავალზე ექსპედიციის ხელმძღვანელობა თხიზლად აკვირდებოდა „ჩელიუსკინის“



შემადგენლობას. მურმანსკში ზოგიერთი გადმოსხმულ იქნა კიდევ გემიდან და კომანდა შეივსო ახალი, შემოწმებული ამხანაგებით, მათ შორის სიბირიაკოველებით.

მაგრამ იმავე მურმანსკში ექსპედიციის მონაწილეთა სხვადასხვაობა „ჩელიუსკინზე“ კიდევ უფრო გაძლიერდა, მოიყვანეს მშენებელთა—გუშინდელ ერთპიროვნულ გლეხთა ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ სრულიად წერა-კითხვის უცოდინარნი. რომ ჩამოვთვალოთ ჩელიუსკინზე წარმოდგენილი ყველა სპეციალობა, მივიღებთ გასანცვიფრებელ ჯაჭვს, რომელიც იწყება უცოდინარი დურგლითა და შინამოსამ-

ბახურით და თავდება მათემატიკის პროფესორით, ფილოსოფოსით, დიალექტიკოსით.

ექსპედიციის ხელმძღვანელობის წინაშე დადგა ამოცანა—გადაექცია ამ ადამიანთა კრებული, რომელთა უმრავლესობა არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული წინათ, ერთ მთლიან შემქმნელობულ კოლექტივად.

მურმანსკიდან გასვლისა და „ჩელიუსკინის“ დაღუპვის დღემდე გავიდა სრული ნახევარი წელიწადი. ამ მოკლე ვადაში ხელმძღვანელობის წინაშე დასმული ამოცანა გადაწყვეტილი იქნა. „ჩელიუს-

კინიდან“ ჩვენ ყველა ვიწერებოდით იმ კოლოსალურ პოლიტიკურ კულტურულ და აღმზრდელობითი მუშაობაზე, რომელიც გემზე გაიშალა. ამ ატმოსფეროში ცხოვრობდნენ და სუნთქავდნენ ჩელიუსკინელები. დრეიფის დროს ეს მუშაობა შეადგენდა მთელი გემის ცხოვრების ძირითად შინაარსს. მუშაობის ნაყოფმა თავი იჩინა ექსპედიციის უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტში—კატასტროფის მომენტში.

როცა ჩელიუსკინელებმა ყინულზე ამოჰყვეს თავი, სამთვეს საყოფი სურსათის მარაგით, პარტიული ხელმძღვანელობა, ოტო იულევიჩი შმიდტის მეთაურობით, აღმოჩნდა კიდევ უფრო მძიმე ამოცანის წინაშე: როგორ დაგვეცვა ახალ სერიოზულ პირობებში ჩელიუსკინელების კოლექტივის მთლიანობა, შემჭიდროება და დისციპლინაობა. მოხდება ხოლმე ძლიერი, მტკიცე კოლექტივებიც იცვლებიან, იარაღს ჰყრიან, როცა ცხოვრების სასტიკ პირობებში მოხვდებიან. ყინულზე ორი თვის ცხოვრების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჩელიუსკინელებიც გამოიცვალენ, მაგრამ გამოიცვალენ უკეთესობისაკენ, ზოგიერთი ამხანაგი განსაცვიფრებლად გაიზარდა.

ბიუროს პირველი სხდომა ყინულზე გაიმართა 18 თებერვალს კოპუსოვის კარავში, კატასტროფის შემდეგ მეექვსე დღეს. სხდომის დღის წესრიგი მეტად მოკლე იყო: „ო. ი. შმიდტის ცნობა“. მომყავს ეს ცნობა მთლიანად ოქმში ჩანაწერის მიხედვით:

„ო. ი. შმიდტი იწყებს იქიდან, რომ დიდი სიამაყით აღნიშნავს უდიდეს ორგანიზაციულობას, დისციპლინას, ამტანობას და სიამაყეს, რომელც გამოიჩინა ჩელიუსკინელების მთელმა კოლექტივმა კატასტროფის მომენტში. თავისი შემადგენლობით უაღრესად სხვადასხვაგვარმა კოლექტივმა თავი გვიჩვენა, როგორც ერთმა მთელმა შემჭიდროებულმა ერთეულმა ექსპედიციის უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტში. კოლექტივის ეს ბრწყინვალე-ღირსება მთლიანად შედგება შვიდთვიანი პოლიტიკურ მუშაობისა, რომელსაც აწარმოებდნენ ლაშქრობის დროს საკ. კ. პ. (ბ)-ის უჯრედი, გემკომი და ჩელიუსკინელების სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. დიდი ენერჯია მოახმარა მუშაობას ა. ნ. ბობროვმა.


ო. ი. შმიდტი აცნობებს კრებას მთავრობის მიერ ჩელიუსკინელების დასახმარებლად მიღებულ ღონისძიებებს. „ჩვენი მდგომარეობა სავსებით კეთილსაიმედოა“, ჩვენ შეგვიძლია გულდამშვიდებით ვუცადოთ ამ ღონისძიებათა განხორციელებას“—ამბობს შმიდტი.

შემდეგ იგი ლაპარაკობს დაცემულ განწყობილებების ცალკე შემთხვევებზე, რომლებიც შეამჩნიეს პარტიულ ამხანაგებმა აქ, ყინულ-



ლზე. ჩამოთვლის რა ამ შემთხვევებს, შმიდტი სახავეს პოლიტიკური ნუშაობის იმ მეთოდებს, რომელნიც ბანაკში უნდა გაგრძელდეს. რასაკვირველია, წინანდელი ტიპის რაიმე მასიურ-პოლიტიკური მუშაობაზე ლაპარაკი მეტია, მაგრამ მით უფრო საპასუხისმგებლოა თითოეული ცალკე კომუნისტის როლი. ამიერიდან კომუნისტის თითოეული ნაბიჯი, კომუნისტის ყოველი ქცევა მკაცრად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი უნდა იქნეს. კომუნისტის თითოეული სიტყვა უპარტიო ამხანაგებთან საუბარში—კარავში დასვენებისას, ყინულზე მუშაობის დროს, თუ კერძო შემთხვევით ლაპარაკში—უნდა გადაიქცეს შეუწყვეტელ პოლიტიკურ მუშაობად, რომელიც აქ ახალ მძიმე პირობებში წარმატებით შეცვლის წინანდელი ტიპის მასიურ მუშაობას. ყოველთვის, ყოველ ვითარებაში კომუნისტი ვალდებულია პირადი ქცევით გამოიწვიოს უპარტიო ამხანაგების სიმამაცე, დაცემულობის განწყობილებასთან შეხვედრის დროს იგი ვალდებულია მაშინვე ბოლო მოუღოს მას...”

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



ადგილი, სადაც ჩაიძირა „ჩელიუსკინი“. ერთი-მეორეზე მიყრილ ყინულებს შორის ჩანს უკანასკნელ წუთში გადმოტვირთული ველობტები (ნაგები).

ამხ. შმიდტის სიტყვა ხინგრძლივი, ამხანაგური, გულთბილი, ხანკი კატეგორიული, მკაცრი და მოთხოვნითი—გულის სიღრმეში გვწვდებოდა, გვალეღვებდა. მესხიერებაში ახლაც თვალწინ დგას

„ლამურათი“ (ერთგვარი სისტემის ფანარი, რომელსაც ქარი ვერ აქრობს) განათებული კარავი, იატაკზე დამჯდარი ბიუროს წვერთა უძრავი, გაურკვეველი ფიგურები. ეს ფიგურები კედლებთან და ბნელ კუთხეებში სხედასხვა პოზაში გაქვავებულიან. იმ ამხანაგებს, რომლებიც ფანართან ახლო არიან, სახეები დაჭიმული და ჩაფიქრებული აქვთ. აი „ჭერისკენ“ აშფერილი ბობროვის სახე სათვალეებით, რომლებზედაც ციმციმებს, თამაშობს „ლამურას“ ალი. აი ვანია კოპუსოვი. იგი ზის წინ მკერდ-გამოწეული და იყურება სადღაც კარავის ტილოს იქით სივრცეში. რას გაცქერის ის?...

შორს, ეს არის დიდებულად გაიხმაურა ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობამ. „იქითკენ“ იყურება ამჟამად მთელი ქვეყანა. „იქ“ ფურცლავს ამჟამად ისტორია თავის ერთერთ შესანიშნავ გვერდს. ჩვენ კი ვსხედვართ აქ და არაფერი ვიცით.

„რა გაეწყობა, — ალბად ფიქროდა თითოეული იქ მყოფი, ისმენდა რა მღელვარე შმიდტის სიტყვას, — ჩვენ არაფერი ვიცით, რა ხდება „იქ“, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რა უნდა ვაკეთოთ — ჩვენ კომუნისტებმა „აქ“, რა კი მოხდა ისეთი რამ, რომ ასმა კაცმა — ჩვენი ქვეყნის ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა, — მოულოდნელად მივიპყარიტ მთელი მსოფლიოს ყურადღება, ჩვენ — ამ ას კაცში მოხვედრილმა კომუნისტებმა ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ. მართალია, ამ ასეულში ყველა ერთნაირი როდია: არიან ძლიერნი და არიან სუსტნი, არიან უდრეკნი და არიან მერყეენი. მაგრამ ჩვენ დავეხმარებით სუსტებს, გავუწვდით მათ ხელს. მერყევთ და დაბნეულთ ჩვენ ყოველთვის განუწყვეტლად აფუხსნათ იმ აშკარა ჭეშმარიტებას, რომ საშიროების წუთებში, — ხოლო ასეთი წუთები უეჭველია მოგველის, — საჭიროა ვიხსნათ არა ჭაკუთარი თავი, არამედ მთელი კოლექტივი. დე, თითოეულმა შეიგნოს, რომ მხოლოდ კოლექტივის გადარჩენით შეიძლება ყველაზე უფრო უზრუნველყოთ საკუთარი თავის გადარჩენა“...

შმიდტმა დაასრულა სიტყვა. კუთხეებში გაქვავებული ფიგურები გაცოცხლდენ, აინთენ პაპიროსები, მაგრამ ყველა სდუმდა.

— მაშ, ამხანაგებო, — მიმართა ყველას ვალოდია ზადოროვმა, ჩვენმა მდივანმა, — გავმართოთ თუ არა კამათი ოტო იულევიჩის ცნობის გარშემო.

გაისმა ერთბაშად რამდენიმე ხმის პროტესტი: რა არის აქ საკამათო, კომუნისტებს წარდგენილი აქვთ ნათელი, მკაფიო და გარკვეული მოთხოვნები. ისინი ჩვენ უნდა შევასრულოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, დავზოგოთ ძვირფასი დრო და დავიშალოთ უკამათოთ. ამას მოჰყვა საქმიანი წინადადება.

— კამათის მაგივრად, აი რა ვქნათ, ამხანაგებო. ყინულზე გადმოსვლის მეორე დღიდანვე თითოეულ კარავზე მიმაგრებულია პარტიული ამხანაგი. ზოგიერთი მათგანი აქ იმყოფება, დავავალოთ მათ გვიამბოს, რითი ცხოვრობს და სუნთქავს თითოეული კარავი და ყოველი ცალკე ჩელიუსკინელი ამ კარავში. ამგვარად ჩვენ მივიღებთ ასე თუ ისე მთელს ბანაკში შექმნილ განწყობილების სრულ სურათს, ხოლო ამ სურათის მიხედვით შემდეგ ვილაპარაკოთ ამა თუ იმ ღონისძიებებზე.

— ძალიან კარგი, — მხარი დაუჭირა წინადადებას შმიდტმა.

— პირველად შენ ილაპარაკე, — წინადადება მომცა ვალოდია ზადოროვმა.

მე ვილაპარაკო პირველად? პასუხისმგებლობის გრძნობამ გამსჭვალა. უნდა ვილაპარაკო ჩემი პირადი სიმპატიების და ანტიპატიების მიუხედავად. უნდა ვილაპარაკო ისე, რომ არ გავაზვიადო ღირსება და არ დავინდო სისუსტე. არ უნდა შევცდე არც ერთ ადამიანში. უნდა ვიგრძნო მისი ნამდვილი ფასი ახალ, იმ ახალ პირობებში, რომელშიაც მოგვიხდება ცხოვრება და ყველაფერი სისწორით ვუამბო და სიმართლე ვუთხრა ბიუროს.

მე თვალწინ წარმოვისახე ყველა ჩემი თანამეკარვე. ისინი ექვსი არიან, ჩემს გარდა. აი ფედია რეშეტნიკოვი, მხატვარი, ერთადერთი კომკავშირელი კარავში; მაგრამ ფედიაზე ბევრი ფიქრი არ არის საჭირო. შესანიშნავი ბიჭია. არავითარ გაჭირვებაში იგი ცხვირს არ ჩამოუშვებს. მთელი ამ ლაშქრობის განმავლობაში სიცილით ხოცავს ჩელიუსკინელებს თავისი კარიკატურებით. აქაც, ყინულზე ფედია მბავსკისთან ერთად დღეს დილით გამოუშვა კედლის გაზეთის „არ დავნებდებით“ პირველი ნომერი. ნომერი გამოაკრა „მოედანზე“ ღია ცის ქვეშ. ჩელიუსკინელები მას ყინვაში კითხულობენ და იცინიან. არა, ფედია ნამდვილი ბაჯალლო ოქროა ჩვენ შორის.

ხოლო ფედიას შემდეგ ვინ არის? — პიდროგრაფი, გეოგრაფი და ბიოლოგი? სამი უპარტია მეცნიერი მუშაკი; მაგრამ მე უკვე გამომიმიუშავდა მტკიცე შეხედულება ამ სამეულზე. მე დავრწმუნდი: სამივე მეტად... კმაყოფილია იმით, რომ მოულოდნელად „ჩელიუსკინმა“ მიიღო მეცნიერული თვალსაზრისით ესოდენ საინტერესო კანცოვკა, როგორც არის ყინულის დრეიფი შეუსწავლელ ჩუკოტის ზღვაზე, წარმოიდგინეთ, ერთმა მათგანმა კედლის გაზეთში „არ დავნებდებით“ სტატიაც კი მისცა, სადაც იგი მხურვალედ მოუწოდებს ჩელიუსკინელებს, რომ ბანაკში მყოფ ყველა ხის საგანზე დასვან

დადი: „ჩელიუსკინი, 1934 წ.“ როცა რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, შმიდტის ბანაკის ნარჩენები მიაღებინან სხვადასხვა ზღვების სანაპიროებს,—ისინი უაღრესად არსებით როლს შეასრულებენ ამ ყველაზე ნაკლებ შესწავლილ ჩუკოტის ზღვის მდინარების შესწავლის საქმეში... არა, ესენი სასახელო ამხანაგები არიან, ადამიანები, რომლებთანაც არ დაიკარგები.

შემდეგ,—ჩვენი კინოოპერატორი. ისიც უპარტიოა, მაგრამ მთავარია ის, რომ იგი ძალიან ახალგაზრდაა. მეტისმეტად ახალგაზრდა, მასში თითქოს ჯერ კიდევ გამოკრთის მისი დედის სახე. ჩვენ ამას ყველა ვგრძნობთ იმის მიხედვით, რომ სალამოობით დედას იგონებს. ხოლო შემდეგ იგონებს ბლინებს და ქაღებს, რომელსაც დედამისი შესანიშნავი გემოვნებით უმზადებს მას. რასაკვირველია, არ შეიძლება ამისათვის ვუსაყვედუროთ მას. ლენინგრადში მყოფი მისი დედა მას ხელს არ უშლის დარჩეს აქ მამაც და მხიარულყმაწვილად. იგი გატაცებული მომღერალი და ამბების ენამახვილი მთქმელია. გვართობს ჩვენ ყოველ სალამოს ნაშუალამემდე, ხოლო დილას გვალვებიც სიმღერით:

Вставай, вставай, кудрявая,

В цехах звеня,

Страна встает со славою

Навстречу дня.

ჩვენს შორის არის კიდევ უპარტიო ჟურნალისტი. ეს ამხანაგი უკვე მეოთხეჯერ მონაწილეობს პოლიარულ ექსპედიციაში. სამწუხაროდ, მის ხასიათში მკვახე, მძიმე თვისებებია. იგი საკმაო გულთბილი და გრძნობიერი ვერ არის გარე მყოფთა შიშმართ. მას ეგოისტური მიდრეკილება აქვს.

ამგვარად, მთლიანად დამზვიდებული სინდისით შემიძლია ვიამაყო ჩემი თავის შემადგენლობით.

კარავის განწყობილება მტკიცე, იმედიანი, უაღრესად ფხიზელია,—ვამაყობ მე და შემდეგ მოკლედ ვახსიათებ ყველა ამხანაგს.

როცა დავამიძავერე, ვანია კოპუსოვმა უცბად შემაწყვეტინა: — რატომ არ ამბობ, როგორ ცდილობდა დღეს იგი პატეფონის გაგზავნას თვითმფრინავით.

აი ხათაბალა. მართლა, როგორ დამავიწყდა ეს უმსგავსო ინციდენტი. დღეს დილიდან ბანაკში ველოდით „АИИ—4“-ს მოფრენას. უნდა გაფრენილიყვნენ მატერიკზე ბავშვები და ქალები. ბარგის ნორმა ერთ სულზე განსაზღვრული იყო 10 კილოგრამით. მგზავრების გაგზავნის ხელმძღვანელ კოპუსოვისათვის შეუტყობინებლად, ერთი ამხანაგი შეეცადა ფარულად გაეგზავნა პატეფონი თვითმფრინავით ნაპირზე.



ცნობა პატეფონზე ახალი ამბავი გამოდგა ბიუროს წევრთა უმრავლესობისათვის.

ამით დავამთავრე მე ინფორმაცია ჩემი კარვის შესახებ.

შემდეგ კარავზე ინფორმაციით გამოვიდა ტოლია კოლესანიჩენკო. იგი იღიმებოდა, როცა თავის კარვის შესახებ გვიყვებოდა, მაგრამ მისი კარავი მართლაც ისეთია, რომ შეიძლება შეგეხარბოს. მისი კარვის 8 მცხოვრებიდან—5 კომუნისტია, ერთი-კომკავშირელი; ეს ცოტაა, რომ კომუნისტები არიან. უმრავლესობა—სტუდენტები, ლენინგრადის სანაოსნო ინსტიტუტის პრაქტიკანტები, მომავალში ინჟენრები და გემის მექანიკოსები არიან. ყველა მტკიცე, აქტიური, მცოდნე კომუნისტიჲ. გემის პარტიულ ცხოვრებაში ისინი თვალსაჩინო როლს ასრულებენ. ყინულზე ამ ხუთი დღის განმავლობაში ისინი კიდევ უფრო დაწინაურდენ. სამი მათგანი ესწრებოდა ბიუროს სხდომას. „როგორ შეიძლება ცუდი განწყობილება ისეთ კარავში, როგორც ჩემია?“,—ამბობდა ტოლია კოლესანიჩენკოს დიმილი.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



ჩელიუსკინელების ჯგუფი ყინულზე გემის დაღუპვის შემდეგ.

კომკავშირული კარვის შესახებ, რომლის უმრავლესობას შეადგენდნენ ცეცხლფარეშები, ბიუროს პირველ სხდომის ოქმში ჩაწერილია:

— ყოჩაღი, ახალგაზრდა, მხიარული, აქტიური კარავია. განწყობილება შესანიშნავი, საღამოობით, დღიური მუშაობის შემდეგ კარავი ასრულებს „ჩელიუსკინელთა“ საჯუნდო სიმღერებს.

სულ იყო ათი კარავი. მაგრამ ზოგიერთი მათგანის ხელმძღვანელი ბიუროს ამ სხდომას არ დასწრებია. ისინი დაახასიათეს უჯრედის მდივანმა ვალოდია ზადოროვმა და ტოლია კოლესნიჩენკომ. ყველა ცნობიდან გამოირკვა, რომ კარვებს შორის მხოლოდ ორი მოითხოვს პარტიულ ორგანიზაციის მხრით გულმოდგინე მეთვალყურეობას და ყურადღებას: შტურმანების კარავი და მშენებლების კარავი. მაგრამ მშენებელთა კარავი ხვალინდელი დღიდან ფაქტიურად აღარ იქნებოდა. მშენებლები მთლიანად უნდა გადასახლებულიყვნენ ახლახან აგებულ ბარაკში. იქვე უნდა დაბინავებულიყვნენ ქალები, ბავშვები და ფიზიკურად ყველაზე სუსტი მამაკაცები. ბიურომ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება და დასახა სათანადო ღონისძიებები.

კარვების წარმომადგენელთა ყველა ცნობის და მას შემდეგ გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად ბიუროს პირველი სხდომის ოქმში ჩაწერილია შემდეგი:

„...გამოირკვა ბანაკის განწყობილების სრული სურათი. მთლიანად ეს განწყობილება თამამად შეიძლება დახასიათდეს, როგორც ძალიან მტკიცე“.

დასასრულ, შეტანილ და მიღებულ იქნა შემდეგი წინადადებანი:

1. ხვალ, 19 თებერვალს მოწვეულ იქნას საერთო პარტიული კრება, სადაც ბიუროს წევრებმა უნდა მოაგონონ ამხანაგებს მათი, როგორც პარტიის წევრების, ვალდებულება.

2. უფრო თანაბრად განაწილდეს კომუნისტები კარვებს შორის. იმ კარავში, სადაც თავს იყრიან დიდი რაოდენობით უპარტიოები, ქალები, ბავშვები და აგრეთვე მოუშაღებელ მშენებელთა ჯგუფი, გადასახლებული იქნან პარტუჯრედის მდივანი ამხ. ზადოროვი და გემკომის თავმჯდომარე ამხ. რუმიან ცევი.

3. მოწესრიგდეს მუშაობა „ჩელიუსკინის“—ნარჩენების და სხვადასხვა ტვირთების გამოსაძებნად, რისთვისაც ექსპედიციის მთელი შემადგენლობა დაიყოს ბრიგადებად ახალი ნიშნის მიხედვით.

ეს დადგენილება იყო პირველი ნაბიჯი, პარტიული ხელმძღვანელობის მიერ დასახულ იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რომ შეგვენარჩუნებია ჩელიუსკინელების კოლექტივი ახალ მძიმე პირობებში ისეთივე მთლიანი, შემჭიდროებული დისციპლინიანი ერთეულის სახით, როგორიც იგი აღმოჩნდა კატასტროფის მომენტში. ამოცანის თვალსაზრისით ჩელიუსკინელების განწყობილებების ამ შემოწმებას, რომელიც პირველ ბიუ-

როზე მოხდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველი ხუთი დღე ყინულზე იყო ყოველმხრივ უმძიმესი იმ დღეებს შორის, რომლებიც მათ მოჰყვენ. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ჩელიუსკინგლებმა ჩინებულად გაუძლეს ამ ხუთ დღეს.

ლევონილ მარტისოვი.

„ჩელიუსკინის“ მემანქანე.

## პოლიარული რიბინზონები

უკანასკნელი, გამოსათხოვარი თვალით შევხედეთ წყლის გუბეს, სადაც რამდენიმე წუთის წინათ გემი იდგა. თავიდან ფესამდე გაოფლიანებული, ტვირთების გადმოზიდვით დაქანცული, შევუღეპით კარგების დადგმას.

წიოდა და სტვენდა პურგა. ხალხი იყინებოდა და გაშეშებული ხელებით ჭიმავდა ტილოს. თუ მოხერხდებოდა ერთ ან ერთ ნახევარ მეტრის სიმაღლეზე პალატის გაჭიმვა, ეს შესანიშნავ თავშესაფარად ითვლებოდა.

როგორც იქნა, უმრავლესობამ დაიდგა კარავი. წავივახშმეთ და შევეცადეთ დაძინებას, მაგრამ ყველა როდი ახერხებდა ამას. მშვიდობიანი, ყოველმხრივ დაცული, მრავალთვიანი ცხოვრება ჩინებულად მოწყობილ „ჩელიუსკინზე“, გემის დაღუპვის საშინელი წუთები, — ყველაფერი ეს თვალწინ გვედგა, მაგრამ კიდევ უფრო გვაფიქრებდა მძიმე ზრუნვა ხვალინდელ დღისათვის.

სურსათ-სანოვაგით, სათბობით, თბილი ტანსაცმლით ჩვენ საკმაოდ უზრუნველყოფილი ვიყავით, მაგრამ ბევრი საყოფაცხოვრებო მოწყობილობა, საშინაო სახმარი ნივთი, გემის უეცარი დაღუპვის გამო, ვერ გადავარჩინეთ.

დილით შევადგინეთ „ფართო მოხმარების საგნების ბრივადა“, რომელშიაც შედიოდნენ: ვასია ბარმინი—სიბირიაკოველი, სტიოპა ფეტინი—გამოცდილი პოლიარელი, რომელსაც უკვე გამოველო ერთი გემის დაღუპვა და მესამე ვიყავი მე.

ჩვენ მუშაობა დაეიწყეთ „ჩელიუსკინის“ არა შესანიშნავად მოწყობილ ყინულზე, არამედ შიშველ ყინულზე. ირგვლივ სიცალიერეა, გემის ნარჩენების უფორმო ხროვა და დამაბრმავებელი თოვლია.

დავიწყეთ ინსტრუმენტების ძებნა. ასორტიმენტი არ არის შლიდარი: ჩაქუჩის ტარები, რამდენიმე ბურლი, ციბრუტი—ეს იყო და ეს. შემთხვევით ვიპოვეთ ფოლადის ნაჭერი და გადავაქციეთ იგი ლოჯად, იძულებული გავხდით მოგვეხდინა ჩვენი ქალების უბრალო მაკრატლების „განსაზოგადოება“. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ ზღვის ფსკერიდან რკინა არასოდეს არ ამოტივტივდება, ალბათ ამიტომ გავეშურეთ „ჩელიუსკინისაკენ“,—ასე ვუწოდებდით გემის დაღუპვის ადგილს. ჩვენი ძიება უნაყოფო გამოდგა. ფიცრები რამდენიც გნებავთ იმდენი იყო, რკინები—არა.

რა გვექნა? მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გავიხსენეთ, რომ ნავებს აქვს ცარიელი კასრები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მათ დაძირვას. კაპიტან ვორონინის ნებართვით, ამოვარჩიეთ ყველაზე შელახული ნავი და შევეუდგეთ მუშაობას. ავამუშავეთ ცული, ხერხი და ჩვენც მოვიპოვეთ ძვირფასი, თუმცა არა სავსებით შესაფერი, ლითონი.

ჩვენს ყინულოვან სახელოსნოს მოაყარეს შეკვეთები. პირველ ყოვლისა, ჩვენ დავამზადეთ საკვამლე მიღები და მუხლები ლუმელებისათვის, რომლითაც შემდეგ ვათბობდით ჩვენს კარებს. ლუმელი იყო რვა, მილი კი ოთხისთვის თუ კმაროდა. სახურავის თუნუქის საჭრელი მაკრატლები და სხვა იარაღი რომ გვექონოდა, ყველა ამის გაკეთება ძნელი არ იყო, მაგრამ ისინი ჩვენ არ მოგვეპოვებოდა. სადღაც შემთხვევით გამონახული სალტის რკინა ლურსმნებით მივაქედეთ თხელ კვადრატულ ძელაკს. თხელი ძელაკი მივამაგრეთ მსხვილ ძელაკს და ამგვარად მივიღეთ ჯორაკი.


შემდეგი საზრუნავი იყო მაკრატელი. ჩვენი სპილენძისათვის ტანსაცმლის სამკერვალო მაკრატელი მეტად პატარა იყო, ლოჯა კი, ხეზე დარტყმისას იღუნებოდა, დანით მუშაობა ძალიან ზანტად მიმდინარეობდა. მაგრამ ვასია ბარმინის ძლიერმა კუნთოვანმა ხელებმა მაკრატელიც აამუშავეს. წარმტაცი სურათი იყო, როცა ვასიამ უბრალო პაწაწკინტელა მაკრატლით ორმილიმეტრიანი სპილენძი გაჭრა, ჩვენ ფვითონ გვანცვიფრებდა ტექნიკის ესოდენ უცნაური და გამაწვალებელი ათვისება. შემდეგ საქმე უფრო გაგვიადვილდა. ხის ჩაქუჩის რამდენიმე დარტყმით ვღებულობდით წითლად ელვარე სპილენძის ნილს. პირველად მიღები აბრტყვილდენ კარვებში, შემდეგ ბარაკში, ბოლოს ახლახან აგებულ სამზარეულოში.

კარვებში ცხოვრებას ბევრი არ ვაპირებდით. თავისუფალ წუთებში ყველა ცნობისმოყვარეობით უყურებდა, თუ როგორი სისწრა-



ფით, ნამდვილი დაკვრითი ტემპებით ხურავდენ ჩვენი ხუროები ბარაკს. ბარაკის გასათბობად ზრუნვას ჩვენ შევეუდეთ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მიმდინარეობდა მის კედლებზე თოვლის შემოყრა, აგურის ლუმელებზე არც გვიფიქრია, გამოვიყენეთ უბრალო რკინის ბოჭკები, რომელშიაც წინათ საწვავი ესხა. გვერდებიდან და ქვევიდან ნახვრეტი გავაკეთეთ. ეს საცეცხლურის ნახვრეტის მოვალეობას ასრულებდა, ზევითაც გავაკეთეთ რგვალი ნახვრეტი და გავყავით შიგ კვამლის სადენი მილი. ბოჭკის ფსკერზე ჩავყარეთ თიხა, რომ ლუმელს ქვევით ყინული არ გამდნარიყო. ყველაფერი მზადაა, შეიძლება ცეცხლის დანთება. ბარაკში დავდგით ორი ასეთი ლუმელი. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა 45 კაცის გადასახლება კარებიდან ბარაკში.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვი



პირველი ღამე ბანაკში. მჭვინვარებს გრივალი.

პირველად ჩვენს „სახლს“ შეშით ვათბობდით. მაგრამ საშენი მასალა, გაჭირვების დროს უნდა მოხმაროდა მეორე ბარაკის აშენებას. აუცილებელი იყო სამზარეულოსათვის მისი დაზოგვა, როგორც შეშის, ამიტომ ჩვენ მჭვილეთ დავალემა, რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა, გამოგვეყენებია გასათბობად ბარაკში თხიადი საწვავი, რომელიც დიდი რაოდენობით გადარჩა და ყინულზე ინახებოდა. მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო. არ გვქონდა პატარა ბაკები, ონკანები, (კრანები) მილები. ასეთი რამე ვერც ნანგრევებში აღმოვაჩინეთ.

ჩვენდა „საბედნიეროდ“ მოტორისტ ივანოვს დაავიწყდა აეწყო ჯერ კიდევ „ჩელიუსკინზე“ ერთი მაგნეტო. ამის გამო ერთი მოტორი რიგიდან გამოვიდა. პატარა ბაკი ველბოტის პატარა ონკანით დავამაგრეთ ჭერქვეშ ბარაკში. ველბოტიდან წამოვიღეთ სპილენძის მილი, მისი ერთი ბოლო შევიყვანეთ ბოჭკაში, მეორე ძაბრით მივამაგრეთ ონკანს. ამრიგად, ნავთი წვეთწვეთად დიოდა ბოჭკაში, ეცემოდა შეშის სამ ნაჭერს და შესანიშნავად ათბობდა ბარაკს, შეშის ხარჯვა ერთი კუბომეტრიდან შევამცირეთ 20 ნაჭრამდე დღელამეში.

ლუმელებით კარგების გასათბობად გემის დალუპვის დროს ყინულზე გადმოვყარეთ 20 ტომარა ნახშირი. მაგრამ ეს ძალიან მცირე იყო. მაშასადამე, აუცილებელია კარგებშიც თხიადი სათბობის გამოყენება. წინადადება მოგვეცა ნავთის სათბობი მოგვეწყო პირველ რიგში რადიო-კარავში, სადაც იდგა აკუმულატორები, რომლებიც თანაბარ ტემპერატურას მოითხოვენ, ქვანახშირით გათბობის დროს ეს მიუღწეველია, მაგრამ ნავთის წვა თვითდინებით არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს: ფორსუნკა უნდა გაკეთდეს, მაგრამ აქაც ისევ ძველი უბედობა — არ გვაქვს მასალა. სპილენძი არ ივარგებს, მალე დაიწვის, არც საჭირო იარაღი გვაქვს. გემიდან გადმოტანილი საკვამლე მილები გაკეთებული იყო 2 მილიმეტრიანი რკინისგან. ეს უკვე გამოგვადგებოდა. ნავის ღუზაზე, რომელსაც საბედნიეროდ მოგლეჯილი ჰქონდა თათის ფართო ნაწილი, გაჭირვებით და დიდი დროს დახარჯვისა, როგორც იქნა, გავაკეთეთ ფორსუნკა.


შემდეგ საქმე უფრო გაგვიიოლდა. ფორსუნკა გავამაგრეთ ღუმელის პირთან. ერდოსთან გამოვძებნეთ რეზინის მილის ნაჭერი, მილის ერთი ბოლო გავუკეთეთ ნავთით სავსე ბოჭკას ფსკერზე. მოტორიდან წამოვიღეთ მისასხმელი ონკანი, მასზე მივამაგრეთ რეზინის მეორე ბოლო. მივიღეთ მოქნილი მოძრავი ნავთსადენი. ნავთიანი ბოჭკა დავდგით კარავთან მეორე ცალიერ ბოჭკაზე, რომ იგი უფრო მალე მდგარიყო. კარვის ნახვრეტში გავყავით ონკანი და დავამაგრეთ იგი ძაბრს ზევით ფორსუნკაზე.

ამგვარად ამოცანა შესრულებულია, რადიო-კარავი გადაყვანილია „თხიად“ გათბობაზე, ასევე მოვაწყვეთ გათბობა მეორე კარავში. ამგვარად სხვადასხვა სათბობის ხარჯვა შევუფარდეთ მათ როდენობას.

მაგრამ საჭირო იყო ზრუნვა არა მარტო გათბობაზე, არამედ განათებაზეც. ფანრები ძალიან ცოტა გვქონდა, დღელამის განმავლობაში მეტწილად ბნელოდა. ისევ შევუღექით გამომგონებლობას.

„ჩელიუსკინის“ ნარჩენების ხროვაში ჩვენ მოვხვებით ორი ყუთი: ერთი პატარა განიერ-ყელიანი ბოთლებით, მეორე უფრო დიდი ბოთლებით. როგორც შეძღვევში აღმოჩნდა, განიერ ყელიანმა ბოთლებმა დიდი როლი ითამაშეს. შევუდექით სანათების გაკეთებას. ეს მარტივი საქმე აღმოჩნდა. პოთლის ყელზე ვაცობდით სპილენძისაგან გამოჭრილ პრტყელ რგოლს, რგოლის შუაგულში ვამაგრებდით 2 სანტიმეტრიან ლითონის მილს, შიგ ვდებდით ფიტილს და სანათიც მზად იყო.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



სურსათის საწყობი შმიდტის ბანაკში.

მაგრამ ასეთი სანათი არ გვაკმაყოფილებდა. ის ცოტა სინათლეს იძლეოდა. შევუდექით ფიქრს, თუ სანათი გავვიკეთებთ ერთი რქისაგან, რატომ არ უნდა დავამზადოთ სანათი ორი, სამი, ხუთი თუნდაც ათი რქისაგან. ითქვა, — გაკეთდა. მალე ფიცარზე, რომელიც ბარაკში საზოგადოებრივი სუფრის როლს ასრულებდა, აბრჭყვიალდენ, ხოლო შემდეგ ბარაკის კედლებზეც აენთენ მთელი კანკელები. ჩელიუსკინელებს საშუალება მიეცათ არა მარტო დაენახათ ერთმანეთი, არამედ ეთამაშათ კადრაკი, ღომინო და სხვ. წარმოიდგინეთ მათ კითხვის შესაძლებლობაც კე მიეცათ.

კოორდინაციის აღადგინა იმ დროს ძალზე გავრცელებულ ბენზინის სანათის სქემა. იღვა მისი ძალიან მარტივია, 7—8 მილიმეტრიანი კვეთილობის ლითონის მილს ერთ ბოლოში ხურავდენ საცობით, ხოლო მეორეში მავთულით შეყავთ ფიტილი. დაცობილ ბოლოს ქვევით ერთნახევარ სანტიმეტრზე ნემსით უკეთებენ 5 ნახვრეტს (ზომით პრიმუსის კაპსულში გაკეთებული ნახვრეტზე ნაკლებს), რომელნიც ერთ ღონეზე მილს გაჭმემო უვლიან. პრობკაში, რომელიც ბოთლს უნდა დაუკვათ, ვაკეთებთ ნახვრეტს მილისათვის, პრობკას ვაცობთ მილზე, ბოთლში ვასხამთ ბენზინს და მჭიდროთ ვაცობთ მას პრობკას. ფიტილი მაშინვე ისრუტავს ბენზინს. მილს გარედან ვახურებთ ასანთის ანთებული ღერებით, მალე ნახვრეტიდან გამოსვლას იწყებს ბენზინის ორთქლი, ხოლო რამდენიმე წუთში ორთქლი ინთება, იძლევა თანაბარ ბრწყინვალე ალს.

მალე ამინდი შესამჩნევად გაუმჯობესდა.

დადგა მზიანი და თან ყინვიანი დღეები. ჩელიუსკინელებს მადა უძლიერდებოდათ, მოინდომეს რომ მათ კარავში ჰქონოდათ დღის სინათლე. ფანჯრის მინები კი არ ჰქონდათ.

გამოსავალი გამოძებნა ამხ. რემოვმა. მან წინადადება შემოიტანა გაგვეკეთებია სარკმელი აქა-იქ მიმობნეულ ცალიერი ბოთლებისაგან. ვცადეთ ამ წინადადების განხორციელება. მოვძებნეთ და გავწმინდეთ ბოთლები და ოთხ-ოთხი ცალი ჩავსვით ხის ფარში, ხოლო ფარი კი გავაკეთეთ ბარაკის კედელში. სურათი შეიცვალა: ბარაკი განათდა და წესიერი სამყოფი გახდა. მაგრამ ამაზე არ შეეჩერდით. გავაკეთეთ მეორე და ბოლოს მესამე სარკმელი. რამდენი სინათლე, რამდენი მზის შუქი შემოიჭრა ბარაკში.

ამან წარმოშვა ნამდვილი აზარტი სინათლეზე. დაუწყეს ძებნა ბოთლებს, წარმოიდგინეთ, კარების გასანათებლადაც კი. როცა ბოთლები გამოილია, გამონახეს გამოუდგარი ფოტონგეატივები, მოაცილეს მას საბურველი, ჩასვეს ფანერში და ნამდვილი მინებიანი ფანჯრის ჩარჩოები დაამზადეს. საზღაპროდ მოკლე დროში მთელი ჩვენი საცხოვრებელი ფართობი მზის სხივებით აივსო.

პირველად ჩვენი კამბუზი (სამზარეულო) ქვაბჩამოკიდებულ უბრალო სამფეხს წარმოადგენდა. ეს დიდ უხერხულობას ქმნიდა. ჩვენი ხუროების ღონისძიებით მალე ავაგეთ ნამდვილი სამზარეულო. დახურულ შენობაში მოვაწყვეთ სუპის სახარში და წყლის გასაცხელებელი. აქაც ჩვენ გვიშველა რკინის ბოჭკებმა. ერთში ჩავდგით ქვაბი, ხოლო მეორეში ვყრიდით ყინულს. ხურდებოდენ ისინი ერთ-



დროულად უფრო სწორად: წყლის გასაცხელებელი ხურდებოდა სუპის სახარშიდან გამოდენილი კვამლის გაზებით. ვზოგავდით რა სათბობ მასალას, ჩვენ ერთბაშად ვღებულობდით სუპსაც და წყალსაც. ერთ გამოცალკევებულ კუთხეში ჩვენ სპეციალურად ჩამოვკიდეთ რამდენიმე კოჭი და მის ქვეშ მოვაწყვეთ პირისაბანი.

კამბუზს ჩვენ ვუწოდებთ „ვენეციური“, რადგან მის ახლო ყინული გაიწ-გამოიწია და ჩვენი სამზარეულო დადგა ყინულის კიდეზე, წყლის პირად, როგორც განმარტოვებული სასახლე არხის ნაპირას ვენეციაში. ბოლოს ჩვენი კამბუზი მაინც განადგურებული იქნა: 9 აპრილს ყინულების შეკუმშვის დროს იგი მოყვა უზარმაზარ ყინულოვანი ზეავის ქვეშ.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



დურგლები აშენებენ ხის ბარაკს.

ბევრი ქონება გადავარჩინეთ გემიდან, ვიდრე იგი წყალში დაიშალებოდა, მაგრამ უფრო მეტი დარჩა წყალში და ყინულებში. მისი დაღუპვის შემდეგ, ამ დარჩენილებს შორის მესამე ტრიუმიდან ამოტივტივდა ფქვილით სავსე მრავალი ტომარი. ჩვენ ვიჭერდით მათ წყალში, ან ვაძრობდით მათ ყინულებიდან, როცა ტომრები მათ შორის იყვნენ გაჩხირული და შეყინული.

ამგვარად მოვიპოვეთ 16 ტომარი ფქვილი.

თუ მანამდე ერთადერთ პურეულ პროდუქტს წარმოადგენდა გალეტი, ეხლა შესაძლებლობა გვეძლეოდა მოგვეგვარებია პურის ცხობა. მაშასადამე, — უნდა მოგვეწყო პურის ქარხანა. ჩვენმა ბრიგადამ იკისრა ესოდენ რთული საქმის გაკეთებაც. განვაგრძობდით რა ნაფებიდან სპილენძის აძრობას, ჩვენ ამგვარად მოპოვებული სპი-

ლენძით ბანაკის მრავალი საჭიროება დავაკმაყოფილეთ. თუმცა სპი-  
ლენძი მაღალი ტემპერატურისათვის გამოსადეგი არ არის, ჩვენ მაინც  
გადავწყვიტეთ გაგვეკეთებია მისაგან „დუხოვკა“. ლუმელად გამო-  
ვიყენეთ ისევ რკინის ბოჭკა, რომელსაც დუხოვკისათვის გვერდზე  
გავუკეთეთ ნახვრეტი.

შემდეგ მოვნახეთ შესაფერი მასალა თვით დუხოვკის კარკასი-  
სათვის. საჭირო შეიქნა ველბოტიდან 2 პრტყელი რკინის ჩარჩოს  
მოხსნა. ჩარჩოებში გავამაგრეთ სპეციალური სახმობი, პრტყელ ზო-  
ლოვანი რკინისგან გავაკეთეთ ორი კვადრატი. შევავერთეთ ის სიგ-  
რძივი თამასებით პარალელურ მდგომარეობაში. ამგვარად მიღებულ  
კარკასზე შემოვავლეთ სპილენძის ფურცელი და გავუკეთეთ ფსკერი.  
მივიღეთ თითქმის ნამდვილი დუხოვკა.


მრავალმა მუშა-მკრთხველმა იცის, თუ რა ძნელია ხანდახან  
ლითონის ბურღვა ხელის იარაღით, მაგრამ ჩვენ არც ის გვექონდა-  
4 მილიმეტრიანი ბურღის ნაჭერი, დურგლის ციბრუტში ჩაჭედილი,  
გადავაქციეთ ჩვენ საბურღ დაზგად.

ძალღონის დაჭიმვით 4—5 წუთში ვახერხებდით ერთი ნახვ-  
რეტის გაკეთებას ლითონში. მოქლონებათ ვხმარობდით ლურსმნებზე  
წაჭრილ თავებს. გამაწვალებელ ბურღვას, მოუხერხებელ მოქლონ-  
ვას მოუნდით 3 დღე, როგორც იქნა მეოთხე დღეს დუხოვკა ჩავდე-  
ვით ბოჭკაში და დავკიდეთ სპეციალურ კაუჭებზე, რომ არ ჩამოვარ-  
დნილიყო. ბოჭკასთან სახსრებზე ჩამოვკიდეთ კარი, რომელიც მჭი-  
დროდ ხურავდა დუხოვკის გამოშვებულ ბოლოს. დუხოვკის ქვემოდ  
ბოჭკაში ცეცხლს ზევით დავკიდეთ ბოჭკიდან აგლეჯილი ფსკერი  
იმისათვის, რომ თანაბრად გახურებულიყო დუხოვკა და არც სპი-  
ლენძი დამწვარიყო. აწყობის დამთავრების შემდეგ მოვაწყეთ პურის  
სანიმუშო გამოცხობა. მივიღეთ ჩინებული ნაყოფი — შესანიშნავად გა-  
მომცხვარი პურის წითელი შოთები. ამ საცდელი გამოცხობის შემ-  
დეგ „ქარხანა“ საექსპლოატაციოდ გადაექცა ხაბაზებს.

შელპოვარი შრომით და გამომგონებლობით ჩვენ დავაკმაყოფი-  
ლეთ ბანაკის ისეთი დიდი საჭიროება, როგორიც არის საცხოვრე-  
ბელ ფართობის „თბოფიკაცია“, განათება, პურის ქარხნის აგება და  
სხვა. არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დავგეტოვებია ფართო მოხ-  
მარების წვრილმანები. ვალენკების დასაკერად საჭირო მახათით და-  
წყებული და დაზიანებული თვითმფრინავის რემონტით დამთავრე-  
ბული. ყოველივე ეს ჩვენს ბრიგადას უნდა გაეკეთებია. ყველაფერის  
ჩამოთვლა ძნელია. 104 კაცის კოლექტივი ათასგვარ და მრავალრი-  
ცხოვან საშინაო მოსახმარ ნივთს საჭიროებდა. გადარჩენილ პრიმუსს

ზშირად ფეხები ტყდებოდა, მაგრამ ჩვენ არა გვეჩნდა საკავშირე-  
ბელი სიმკვავეები და ნიშადური. ტყვია მოგვეჩნდა იმავე სპილენძის  
ბაკებიდან, ლუმელში ვადნობდით ტყვიის ნაჭერს და ამგვარად ვა-  
კავშირებდით მომტვრეულ ფეხს პრიმუსზე. გავაკეთეთ ოთხი ტაფა  
თუნუქის ყუთებისგან, რომელშიაც ვაზნები ეწყო. დავამზადეთ პი-  
რისაბანები სპილენძიდან, ვაკეთებდით სათვალეების ფუტლიარებს

ფოტო გ. უშაკოვის



სამზარეულო (კამბუზი).

და მათზე ვაგრავეიურებდით „ჩელიუსკინის“ დალუპვის კორდინა-  
ტებს“. იმავე სპილენძისგან, რომელსაც ორჯად ვკეცდით, ვაკეთებ-  
დით დომინოს. ვამზადებდით აგრეთვე ანჯამებს კარებისათვის, კა-  
რების ხელისჩასაკიდებს მავთულისაგან, ერთი სიტყვით ჩვენ სავსე-  
ბით ვაკმაყოფილებდით კოლექტივის ყველა საჭიროებას. მაგრამ  
ჩვენ მომსახურებას ვუწევდით არა მარტო ჩვენი ბანაკის მოსახლეო-  
ბას. როცა სლენიოვის თვითმფრინავი გვერდითი ქარის გამო აე-  
როდრომზე უხერხულად დაეშვა, მანქანას გაუტყდა სტაბილიზატო-  
რი, თვითმფრინავის კორპუსს მოგჯა სიმავრეები და დაუზიანდა სხვა  
ნაწილები. ჩვენ ძალიან სწრაფად იქვე აეროდრომზე ვაწარმოებდით  
მანქანის შეკეთებას. სტაბილიზატორის გაგზავნა კი ბანაკში მოგვი-

ხდა, შემოვიტანეთ იგი ჩვენს კარავში, როგორც ყველაზე დიდ კარავში (ბარაკი კი უკვე დაღეწილი იყო).

კარავში ვცხოვრობდით 7 კაცი. ჩვენი ამხანაგები ერთად შექუჩული მაგრად ხვრინავდენ ჩაქუჩის ცემაში. ჩვენ კი, ვასია ბამეინთან ერთად, მთელი ღამის განმავლობაში ვაკეთებდით სტაბილიზატორის კოლოფს. მხოლოდ დილის 5 საათზე დავამთავრეთ ეს მუშაობა, ხოლო 6 საათზე უკვე მივეშურებოდით აეროდრომზე მანქანის ასაწყობად. ამ დროისათვის დაიწყო ამხ. მოლოკოვის და კამანიის ხშირი მიმოფრენა. 11 აპრილს 2 საათზე სლენიოვის ამერიკული მანქანა უკვე შეკეთებული იყო, და მან აიყვანა რა ყინულიდან 5 კაცი, მშვიდობიანად გადაფრინდა მატერიკის ნაპირზე.

ამგვარად, ყინულოვან უდაბნოში მოხვედრილ პროლეტარებს დარდისაგან გულზე ხელი არ დაუკრეფიათ და თვითონვე დაამზადეს მეურნეობისათვის საჭირო ყველა საგანი.

#### ი. ნესტეროვი.

„ჩელიუსკინის“ მემანქანე.

## წითელი არმიის დღე ბანაკში

ჩელიუსკინელთა გმირული კოლექტივი 10 დღის განმავლობაში შეუსვენებლად, პურგასა და ყინულში ეწყობოდა ახალ ბინაზე.

საამშენებლო მასალები ცურავდენ წყალში. ჩელიუსკინელებს ისინი ამოქონდათ ყინულზე. 10 დღეში დაიდგა ბარაკი, კამბუზი, კარავები, ღუმელები. აქვე აიშართა სურსათის საწყობი, იდგენ ათობით ძვირფასი საწვავით სავსე ბოჭკები. გარეგნულად ბანაკი ჰგავდა სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც ეს არის დაიწყო.

ასე იქმნებოდა შმიდტის ბანაკი.

22 თებერვალს საღამოს ჩელიუსკინელებმა თავი შეიყარეს ახლადგებულ კულტურის სახლში—ბარაკში. ოტო იულევიჩმა თავის ვრცელ სიტყვაში შეაჯამა კოლექტივის ათი დღის მძიმე მუშაობის შედეგები და გააცნო კრებას მთავრობის მიერ ჩვენს გადასარჩენად მიღებული ზომები.

— ჩვენ უდიდესი მუშაობა გადავიტანეთ,—განაცხადა ოტო იულევიჩმა, ჩვენ დავიმსახურეთ დასვენების უფლება. ხვალ შეგვიძლია დავისვენოთ და ვიდღესასწაულოთ წითელი არმიის მორიგე წლისთავი.




მაგრამ დასვენება არ მოხერხდა. წყალში ისევ ცურავდნენ საშენი მასალის ნარჩენები, ბოჭკები საწვავით და მძლავრი ველობოტები. ჩვენ არ შეგვეძლო დამშვიდებული ვყოფილიყავით. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო ყინულების ახალი შეკუმშვა და მაშინ დაგვარგავდით წყალში მცურავ მთელ სიმდიდრეს. შეიძლება ეს ველობოტები აუცილებელი გახდეს, თუ ნაპირამდე ფეხით წასვლა მოგვიხდა.

ამიტომ კოლექტივმა გადასწყვიტა არ დაესვენებია წითელ არმიის დღეს და აღენიშნა ეს თარიღი ძალების ახალი დაძაბვით, გადაერჩინა დაღუპული გემის ნარჩენები.

ამინდმაც თითქოს ხელი შეუწყო ჩელიუსკინელებს. 23 აპრილს დილით დადგა უქარო მზიანი დღე და ამიტომ 30 გრადუსიანი ყინვა ადვილად ასატანი შეიქნა.

ნახ. ჩელიუსკინელ კომკავშირულ მხატვრის ფე დ ი ა რ ე შე ტ ნ ი კ ვ ი ს



ღამე შმიდტის ბანაკში.

უკვე დილის 7 საათზე ბანაკმა გამოიღვიძა. ბრიგადირები მიიჩქაროდნენ ანატოლ კოლესნიჩენკოს კარავში. აქ გამოიმუშავეს ნივთების გადასარჩენი სამუშაოების გეგმა და გაანაწილეს ძალები. ნახევარ საათის შემდეგ ჩელიუსკინელები იდგნენ წყლის პირად.

გემი უკვე აღარ არის, მაგრამ სიტყვა „ჩელიუსკინი“ ისევ ცოცხლობს. „ჩელიუსკინი“ — ასე ეწოდება ახლა იმ ადგილს, სადაც

გემი დაიღუპა, ამიტომ არავის აკვირვებს, როცა გაისმის ანატოლ კოლესნიჩენკოს კომანდა:

— ზადოროვის ბრიგადა მუშაობს ბაკზე, შიშოვის ბრიგადა— „სპარდეკზე“, ზაკორსკის ბრიგადა— ტიჩოზე.

„გემის ბაკი, სადაც ვალოდია ზადოროვის ბრიგადა მუშაობს, წარმოადგენს ერთიმეორეზე ახორიალებულ ყინულთა დიდ უფორმო ხროვას, რომელიც შემორტყმულია საშენი მასალით. აქ ბრიგადამ დიდი სიფრთხილით, შეუპოვრობით, ხანდახან დიდი რისკით უნდა მოიპოვოს სათბობი.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



შიდტის ბანაკის საერთო ხედი სასიგნალო კოშკიდან.

გაისმის ხმები: „ვანია, დაიწყე“. ვანია იწყებს სიმღერას, ბრიგადა ხმას აყოლებს, მაგრამ კოჭი ადგილიდან არ იძვრის.

— იმღერე, ვანია, უფრო გრძნობით, როგორც იტყვიან ცრემლებით, ამისათვის შენ ჯილდოს ლეებულობ. ვანია უმატებს ხმას. ბრიგადა ეჭაჩება, ზოგი კარგავს წონასწორობას, ფეხი უცურდება ტოროსებზე, ვარდება ნაპრალში, მაგრამ უცხად ამოდის წელამდე წყალში დასოლებული და კვლავ ეძგერება სამუშაოს. ბოლოს კოჭი ვერ უძლებს ძლიერ შეტევას და ნელნელა გამოდის ყინულოვან ტოროსების მუხრუჭებიდან.

როცა ამგვარად გამოთრეული იქნა 10 კოჭი, ვალოდია აცხადებს შესვენებას.

დალლილი ბრიგადა ჯდება ყინულზე, მაგრამ მხიარულება ერთი წუთითაც არ შორდება მათ. ბრიგადა არ ეშვება ვანია რუმიანცევზე, ეხვეწება მას მოყვეს ძველი სათავგადასვლო ამბები. ვანიაც, როგორც ნამდვილი ძველი მეზღვაური, გასტენის თუნუნით ყალიონს, გააფურთხებს განზე და იწყებს:

— ჩემი ხეტიალი ალჟირში მეფისდროინდელ სავაჭრო ფლოტზე სამსახურის დროს.

ზადროვის ბრიგადის გვერდით მუშაობს პეტია შირშოვის ბრიგადა. აქაც ისეთივე პირობებია იმ განსხვავებით, რომ მსხვილი საშენი მასალა უკვე გამოთრეულია ყინულის ტოროსებიდან, ამიტომ აქ მეტია ნაპრალები, მეტია წყლის გუბეები, მჭმასადამე, შანსებიც წყალში ჩაყურყუმალების. ბრიგადას წყლიდან ამოაქვს წვრილი მორგვალო ხეები. ეს მუშაობა მეტად გაჭიანურებული და მომაბეზრებელია. ხის ერთი ნაჭერის ამოსაღებად საჭირო ხდება ყინულის მთელი ლოდების დამსხვრევა.

აგერ მოდის ჰიდროლოგი ხმიზნიკოვი. იგი მოათრევს მორგვალო ხეს. მას უკან მოსდევენ ინჟინერ-ფიზიკოსი ფაკიდოვი, მწერალი სემიონოვი; ექსპედიციის უფროსის მოადგილე ბავსკი. უცბად ეს მკაცრი ბრიგადა ხარხარებს. თურმე მხატვარი რეშეტნიკოვი და კინო-ოპერატორი შაფრანი, რომელნიც ახალი ხის ნაჭრების წამოსაღებად მიდიოდნენ, შეხვდნენ ხმიზნიკოვის და ფაკიდოვის ჯგუფს და მათ წინ ცეკვა-თამაშათ მოყვენ სიმღერას:

Мы держали здесь один

Музыкальный магазин...

Ах... здесь те!

მაგრამ ამ წუთიერი გახუმრების შემდეგ, ბრიგადა თითქოს დაკარგულ წუთებს ნანობსო, უფრო მეტი ენერგიით განაგრძობს მუშაობას.

ბოჭკები დაცურავენ დიდ ფართობზე: აქ საჭირო ხდება წყალში მუშაობა, მაგრამ ბრიგადა, რომელიც მეტწილად მეზღვაურები-საგან შესდგება, დიდი მოხერხებით და საქმის გაუჭიანურებლად იჭერენ ბოჭკებს და ყინულზე ამოაქვთ, მაგრამ აქაც ხდება ხოლმე მოულოდნელი რამ. აგერ გაისმის დურგალ კულინის ხმა:

— ბიჭებო, აქეთ! კარაქით სავსე კასრს წაეაწყდით.

პირველად ყველას ხუმრობა ჰგონია, მაგრამ კულინის დაჟინების შემდეგ, ბრიგადა მისკენ გარბის და ხედავს, რომ კასრი მართლაც სავსეა კარაქით.

სურსათის თითოეული გრამი ყინულზე მთელი დოვლათია. ბრიგადას დიდი სიფრთხილით მიაქვს კარაქით სავსე კასრი საწყობში, რაც მთელი ბანაკის სიხარულს და ზეიმს იწვევს.

ჩელიუსკინელების ის ნაწილიც, რომელიც არ მონაწილეობს „გემზე“ წარმდებულ მუშაობაში, უსაქმოდ არ ზის.

ბარაკში მოწყობილია შინამრეწველთა არტელი, რომელსაც ეწოდება „ტექნიკა ფანტასტიკის მიჯნაზე“. სხვადასხვა ნამსხვრევისგან და ნარჩენებისგან ბრიგადა აკეთებს კოვზებს, ჯამებს, ლუმელბის კარებს, სწმენდს პრიმუსებს.

ქალებისაგან შემდგარი მეორე ბრიგადა ასრულებს საკერავ სამუშაოებს, კერავს ხელთათმანებს და სხვ.

ღურგლების ჯგუფი ამთავრებს კარვების დადგმას. მეორე ჯგუფი მუშაობს იმაზე, რომ თავისი კარავი უფრო თბილ ბინად გადააქციოს. ტკეპნიან კარავის გარშემო თოვლს, რომ დაგმანონ კარავზე შემჩნეული ყველა ნახვრეტი.

— ყველა ველბოტებზე,—ეს სადღეისო მუშაობის უკანასკნელი ნაწილია.

ბრიგადები სტოვებენ თავიანთ უბნებს და მიდიან ველბოტებთან. საერთო ღონისძიებით (56 კაცის დამტვევი თითოეული) ველბოტები მიტანილია ბარაკისაკენ.

სიტყვა ეძლევა შ მ ი დ ტ ს .

— ამხანაგებო, თქვენ დღეს ერთხელ კიდევ დაამტკიცეთ, რომ კოლექტივის ძალას და ნებისყოფას, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, შეუძლია დასძლიოს არა მარტო ისეთ სიძნელებები, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, არამედ უფრო მეტი.

ასე ჩაატარეს ჩელიუსკინელებმა წითელი არმიის წლისთავი:

მ. ს. ბაბუშკინი.

## აეროდრომი ყინულზე

უკვე დეკემბრის ბოლოა, მაგრამ ყინულებს ისევ მაგრად ვყავართ ბრჭყალებში. დაიწყოდლიერი ყინვა, პურგა, ქარბუქი. თუ აქამდე კიდევ გვქონდა ყინულებიდან თავის დაღწევის იმედი, ახლა ასეთ ყინვებში რაიმე იმედზე ლაპარაკი ზედმეტია. გაზაფხულამდე ზედმეტია ფიქრი რაიმე წინსვლაზე. მაშასადამე, ზამთრობა გვიხდება.

საჭიროა მატერიკის ნაპირზე გადავსხათ ქალები და ბავშვები, ავადმყოფნი და სუსტნი, ხოლო გემზე დავტოვოთ მხოლოდ მექანიზმების მომსახურეობისათვის საჭირო ხალხი და სამეცნიერო მუშაკები. მატერიკზე ექსპედიციის მონაწილეთა გადაყვანის ერთადერთი საშუალება—ეს თ ვ ი თ მ ფ რ ი ნ ა ვ ი ა . მაგრამ თვითმფრინავისათვის საჭიროა მოედანი.



და აი მთავარი კითხვა ეს არის—სად გამოენახოთ მოედანი? საქმე ის არის, რომ ყინული ჩუკოტის ზღვაში თავისი ხასიათით არ ჰგავს ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ზღვების ყინულებს. ჩუკოტის ზღვის ყინულები ისე, როგორც სხვა ყინულები, იყინებიან



სწორ, პრტყელ ველებად, მაგრამ შეიცვლება ქარი და პრტყელი მინდვრებიდან აღარაფერი არ რჩება, გარდა ერთი მეორეზე ახორიალებულ ყინულოვან ლოდები-სა. ხანდახან ერთიმეორეზე ახორიალებული ყინულები 4-დან—15 მეტრის სიმაღლით გაწოლილი არიან შეკუმშვის ხაზზე რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ახალი ქარი გადააქცევს ხოლმე მათ გაუვალ ყინულოვან ქაოსად.

რაიონში, სადაც „ჩელიუსკინი“ მოემწყვდა, ყინულების განსაკუთრებული ქაოტიური მდგომარეობა იყო. ოტო იულევიჩმა მაინც მიმიწვია თავის კაიუტაში, გამაცნო ნაპირზე ხალხის გადასმის გეგმას და წინადადება

მომცა გამომენახა შესაფერი ადგილი აეროდრომისათვის.

მეორე დღეს, გემის ხიდიდან დავათვალიერე რა ბინოკლში მიდამოები, თხილამურებით გავეშურე მოედნის საძებნად. თხილამურებით...

იმისათვის, რომ წარმოიდგინოთ, თუ რა არის თხილამურებით ყინულებზე სიარული, უნდა იცოდეთ რა არის ტოროსები. სწორედ ამის შესახებ მინდა გიამბოთ.

ტოროსები ეწოდება ერთიმეორეზე ახორიალებულ ყინულის ლოდებს. მაგრამ არის ლოდებიც და ლოდებიც. არიან ტოროსები, რომლებიც განცვიფრებას იწვევენ თავისი მასიურობით. თქვენ უნე-

ბურად ჩერდებით, განცვიფრებით ათვალეირებთ რა მრავალწლოვან ყინულების ვეება ლოდებს, რომელნიც ასეულ ტონებს აიწონიან.

რა ძალის უნდა იყოს შეკუმშვა, რომელიც აბ ასეთ „ნაგლეჯს“ შეაგდებს ყინულოვანი მინდვრის ზედა ნაპირზე.

კიდევ უფრო მეტს შთაბეჭდილებას სტოვებს თვით შეკუმშვა, როდესაც ყინულები მოდიან მოძრაობაში და თქვენ თვალწინ ერთიმეორეზე შეხორიალებული ლოდები იქცევიან უზარმაზარ ყინულოვან ზედავად, რომელიც ნელინელ თქვენსკენ მოეშურება. ძალაუბურად იხედებით აქეთ-იქით, სულგანაბული შესტკერიით ამ მოახლოვებულ საშიშროებას და თავს გრძნობთ უპატარავეს არსებად და უმწეოდ შეაჩეროთ ეს მოძრაობა. ასეთი განცდა განსაკუთრებით მწვავეა, როცა შეკუმშვა მოგისწრებთ მაშინ, როცა მოწყვეტილი ხართ კოლექტივის. ჩემთვის ეს გრძნობა განსაკუთრებით ნაცნობია. მე არა ერთხელ მოგხვედრივარ ასეთ მდგომარეობაში, გემიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული.

სულ სხვა შთაბეჭდილება იქმნება, როცა თქვენ დიდ კოლექტივში მოხვდებით. მაშინ შიში ნაკლებად გიპყრობთ, თქვენ გრძნობთ რალაც ძალას, დახმარებას ამხანაგებისას, თუმცა ისინიც ისე უმწეონი არიან, როგორც თქვენ, მაგრამ გარშემო მოდებულნი ხმაური, ოხუნჯობა, სიცილი გამხნივებენ და ფანტავენ ფიქრს საშიშროებაზე.

სწორედ კოლექტივის გრძნობამ ითამაშა ასეთი მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ექსპედიციის გადარჩენაში. ჩვენს შორის სრულიად არ უჩენია თავი პანიკას.

მაგრამ მე მგონია ძალიან დავშორდი საგანს და თითქოს მესმის ვისილაც ხმა: „ახლო ტემასთან“. მაშ, ასე: მივდივარ თხილამურებით აეროდრომის გამოსაძებნად. მიუხედავად ტოროსებისა, ზამთარში ყინულზე სიარული მაინც თხილამურებით უფრო ადვილია. ზამთრობით აქ ღრმა თოვლს სდებს, რაც ძალიან აძნელებს უთხილამუროდ სვლას ტოროსებიან ყინულზე. ხანდახან ყინულის ლოდებს შუა წელამდე ეფლობი თოვლში და აქედან თავის დაღწევა მალე გქანცავს. თხილამურებით სვლის დროს, თუმცა ძნელია მაღალ ტოროსებზე გადახობება, მაგრამ მაინც თოვლში არ ეფლობი და კარგად მიდინარ.

მე გავეშურე „ჩელიუსკინიდან“ სამხრეთის მიმართულებით. რამდენიმე დღის წინად იქ იყო ალაგალაგ ყინულგამყოფი წყალი, რომელიც გაიყინა და შესაძლოა, დაცული ყოფილიყო. ჩემი მოსაზრება გამართლდა. გემიდან 2 კილომეტრზე მე წავაწყდი პატარა მინდორს. ამ ველის გასაწმენი მცირე მუშაობის შემდეგ შეიძლება და მიგველო 150 მეტრი სიგანის და 550 მეტრის სიგრძის მოედანი.

ზუსტი დაშვების დროს აქ შეიძლება მიღებული ყოფილიყო თვითმფრინავი, თუ იქნებოდა უქარო ამინდი ან ქარი, რომელიც ზოლის გასწვრივ იქროლებდა.

რამექნა? სხვა უფრო შესაფერი ადგილი არსად ჩანს. მე გავსინჯე გაყინული ველის სისქე. იგი საკმარისი არ აღმოჩნდა თვითმფრინავის მისადებად; საჭიროა არა ნაკლებ 35 სმ, აქ კი—20 სანტიმეტრია.

დავბრუნდი უკან. ვუამბე ჩემი ძიების შედეგებზე. გადავწყვიტეთ მოგვეცადა. როცა უფრო მეტად გაიყინება, მაშინ დავიწყებთ გაწმენდას.

მაგრამ გაწმენდა არ დაგვჭირდა: 2 დღის შემდეგ ამოვარდა სამხრეთის ქარი და მოედანი დალევია. ამას ჩვენ მაინც-დამაინც არ დაულონებიათ. ჯერ ერთი, თვით მოედანი იყო პატარა, ძალიან შემოზღუდული; მეორე—ქარმა მიმოფანტა ყინულები—გაჩნდა წმინდა წყლის ფართო მოედანი. დადგა ძლიერი ყინვები, და მე იმედი მომეცა, რომ წყლის ზედაპირი დაიფარებოდა ყინულით და ჩვენ გვექნებოდა კარგი აეროდრომი. ასეც მოხდა.

ქროდა უმნიშვნელო ქარი, რომელიც შემდეგ სრულიად ჩაღდა. 3 დღის შემდეგ გავეშურე ყინულგამყოფ წყალზე. მიუუახლოვდი და თვალს არ ვუჯერებ: ჩემ წინ გადაიშალა სწორზე სწორი მინდორი სიგრძით 2 კილომეტრი და სიგანით 600—700 მეტრი. გავშინჯე სისქე, რომელიც უკვე 15 სანტიმეტრს უდრიდა. სასწრაფოდ ვბრუნდები უკან გემზე, რომ ოტო იულევიჩის შევატყობიო სასიხარულო ამბავი: უკვე გვაქვს ახლა აეროდრომი, რომელზედაც შეიძლება მივიღოთ მთელი ესკადრილია, ოღონდ კიდევ უფრო გაიყინოს. არავითარი მუშაობა საჭირო არ არის.

ოტო იულევიჩი გაახარა ამ ცნობამ და ყოველდღე თვალყურს ადევნებდა გაყინვის მიმდინარეობას. მაგრამ აქედან იწყება ჩვენი წამება.

ყინული, რომელიც დღიდან-დღე სქელდებოდა უკვე ავიდა 30 სანტიმეტრამდე. ერთხელ დილით მივდივარ და... ო, საშინელება, მინდორი დალევია. აღმოსავლეთის მხარეზე გაჩენილა ნაპრალი. შეშფოთებულმა შემოგურბინე ირგვლივ მოედანს, გავზომე და დავმშვიდდი, არფერია! მაინც გამოდის 300 მეტრი სიგანის და 800 მეტრი სიგრძის აეროდრომი.

განვაგრძობ დაკვირებას შემდეგაც. აი ყანულის სისქემ უკვე 40 სანტიმეტრს მიაღწია. შეიძლება თვითმფრინავების მიღება. მაგრამ მეორე უბედურება—იქ, მატერიკზე დაიწყო პურგა, ნის-

შეიცავს. 4 საფოტო საათს

ჩვენთანაც ამინდი დღითი-დღე უარესდება. ქროლა დაიწყონორდ-ოსტმა. ყინული ამოძრავდა. ისე ძლიერი ბუქია, რომ ათ ნაბიჯზე გზა აგებნევა. რა მდგომარეობაშია აეროდრომი?—აი რა მაწუხებს ყველაზე უფრო.

ერთი კვირის შემდეგ, ქარი იწყებს ჩადგომას. ისე ძალიან აღარ ბუქავს, შეიძლება მოედნისკენ გამგზავრება. ვდგები დილით, ნაუცბათევად ვსაუზნობ და მივიჩქარი მოედნისაკენ. ძლივს ვპოულობ ჩემ მიერ გაკვლეულ გზას, ვალწევ ყინულის პირველ ზევაამდე, ავღივარ მასზე მალა და ვიყურები იმ მხრისაკენ, სადაც აეროდრომი შეგულდება. ტოროსებიანი ყინულების გარდა, არაფერია. ადგილი ისე გამოცვლილია, რომ ვერ იცნობთ. მოედანი თითქოს არც არასოდეს ყოფილა.

საჭიროა ახალის გამოძებნა. ვბრუნდები „ჩელიუსკინზე“, მოვახსენებ აეროდრომის გაქრობას. სათბირზე გამოგვაქვს გადაწყვეტილება, რომ საჭიროა ვიქონიოთ რამდენიმე შესაფერი მინდორი. თუ ერთი დაიმსხვრევა, შეიძლება მეორეთი ვისარგებლოთ. მოედნების საძებნად გამოვყავით რამდენიმე კარგი მეთხილამურე. ჩვენს გარშემო მდებარე მთელი ყინულოვანი უბანი დავყავით სექტორებათ, ყოველ სექტორში გავგზავნეთ ორ-ორი კაცი იმ ანგარიშით, რომ ყოველი რწყელი გაივლის 5 მილს პირდაპირი ხაზით, 3 მილს განდიგან და შემდეგ დაბრუნდება გემზე.

საჭიროა შეიქნა „აეროდრომების მძებნელი“ კადრების სასწრაფოდ მომზადება.

მე წავუქითზე გამოყოფილ ამხანაგებს ინსტრუქციები და ავუხსენი, თუ რა მოეთხოვებათ მათ. ისინიც გაეშურენ. ჩემთან ერთად სამხრეთ ნაწილში წამოვიდენ კაპიტანი ვორონინი და ბორტმექანიკოსი ვალავინი.

შემოვიარეთ დიდი რაიონი და ავარჩიეთ რამდენიმე მოედანი. პირველი—2 კილომეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთით. მის წესრიგში მოსაყვანად საჭირო 120 კაც-დღე. მეორე საჭიროებდა 90 კაც-დღეს. მესამე, რომელმაც ჩვენ ყველაზე უფრო გაგვახარა,—იყო მოედანი ძველი ყინულისაგან 5 კილომეტრის დაშორებით, სიგრძით 800 მეტრი, ხოლო სიგანით 400. თვითმფრინავისათვის ამ მინდვრის გამოსადეგ მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო იყო აქ 50—60 კაც-დღის მუშაობა.

სალამოს შეიკრიბა დაზვერვის ყველა მონაწილე. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩვენს სექტორშია ასე თუ ისე გამოსადეგი მოედნები.





მფრინავი ბაბუშკინი და ბორტმეჩანიკი ვალავინი ვანკარემის  
აეროდრომზე.

სხვაგან არსად არაა. გარშემო ყველაფერი დამტვრეული და გათქვეფილია.

„ჩელიუსკინის“ დაღუპვის შემდეგ, აეროდრომისთვის ბრძოლამ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. ექსპედიციის ყველა მონაწილემ შეიტანა საქმეში თავისი წვლილი ბარით, წერაქვით, წერაყინით, იპყ და რა ახალ-ახალ მოედნებს ჩუკოტის ზღვის ცინულოვან სივრცეზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გავაკეთეთ დაახლოვებით 15 დასაფრენი მოედანი, დავამტვრიეთ და ნამსხვრევებად ვაქციეთ 100 ტონობით ცინული, კილომეტრებით განიზომება ჩვენს მიერ გაწმენდილი მოედნები.

გასაგებია, თუ რა ზეიმს წარმოადგენდა ჩვენთვის მოფრენა ლიაპიდევსკის, რომელიც ოსტატურად დაფრინდა ოდნავ გამოსადეგ მოედანზე.

რა მრისხანეც არ უნდა ყოფილიყო ჩუკოტის ზღვა, რა ვერაგიც არ უნდა ყოფილიყვნენ ცინულები, ჩელიუსკინელების შეუპოვრობა და სიმტკიცე მაინც ვერ მოდრიკეს.

არქტიკის ცინულებმა გასრისეს ჩვენი გემი, მაგრამ ჩვენ ვერ დაგვამარცხეს.

ჩვენ მზადა ვართ ახალი ძალებით ვეკვეთოთ სტიქიას და დავამარცხოთ იგი საბოლოოდ.

**პრენსტ კრენკელი.**

## **რადიოს დადგმა შმიდტის ბანაკში**

„ჩელიუსკინის“ ჩაძირვის შემდეგ, ბინდბუნდში, პურგაში დაიწყო გვარების ამოკითხვა. ერთი კაცი აღარ არის ჩვენ შორის. გააფრთხილებული მუშაობით გაოფლიანებული ხალხი 30 გრადუსიან ცინვაში და 7 ბალიან ქარის ქროლაში განაგრძობს მუშაობას; აგროვებენ აქა-იქ დაფანტულ ბარგებს, იწყებენ კარვების დადგმას. რადიო ბრიგადა დგამს ანძას. უკვე ძალიან ჩამოზნეულა. საგნები სხვადასხვა ადგილას არიან მიფანტული. სად არის საანძე ჯოხები? თანაშემწეები ბევრი მყავს, მაგრამ საქმე ნელა კეთდება. თოვლში ჩარჭობილი საანძე ჯოხები, მიაღწევენ რა ცინულს, არ კავდებიან, ანძა არ იმართება. ბინდბუნდში მოსიარულე ამხანაგები ეჯახებიან ანძის გასაჭიმ

მავთულებს და ლამის არის წააქციონ ანძა. ცულებზე დიდი მოთხოვნილებაა, ყველას სჭირია იგი, მაგრამ რადიოსათვის ვლებულობ ცულს პირველ რიგში. როგორც იქნა, ანძა ავმართეთ. გასაქიმ მავთულებს ვამაგრებთ ჯოხებით ან პაპიროსით სავსე ყუთებით. ვიწყებთ ანტენის გაბმას, უკვე სულ ბნელა. ამხანაგებს ფეხში ებლანდებათ ანტენა და ლამის წააქციონ ესოდენი ჭაპანწყვეტით ამართული ანძები. იმართება მეტად მოკლე, მაგრამ მაინც ფერადოვანი დიალოგები. ანტენა ამართულია, წვრილი საანძე ჯოხები იზნიკებიან მიძიმე ტვირთ ქვეშ. ხანდახან მუშაობა ფერხდება. ერთადერთი კარავი დაკავებული აქვთ ქალეზსა და ბავშვებს. არსად არ არის ადგილი რადიო-აპარატის მოსათავსებლად. ბოლოს, როგორც იქნა, ანძის ახლო დაიდგა კარავი. შევეუთანხმდი კარავის პატრონებს და შემაქვს იქ აპარატურა. კუთხეში ვაგროვებ აკუმულატორებს, გადამცემ და მიმღებ აპარატებს და ათასგვარ წვრილმანს. კარავს იატაკად აქვს ფანერი. კუთხეში ვიწყებ რადიოს აწყობას, განათება სუსტია. ჩვენი საერთო საყვარელი მხატვარი ფედიკა რეშეტნი-



კოვი მინათებს მინებჩამტვრეული ფანრით. თვალს ადევნებს ჩემი ხელების მოძრაობას. მე მუშაობა მიხდება შიშველი ხელებით: გაყინული დანა, მავთული, მაკრატელი და რკინის სხვა იარაღები თავისი სიცივიტ მწავავენ ხელებს. ხანდახან ხელებს ვითბობ სახელოებში, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ სითბო ნაკლებია. ვგრძნობ, რომ, არ ვიცი, მიშრება, ორ ვიცი, მეყინება ოფლისაგან დასველებული თეთრეული, მუხლები მეკვეთება. შეუძლებელი ხდება ფეხების გაჭიმვა, რადგან კარავი გაჭედლია ხალხით. როგორც იქნა, ბოლოს მიმღები შეერთებულია. ვიხდი ქუდს, ყურებზე ვიცვამ სასმენ მიღებს—ისინი თავისი სიცივიტ მწავავენ ყურებს, მაგრამ მიღები მალე ხურდება. მიმღები სწორად მუშაობს, ვატრიალებ მიმღების ტარს. აი... რალაც ისმის... ვემზადები.

კარგად ისმის უელენის გამოლაპარაკება ჩრდილოეთის კონცხ-  
თან, ეკითხებიან ერთმანეთს: გაიგონე „ჩილიუსკინი“-ო?

უერთებ გადამცემს. უძახი ორივეს. გადამცემი კარგად მუშაობს.  
ყველაფერი რიგზეა. პასუხი არ არის. ისევ ყურს ვუგდებ.

მივდივარ შმიტთან. გავლა აქედან არც ისე იოლი ამოცანაა;  
ვილაცას ფეხებზე ვაბიჯებ, ვილაცას თავზე ვეყრდნობი და ასე  
ვალწევ გასასვლელს. სახეში მცემს სიცივე, პურგა, ქარი. ჯერ კიდევ  
უცნობ გზაზე მივაკვლევ შმიდტს პაწაწკინტელა კარავისაკენ. მთე-  
ლი კარავი უჭირავს ორს: შმიდტსა და ბობროვს. მიწვევენ კარავში,  
მეც ძლივსძლივობით ვძვრები იქ. პირდაპირ ფეხებზე ვაჯდები ოტო  
იულევიჩს და მოვახსენებ ჩემს მიერ მოსმენილს, მისგან კითხვის მო-  
უცემლად ვუძახი მატერიკს. ჩემს აპარატში ჯერჯერობით ყველაფე-  
რი რიგზეა, მაგრამ იქიდან პასუხი არ არის.

ბანცალ-ბანცალით უკანვე ვბრუნდები რადიო-კარავში, ისევ  
ვუსმენ... ისევ ვუძახი... ჩვენ ვერ გვისმენენ. ვიღებ ტალღასაზომს.  
ვზომავე ტალღას. შანსები ცოტაა. ჩვენი ტალღა 300 მეტრია, საე-  
ჭვოა მას ისმენდნენ. ანტენა უნდა გავაგრძელოთ. მაგრამ სიბნელეში,  
პურგაში ეს შეუძლებელია. უნდა ვილოდინო გათენებამდე. ოტო  
იულევიჩი ნებას მაძლევს ვიცადო აპარატთან დილამდე. ისევ უსმენ,  
ვუძახი, მაგრამ უნაყოფოდ... ვწვები დასაძინებლად. თავი სტახა-  
ნოვის მუხლებზე მიდევს, ფეხები მუცელზე. კარავს ქარი არხევს,  
ფანარი ბოლავს. თითქოს ყველას ძინავს, მაგრამ ხანდახან ზოგი  
მწოლარეთაგანი პაპიროსს აბოლებს. ძილი არ მეკარება. ცივა. რო-  
გორც კი ინათებს, რადიო-ბრიგადას ფეხზე ვაყენებ. ვაგრძელებთ  
ანტენას... ახლა ჩვენი ტალღა 450 მეტრია,—ახლა კი უნდა მოგვის-  
მინონ.

ყურს ვუგდებ, ვუძახი. ისმის უელენის კონცხის მუშაობა. საა-  
თი საათს მისდევს. აპარატურაში ყველაფერი რიგზეა. ხანდახან  
ოტო იულევიჩს მოვახსენებ მოსმენილს.

ოტო იულევიჩი განზე მიხმობს.


წყნარი ხმით, რომ არავინ გაიგონოს, მეკითხება: —„დაუკავშირ-  
დებით ნაპირს?“—მიმზერს გამომცდელი, ჩაცხიებული მზერით. უძლებ  
მზერას: —„ღიახ, დაუკავშირდებით. სადგურები გაფრთხილებული  
არიან, მოყურადებულნი გვისმენენ, ჩვენ ძალიან მცირე ძალოვნება  
გვაქვს, უნდა გავაგრძელოთ ტალღა“.

გრძელებდა ყურადღება, გამოძახებდა. გადის ნახევარი დღე,  
მიმღებთან ვაჯენ ივანოვს, თითონ ვეწყობი ღუმელთან, ფეხები  
სითბოში მაქვს, მაგრამ თავი და ზურგი მეყინება. მეყვინთება. მესმის



იენოვი გასაღებს არაკუნებს. ირგვლივ სიჩუმეა. ყველა ავარიის ადგილზეა სამუშაოდ წასული. უცბად უელენი გვპასუხობს, მწისვე გამოფხიზლდი და ბურთივით გავგორდი კარავიდან გარეთ და მაშინვე ვიწყებ ყვირილს: „სად არის შმიდტი“. ხალხი გრძნობს, რომ რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა. ავარიის ადგილას, სადაც ხალხი მუშაობს, ესტაფეტით მიქრის სიტყვები: „ოტო იულევიჩი, რადიო!“ შმიდტი შემოტრიალდა, მხედავს, რომ მისკენ მივრბივარ და მეც ვხედავ არაჩვეულებრივ სანახაობას: შმიდტი... ოტო იულევიჩი... მორბის: დაუკავშირდით?

ფოტო გ. უშაკოვის



შმიდტის კარავი. ო. ი. შმიდტი იწყებს ბანაკის ყოველდღიურ შემოვლას.

— დიახ.

10 წუთის შემდეგ, ეგზავნება რადიოგრამა მთავრობას № 1-ლი. რადიო-აპარატი მუშაობს, ვასახელებ ყოფილ „ჩელიუსკინის“ რადიოსადგურს.

ჰო, მაგრამ საიდანაა რადიოგრამა?

აქ გაიხმის ახალი სახელი „შმიდტის ბანაკი“. ვლადები შეუცვლელ ვახტაშე.

## ყინულის ზვავი

ბნელი, ნისლიანი დღე დგებოდა შმიდტის ბანაკში. შუადღეზეც კი ისე ბნელოდა, როგორც დაბინდებულზე. ღრუბლის მძიმე ნაგლეჯები ისე დაბლა ეკიდენ, რომ თითქმის ეხებოდნენ ანძას, რომლის წვერზე წითელი ღროშა გაათრთებით ებრძოდა ქარს.

8 აპრილი. თოვლით დაფარულ მწვანე კარავში ექსპედიციის 85 მონაწილეა. 19 კაცი კი უკვე მიწაზეა, სადაც იქ—ჰორიზონტის ძლივს შესამჩნევ ხაზის უკან, იქ სადაც თეთრი ყინულოვანი სივრცე უერთდება ასეთივე თეთრ ნალვლიან ცას.

ყინულზე ცხოვრება იწყებოდა გათენებისთანავე. ჯადავიცვამდით და გაყინული კონსერვებით წავისაუზმებდით თუ არა, ჩვენ ყველა მივდიოდით აეროდრომის გასაწმენდათ. ბანაკში რჩებოდნენ მხოლოდ კრენკელი და გუშაგები. პარველი შეუცვლელად მორიგეობდა აპარატთან, მეორენი კი იცავდნენ ბანაკს თეთრი დათვების მოსალოდნელი თავდასხმისაგან და ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ყინულების მოძრაობას.

ადვილი არ იყო ეს მუშაობა—აეროდრომების გაწმენდა! სტიქიისაგან მოხვავებულ, ფოლადივით ზაგარ უზარმაზარ ტოროსების წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძოდით თითქმის უიარაღოდ, თუ არ ჩავთვლით განსაკუთრებულ კონსტრუქციის ჩაქუჩებს, რომლებიც ჩვენმა ყინულოვანმა „რობინზონებმა“ გამოიგონეს.

სალამობით ვბრუნდებოდით რა აეროდრომიდან, მივდიოდით ჩვენს კარავში, და თვითმფრინავებზე, მშობლიურ მხარეზე, ახლობელ ადამიანებზე საუბრით ვამოკლებდით დროს დაძინებამდე. იმ დღეებში, რაც ჩვენ დაყავით ყინულზე, არავინ არ დაექცებულა ჩვენს გადარჩენაში. ეს ყველას სჯეროდა, მოხუც მეუღლემეღეს—ძია მიტიასაც, თმახუჭუქა გიგანტ მელზვაურს გრიშა დურასოვსაც და პატარა ცეცხლფარეშ კუკუშკინსაც.

— გადაგვარჩენენ აუცილებლად. სურსათიც გვეყოფა,—ბოხხმით იტყოდა ხოლმე ძია მიტია—ეს დიდი ავტორიტეტი ჩვენი მუშა-მშენებლების მთელი ჯგუფისათვის.


მაგრამ ამ სალამოს რატომღაც საუბარი არ ხერხდებოდა. თანდათანობით ყველა მიწყნარდა და ვისხედით ჩუმად რალაცაზე მიყუ-

რადებული. მელანქონიურად ისმოდა ნაპერწკლების ტკრციალი, რომელიც ხან დახრილ სახეებს გაანათებდა, ან გამოაჩენდა კუთხეების ბინდბუნდში მხოლოდ რომელიმე წყვილ თვალს, რომლებიც კითხულობდნენ:

— რაშია საქმე, რატომ არ არიან ამ სალამოს გუნებაზე შმიდტის ბანაკის ადამიანები?

კაცმა რომ თქვას, მიზეზი ჩაფიქრებისათვის მრავალი იყო: ფუტკლებოდა ამინდი. წინააღმდეგ ჩვენ აეროდრომზე დაფრენის დროს დაიმტვრა სლენიოვის თვითმფრინავი: მოლოკოვი ორჯერ გადმოფრინდა ვანკარდემიდან, მაგრამ ნისლმა ორივეჯერ შეუშალა ხელი მოედებნა ბანაკი და აიძულა უკან დაბრუნებულიყო. ყინულების უცარმა შეკუმშვამ დაანგრია სამზარეულო. ბანაკის ხალხი დაწვა უვახშმოდ.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



ყინულების შეკუმშვამ შუაზე გააპო ბარაკი.

მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც აღარდიანებდა თითოეულს, ეს იყო ექსპედიციის უფროსის ავადმყოფობა. ოტო იულევიჩი იწვა კარავში გაფითრებული, მეტად მაღალი ტემპერატურით. შმიდტის ავადმყოფობა მძიმე ლახვარი იყო ყველა ჩელიუსკინელისათვის, რომლებსაც გულწრფელად და მხურვალედ უყვარდათ იგი შეუპოვრობისა, ამტანობისა, სიმშვიდისა, პირდაპირობისა და განმაცვრიფებელი

ოპტიმიზსათვის. და არ ყოფილა ჩვენს შორის ადამიანი, რომელიც უსაზღვრო ნდობით არ შესცქეროდა მას და არ სცნობდა მის აბსოლუტურ ავტორიტეტს. და უცბად მთელმა ბანაკმა იგრძნო ობლობა, როცა იგი ჩაწვა ლოგინად, და ჩვენ ველარ ვხედავთ ამ ოდნავ მოხრილ ადამიანს, ზურგს უკან გადაჯვარადინებული ხელებით, პაიჭებიან სამთო ჩექმებში, წითელ ქურქში, ქარზე ძოფრიალე დიდი წვერებით, ასეთს იცნობდა შმიდტს მთელი ბანაკი, ასე გამოჩნდებოდა იგი ხან კამბუზში (სამზარეულოში), ხან აეროდრომზე, აკეთებდა რა ყოველდღე არა ერთ და ორ კილომეტრს იმ მუდმივი მისწრაფებით, რომ ყველაფერი ენახა, რომ დაწვრილებით სცოდნოდა მისდამი რწმუნებულ პოლიარული ზღვის ყინულზე მიმდინარე ცხოვრების ყოველი წვრილმანი.

— შმიდტი ცუდათაა! ის თავდავიწყებულია, — თქვა ვილაცაზ და ყველა ერთმანეთთან შეუთანხმებლად თითქმის ცერებზე ფეხაკრეფით დადიოდა ოტო იულევიჩის კარავს ახლო და ყველა გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა, რომ არავის შეეკრთო და შეეშფოთებია დალილი, დასუსტებული ავადმყოფი. და დილდილობით, როცა კარავში შემოიკუთებოდა ჩვენს გასალვიძებლად და დავალების მოსაცემად ბრიგადირი კოლესნიჩენკო, მას ვხვდებოდით შეშფოთებული კითხვით:

— რას შვება ოტო იულევიჩი? უკეთ ვერ არის?

მაგრამ შმიდტი უკეთ ვერ ხდებოდა. ტემპერატურა უახლოვდებოდა 40-ს.

ხალხი ძვრებოდა საძინებელ ტომრებიდან, სასწრაფოდ წახემსებდა გალექით და კონსერვით, დალევდა თითო კიქა ჩაის და ჩქარი ნაბიჯებით მიეშურებოდა აეროდრომისაკენ. იქ ექვს-ექვსი საათი ერთი მეორეზე მიყოლებით ქარში, პურგაში, ყინვაში, ნისლში ვსტეხდით, ვამხვრევდით ყინულს, ვასწორებდით ყინულოვან ველს, რომელიც თითქოს ჩვენდა დასაცინად ერთი დღე-ღამის შემდეგ ისევ ტოროსებით იფარებოდა და ყველა მიმართულებით იღარებოდა ნაპრალებით.

იმ ღამეს, როცა 8 აპრილი უნდა გათენებულიყო, ადრე დაწვევით. ამ დღეს აეროდრომზე მუშაობა განსაკუთრებით ძნელ აღმოჩნდა. ყოველი ჩვენგანი ჩქარობდა შემძვრალიყო თავის ტომარაში და დაუყოვნებლივ ამოეშვა ხვრინვა მთელი ბანაკის გასაგონად.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე ყველა გააღვიძა არაჩვეულებრივმა სწრაფმა ბიძგმა. თვით კარვის ქვეშ გაისმა დარტყმის ხმა. ჯერ კიდევ ძილმორეული ადამიანები გამოძვრენ თავიანთ პარკე-



ბიდან. მართალია, ჩვენ არა ერთხელ გამოგვეცადა წინათ შეკუმშული ყინულების ბიძგები, თითქმის ყველა შევეჩვიეთ მათ, მაგრამ ასეთი ძლიერი ბიძგი არასოდეს არ ყოფილა. შევიცადეთ ცოტა და შემდეგ ისევ დავწვიეთ დასაძინებლად. არ დაუძინია მხოლოდ ფიზიკოსს ფაკიდოვს. მან სწრაფად ჩაიცვა და გავიდა კარვებიდან, რომ თვალყური ედევნებია ყინულის შეკუმშვისათვის.

— რა მოხდა, ვალოდია? ეკითხება ქუჩაზე გასული ფაკიდოვი. ვალოდია ლეპინინი — მატროსი, ირმის ქურქში გადაცმული, მხრებზე ვინტოვკით, მიდი-მოდის ბანაკში. იგი დარაჯობს და იცავს ბანაკის 85 დაძინებულ მცხოვრებს.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კრმოვის



ბანაკში გაჩნდა ნაპრალი.

— არაფერი ისეთი, — უპასუხებს ვალოდია. ოდნავ გვაწვებიან. შედი კარავში, რა მაქნისია შუალამისას ხეტიალი? სჯობია მოისვენო. მაგრამ ბიძგები ისევ იწყება, თანდათან უფრო ხშირი და ძლიერი ხდება. ბიძგს თან ახლავს შეუწყვეტელი გრუგუნის, რომელიც თანდათან იზრდება, ხანდახან გაისმის მეხისებური კეკაქუხილი, ან შეკუმშული ყინულების ჭრიალი.

აი ქუხილი გაისმის სულ ახლო. უფროსისაგან ბრძანების გაუცემლად ყველა ფეხზე ვდგებით, სწრაფად ვიცვამთ და გამოვდივართ გარეთ. უკუნი სიბნელეა. ჩრდილოეთიდან ბანაკისაკენ მოეშურებიან შივი ღრუბლები. ქარია ისეთი, რომ კაცი ფეხს ვერ იმაგრებს და ლამის დაეცეს.

ყინულის ბორცვებზე ბორძიკით მივრბივართ ბანაკს შუაზე გველივით გაწოლილ ნაპრალისაკენ. უზარმაზარი ყინულის ლოდები აწვებიან ერთი მეორეს, ჰკარგავენ წონასწორობას, ეცემიან, ბრუნავენ, ყურყუმალობენ და იზრდებიან ვებერთელა ზევაად. ეს ზეავი ყალყზე დგება, წინ მოიწევს, ემუქრება ბანაკს.

— ბიჭებო, გადავარჩინოთ ქონება, — გაისმის ბრიგადირის ბრძანება. კარვიდან ცვივა ნივთები, ესოდენ ძვირფასი ჩვენს მდგომარეობაში: საძინებელი ტომრები, ქურქები, გუშინდელი სურსათის ნარჩენები. ყველაფერს ამას თავს ვუყრით წითელ დროშიან ანძასთან, სადაც, ჩვენის გამოანგარიშებით, ყინულის ზეავს ვერ უნდა მიეღწია.

ამ დროს ჩვენს წინ ყინულმა იწყო რღვევა. ათასმა დაკლაკნილმა ნაპრალმა დაფარა ჩვენი ბანაკის მთელი ტერიტორია და მოახლოვება იწყო სასურსათო საწყობისაკენ.

ბანაკის დაცვა არ შეწყვეტილა ერთი წუთითაც. ქანც გამოლეულნი ვჩქარობდით გადაგვებიდა ნივთები საიმედო ადგილზე. ამ დროს სიბნელიდან გაისმა ვორონინის კარგად ნაცნობი ხმა:

— ყველა აქეთ! გადაარჩინეთ მოტორიანი ნავეები, თორემ მათ ყინული ნამსხვრევებად აქცევს. მივრბივართ ნასახლართან, ამაოდ ვეძებთ ისეთ ადგილს, სადაც შეგვიძლია გადავიტანოთ ნავეები. უზარმაზარ მოძრავ ზეავზე, მოგვეწიფა რა უკნიდან, ყინულოვან მოედანზე წყალმა ამოასხა. ვხედავთ, რომ ნავეების გადატანა უშიშარ ადგილზე არაფრით არ ხერხდება, მაგრამ უნავოთ რომ დავრჩეთ, რალა გვეშველება, როცა ყინული ლლობას დაიწყებს. უნდა ვირისკოთ! და ჩვენ მივხობავთ ზევით ბოროტად მოკრაქუნე ზეავზე; ვბორძიკობთ, ვეცემით, თავზე გვეყრება ყინულის ნამსხვრევები, ისევ ფეხზე ვდგებით, ისევ მივცოცავთ ზევით. გვავიწყდება, რა საშიშროებაა.

აგერ ქოჩორიცი! აქედან ჩანს ადამიანის სამი ფიგურა — ყინულის ზეავის იქითა მხარეს. მათ წინ დევს მთელი მათი სარჩო-სახადებელი. ეს სამი ადამიანი მოწყვეტილიყო მთელს ბანაკს და ვერ გაებედათ გადმოვლახათ მრისხანე ყინულის კედელი. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ დაგვინახეს, დაიძრნ საშიშროების შესახვედრად და სწრაფად იწყეს ამოცოცება ყინულის მოძრავ კლდეზე.

იმ წუთში, როცა მე ვიდექი ზეავის მწვერვალზე, ყინული ერთ-ბაშად გადაიხარა. ფეხი დამიცურდა, გავირტყორცნე სადღაც ძირს. სიბნელეში ავიხედე მალლა და ჩემს თავს ზევით დავინახე უზარმაზარი მოქანავე ყინული. სწრაფად, მაგრამ სიფრთხილით გავცოცდი ყინულის ფარდულ ქვეშ, იქითკენ, სადაც იდგა 56 ადგილიანი მოტორის ნავი. როცა ნავი უკვე საშიშროებას აცდა, ჩვენ მივარდით საწვავით სავსე ბოქვას გადასატანად, მე ვიგრძენი მწვავე ტკივილი მარცხენა ხელში, რომელიც დამზიანებოდა ზეავიდან გადმოვარდნის დროს, ხელს ვერ ვმუჭავდი. მთელ შემდგომ მუშაობას ვასრულებდი მხოლოდ ცალი ხელით.

... ყინულის ზეავი დაუნდობლად მოიწვევდა კარავისაკენ. გაისმა ძელების ლაწალუწი. კარავი გვერდზე გადაიზნიქა. ყინულის



აეროდრომის კომენდანტი  
ამხ. სა შ ა პ ო ღ ო ს ო ვ ი.

წყალმა დაფარა იატაკი. ექიმი ნიკიტინი და ამფეთქებული გორდევი შეიჭრენ კარავს შიგნით, რომ გადაერჩინათ მედიკამენტები. უცბად გარემოცული წყვდიადი გაანათა ალმა. სქელი მხრჩოლავი კვამლი ავარდა ცაში—კარავში აფეთქდა ასანთით სავსე ყუთი, რომელსაც დაეტაკა უზარმაზარი ყინული. ერთ წუთში ცეცხლი ჩაქრა, ყინულის ზეავს მოგჯა თავი, დაეცა კარავს და ნაკუწ-ნაკუწად აქცია იგი.

ერთ საათის შემდეგ კუმშვა დამთავრდა. უსაზღვროდ დაქანცულები დავბრუნდით ჩვენ ჩვენს კარავებში. მოვათრიეთ უკან ნივთები, დავადნეთ ყინული წყურვილის მოსაკლავად და მოვემზადეთ და-

საძინებლად. ამ დროს შემოვიდა კოლესნიჩენკო, მან წინადადება მოგვცა მე და ინჟინერ რასს წავსულიყავით აეროდრომზე და გამოგვერკვია, რა გავლენა მოახდინა კუმშვამ თვითმფრინავის ჩამოსახტომ მოედანზე და დაზიანდა თუ არა იქ მყოფი თვითმფრინავი ამხ. სლენიოვის.

ჩვენ დაუყოვნებლივ გავუდექით გზას, შივილეთ რა ბრძანება დავბრუნებულიყავით უკანვე დილის 7 საათისათვის.

რა დაემართა ჩვენს ძველს, ასე კარგად ნაცნობ გზას? პირველ სასიგნალო დროშასთან ამართულიყვნენ ყინულთა ნაგლეჯების მთელი გორაკები. ყინულებსა და ყინულებს შუა წყლებზე გადასასვლელად აქ დატოვებული ნავი რაღაც სასწაულით უვნებლად გადარჩენილიყო: ყინულების ბუმბერაზი ზეგები შეჩერებულიყვნენ ნავიდან ნახევარ მეტრზე დაშორებით.

ნაპრალებზე ხტომა-ხტომით მიმავალნი შუაგზაზე შევხვდით აეროდრომის კომენდატს—საშა პოლოსოვს. დიდი სიხარულით შევხვდით მის ცნობას, რომ მთავარი მოედნები გადარჩენილყვნენ. ყინულს ნამსხვრევებად უქცევიათ მხოლოდ ძველი აეროდრომი—სწორედ ის, რომელზედაც დადგმული იყო „აეროპორტის“ კარავი, სლენიოვის თვითმფრინავი გარიყული აღმოჩნდა ერთ პატარა ყინულოვან კუნძულზე. მის გარშემო ამართული იყვნენ დაუსრულებელი ტოროსები და შავად ჩანდნენ ნაპრალები.

უკან ბანაკისაკენ კი არ მოვდიოდით, მოვრბოდით: 7 საათამდე დარჩენილი იყო ძალიან მცირე დრო.

აგერ შმიდტის კარავი. აქვე მოთავსებულია კრენკელი თავისი საავარიო რადიოსადგურით. ვერ ვბედავთ შევაწუხოთ ავადმყოფი. ჩვენ გარეთ ვიხმობთ კრენკელს, მაგრამ გვთხოვენ შიგნით შევიდეთ, ვიკეცებით მუხლებში და შიგ ვძვრებით.

კარავის მარცხენა კედელთან — ბობროვი და ბიოლოგი სტახანოვი ზიან. მათ შორის შუაში წევს ოტო იულევიჩი, გამხდარი, ფერმკრთალი დაქმეწუხებული. კუთხეში ყურთსასმენებით ზის კრენკელი.

ამბავს აეროდრომის მდგომარეობაზე ვამბობთ სწრაფად და მოკლედ, რომ ძალიან არ დავლალოთ შმიდტი.

ოტო იულევიჩმა ძლივს გაახილა თვალები და წვერებზე ხელის ნელი მოსმით შეეცადა ყურადღებით მოესმინა ჩვენთვის, მაგრამ მალე ძალა გამოეღია. ქუთუთოები ისევ დაეკეცა და ძლივძლივობით დაგვიქნია თავი, როცა ამბავი დავასრულეთ.

მივბანდალებ ჩემს კარავში, დაღლილობისაგან ფეხებს ძლივს მივაბიჯებ. იქ ტანსაცმელის გახდისთანავე ჩამეძინა.

მაგრამ მალეიძებს ახალი განგაში: ყინულები ისევდაისევ აწვებიან ბანაკს, გააფრთებით ანადგურებენ ყველაფერს, რაც გზაზე გვხვდება.

გეგონებოდათ, სტიქიას გადაუწყვეტია ჩვენი დაღუპვა, რათაც არ უნდა დაუჯდეს. მაგრამ ჩვენ ვიბრძოდით შეუპოვრად, მედგრად ვიცავდით თითოეულ გოჯს ჩვენი ტერიტორიისას.

... გავიდა კიდევ 4 დღე და ჩვენ თავი ამოვყავით მაგარ მიწაზე.



## ბ. ვინაზკალოვი.

„ჩელიუსკინის“ კაპიტანის  
მე-3 თანაშემწე.

### უკანასკნელი ვახტა ცინულზე

ნორდ-ოსტის ქარი არაფერს კეთილს არ მოასწავებდა. დღე დავამთავრეთ დიდი დაძაბვით. ხანდახან დატოროსებული ნაპრალი, რომელიც ყოფდა ჩვენს ბარაკს ბანაკისაგან, ჭრიალებდა და ცინულის ლოდები ცინულოვან ბორცვებზე ახორიალებულნი ძირს ცვივოდენ. საიდანღაც შორს ისმოდა დამაყრუებელი, ზარბაზნის სროლისებურ კანონადა, რომელსაც მოუსვენრობა შემოქონდა ჩვენს ბანაკში.

ჯერ კი ჰევ დილით დაწყებული ცინულოვანი ველის სვლა არ შეწყვეტილა. დილიდან მე ვასრულებ დღე-ღამის მორიგეობას. საღამოს უფლი მთელ ბანაკს, ვჩერდები ვახტის მეზღვაურთან და ვესაუბრები.

— დღეს, მიშა, გაფრთხილდი, ფხიზლად იყავი, ეს ქარი ყოველთვის დიდ ვნებას გვაყენებს.

ბნელა, ტყვიისფერი ღრუბლები ფარავენ ცას. იშვიათად აქა-იქ ღრუბლებში გამოჩნდებიან ვარსკვლავები და მთვარე სხივების ჩქერით გაანათებს ერთიმეორეზე მიყრილ ტოროსებს. რუხ ლანდად ჩანს სასიგნალო კოშკი ზედ აფრიალებული დროშით. კარვები ძლივს შესამჩნევია თეთრი თოვლის ფონზე. მხოლოდ ღუმელის მილებიდან ამოვარდნილი ნაპერწკლები ამუღანებენ საცხოვრებელთა არსებობას.

უკანასკნელად ვათვალთვლებ ბანაკს და მივეშურები ჩემს ბარაკში, რომელიც მდებარეობს 200 მეტრით დაშორებულ მოგლეჯილ ცინულზე.

იქ მისასვლელად საჭიროა დიდის გაჭირვებით გადალახო უკანასკნელი შეკუმშვის შემდეგ აღმართული 5—6 მეტრიანი სიმაღლის ტოროსის მთები. ბარაკში ცხოვრება მიმდინარეობს უკვე დადგენილი

წესების მიხედვით. ნავთის კრაქების სინათლეზე წარმოებს დაუსრულებელი საუბრები და დებატები გუშინ დიალექტიკურ მატერიალიზმზე მოსმენილ ლექციის შესახებ.

კაპიტანი ვ. ი. ვორონინი კუთხეში აწარმოებს ჩვენი ადგილმდებარეობის ასტრონომიულ გამოანგარიშებას, დაყრდნობია რა კედელზე მიკედოლ ფიცარს, რომელიც მას საწერი მაგიდის მაგივრობას უწევს.

ბარაკის შუაში დგას მაგიდა, რომელიც გაკეთებულია დაძირულ გემის ტრიუმიდან ამოტივტივებულ ფიცრებისგან. მაგიდაზე ლუმოსაკენ ზურგ შებრუნებული ზის ექიმი, რომელიც ოსტატურად თლის ხის კოვზებს. ამავე დროს იგი ჰყვება ამბებს თავისი მდიდარი საექიმო პრაქტიკიდან.

ლუმელი—ჩვენი საყოველთაო საყვარელი საგანია. ყოველთვის მას ვეტუხებით ახლო, დიდი სიამოვნებით ვიკავებთ ადგილს მისი კარის პირდაპირ. ეს ადგილი ალბად ყველას მეხსიერებაში იწვევს შორეული მიწის მოგონებას, სპილენძის მილიდან წვეთწვეთად ეცემა ნავთი ძირს დადებულ რკინის ფურცელზე, სადაც ნავთი ალად ენთება.

9 საათია. მორიგე ხმამალა აცხადებს:

— დაიკავეთ, ამხანაგებო, თქვენი ადგილები დასაძინებელ ტომრებში... ხმაურობა შეწყვეტეთ.

თანდათან საუბარი წყდება. ბარაკი იძინებს.

თავში გამიეღვებს ხოლმე დღევანდელი ამბები: ისევ ხელახლა დაღეწილი აეროდრომი, სლენიოვის ამერიკული მანქანა, მისი ავარია, დამტვრეული კამბუზი, ხვალინდელი სამუშაოები და საზრუნავი. ბარაკის მცხოვრებთა მწყობრი ხვრინვა მეც მაძინებს.

\* \*

კრაქის ალი კონვულსიურად შეირხა. ეს შევამჩნიე მაშინვე, როგორც კი მოულოდნელმა ბიძგმა გამომალღიძა. ჩემს თავს ზევით კედლის უჩინარ ნახვრეტში ქარი სისინებდა, ბარაკში თითქოს ქარის ჩურჩულივით გაისმა:

— რა არი?

— რა მოხდა?

ხალხმა გაიღვიძა.

— ბორის ივანოვიჩ, წავიდეთ, ვნახოთ, რა მოხდა.

კაპიტანი გაეშურა კარებისაკენ.  
მეც მივარდი გასასვლელს. სახეში დამეტაკა ნოჯდ-ოსტის ქა-  
რი. გარედ დავინახე კაპიტანის შავი სილუეტი.  
— აქ მო, — დამიძახა მან, კუმშვა იწყება.

კადრი კინო-ოპერატორ შაფრანის  
ფილმიდან „შმიდტის ბანაკში“.



აკეთებენ აეროდრომს. ამსხვრევენ უკანასკნელ ტოროსს.

მე მივირბინე. ამოძრავებული ყინულების ყალყზე მდგარი ტო-  
როსების კრიალი და ყინულების წვრილი ხამსხვრები იფანტებოდნ  
ჰაერში.

ორი ყინულოვანი მინდორი სინჯავდა თავის სიმაგრეს, აწვე-  
ბოდნენ რა ერთი-მეორეს. ჩვენ, კაპიტანთან ერთად, ვეძებთ ჩვე-

ნი მეუ-ნეობის უსაჭიროეს საგნებს, რომელთაც ხიფათი მოე-  
ლით.

— მგონია, ეხლა შეწყდება, — თქვა ვლადიმერ ივანოვიჩმა.

მართლაც შემოტევა შეჩერდა.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ შესვენება, რომლის შემდეგ ყინული, თითქოს ახალი ძალები მოიკრიბაო, ისევ გადმოვიდა შემოტევაზე კრიალით და კბილთა ღჭრენით. ლეწდა რა ყინულის მინდორს, რბოდენ ცეცხლოვანი დაკლანკილი ხვეულები, — ნაპრალები ფართოვდებოდენ, ყინულზე წყალი ამოდიოდა. ფერდებზე იმართებოდა ყინულის მასივები, თეთრი როგორც შაქარი. აწვებოდენ, ახტებოდნენ, როგორც მღვებები და იქვე აბოლოვდენ არსებობას... დატოროსება უახლოვდებოდა ბარაკსა და კარვებს, ერთდროულად გლეჯდა რა უზარმაზარ ლოდებს ყინულის ორივე მინდორს. უცბად ადამიანების შავი სილუეტები გამოჩნდნენ გაბაწრულ ყინულების მაღლობზე. ისინი ჯამბაზებივით ხტოდნენ ყინულიდან ყინულზე, იმეტებენ არა მარტო ფეხსა და ხელს, არამედ სიცოცხლესაც. მათ გადასაყლაპად ყინულებს ხახა დაუბჰენიათ, მაგრამ ისინი მოისწრაფიან ჩვენს დასახმარებლად. ცივ ყინულოვან სიკვდილს ისინი ხელიდან გლეჯდნენ სიცოცხლის ღლეებს — ყინულებში გამომწყვდეულ ბოჭკებს საწვავით სავსეს. გადაქონდათ ყუთები, ძელები, ჯაჭვით გაშლილნი მიათრევდნენ ველბოტს. აფეთქდნენ ყუთში ჩალაგებული ასანთები, რომლებიც გახურებული იყვნენ ყინულზე ხახუნით და ლურჯმა სინათლემ ერთი წამით გაანათა სიცოცხლისათვის მებრძოლ ადამიანების შეუპოვარი სახეები. ტოროსებს შუა გზის გაკაფვით მიეჭაჩებოდნენ მწყობრად ველბოტის მხიარული კომანდის ქვეშ: — ერთი... ორი... გასწი!.. ყინულს სტაცებდნენ მის ქვეშ მოყოლილ მორებს და გადაქონდათ ისინი ნაპრალებისაგან დაულარავ მინდორზე. გადაქონდათ კარვები, რომლის ქვეშ ნაპრალებმა გაიარეს.

როცა გათენდა, კუმშვაც დამთავრდა. ყინულები დამარცხდნენ. დაღალულნი, მაგრამ მოპოებული გამარჯვებით ამაყი მებრძოლები წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ კარვებში.

სხვადასხვა ნივთების, საძინებელი ტომრების, ქურქების ხროვა და აქა-იქ უწყესრიგოთ თოვლზე მიმოფანტული საგნები მოწმობდნენ ახლახან დასრულებულ სასტიკ შეტაკებას.



## დაუვიწყარი დღეები

ამხ. გ. უშაკოვი — ცნობილი პოლი-  
რული მკვლევარია, რომელმაც სამი ზამ-  
თარი გაატარა ვრანგელის კუნძულზე  
და ორი ზამთარი — ჩრდილოეთ მიწაზე.  
ამჟამად ამხ. გ. უშაკოვი ჩრდილოე-  
თის საზღვაო გზის მთავარ სამმართვე-  
ლოს უფროსის მოადგილეა. ჩელიუსკი-  
ნელების გადასარჩენ ოპერაციებში იგი  
მონაწილეობდა, როგორც მთავრობის კო-  
მისიის რეზუმენტული.

7 აპრილს, ჩელიუსკინელების გადასარჩენად გაშლილ გახუ-  
რებულ მუშაობის დროს ჩვენ სლეპნიოვთან ერთად ვანკარემიდან



გაფერინდით შმიტლის ბანაკში.  
მიეუახლოვდით რა ყინულოვან ბა-  
ნაკს, პირველ ყოვლისა, ჩვენ და-  
ვინახეთ 15 მეტრიანი სამეთვალყუ-  
რეო კოშკი, რომელზედაც აღმარ-  
თული იყო წითელი დროშა. რა-  
ლაც სრულიად განსაკუთრებული  
ამაყი გრძნობა იბადებოდა ჩვენს  
შეგნებაში, როცა ვხედავდით უნა-  
პირო ყინულოვან ველზე გაშლილ  
ამ წითელ ნაჭერს.

დამაბრმავებელ თეთრ ფონზე  
ბანაკი შეელაქად ჩანდა. იგი უფ-  
რო მცირე იყო, ვიდრე ვანკარემი,  
მაგრამ ახდებდა გაცილებით მეტ  
შთაბეჭდილებას თავის მკაცრი  
დაგეგმულობით და წესრიგით.

მაღე ბანაკთან ჩვენ შევამჩნიეთ ადამიანები: რამდენიმე კაცი  
სამეთვალყურეო კოშკზე და უფრო დიდი ჯგუფი აეროდრომზე. იმ  
ხანებში ბანაკის განკარგულებაში უკვე ორი აეროდრომი იყო, მეო-  
რე ის იყო მაშინ მოეწყობო.

მე ვიჯექი პილოტის მიმართ ზურგ-შებრუნებით. ვხედავ: თვითმფრინავი ეშვება, უცბად იგი ისევ მალლა იწევს. ჩვენ მეორეჯერ ვეშვებით დასაჯდომად. აი თვითმფრინავი ეხება ყინულს, მაგრამ რატომღაც ისევ ზევით ჰაერისკენ მიიწევს. და ეს მეორდება სამჯერ. განცვიფრებული ვარ: რაშია საქმე? თურმე აეროდრომზე გამწკრივებული დროშები აჩვენებდენ, რომ დასაფრენ მოედანზე ქარი ჯვარედინად, გარდიგარდმო ჰქროდა. სლექნიოვს არ სურდა რისკი გაეწია და მოეხდინა დაშვება გვერდიდან მქროლავი ქარის დროს; ამიტომ იგი დაეშვა არა პირდაპირი ხაზით, არამედ სცადა აეროდრომის კუთხის გადაჭრა, მაგრამ მას დარჩა მეტად მცირე ადგილი გარბენისათვის. მე ვერ ვხედავ იმას, რასაც ხედავს პილოტი, მაგრამ ვიცი, რადგან დავინახე, როცა ბანაკს მივუახლოვდით, — რომ სადღაც ახლო უნდა იყოს ტოროსი, რომელსაც ადრე თუ გვიან დავეჯახებით. ბოლოს მანქანა ნახევარი მეტრით ზევით იწევს, ეცემა და ჩერდება. ჩერდება თვით ტოროსთან. კიდევ რამდენიმე სანტიმეტრი და ჩვენ მანქანას მოგვლეჯდით პროპელერს.


აეროდრომიდან ჩვენსკენ ხალხი მობრძის.

როცა ჩვენ ვანკარემიდან გამოვბურნდით, თან 8 ძალი წამოვიყვანეთ. პირველ რიგში თვითმფრინავიდან ჩვენი ოთხთეხი თანამგზავრები გადმოვსხით. ამხანაგები, რომლებიც ჩვენ შორი კომკიდან გვითვალთვალებდენ, შემდეგ გვეუბნებოდენ, რომ მათ ვერ გაიგეს, თუ რაში იყო საქმე: ფეიქრობდითო, რომ თვითმფრინავი დაიშხვრა, მაგრამ იქიდან რატომღაც ხტოდენ ადამიანები და ოთხზე გარბოდენ. უსაზღვრო იყო განცვიფრება: რატომ გარბიან ოთხზე. ბოლოს ჩვენც გადმოვდივართ თვითმფრინავიდან და ვხედავთ, რომ საქის მარჯვენა მომჭიმი გაწყვეტილია. მანქანა გადაფერდებულია. ჩვენთან მოცვინდენ შმიდტის ბანაკის პირველი ამხანაგები. მგონი, პირველად ჩვენთან მოვარდა ვიღაც მეზღვაური, მას მოყვა ოტო იულევიჩი. ჩვენ ერთმანეთს ვეხვევით. ოტი იულევიჩი მეუბნება რაღაც სასიხარულო კომპლიმენტს იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყურები, შემდეგ ისევ ერთმანეთს ვეხვევით და ვიქცევით ისე, როგორც ასეთ შემთხვევას შეეფერება. ერთ წუთს შემდეგ, როცა დაცხრა შეხვედრის პირველი სიხარული, შევუდექით მანქანისათვის ზრუნვას. თითქმის ყველამ, ვინც კი აეროდრომზე იყო, ხელი მიყო მუშაობას, დავამსხვრიეთ ტოროსი, რომელიც წინ იყო ამართული, გავმართეთ შასი და ამგვარად მოგვეცა საშუალება გავვეშალა მანქანა და მიგვეწია იგი აეროდრომზე. ამ დროს ბანაკს ზევით გამოჩნდენ სხვა თვითმფრინავები.

პირველად ჩვენი გეგმა ასეთი იყო: პირველ რიგში ბანაკისაკენ იგზავნება თვითმფრინავები, მაგრამ ამავე დროს მზადდება მარხი-ლების პარტია. ჩვენ გადავწყვიტეთ თვითმფრინავებიდან ჯერ გავ-ვეგზავნა მოლოკოვის და კამანინის მანქანები, როგორც ნა-კლები სისწრაფის მანქანები. ეს ასეც მოხდა. 15 წუთის შემდეგ მათ გაჰყვა სლენიოვის მანქანა. უკვე 10—12 წუთში ჩვენ მათ დავეწიეთ, ხოლო ერთწუთს შემდეგ უკვე უკან მოვიტოვეთ!

კამანინის თვითმფრინავი მშვიდობიანად დაფრინდა. მეორე მანქანის — მოლოკოვის მანქანის გვეშინოდა, ვფიქრობდით, რომ დაშვების დროს იგი გასცილდებოდა აეროდრომს. მაგრამ უკანას-

ფოტო გ. უშაკოვის



ბანაკის შუაგული. მაღალ ანძაზე ფრიალებს წითელი დროშა, რომელიც აღმარ-თულ იქნა გემის ჩაძირვისთანავე. ირგვლივ ჩელიუსკინელების კარვები, უკანა პლანზე — ბარაკი, რომელიც გასრისეს ყინულებმა 8 აპრილს დამით.

კნელ წუთში მოლოკოვმა ოსტატურად მომართა საქე და თვითმფრი-ნავიც მშვიდობიანად შეჩერდა გათვალისწინებულ წერტილზე. ერთ საათს შემდეგ მოლოკოვი და კამანინი გაფრინდნენ ვანკარემისაკენ, მე კი სლენიოვთან ერთად დავრჩი ბანაკში.

რა გუნებაზე იყო ხალხი ბანაკში? ადამიანის გუნებაზე ჩვენ ვმსჯელობთ იმის მიხედვით, თუ რა აინტერესებს მას აღებულ მო-

შენტში. და აი, მივედი თუ არა ბანაკში, მე გარს შემომერტყენ მისი მკვიდრნი და მომაყარეს კითხვები საბჭოთა კავშირის მდგომარეობის, სოფლის მეურნეობის, ფართო მოხმარების საგნების შესახებ, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის მდგომარეობის შესახებ. ოთხ-ნახევარ საათის განმავლობაში მე ვაცნობდი ამხანაგებს ჩვენი ქვეყნის შინაურს, საერთაშორისო მდგომარეობას და პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებებს.

კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი.

მიეფერინდი რა ამერიკიდან ვანკარემში, გადავწყვიტე რადიოთი დავლაპარაკებოდი შმიდტს. საბანაკო რადიოსადგურის აპარატთან მოვიდა ჩემი ძველი მეგობარი კრენკელი. მისალმების შემდეგ, მას ვთხოვე აპარატთან მოეყვანა ოტო იულევიჩი, მაგრამ კრენკელი მიპასუხებს:

— მე ახლავე გადავცემ თქვენ თხოვნას, მაგრამ არ ვიცი, რა გამოვა! შმიდტს არ ცალია: იგი კითხულობს მორიგ ლექციას დიალექტიკურ მატერიალიზმზე.

ჩემი პირველი ღამე ბანაკში თითქმის მთლიანად საუბარში გავატარე. მე შეუჩერებლად მაძლევდნ ახალახალ კითხვებს. მეორე დღეს მთელი ბანაკი შეუდგა თვითმფრინავის შეკეთებას. ძირითად სამუშაოებს აკეთებდნ გემის მექანიკოსთა და საზღვაო ტექნიკუმის სტუდენტთა — „ჩელიუსკინის“ ლაშქრობის მონაწილე სტუდენტთა ჯგუფი, აგრეთვე საბანაკო უჯრედის პარტიული ამხანაგები.

უკვე მოსალამოვდა, თვითმფრინავის შეკეთება კი არ იყო დაშთავრებული. ჩვენ დავრჩით ბანაკში მეორე ღამე. და ეს ღამე იყო თითქმის ყველაზე საშიში და მშფოთვარი ღამე ყინულოვანი ბანაკის ცხოვრებაში. გემის დაღუპვის მომენტიდან პირველად მოხდა ყინულების უძლიერესი შეკუმშვა. ის შეკუმშვაც კი, რომელმაც გაანადგურა „ჩელიუსკინი“, არ ყოფილა ამაზე ძლიერი.

ნაშუალამევის 2 საათზე ერთერთმა იმ გუშაგებიდან, რომლებიც მთელ დღე-ღამეებს მორაგეობდნ და თვალყურს ადევნებდნ ყინულების მოძრაობას, უცბად ფეხზე დააყენა მთელი ბანაკი.


რა ვნახე მე ამ ღამეს? უპირველ ყოვლისა — ჩელიუსკინელების შესანიშნავი დარაზმულობა. ყველანი დანაწილებულნი იყვნენ ბრიგადებად. თითოეულ ბრიგადას ყავდა ხელმძღვანელი, მაგრამ აშკარად იგრძნობდით, რომ უიმისოდაც თითოეულმა ჩელიუსკინელმა ზედმიწევნით იცოდა, თუ რა საქმე უნდა გაეკეთებია მას და ზუსტად, როგორც ქრონომეტრი, ასრულებდა ჯერ კიდევ წარმოუთქმელ ბრძანებას. ერთი ჯგუფი მორიგეობდა სურსათთან, მეორე — მოწ-



ყობილობასთან, მესამე — კარვებთან, მეოთხე — ნაჭებთან, მეხუთე — სათბობ მასალასთან და ა. შ. თუ ერთი ჯგუფის რაიონში ყველაფერი რიგზე იყო, — იგი მიეშურებოდა სხვების დასახმარებლად.

ბანაკს უახლოვდებოდა 20 მეტრიანი სიმაღლის ყინულის ზეავი. საშიშროებას აძლიერებდა ის, რომ ყველაფერი ეს ბინდუნდში ხდებოდა. მაგრამ თვით ამ არქტიკის ბინდუნდშიაც საკმაოდ მკაფიოდ გამოკრთოდა მოწოლილი ყინულოვანი ზეავის კონტურები. ისმოდა გაშაყრუებელი გრგვინვა და კრიალი, რომელსაც გამოსცემდა თვით ის ყინულიც, რომელზედაც მოთავსებული იყო ბანაკი. ყინუ-

ფოტო გ. უშაკოვის



„სადა ვართ დღეს?“. გეოდეზისტი გაკელი და ჰიდროგრაფი ხმიზნიკოვი თვოდო-ლიტით არკვევენ ბანაკის ასტრონომიულ პუნქტს.

ლის ზეავი საკმაო სისწრაფით უახლოვდებოდა, რამდენიმე წუთში ზეავმა მოაღწია პირველ ნაგებობამდე და თვალის დახამხამებაში, ადამიანებისაგან და ნივთებისაგან წინასწარ განთავისუფლებული კარავი, დაიმარხა ყინულს ქვეშ. ჩანთქა რა ეს პირველი მსხვერპლი, ზეავი დაიძრა ნაგებობისაკენ. ერთი მათგანის გამოტაცება ვერ მოასწრეს და იგიც ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ზეავმა ჰაერში ატყორცნა.

უფროდაუფრო ბნელდებოდა. ყინულის ზეავმა მოსპო ბარაკი, მოსწყვიტა ნავს ნახევარი კამბუზი და დაიძრა კარვებისაკენ, მაგრამ

ყინულმა მალე მიდართულება შეიცვალა. უშუალო საშიშროება ბანაკის ტერიტორიის საცხოვრებელ ნაწილს აცდა.

გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და იმ ყინულის ქვეშ, რომელზედაც მოთავსებული იყო ბანაკი, შეცურდა მეორე ყინული. ბანაკის მთელი ტერიტორია ნაპრალებით დაისერა. ერთი დატაკებისაგან ყინული შეიძლება ნაკუწნაკუწად ქცეულიყო.

ყინულების მოწოლა 2 საათზე მეტს გრძელდებოდა. ბოლოს დაბოლოს ყველაფერი შედარებით კარგად დამთავრდა და ზოგიერთებმა „მშვიდად“ დაიძინეს. ეს ადამიანები ისე შეჩვეოდნენ ყინულების ყოველგვარ ოინებს, რომ შემუშავებოდათ ყინულების „ხმის“ გამოცნობის და გარჩევის ერთგვარი უნარი. ყინული ყოველთვის გამოსცემს რაიმე ბგერას, ხან იგი კენესის, თითქოს დაბალ ხმაზე, ხან კიდევ ღმუის, ღრიალებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კუმშვა ახლოვდება. შმიდტის ბანაკის ადამიანებს შეესწავლათ ამ ბგერების გამმა და ფხიზლად უგდებდნენ ყურს საშიშროების ქურდულად მოახლოვებას.

მეორე დღისათვის ჩვენი თვითმფრინავის შეკეთება დამთავრდა; მაგრამ აქ თავი წამოყო ახალმა სიძნელემ: წინაღობით ყინულების შეკუმშვას აეროდრომი დაექუცმაცებია და ყინულის ბელტებით დაეფარა. ასეთ აეროდრომიდან არა თუ თვითმფრინავი ვერ შეძლებდა აფრენას, არაშედ ადამიანებსაც კი გაუჭირდებოდათ ერთი კიდიდან მეორე კიდემდე გადასვლა.

აეროდრომების მოწყობა იყო ჩელიუსკინელების ძირითადი და ამასთან ციკლოპიური სამუშაო. ისინი ამსხვრევდნენ ყინულებს და ასწორებდნენ, ავაკებდნენ ყინულოვან ფართობს მათ მიერ გამოგონებულ ჩაქუჩებით, მორჩებოდნენ ერთი აეროდრომის მოწყობას, მაგრამ მეორე დღეს იგი დახვრეული დახვდებოდათ.

საჭირო შეიქნა სლეპნიოვის თვითმფრინავის მითრევა ახალაეროდრომზე, რომელიც მოწყობილი იყო ძველი აეროდრომიდან 2 კილომეტრზე დაშორებით. მაგრამ შუა გზაზე ჩვენ ისევ წამოგვეწია ყინულების კუმშვა, ყინულზე გაჩნდა 6 მეტრის სიგანის ნაპრალი შევუდექით ყინულებისა და ფიცრებისაგან ხიდის აგებას. ამ მუშაობამ შეიწირა დიდი დრო და ენერჯია. როგორც იქნა, ხიდი გავდევით და ჩვენ ისევ მივათრევთ მანქანას. გავიდა სულ რაღაც რამდენიმე წუთი, ჩვენ ვერც კი მოვასწარით ხიდამდე მისვლა, რომ უცბად ხდება ყინულების ახალი შეკუმშვა და ნაპრალის ადგილზე ჩნდება მაღალ-ყინულოვანი ზეავი. გააფთრებით ეკვეთენ ჩელიუსკინელები ამ ზღუდეს, დაამსხვრიეს იგი ჩაქუჩებით და არაადამიანური ლონისძიებით გასწმინდეს გზა თვითმფრინავისათვის.

...დადგა ნისლიანი, ბურუსით მოცული ღღე. ხედდა ძალზე ჭირს, მაგრამ მოლოკოვი მისთვის ჩვეული ფენომენალური სიმშვიდით, 100% რისკით მიფრინავს ბანაკისაკენ. საათნახევრის განმავლობაში იგი ეძებს ბანაკს და მხოლოდ მაშინ, როცა ირკვევა რომ საწვავი ელევა, ბრუნდება უკან ვანკარემში.

და ამ ღღეს ბანაკიდან არ წაუყვანიათ არც ერთი კაცი. ვინაიდან სლენზიოვის მანქანის სტაბილიზატორი საიმედო არ იყო, მე გავეცი განკარგულება, ბანაკში მოეტანათ ლევანევის დამტვრეული მანქანის სტაბილიზატორი. ამ სტაბილიზატორის დასადგმელად ვმუშაობდით შემდეგ ღღეებში.

... ოტო იულევიჩი ავადაა. პირველ საღამოსვე ტემპერატურა 39-მდე ავიდა.

ვხედავ, რომ საქმე ცუდად არის.

— უნდა წავიყვანო, — ვეუბნები ამხ. ბობროვს

— ვიდრე ოტო იულევიჩს ცნობიერება აქვს — მიპასუხებს შმიდტის მოადგილე, — იგი აქედან არ წავა და ნურც ეტყვიოთ ამის შესახებ ნურაფერს.

ბანაკში შედგენილი იყო სია, რომლის მიხედვით პირველ რიგში უნდა გაგზავნილიყვნენ უსუსტესნი. ცხადია, შმიდტი, როგორც ექსპედიციის უფროსი, ამ სიაში უკანასკნელად იყო დასახელებული.

მე მოლოკოვთან ერთად გამოვფრინდი ვანკარემში და იქიდან გავგზავნე რადიოგრამა მოსკოვში:

— შმიდტი ავადაა. გთხოვთ გასცეთ დაუყოვნებლივ კატეგორიული განკარგულება: ექსპედიცია ჩაბარდეს ბობროვს, ხოლო მე წამოვიყვანო შმიდტი ბანაკიდან.

ამ რადიოგრამას რომ ვგზავნიდი, მე გამახსენდა კითხვა, რომელიც მომცა შმიდტმა ჩემთან პირველი შეხვედრისთანავე.

— როგორ ფიქრობთ, მოხვდები თუ არ მიმდინარე წლის ნავიგაციისათვის მოსკოვში, რომ ისევ გავემგზავრო შემდეგი ექსპედიციით?

ამ დროისათვის ბანაკსა და ვანკარემს შორის გაჩაღდა თითქმის შეუწყვეტელი ფრენა. მეორე ღღეს მივიღე რადიოგრამა მოსკოვიდან. ეს იყო — განკარგულება შმიდტის მიმართ, — 10 აპრილს გადაებარებია ბობროვისათვის ბანაკი. მე გავგზავნე ბანაკში მოლოკოვი, წინასწარ რადიოთი მოველაპარაკე ბობროვს, რადგან ვშიშობდი, რომ შმიდტი თვით მთავრობის განკარგულებასაც, შეიძლებოდა არ დამორჩილებოდა. ვთხოვე ბობროვს დაერაზმა საზოგადოებრიობა და ამგვარად ძალა დაეტანებიათ ოტო იულევიჩზე.

ორ საათ ნახევარის შემდეგ მოლოკოვი დაბრუნდა ვანკარემში შმიდტითურთ, რომელსაც თან ახლდა ექიმი ნიკიტინი.

ამ დღეს ბანაკში დარჩა მხოლოდ 20 კაცი და უკვე არავის არ ეეჭვებოდა, რომ ყველა გამოუკლებლად გადაჩინილი იქნებოდა. ღამით შმიდტს ტემპერატურამ თითქოს დაუკლო. დაიწყო დისკუსია: გავფრენილიყავით თუ არა ნომში ალიასკისკენ. ამას მოითხოვდა თითქმის ყველა ჩელიუსკინელი, და 11 აპრილს ჩვენი თვითმფრინავი, რომლის ერთოზე მოთავსებული იყო ოტო იულევიჩი, აფრინდა ჰაერში.

განსაკუთრებით მსურს შევჩერდე ჩვენი მფრინავების დახასიათებაზე. ყველაზე მკაფიო ფიგურას წარმოადგენს მოლოკოვი, დაბალი, ჯმუხი და მაგარი აგებულობის იგი თითქმის მუდამ მღუმარეა. როცა იგი ბანაკსა და ვანკარემს შორის მიმოფრინავდა, მესგან მესმოდა მხოლოდ ეს მცირე სიტყვიანი წინადადებები:

— მოვიყვანე ამდენი კაცი, ახლა მივფრინავ ისევე.

— გეჭამა რამე, — ვთხოვდი მას.

— არ მინდა, თან მაქვს შოკოლადი — გზაზე ვჭამ — მიპასუხებდა ჩვეულებრივ და მაღლდებოდა ჰაერში.

მოლოკოვი მუშაობდა შეუსვენებლად. გაფრენების დროს, რასაკვირველია, მისი მანქანა ზიანდებოდა, მაგრამ მისი შეკეთება გზადაგზა წარმოებდა, ვანკარემში რომ სათანადო კომისია ყოფილიყო, ცხადია, მოლოკოვის მანქანას გასაფრენად არ გაუშვებდა. ჩვენი მფრინავები კი ახერხებდნენ დაზიანებული მანქანით ათჯერ მიფრენმოფრანას, ისიც ყოველთვის კეთილი დასასრულით. ერთ დღეს მოლოკოვი კამანითან, ვოდოპიანოვთან და სხვა მფრინავებთან ერთად ხუთჯერ მიფრინდა ბანაკში, გზადაგზა აწარმოებდა რა მანქანის შეკეთებას.

თითოეული გაფრენის ხასიათი და პირობები უაღრესად რთული იყო. ყოველ წუთში იცვლებოდა ამინდი, გაფრენას თან სდევდამუდამ ხიფათი, მოხდებოდა ხოლმე აფრენისას კარგი ამიდი იდგამაგრამ არავინ იყო დარწმუნებული, თუ როგორ მეტეოლოგიურ პირობებში მოუხდებოდა ბანაკში მისვლა. ამასთან ყოველ ჩვენგანს თავში გვიტრიალებდა ფიქრი, რომ მოტორის გაფუჭება გზაზე ან იძულებითი დაშვება დაღუპვას უდრის. ზღვაზე ხომ არ არის ყინული, რომელზედაც საჭიროების დროს დაშვება შეიძლებოდეს. დიახ, დიდია სიმამაცე ადამიანების, რომლებიც ფრინავდნენ ასეთ პირობებში. პატიოსნებას გეფიცებით, არ შევცდები, თუ ვიტყვი რომ ყველაზე უფრო საწყენი იყო ჩელიუსკინელთა გადასარჩენი ოპერაციე-



ბის დამთავრება! თვითონვე გასაჯეთ: უკვე აღარაეინ არის გადა-  
 სარჩენი, მათ კი მხოლოდ ეხლა გაშალეს, როგორც რიგია, ფტოები!  
 ნომში, სადაც ჩვენ მივიყვანეთ ავადმყოფი ოტო იულევიჩი, მივი-  
 ლეთ ცნობა, რომ გადარჩენილია არა მარტო ყველა ჩელიუსკინელი,  
 არამედ ძაღლებიც კი გადმოყვანილია. ამ ფაქტმა უდიდესი შთაბეჭდი-  
 ფოტო გ. უშაკოვის



ყინულების შეკუმშვა ხშირად ანგრევდა აეროდრომს. სურათზე—აეროდრომის  
 გაწმენდა მორიგი შეკუმშვის შემდეგ.  
 ლება მოახდინა ამერიკის უფართოეს წრეებში. ამერიკელები ჩვენ  
 გვხედებოდენ უდიდესი ყურადღებით. ყველგან გვეგებებოდა დიდძა-  
 ლი ხალხი; გაზეთების კორესპონდენტები კი არ გვასვენებდენ; ლამი-

თაც შემოდინოდენ ვაგონში, როცა გვეძინა; პირდაპირ გვექაჩებოდენ საწოლებიდან, გვთხოვდენ ინტერვიუს და იღებდენ ჩვენს სურათებს. მე გადამიღეს პერანგის ამარა, რადგან ჩაცმაც კი ვერ მოვასწარი.

ამერიკაში საბჭოთა კავშირით დაინტერესებული არიან ფართო საქმიანი და საზოგადოებრივი წრეები. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს საბჭოთა კავშირისადმი იჩენენ ამერიკელი მფრინავები. მრავალმა მათგანმა ჩვენთან საუბრის დროს გამოთქვა სურვილი იმუშაონ საბჭოთა მფრინავებთან ერთად, რომელთა მუშაობით ისინი აღტაცებულნი არიან.

ა. შ. შ.-ის ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს ჩვენ გაეხდით სხვადასხვა „მოულოდნელობის“ მოწმე. მაგალითად, ჩვენ წავაწყდით მთელ კოლონიას ოსებისას, რომლებიც ალიასკას შეხიზვნიან ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომამდე. იქ ისინი მუშაობენ ოქროს საბადოებზე. ოსების დელეგაცია შემოგვეგება წითელი დროშებით, რომელთაც ამშვენებდა წარწერა: „საბჭოთა მკვლევარებს“. ამ ემიგრანტების დიდი ნაწილი ოცნებობს იმაზე, თუ როგორ მოხვდნენ საბჭოთა კავშირში.

გადავფრინდით რა თვითმფრინავით ალიასკაზე, ჩვენ ოტო იულევიჩთან ერთად, რკინის გზით გადავჭერით მთელი ჩრდილოეთ ამერიკის მატერიკი და ბოლოს მოვხვდით ანტლანტიის ოკეანეში, — კომფორტაბელურ გემის „მაჟესტიკის“ კაიუტაში. ამ სტრიქონებს ვწერ ბერლინში, ხოლო ხვალ უკვე ვიქნები საბჭოთა მიწაზე, — ჩემი შესანიშნავი სამშობლოს მიწაზე.

საკვები სემიონოვი.

## როგორ გადმოიყვანეს ოტო იულევიჩი ბანაკიდან

კრენკელი იჯდა აპარატთან. ოტო იულევიჩი იწვა. მათ გარდა კარავში არეინ ყოფილა. ამ დროისათვის ბობროვი უკვე გადასახლებულიყო კოპუსოცის კარავში, რომ ოტო იულევიჩისათვის მეტი მოსვენების საშუალება მიეცა. ხანდახან შმიდტი, ესმოდა რა აპარატის მუშაობა, თვალებს ახელდა და წყნარი ხმით ეკითხებოდა კრენკელს ახალი ამბების შესახებ, ან გამომეტყველებით შეხედავდა მას.

კრენკელი ხვდებოდა მის მღუმარე კითხვას და უკითხაჲდა შმიდტს რადიო-ჟურნალში ჩანაწერს.

ნაშუადღევის 5 საათზე კრენკელმა დაიწყო მოსკოვიდან ჩუკოტის ზღვის ყინულებზე მდებარე ბანაკამდე ორ ნახევარი საათის განმავლობაში გადმოცემული დეპეშის მიღება, დეპეშამ ააღლევა კრენკელი.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



შმიდტი, კობუსოვი და ბობროვი ბანაკში ყინულზე.

„11 აპრილი, 4,45 მოსკოვის დრო. საავარიო, მთავრობის. ვანკარეში—უშაკოვს, პეტროვს.

მთავრობის კომისია წინადადებას გაძღვეთ თქვენი შეხედულების მიხედვით დაუყოვნებლივ გადაიყვანოთ შმიდტი ალიასკაზე. ყოველდღიურად სპეციალური რადიოგრამით შეგვატყობინეთ შმიდტის ჯანმთელობის მდგომარეობა. გვაცნობეთ თქვენი წინადადება მისი გადაყვანის შესახებ.  
„კუიბიშევი“.

დაუყოვნებლივ აპარატმა დაიწყო მოსკოვში 12 წუთით გვიან ჩაბარებული მეორე რადიოგრამის მიღება.

„4,57 მოსკოვის დრო. საავარიო მთავრობის. არხანგელსკი. რადიო-ვანკარეში. შმიდტს, ბობროვს.

თქვენ ავადმყოფობის გამო, მთავრობის კომისია წინადადებას გაძლევთ გადააბაროთ ექსპედიცია მოადგილე ბობროვს, ხოლო ბობროვმა ჩაიბაროს ექსპედიცია. უშაკოვის მითითებით, თქვენ უნდა გადაფრინდეთ ალიასკაზე. ყველა გესალმებათ თქვენ. დარწმუნებული ვართ დაბრუნებაში.

„კუიბიშევი“.

როგორც თვითონ კრენკელი ჰყვება, მან შიშით მიიხედა შმიდტისაკენ. შმიდტი წინანდელ მდგომარეობაშია, თვალედახუჭული. რა შიშე წუთია, როგორ გადასცეს ასეთი დეპეშა, თუნდაც მთავრობის დეპეშა შმიდტს, რომელსაც პატივს ცემს, აფასებს და უყვარს გაცილებით უფრო, ვიდრე თავისთავი. მაგრამ ფიქრისთვის დრო არ იყო. აპარატი ისევ უძახოდა, მოდიოდა შემდეგი რადიოგრამა იმავნებე — უშუალოდ თვით უშაკოვისაგან ვანკარემიდან.

ბოლოს, აპარატმა შეწყვიტა გადმოცემა. კრენკელს ღრნიდა უდიდესი ეჭვები. იგი სრულ შეუძლებლობას გრძნობდა გადაეცა საყვარელი ოტო იულევიჩისათვის რადიოგრამა, რომელიც ხნთავისუფლებდა, თუნდაც ავადმყოფს, ექსპედიციის უფროსის უშუალო მოვა, ლეობებისაგან. მეორე მხრით მას წარმოუდგენლად მიაჩნდა მოეტყუებია შმიდტი და არ გადაეცა მისთვის მის მისამართზე მოსული დეპეშები. ყველაზე მეტად მას ეშინოდა იმ წუთის, როცა შმიდტი გაახელდა მღვრიე თვალებს და შეეკითხებოდა: „რა არის ახალიერნესტ?“.

მან გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გადაეცა დეპეშა ბობროვისათვის. ამისთვის იგი კარავიდან გარეთ უნდა გასულიყო და, რაც მთავარია, — თან უნდა წაეღო რადიოჟურნალი. არასოდეს, იმ შემთხვევების გამორიცხვით, როცა ოტო იულევიჩი ზმამაღლა კითხულობდა საერთო ბანაკში „გარე ქვეყნიდან“ მიღებულ საინფორმაციო ცნობებს, რადიოჟურნალი გარეთ კარავიდან არ გაუტანია მას, კრენკელს. მას ეშინოდა, რომ უცბად შმიდტი გაახელს თვალებს და ჰკითხავს: „სად მიხვალთ კრენკელ? რისთვის მიგაქვთ რადიოჟურნალი?“

და მან, კრენკელმა, რომელმაც შმიდტთან გაატარა ოთხი ექსპედიცია, მან კრენკელმა, რომელსაც არაფერში ოდნავადაც არ მოუტყუებია შმიდტი და ყოველთვის პირველ რიგში ხელშეუხებლად გადასცემდა ყველა დეპეშებს, ეხლა უნდა მოატყუოს იგი.

ერთი სიტყვით, პალტოს ჩაუცმელად, ქუდის დაუხურავად ზურგს უკან ჟურნალის ამოდებით, კრენკელმა ფეხაკრეფით გაუარა ახლო ოტო იულევიჩს და გავიდა კარავიდან. მან მიიღბინა კოპუ-



სოვის კარავთან, სადაც დროებით გადასახლდა ბობროვი. გაალო კარი. კარავში, ბობროვს გარდა, ზის „ზავხოზი“ კანცელი. კრენკელმა საიდუმლო ნიშნით გამოიხმო ბობროვი კარავიდან. ბობროვი ვერ მიხვდა: „რა მოხდა? თვითმფრინავები მოფრინდენ ვანკარემში?“ — დაიძახა მან მხიარული ხმით, მაგრამ ხედავს რა კრენკელის ღუმილს. ცვლის კითხვას: „რა იყო? ოტო იულევიჩი მიძახის?“

— გამოდით, ალექსეი ნიკოლაიჩი, — მოწყენით თქვა კრენკელმა.

კარავიდან გამოსული ბობროვი კრენკელმა წაიყვანა სურსათ-სანოვავის საწყობში — განმარტოებულ ადგილზე, საიდანაც იშლებოდა. წარმტაცი ხედი ჩუკოტის ზღვის ტოროსებზე. ჩამოაჯინა რა ბობროვი ყინულზე, გადასცა მას რადიო აურნალი. ბობროვმა წაიკითხა.

— შმიდტმა იცის? — პირველყოვლისა ჰკითხა ბობროვმა.

— არა, არ იცის.

ვიდრე შმიდტთან შევიდოდა, ბობროვმა ბოლთის ცემა დაიწყო კარავის ორგვლივ. მის წინ მძიმე ამოცანა იყო. ბობროვმა იცოდა, როგორც იცოდა ეს უშაკოვმაც, რომელიც თავის დეპეშაში წინადადებებს იძლეოდა შმიდტის დასარწმუნებლად მოეხდინათ ჩელიუსკინელების საზოგადოებრივი აზრის მობილზაცია, და თუ საჭირო გახდებოდა, ეს აზრი გაემაგრებიათ პარტიული კოლექტივის გადაწყვეტილებით. მართალია, ამის გაკეთება რამდენიმედ უკვე გვიან იყო: ყინულზე სულ 30 კაციღა იმყოფებოდა, დანარჩენი გადაყვანილიყო. გარდა ამისა, დარჩენილთა დიდი ნაწილი უკვე იმყოფებოდა აეროდრომზე, სადაც ყოველ წუთში თვითმფრინავებს მოელოდნენ.

ბობროვმა კარვის გარშემო სიარულის დროს მოიფიქრა მთელი გეგმა, თუ როგორ დაეყოლებია შმიდტი განკარგულების შესრულებაზე. გეგმა შედგენილი იქნა ორი ვარიანტით. თუ შმიდტი „კარგ“ გუნებაზე აღმოჩნდებოდა, იგი, ბობროვი დაიწყებდა ყინულიდან ჩელიუსკინელთა გადაყვანის მიმდინარეობაზე მოხსენებით. ეტყვის — გადაყვანა მიმდინარეობს დიდი წარმატებით. გუშინ გადაყვანილ იქნა 22 კაცი, დღეს — 33. ცხადია, ხვალ, თუ კარგი ამინდი იქნა, გადაყვანილნი იქნებიან დანარჩენნიც, ამიტომ დღეს დაიწყეს ავადმყოფთა გადაყვანა. გაგზავნილი იქნა ბელოპოლსკი, ხოლო ეხლად რიგი თვით ოტო იულევიჩზეა.

თუ „ცუდ“ გუნებაზე იქნა, ბობროვს გადაწყვეტილი ჰქონდა, არ დაეჩქარებია შმიდტის გადაყვანა და გადაედო იგი ხვალამდი. „ცუდ გუნებად“ — იგულისხმებოდა შმიდტის მუდმივი სურვილი დატოვებია ყინული უკანასკნელს.

ამის მიხედვით ყინულზე ჩამომჯდარმა ბობროვმა მოამზადა  
ორი დეპეშა, პირველი უნდა გაგზავნოდა უშაკოვს და შეიცავდა  
შემდეგს:

„მთავრობის განკარგულება მიღებულია შესასრულებლად.  
შმიდტი მორიგ თვითმფრინავზე, ექიმ ნიკიტინის თანხლებით,  
თქვენსკენ იგზავნება. „ბობროვი“.

მეორე — კუიბიშევს:

„მოსკოვი. თქვენი განკარგულება მიღებულია შესასრუ-  
ლებლად, შმიდტი იგზავნება ვანკარემში ექიმ ნიკიტინის  
თანხლებით. „ბობროვი“.

ორი დეპეშის პროექტებით და რადიოჟურნალით შეიარაღე-  
ბული ბობროვი შევიდა კარავში. კრენკელი, რომელიც კვალდაკვალ  
დასდევდა და მღუმაღედ თანაუგრძობდა ექსპედიციის ახალი უფ-  
როსის განცდებს, იკავეებს დარაჯის პოსტს კარვის შესასვლელთან.  
მან გადასწყვიტა არ შეუშვას კარავში მესამე პირი.

კარავში შესვლისას, ბობროვმა გულგრილად ისროლა ჟურნა-  
ლი მისთვის დანიშნულ ადგილზე; სურდა ამით ეჩვენებია, რომ მისი  
მისვლა კარავში არაფრით არ არის დაკავშირებული რადიოჟურ-  
ნალთან. ბობროვი გადმოგვცემს, რომ ერთბაშად მას ოფლმა დაასხა.  
შმიდტმა გაახილა თვალი და მიესალმა ბობროვს, მისთვის ჩვეული  
ნაზი გალიმებით.

— რასა იქნა? გვარიანად ხართ, მკაცრად ჰკითხა ბობროვმა,  
ჰავრი შეისუნთქა და წელში გაიმართა მის წინ მწოლარე შმიდ-  
ტის წინ.

— გმადლობთ. ისევ ისე. გვარიანად.

— მინდა მოგახსენოთ, — ეუბნება ბობროვი, უჯდება რა შმიდტს  
ფერხთით, — თვითმფრინავები მუშაობენ კარგად, გადაყვანა წარმა-  
ტებით მიმდინარეობს. გუშინ გადაიყვანეს 22, დღეს — 34.

შმიდტი ულონოდ აქნევდა თავს.

— რჩება 31.

შმიდტმა ისევ დააქნია თავი.

— თვითმფრინავები მუშაობენ კარგად. დღეს გავგზავნე „ლი-  
ტერიანები“.

— რას ნიშნავს „ლიტერიანები“? — გაიკვირვა შმიდტმა.

— ავადმყოფები, ესე იგი: ბელოპოლსკი... თვითმფრინავები მუ-  
შაობენ კარგად და გავგზავნეთ ისინი რიგს გარეშე.

შმიდტმა ისევ დააქნია თავი.


— დარჩენ მხოლოდ ჯანსაღები. ეხლა რიგი თქვენზეა, როგორც „ლიტერიანზე“.

შმიდტმა თავი ასწია:

— ესე იგი, როგორ?..

— დიახ, თქვენზე, — გაუბედავი ხმით უთხრა ბობროვმა.

ფოტო კინო-ოპერატორ შაფრანის



ვანკარეში. შმიდტი საკაცეზე ნომში გაფრენის წინ.

იგი შეყურებდა ოტო იულევიჩის თვალებში. მომენტი, მისი აზრით, იყო გადამწყვეტი.

ოტო იულევიჩმა თავი დალუნა.

— არა, ეს კი არ შეიძლება. დაგავიწყდათ პირობა: მე—უკანასკნელ რიგში, თქვენ—ჩემს წინ.

— უნდა გითხრათ, რომ მდგომარეობა იცვლება. ჩვენ ხომ დიალექტიკოსები ვართ. მე ჯანსაღად ვარ, თქვენ კი—ავადმყოფი. რიგი შეიძლება გადანაცვლებული იქნას.

— არა, ალექსეი ნიკოლაიჩი, ეს არ შეიძლება. მე უკანასკნელ რიგში ვარ.

— ოტო იულევიჩი! გასინჯეთ თვითონვე: ვინიცობაა შეკუმშვა მოხდეს, თქვენი აქ ყოფნა ჯანსაღებს ძალიან შეგვაწუხებს, შეიძლება კარავები დაინგრეს. მოგვიხდება თქვენი ყინვაზე გაჩერება. თქვენ დაილუპებით,—ეს ხომ სკანდალია. იტყვიან, ვერ დაიცვეს ექსპედიციის უფროსი, როცა ეს შესაძლებელი იყო. რა გუნებაზე დააყენებს ეს ბანაკში დარჩენილებს.

შმიდტი ჩაფიქრდა:—არა, არ შეიძლება, მე ხომ ისევ უფროსად ვრჩები?

ეს ითქვა საკმაოდ მტკიცედ. ბობროვი გაჩუმდა, მაგრამ ერთ წუთს შემდეგ ისევ დაიწყო, გადასწყვიტა რა დაეწყო შეტევა მეორე ფრონტიდან.

— აბა რა უფროსი ხართ, როცა ავადმყოფი წევხართ. თქვენ უკვე უსარგებლო კაცი ხართ ბანაკში.

— რა? რაშია საქმე?

— კმარა რაც იუფროსეთ; ვაცხადებ თავს უფროსად.

— ნუ-ნუ-ნუ,—დამშვიდდა შმიდტი.

— რის ნუ-ნუ-ნუ? თქვენ გზავნით როგორც „ლიტერიანს“.

— უკაცრავად, მე არავის არ შეუცვლივარ.

— არ შეუცვლიხართ?.. აბა რაღა გელაპარაკოთ. — თითქმის დაიყვირა ბობროვმა.

ბობროვი მთლიანად დესველებული იყო ოფლისგან. ხელი სტაცა რადიოჟურნალს, და მიაჩენა შმიდტს.

— აჰა, წაიკითხეთ.

შმიდტი დიდხანს ყურადღებით კითხულობდა დეპეშებს. რადიო-ჟურნალს უკავებდა ბობროვი.

მორჩა კითხვას და ბალიშზე მიეყრდნო. თვალები დახუჭა. ნახევარ წუთს შემდეგ ისევ გაახილა.

— რას გვიბრძანებთ, ამხანაგო უფროსო?

ბობროვი მივარდა მას. გადაკოცნეს ერთმანეთი.

— როგორ? ახლავე? დღესვე?—გაიკვირვა შმიდტმა.

— დიახ, დიახ, ახლავე. ვანკარემიდან გზავნიან გათბობილ თვითმფრინავს.


შმიდტი პროტესტს აცხადებდა ასე მეტად სწრაფი და უეცარი გაგზავნის წინააღმდეგ, მაგრამ იძულებული გახდა დათანხმებულიყო.



მან აქვე გადასცა თავისი უფლებამოსილობა ექსპედიციის ახალ უფროსს, ჩააბარა რა მას თავისი უკანასკნელი განკარგულებები.

ბობროვმა დაუძახა კრენკელს, რომელიც ისევ დარაჯად იდგა კარებთან. ცნობა შმიდტის გაგზავნის შესახებ მყისვე მოედო მთელ ბანაკს. შემოვიდნენ კობუსოვი, ექიმი, რადისტი ივანოვი და კიდევ

ფოტო გ. უშაკოვის



ნომი. თ. ი. შმიდტი ჰოსპიტალში.

ვილაც სამანქანო კომანდიდან. დავიწყეთ ავადმყოფის ჩაცმა. მიუზღ-  
დავად თავისთავზე ძალის დატანებისა, ვერცერთს ვერ გაგვენთავი-  
სუფლებია თავი მძიმე გრძობისაგან.

მოულოდნელად ყველა გაგვაცინა ექიმმა ნიკიტინმა. მან მიმარ-  
თა ბობროვს მოულოდნელი კითხვით:

— ალექსი ნიკალავეიჩი, არ შეიძლება მომცეთ ახალი „პოლუ-შუბკა“? ჩემი ძალიან წვირიანია, იმით ვერ გამოვჩნდები.

სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ ვინ უნდა გაჰყოლოდა ოტო იულევიჩის ალიასკაზე. ექიმს გარდა დაასახელეს კრენკელი, როგორც ინგლისური ენის მცოდნე.

— კრენკელი ძალიან კარგი იქნებოდა, — სთქვა ოტო იულევიჩმა, — მაგრამ მე შეუძლებლად მიმაჩნია იმ კაცის თანწაყვანა, რომელიც ბანაკის კავშირგაბმულობაზე მუშაობს.

უცბად მან ღიმილით მიმართა თვით კრენკელს:

— რას იტყვით ერნესტ ფეოდოროვიჩი, თანახმა ხართ თან წამომყვეთ?

ეს კითხვა კრენკელისთვის მოულოდნელი იყო. ყველაზე მეტად მას არ უნდოდა დაშორებოდა ოტო იულევიჩს, მაგრამ ამავე დროს მან იცოდა, არ ჰქონდა უფლება დაეტოვებია ბანაკი. მის არყოფნას შეეძლო ისეთი ზიანი მიეყენებია დარჩენილებისათვის, რომლის გამოსწორება შეუძლებელი იქნებოდა. უკანასკნელ დღემდე ხომ სწორედ მას ემყარებოდა რადიოკავშირი გარე ქვეყანასთან.

შემდეგ კრენკელი მიამბობდა: „ვიფიქრე: თუ რა მეპასუხებია და ვერაფერი მოვიფიქრე“.

— როგორც მიბრძანებთ, ოტო იულევიჩი, — ძლივს წარმოთქვა მან.

კარავთან უკვე მოეტანათ მარხილი. თბილად ჩაცმული ოტო იულევიჩი შევაძვრინეთ საწოლ ტომარაში, ფრთხილად დავდევით მარხილზე, თავქვეშ დაუგეთ ბეწვის რბილი მუთაქა. ოტო იულევიჩი ცდილობდა ოხუნჯობას, მაგრამ მისი ოხუნჯობა ფუჭად იკარგებოდა.

მარხილი დაიძრა. ბობროვსა და კოპუსოვს გარდა მარხილს გაჰყვნენ ვალოდია ზადოროვი—პარტ. ორგანიზაციის მდივანი, ფედია რეშეტნიკოვი—მხატვარი, ვანია რუმინციევი—გემკომის თავმჯდომარე, ტოლია ზაგორსკი—ბოცმანი, ყველა თითქოს განზრახ ტყავის შავ კურტკებში ჩაცმული...

მარხილი საკმაოდ სწრაფად მიდიოდა. გამყოლნი ხტომილით მირბოდნენ უკან. საჭირო იყო ავადმყოფისათვის თავი დაეკავებიათ, გადაეხურათ სახეზე, რომელსაც ოტო იულევიჩი მუდამ იხდიდა. მას უნდოდა უკანასკნელად ენახა ბანაკი და საშინლად იგინებოდა, როცა მას ისევდაისევ აფარებდნენ სახეზე.

აეროდრომზე, თვითმფრინავში ჩაჯდომის დროს მან ისევ გადაკოცნა ბობროვი.

— მე მივფრინავ სრულიად დამზვიდებელი, ალექსეი ნიკალაევიჩ. ძალიან კარგი ჰქნეს მოსკოვში, რომ თქვენ აგირჩიეს.

თვითმფრინავის ლოდინი არ დაგვკვირვებია. პილოტი, რომელსაც ხვდა პატივი—გადაეყვანა შმიდტი ყინულიდან, იყო ჩინებულნი ვაჟკაცი—მოლოკოვი.

## ა. ნ. ბობროვი.

ექსპედიციის უფროსის  
პირველი მოადგილე.

## უკანასკნელი ექვსი

იმ ღამეს, როცა 9 აპრილი თენდებოდა, ძლიერი ნორდ-ვესტის გავლენით დაიწყო დატოროსება. დაილეწა აეროდრომი, დაინგრა



ბარაკი, სადაც რამდენიმე საათის წინ მოხსენებას გვიკეთებდა უშაკოვი. კარვები აღმოჩნდნენ ერთ მხარეზე, ბარაკის ნანგრევები—მეორე მხარეზე. იმ მხარეს, სადაც ბარაკი იდგა, ჩვენ „ზამოსკვორჩიეს“ ვუწოდებდით. საჭირო შეიქნა ხიდის გაღება, შემდეგ ყინულები ისევ შეერთდნენ. ცნობებს თვითმფრინავების მოახლოებაზე ყოველთვის ვგებულობდით. ჩვენი რწმენა საბჭოთა ავიაციის ძლიერებაში მტკიცე იყო.

— რაკი თვითმფრინავები ვანკარემში იქნებიან, ვფიქრობდით ჩვენ, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყუეთ, რომ გადაგვიყვანენ.

მთელი საქმე ამენდზე იყო დამყარებული. ჩვენთა კოტარ-

გი დარი იყო, თვითმფრინავებთან ცული; თვითმფრინავები სააკში



დარია, ჩვენთან კი ავდარი. მხოლოდ მაშინ, როცა თვითმფრინავები ვანკარემში მივიდნენ, უამიდობამ იკლო. შვეუდქით სიების შედგენას. პირველ რიგში ჩავრიცხეთ სუსტები.

მოფრინდენ პირველი თვითმფრინავები. პირველ დღეს გადაიყვანეს 30 კაცი, მეორე დღეს თითქმის ამდენივე. დიდი ბრძოლა დაგვეჭირდა ოტო იულევიჩთან. იგი მძიმე ავადმყოფი იყო, სიცხე 40 გრადუსამდე აღწევდა. გამგზავრებაზე გადაჭრით უარი განაცხადა, მაგრამ მივიღეთ მთავრობის კომისიის დეპეშა და შმიდტი ბრძანებას დაემორჩილა.

ბანაკიდან მისი გადაყვანის წინ ჩელიუსკინელთა სამი მეოთხედი უკვე გადასხმული იყო ნაპირზე. ყინულზე. დარჩა 28 კაცი. მდგომარეობა მათი სავსებით საიმედო იყო. ყველა დარჩენილი გამძლე და ამტანი გახდათ, ნივთიერი შესაძლებლობაც საათობით იზრდებოდა. ჩვენდა საშველად მოფრინავდა თვითმფრინავთა ახალი—გალიშევის ჯგუფი. სურსათის და საწვავის მარაგი 28 კაცს ეყოფოდა რამდენიმე თვეს. მაგრამ დარჩენილნი მაინც თავს მოუსვენრად გრძნობდნენ. ჩვენ გვალელებდა ოტო იულევიჩის ავადმყოფობა და ავადმყოფობის მოსალოდნელი ცუდი დაბოლოება. ბევრი ჩვენგანი თავს დამნაშავედ გრძნობდა, რომ ვერ გავიტანეთ ჩვენი აზრი და უფრო ადრე არ გავაგზავნეთ იგი. პირადად მე ძალიან მალელებდა ის, რომ შმიდტის შემდეგ უნდა მეკისრა ექსპედიციის ხელმძღვანელობა. შმიდტი სარგებლობდა ამხანაგების დიდი სიყვარულით. მას ჰქონდა გამოცდილი პოლიარული მკვლევარის და მოღვაწის უდიდესი ავტორიტეტი. ჩემი პოლიარული სტაჟი კი 9 თვით განისაზღვრებოდა, მაგრამ მე მამხნევებდა რწმენა ექსპედიციის უფროსის და პარტიის ხელმძღვანელობით აღზრდილ კოლექტივის სიმტკიცეში.

ოტო იულევიჩი გაფრინდა მატერიკზე. გადასაყვანი მუშაობა გრძელდებოდა, თანდათან კლებულობდა ხალხი შმიდტის ბანაკში. გმირმა მფრინავებმა გვიჩვენეს ფრენის ოსტატობის მაღალი კლასი.


12 აპრილს ბანაკში დარჩა 6 კაცი და 8 ძალღი. ამინდი ფუჭდებოდა. კაპიტანი ვორონინი, კრენკელი და მე ავედით კომპლექს. ჩვენ წინ გადაიშალა ცარიელი ბანაკი. კარვები უკვე აღებული იყო. ბოლავდენ კოცონები. სამარისებურ სიჩუმეს ხანდახან არღვევდა ყინულების ლაწა-ლუწი.

უცნაურმა გრძნობამ შეგვიპყრო: ერთი მხრით—სინანულმა, რომ ვტოვებდით ადგილს, სადაც ორი თვე გავატარეთ და შევეჩვიეთ, რომლის გვერდით ჩაძირული იყო „ჩელიუსკინი“, რომელსაც ისევ ვხედავდით, რომელიც კეთილშობილებით ამოისვრიდა ხოლმე ჩვენთვის ხან



ქონსერვების ყუთს, ხან ფიცრებს. მეორე მხრით განვიცდილით უდიდესი სიხარულის გრძნობას იმის გამო, რომ ჩვენ მაინც შევძელით შკატრი ბუნების დამარცხება, რომ ბოლშევიკების შეტევამ მოდრიკა ყინულების ძოიერება. ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მე და ვორონინი ბავშურ აღტაცებამ შეგვიპყრო და მოვდექით „ტრეპაკის“ ცეკვას. მეშინია, ამ სკანდალურ ფაქტის გახმაურებით არ გავაგულისო ვლადიმერ ივანოვიჩი, მაგრამ რას იზამ—სინამდვილეს ვერ გაეჭყევი. დიახ, ჩვენ ვცეკვავდით. კრენკელი კი გვიყურებდა. ეს ღამე მუდამ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



თვითმფრინავებთან და აეროდრომთან დამაკავშირებელი მოწყობილობა შმიდტის ბანაკში. წინა პლანზე—კვამლის სიგნალის მისაცემი დადგმულობა; უკან—სასიგნალო ანძა.

მეორე დილას მივიღეთ ცნობა ვოდოპიანოვის გამოფრენის შესახებ. ვულოდინეთ მას რამდენიმე საათი. თავი წამოყო ეჭვმა: ხომ არ დაიმსხვრა? მალე კრენკელმა გვაცნობა, ვოდოპიანოვმა ვერ იპოვა ბანაკიო. გარდა ამისა, შეგვატყობია, რომ მოფრინავს სამი თვითმფრინავი, მათ შორის ვოდოპიანოვიც.

ჩვენ დავანთეთ დიდი კოცონი, დავაყარეთ მას ყველაფერი, რისი დაწვაც კი შეიძლებოდა, ხოლო როცა ბანაკს ზევით თვითმფრინავები გამოჩნდნენ, მოვაწყვეთ სალიუტი. კრენკელმა კოცონში ჩაყარა თოფის წამალი. მანვე გაგზავნა უკანასკნელი რადიო:

ყველას, ყველას!.. ორი... ნოლი... რვა ხსნის ადგილს... სიგნალი...  
კრენკელი.

მოვხსენით მოწყობილობა და მივაშურეთ აეროდრომს. სამო-  
თვითმფრინავი მწყრივში იდგა. ნამდვილ აეროდრომს გავდა. ჩავსვით.  
ძაღვები თვითმფრინავებში და შევიტანეთ შიგ ქონება. შეგვიძლია  
ჩავსხდეთ, რომელ თვითმფრინავშიაც გვნებავს. ვლადიმერ ივანოვმა.  
მოისურვა მაინცდამაინც ღია თვითმფრინავში ჩამჯდარიყო და ძვი-  
რათაც დაუჯდა—სახე გაეყინა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც მოი-  
გო: ახლა მას ახალი კანი აქვს. მე ჩავჯედი ვოდოპიანოვის თვით-  
მფრინავში, შემოვეფრინეთრა ბანაკს, გავუსწართ მოლოკოვს და დავ-  
ჯედით ვანკარემში, კამანინის დაჯდომის შემდეგ. შეხვედრა. გადახვევა.  
ერთ საათში დაიწყო პურგა.

ჩემი ვანკარემში მისვლის წინ, ექსპედიციის უფროსის მოადგი-  
ლეს ბაევსკის და კოპუსოვის საგანგებო სამეულთან ერთად  
დიდი მუშაობა ჩატარებიათ. ჩელიუსკინელთა დასაბინავებლად და-  
მათ გასამგზავრებლად პროვიდენიეს ბუხტაში. ამხ. ვოდოპიანოვის  
თვითმფრინავით, რომლითაც მე მოვფრინდი ვანკარემში, ერთ საათს  
შემდეგ ამხ. ბაევსკი და კოპუსოვი გაფრინდნენ უელენში.

ნერვიულმა დაძაბულობამ და რამდენიმედ შესუსტებულმა ფი-  
ზიკურმა მდგომარეობამ თავი იჩინა. გახშირდა გრიპი. ამან შესამ-  
ჩნევად გაართულა ჩელიუსკინის გადაყვანის ოპერაციები. ძაღვები-  
ანი მარხილების გამოყენება ავადმყოფთა გადასაყვანად შეუძლებელი  
იყო. მუშაობა ისევ თვითმფრინავებით მოგვიხდა.

როცა ჩელიუსკინელთა რაზმი გაიჭიმა ვანკარემიდან ლავრენ-  
ტის კონცხამდე, ხოლო თვით ვანკარემში დარჩა 11 ამხანაგი, მე  
გავფრინდი უელენში, სადაც იმხანად იმყოფებოდა 26, უელენ-ლავ-  
რენტის გზაზე—23, ლავრენტის კონცხზე—35, უელენისკენ მიმავალ  
გზაზე—8 ჩელიუსკინელი. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაენაწილე-  
ბია ძაღვები მთავარ ბაზებზე. ბაევსკი, რომელმაც დაამთავრა დიდი  
ეკონომიური მუშაობა ჩუკოტზე, დარჩა უელენში, ვიდრე ჩელიუ-  
სკინელთა ოპერაციები არ დამთავრდებოდა. გადასწყვიტეს მე გავე-  
გზავნეთ ლავრენტიზე, რადგან 5 დღის განმავლობაში სიცხეს მაძლევ-  
და და თავს ცუდად ვგრძნობდი. კოპუსოვი, ზოდოროვი და ბურე-  
ვიჩი გაიგზავნენ პროვიდენიეში იმ მიზნით, რომ მოემზადებიათ შე-  
ნობა და სურსათი ჩელიუსკინელების და მფრინავების მთელი შემა-  
დგენლობისათვის.

სამწუხაროდ, ლავრენტიზე მე არ მომიხდა მუშაობა. ჩემი ჩას-  
ვლის მეორე დღეს მე უკვე ვიწვევი საოპერაციო მაგიდაზე და ჩემს

შაგივრიდ, ბაევსკის მოსვლამდე, მთელ მუშაობას ეწეოდა ჩვენი ძაერთო საყვარელი ამხანაგი ა. კოლესნიჩენკო. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ის განსაკუთრებით გულთბილობა და მზრუნველობა, რომელიც ადგილობრივმა ბაზამ გამოიჩინა ჩელიუსკინელების მიმართ ლავრენტის ბუხტის ბაზაზე ქალების და ბავშვების მიყვანის დღიდან (11 მარტი), ჩელიუსკინელის უკანასკნელი ჯგუფის გემ „სმოლენსკით“ გაგზავნის დღემდე (14 მაისი).

კადრი კინო-ოპერატორ შაფრანის ფილმიდან „შმიდტის ბანაკში“.



პატარა ალა ბუიკოს ასეირნებენ.

გემზე ჩელიუსკინელების კოლექტივმა ისევ იგრძნო მეზღვაურთა დიდი ყურადღება და გულმოდგინე მზრუნველობა: მათ დაგვიტომეს თავიანთი ადგილები გემზე და მზად იყვნენ შეესრულებიათ ყველა ჩვენი სურვილი. კამჩატკის პროლეტარიატის შეხვედრამ გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს და დარჩა სამუდამოდ ჩელიუსკინელთა მენსიერებაში.



ი. ბაქსკი.

„ჩელიუსკინის“ ექსპედიციის  
უფროსის მოადგილე.

## ჩვენ ვცოცხლობდით ერთი სიცოცხლით დიდ კავშირთან ერთად

ორ მატერიკზე თავისუფლად გაშლილ საბჭოთა კავშირის არა-  
ყველა ქარტაზე არის აღნიშნული არქტიკული ზღვის ის უბანი.  
სადაც ჩვენ მოგვიხდა ცხოვრება და მუშაობა. ჩუკოტის ნახევარკუნ-  
ძულს ეძებენ ხოლმე ქარტის უკი-  
დურეს კუთხეში მარჯვნიდან ზევით  
ისე, რომ ვანკარემისა, უელენისა  
და ზღვის ნაჭერისათვის შმიდტის  
ბანაკით, ე. ი. იმ წერტილებისა-  
თვის, რომელიც ახლა ცნობილია  
ყოველი მოწაფისათვის,— ქარტაზე  
ადგილი არ რჩება. ამ წერტი-  
ლებს, მოვლენათა მსვლელობით,  
წილად ხვდათ მრავალი დღის გან-  
მავლობაში გამხდარიყვნენ საბჭო-  
თა კავშირის და მთელი მსოფლიოს  
ყურადღების ცენტრად. იქ იმყო-  
ფებოდნენ ჩელიუსკინელები.



„ჩელიუსკინის“ მრავალთვიანი  
დრეიფი, ჩვენ გვეგონა, ერთფე-  
როვანად მიმდინარეობდა. დღეს ყინულის მთელი მინდორი ჩვენთან  
ერთად მიიწივს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ეს არის ორ-სამ დღეს  
მქროლი სამხრეთ-აღმოსავლეთის მომწოლ ქარების შედეგი. რამ-  
დენიმე დღის წინათ ჩვენი ყინული მიიწივდა სხვა მიმართულებით.  
ეს არის და ეს! სხვა განსხვავება არ არსებობს. სხვა მხრივ ყველაფ-  
რით დღე დღეს გავს. ძველებურად გამზადებთ უმარილო ყინულს,  
წინანდებულად მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა და სწავლა,  
ძველებურად ყოველ საღამოს ორი საათით ვახშამს შემდეგ კაიუტ-



კამპანიაში უკრავენ პიანინოს, ასრულებენ სიმღერას „თუხმეტ დათ-ვის ბელზე“ და ნაღვლიან მელოდიას „В гавани, далекой гавани“, რომელსაც ასრულებს შტურმანი მარკოვი. დღე დღეს გავს. მხოლოდ უმზეო ბინდი ხდება უფრო ხანგრძლივი... სადღაც სამხრეთით იქ, პორიზონტს გადაღმა, უფრო მაღლა და მაღლა იწევს უკვე ჩვენგან დავიწყებული მზე. და ჩვენც მოუთმენლად ველით, თუ როდის გამოჩნდება სამხრეთის მხარეზე მზის თუნდაც პატარა კიდე, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ მოსკოვისა და ლენინგრადის სივანეზე. მხოლოდ გამოჩნდებოდეს თუნდაც მისი პაწაწკინტელა კიდე, გამოანათებდეს თუნდაც მისი ერთი სხივი.

რა ვაუწყოთ რადიოთი საბჭოთა კავშირს, მოსკოვს, ცენტრს, გაზეთებს, თითქმის მუდამდღე ერთი და იგივეა. ჩვენმა სპეცკორეზმა,— ჩვენ კორესპონდენტების ვუგზავნით ათეულზე მეტ გაზეთს, კალმებს ხელი უშვებს. რაზე სწერონ?

აი მოულოდნელად შემოდის ერთერთი სპეცკორი გაღიმებული სახით. მას რედაქციიდან საყვედური მიუღია: „რატომ ცოტა ცნობებს გვაწვდი, გამოგვიგზავნეთ მეტი კორესპონდენტებითო, აწერეთ ჩელიუსკინის ყოველდღიური მუშაობა, კოლექტივის მეცადინეობა, პოლიარულ ღამეში უცნობ მხარეებისკენ მოდრეიფე გემის სამეცნიერო საქმიანობაო. გესმით? ისინი არ კმაყოფილდებიან იმით, რასაც ვწერთ. როგორც ჩანს, „ჩელიუსკინის“ ამბავი მატერიკზე ძალიან აინტერესებთ. დიახ, ქვეყანა, ჩვენი კავშირი, რომელიც ერთ დღეს აკეთებს შთელი წლების საქმეს, დაინტერესებულია ჩვენი მუშაობით. მოითხოვს იმის დაწვრილებით აღწერას, რაც ჩვენ მოგვებზრდა, რაც გვეჩვენება ყოველდღიურ არასაინტერესო ამბად. მათი ასეთი ცნობისმოყვარეობა ჩვენს გულს სიამაყით ავსებს: ჩვენ ასეული კაცი არა საიმედო ნაჭუჭში მომწყვდეული და საბჭოთა კავშირი! ახალი კავშირით ვუერთდებით ჩვენ ერთიმეორეს. უფრო მტკიცე ხდება ისე-დაც მტკიცე კოლექტივი. უფრო მტკიცე, რომ გავხდეთ დიდი საბჭოთა კავშირის ღირსეული შვილები, საბჭოთა კავშირის, რომლის სიშორე ესოდენ გულისმომკვლელია და რომლის სიახლოვე ასეთი ნაზი და მშობლიურია.

\* \* \*

ახლოვდება პარტიული ყრილობის დღეები. შორს, შორს წავიდნენ დღეები, როცა პარტიული ყრილობა აინტერესებდა მხოლოდ პარტიულებს და მოწინავე მუშებს. ახლა, მეორე ათეულ წელზე პარტიული ყრილობა—ეს არის უღელტეხილი მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ხოლო ჩვენ—ჩელიუსკინელები ამ გასანცვიფრებელი ქვეყნის

პატარა ნავლევჯი ვართ. განა შეიძლება ჩვენ არ განვიცადოთ ყრილობის წინა თვეების სასიხარულო მღელვარება? როგორ შეგვიძლია ჩვენ არ ავინთოთ, როცა მთელი ქვეყანა გამახვილებული ყურადღებით უსმენს სტალინს, კაგანოვიჩს, მოლოტოვის, ვოროშილოვის? და ჩვენც განვიცადოთ მღელვარებას მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად.

მოხსენების თეზისები ჩვენ ვერ დავიჭირეთ. ვერ გვიშველა მთელი რადიო-მსოფლიოსათვის ცნობილმა ვერც პარადოქსალურმა კრენკელმა და ვერც ნაზად მომღიმარე ივანიუკმა თავიანთი გამოცდილებით და მოუდრეკლობით. მით უფრო სავალდებულო იყო ჩვენთვის მოხსენების მთლიანად მიღება. და ჩვენც თითქმის მთლიანად მივიღეთ სტალინის, მოლოტოვის და კაგანოვიჩის მოხსენებები.

ოტო იულევიჩმა ჩვენ ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია. თითქმის მან ერთმა იკისრა მოხსენებების მიღება. მისთვის, აქტიური მუშაკისა და ორგანიზატორისათვის ყოველ ჩვენგანზე უფრო მძიმე იყო ყოფნა დაშორებით მოსკოვისაგან, სადაც ამჟამად ცემდა პარტიის გული. და იგი სპობდა მანძილს რადიო-მიმღებით. გაბრწყინებული თვალებით იგი ისმენდა მოხსენებებს და თავისი გრძელი თითებით წერდა სიტყვას სიტყვაზე, ნიშანს ნიშანზე. მძიმე გასაშიფრი მუშაობის შემდეგ მიღებული იქნა სტალინის მონუმენტალური სიტყვა, კაგანოვიჩის ცოცხალი მოხსენება და დამარწმუნებელი სიტყვა ამხ. მოლოტოვის.

გაშიფრა კი ძნელი რამ აღმოჩნდა. საათების განმავლობაში უკარნახებდა ოტო იულევიჩი თავის ჩანაწერს სერგეი სემიონოვის, ოდესღაც „ნატალია ტარპოვის“ ავტორს, ახლა კი, როგორც ჩვენ ვხუმრობდით,—სტალინის „ლიტერატურულ ცენზორს“ იმ ადგილებში, სადაც რადიო-ჩანაწერი ვერ ეგუებოდა ბელადის სიტყვის სტილს.

ახლახან მიღებული და მანქანაზე გადაბეჭდილი ფურცლები დაუყოვნებლივ კედელზე იკვრებოდა. მის წინ ხალხი გროვდებოდა. წინ მდგომ ამხანაგების თავებს შუა გაყოფილი იყო უკან მდგომთა თავები. თვალები ხარბად ნთქავენ სიტყვებს და ციფრებს. ეს წესანიშნავი უბრალო სიტყვები წარუშლელ კვალს ავლებდენ მათ მეხსიერებაში.

„ჩვენ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი, მესამე და მეოთხე საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობანი უკვე არ არსებობენ, მეორე საზოგადოებრივი ეკონომიური წყობა—სოციალისტური წყობა წარმოადგენს მტკიცედ გაბატონებულ და ერთადერთ მბრძა-

ნებელ ძალას მთელს სახალხო მეურნეობაში.“ და მქუხარე ხანგრძლივ ტაშის ცემას ჩვენ ვუერთებთ ჩვენი ანთებული თვალების აღტაცებას და მკერდებიდან ამოვარდნილ ტაშს.

„ჩელიუსკინზე“ ჩვენ არ გვქონია რეგულიარული ინფორმაცია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩვენ არ გვქონია არავითარი სპეცი-



ვ. ზოდოროვი.

„ჩელიუსკინის“ პარტუჯრედის რომ თითოეული სიტყვა უაღრესად მოფი-

მდივანი.

ალური ინფორმაცია. ჩვენი რადიოსადგური იმდენად იყო მოწყობილი, რომ მიეღო ხაბაროვსკი და პეტროპავლოვსკი. სხვა მდგომარეობა შეიქმნა ყინულოვან მინდორზე. ჩვენ იძულებული გავხდით სასტიკად დაგვეზოგა აკუმულიატორები, ჩვენ ძალზე შევკვეცეთ რადიოსადგურის სამუშაო საათები. მაგრამ ჩვენ გვსურდა ვყოფილიყავით ჩვენი ქვეყნის ცხოვრების, მთელი მუშათა მსოფლიოს ცხოვრების კურსში. ჩვენმა ქვეყანამაც შეასრულა ჩვენი წადილი.

მალე, ყინულზე გადასვლის შემდეგ მოწყვსრიგდა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ინფორმაციის გადმოცემა და მიღება. გვიგზავნიდნენ სპეციალურ ინფორმაციას. ვკითხულობთ მიღებულ ცნობებს და ვგრძნობთ, კრებულნი და გაზომილია.

რადიოგრაიმებს ხელს აწერს იოფე. ვხედავ, —ეს ამხანაგი სწრაფი და ექსპანსიური მუშაობაში, სამი კაცის საქმის მკეთებელი, ამჟამად (რადგან კოლეგიის სამი წევრი შმიდტის მეთაურობით ზამთრობს არქტიკაში), თუ როგორი ყურადღებით შლის ზედმეტ სიტყვებს. იოფე პოულობს დროს მოსკოვში დაზოგოს ჩვენი აკუმულიატორები აქ.

ტელეგრაფის ცნობებში კონცენტრირებულია ყველაფერი ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს. პირველ რიგში დასახმარებელ ღონისძიებათა დისლოკაცია: „სმოლენსკისა“ და „სტალინგრადის“ მარშრუტი; შფრინავეების გამომგზავრება მოსკოვიდან და ირკუტსკიდან; უშაკოვის წინსვლა ჩვენსკენ; ლევანევსკის და სლეპნიოვის გადმოფრენა ამერიკით; კამანინ-მოლოკოვის, გალიშევის, ვოდოპიანოვის, დორონინის ჯგუფის რეიდი; „კრასინის ლაშქრობა“.

\* \*

ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრება. „მაგნიტოგორსკში“ ამუშავდა მეხუთე ლუმელი, —1, 100 ტონა ლითონის მწარმოებელი“. თვით ოტო იულევიჩი ხმამაღლა კითხულობს ცნობას. მის

ხმაში მოისმის სიამაყე იმ დიდი ქვეყნის, რომლის შვილიც ის არის და ჩვენც ყველა მისი მეგობრები და ამხანაგები ვართ „ჩელიუსკინით“. ოჰო! მეხუთე ლუმელი, 1100 ტონა ლითონი,—ერთხმად, ამბობს რამდენიმე ამხანაგი, რომლებიც წელს ამთავრებენ გემთ-სა-ამშენებლო ინსტიტუტს. ეს ცნობა აღელვებს არა მარტო მათ—ზოდოროვს, კოლისნიჩენკოს, მარტისოვს. ეს გვალელებს ჩვენ ყველას: შტურმან პავლოვსაც, ფიზიკოს ფაკიდვოსაც, მეღუმელე ნიკოლაევსაც.

ვერ გამოგვირკვევია, რა უფრო გვახარებს: ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური წარმატება, თუ ცნობა ჩვენ საშველად მიღებულ ლონისძიებებზე. აი ოტო იულევიჩის ინფორმაცია 12 მარტის თარიღით, ცნობა იმის შესახებ, რომ „კრასინის“ შეკეთება ნაცვლად ოთხი თვისა, დასრულდება 25 დღეში. ასეთი ვალდებულება იკისრეს ბალტიის ქარხნის მუშებმა და ტექნიკურმა პერსონალმა. ორმაგი გრძნობა გვიპყრობს ჩვენ: ცოტა ირონიულადაც ვიღიმებით, ჩვენ გვჯერა, ვიცით, რომ „კრასინი“ არ დაგვირდება, რომ დიდი ხნით ადრე „კრასინის“ მოსვლამდე, მთელ ოპერაციას დაამთავრებენ მფრინავები, მაგრამ 25 დღე ნაცვლად 4 თვისა! რამდენად გაზრდილა ერთ წელიწადში, ჩვენი არყოფნის დროს, ჩვენი საყვარელი ქვეყანა! გაკვირვების, სიამაყის და სიხარულის ხმაური აბრკოლებს ოტო იულევიჩის ინფორმაციის მოსმენას.


შემდეგ მოდის ცნობა იმის შესახებ, რომ კიჩკასში ამუშავდა „ზაპროკესტალის“ მეორე ბრძმელი; რომ მოსკოვის ოლქში 5 მარტისათვის შეკეთებულია 2346 ტრაქტორი; რომ ლოკ-ბატანში 4 მარტს ამოხეთქა 25 მეტრის სიმაღლეზე ნავთის ახალმა შადრევანმა, რომელიც ყოველდღიურად 10.000 ტონა ნავთს იძლევა; რომ უკრაინასა და ყირიმში წარმატებით მიმდინარეობს საადრეო ხვნა-თესვა. ზაპროკიე, ლოკ-ბატანი, უკრაინის და ყირიმის ველები! შმიდტის ბანაკი, ახალი გეოგრაფიული წერტილი, საბჭოთა ქვეყნის ყველაზე ნორჩი სოციალისტური ქალაქი სცოცხლობს თქვენთან ერთად ერთი სიცოცხლით, მოსკოვის ტრაქტორისტებო, კიჩკასის ლუმელებში მომუშავეებო, ლოკ-ბატანის ნავთის მუშებო, მთელი საბჭოთა კავშირის კოლმეურნეებო, ჩვენ თქვენთან ერთად ვეწევით შესანიშნავ მშენებლობას, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიო ღელავს ჩვენი გულისთვის, რადგან ყოველი დღე გამოუცნობი საიდუმლოებაა! ჩვენამდე, მოღრეიფე ყინულებში უონავს მილიონების მღელვარება. მაგრამ შმიდტის ბანაკს გარდა, ჩვენს ქვეყანას და მთელი მსოფლიოს მუშებს აქვს სხვა საზრუნავი, იგი უფრო მნიშვნელოვანია, გაცილებით



უფრო საყურადღებო; ვიდრე ჩვენი ბედი. პროლეტართა მილიონების ბედი წყდება ახლა იაპონიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, უნგრეთში. ისპანიაში იზრდება რევოლუციური ტალღა. იქ მუშათა კლასს ლაღობენ ანარქისტები და სოციალისტები. ცალკე რაიონებში იმარჯვებენ გაფიცულები. ჩვენი განწყობილების მრუდე ხან აღშფოთებით ძირს ეშვება, ხან ზეიმით და სიხარულით მალღა მიიწევს. რაღაც გაუგებარი რამ ხდება ავსტრიაში: ბრძოლები ვენაში: ფაშისტების გამოსვლები.

ფოტო ჩელიუსკინელ ნ. კომოვის



თვითმფრინავი ბანაკს ზევით.

აჯანყებულ მუშათა ძლიერი გამკლავება: რა არის იქ: ძღვეამოსილი რევოლუცია, თუ ფაშისტური ურდოების ველური თარეში? 35 გრადუსიანი ყინვა ვერ ანელებს ჩვენს რევოლუციურ მოუთმენლობას. ჩვენ ვთხოვთ მოსკოვს გაიმეოროს აბნეული და გაუგებარი რადიოგრამა. არა მარტო ჩვენი აკუმულიატორების თითზე ჩამოსათვლელი ვოლტები, არამედ მთელი ჩვენი ძალები მზადა ვართ მივცეთ ჩვენს საერთო საქმეს, ვენის აჯანყებულო მუშებო!

ჩვენს შორის—ჩელიუსკინელებს შორის თითქმის არაფერი არის შორეულ აღმოსავლეთიდან. მეტწილად ჩვენ ლენინგრადელები, არხანგელსკელები, მოსკოველები, მურმანსკელები ვართ. მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში დატრიალებული ამბები ჩვენც ისევე გვაღვევებენ, როგორც ვოლგის მხარის კოლმეურნეებს, ურალის მეღვინეებს, დონბასის მალაროელებს, მოსკოვის ქვემო მხარის ფეიქრებს... იაპონელების მიერ მანჯოუ-გოში ამნისტირებული არიან თეთრგვარდიელები... იაპონიის რაზმმა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე ცეცხლი წაუკიდა ტყის კონცესიას... იაპონელებმა ჟებე სამხედრო ბაზად გადააქციეს... ვლადივასტოკის ბუხტაში შესასვლელთან დააკავეს იაპონური შხუნა, რადიოთი აღჭურვილი. ...შხუნა ასრულებდა ჯაშუშურ დავალებებს, ყოველ დღე მზადდება ომი, რომელიც ემუქრება ჩვენს შორეულ აღმოსავლეთს. და ჩვენც ქვეყნის თავდაცვის აქტიურ მუშაობას დროებით მოშორებულნი თავს ვგრძნობთ მტკიცედ შემპყიდრობებულ რაზმად, რომელიც ყოველ წუთში მზად არის დადგეს საბჭოთა საზღვრების სადარაჯოზე.

23 თებერვალი. წითელი არმიის დღე! მეთექვსმეტე დღე მას შემდეგ, რაც ჩვენ ყინულის მინდორზე ვიმყოფებით მთელი ეს 10 დღე მიმდინარეობს შეუსვენებელი მუშაობა ბანაკის ასაშენებლად. რად არ გვიღირს დასვენება?! ეს პირველი დღეა იმ ათი დღის გაუგონარი დღის, განსაკუთრებით 13 თებერვლის, ამ შემაშფოთებელი დღის შემდეგ! წინადადება დასვენების შესახებ გუშინ სალამოს კრებაზე შემოტანილი, ერთხმად იქნა უარყოფილი. გადავსწყვიტეთ ავღნიშნოთ წითელი არმიის წლისთავი გაძლიერებული მუშაობით.


სალამოს მიტინგია. ჩვენ ვცხოვრობთ ერთი ცხოვრებით ჩვენს დიდ კავშირთან ერთად. წითელი არმიის შესახებ ოტო იულევიჩის მოხსენების მოსმენის შემდეგ, მომხსენებელი გვაცნობს აღფრთოვანებით მთავრობის მიერ ჩვენს გადასარჩენად მიღებულ ღონისძიებებს. „მთავრობა მუდამ ჩვენზე ფიქრობს და ჩვენც შევწიროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე არქტიკის დაუფლებას“, — ამთავრებს იგი სიტყვას. ჩვენ ვგზავნით დეპეშას, სალამს ვუთვლით ამხ. სტალინს და ვოროშილოვს. ასე კაცი მღერის „ინტერნაციონალს“. სიმღერის ხმებს ვევიწროებათ ბარაკი, სადაც ყოველთვის მიმდინარეობს ინფორმაციების და მოხსენებების მოსმენა. ხმები შორდებიან კედლებს, მიქრიან იქ, სადაც შავლამეში დრეიფით მიიწევს აღმოსავლეთისაკენ დასავლეთ ქარისაგან დევნილი ჩვენი ყინულოვანი მინდორი.

სალამოს, 27 თებერვალს ამხ. მოლოტოვის მიერ პარტყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ

ერთერთი ჩვენგანი კითხულობს საკ. კ. პ. (ბ)-ის ც. კ.-ის პოლიტიკურ ბიუროს შიერ ჩელიუსკინელებისადმი გამოგზავნილ დეპეშას:

„ვეუთვლით გმირ ჩელიუსკინელებს მხურვალე ბოლშევიკურ სალამს. ალტაცებით ვადევნებთ თვალს თქვენს გმირულ ბრძოლას სტიქიასთან და ვღებულობთ ყოველგვარ ღონისძიებას თქვენს დასახმარებლად. დარწმუნებული ვართ თქვენი სახელოვანი ექსპედიციის კეთილ დასასრულში და იმაში, რომ არქტიკისათვის ბრძოლის ისტორიაში თქვენ ჩაწერთ ახალ სასახელო ფურცლებს“.

კადრი კინო-ოპერატორ შ ა ფ რ ა ნ ი ს ფილმიდან



შმიდტის ბანაკი. მოფრინავს მოლოტოვი.

ჩვენც დარწმუნებული ვართ აგრეთვე ჩვენი ექსპედიციის კეთილ დასასრულში ისე, როგორც ამაში დარწმუნებული ხართ თქვენ, ჩვენი ქვეყნის საყვარელო ბელადებო. და ჩვენც ვკისრულობთ ვალდებულებას დაეწეროთ ახალი სასახელო ფურცლები არქტიკისათვის ბრძოლის ისტორიაში, თუ ამას მოგვიწოდებენ სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კუიბიშევი, კაგანოვიჩი და ორჯონიკიძე. ბანაკში აღფრთოვანებამ იფეთქა. ჩვენ გვიგზავნიან ასეთ გულთბილ, ასეთ მშობლიურ დეპეშას! ჩვენ გავხ-



დებით ღირსნი თქვენი მისალმების, თქვენი ალტაცების, თქვენი დარწმუნების ჩვენს ძალებში, ლენინის პარტიის ხელმძღვანელებო“.

\* \* \*

5 მარტს შმიდტის ბანაკიდან ყველა ქალისა და ბავშვის გადაყვანის გამო, ჩვენ მივიღეთ რამდენიმე მისალმება. ამხ. იოფეს ძუნწ ინფორმაციას არ შეეძლო მაინც ჩვენთვის გადმოეცა ის აღფრთოვანება, რომელმაც მოიცვა არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი მსოფლიო.

ლიაპიდევსკის, პეტროვის, კონკინის გაფრენების შემდეგ, საბჭოთა ტექნიკის ძლიერებას, რომელიც ჩვენ—შმიდტის ბანაკს—მთელ საბჭოთა კავშირთან გვაკავშირებდა, ჩვენ თითქმის ფიზიკურად ვგრძნობდით. ერთი ორი დღის შემდეგ ჩვენ ვღებულობდით პასუხს ჩვენ შეკითხვაზე, ვღებულობდით გამოხმაურებას ყოველივე იმაზე, რაც ჩვენ შეგვემთხვევოდა.

მფრინავების პირველმა მოფრენებმა ჩვენ მოგვითანეს გაზეთები და დაწვრილებითი ზეპირი ცნობები. ჩვენ განვცვიფრდით. ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენ ვაკეთებდით ყოველდღიურ საქმეს, ყოველ ბოლშევიკისათვის სავალდებულოს, სოციალიზმის ყოველი უპარტიო მშენებლისთვის სავალდებულო საქმეს. ყინულის ველზე მუშაობის დროს, ჩვენს ორგანიზაციულობასა და გამძლეობაში ვხელმძღვანელობდით ერთი პრინციპით: საბჭოთა კავშირის ღირსებით, ჩვენ მთელი ძალებით ერთ რასმე ვესწრაფებოდით, რომ ვყოფილიყავით მუშათა კლასის და ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები. თითოეული ჩვენგანის ინდივიდუალურ გატაცებაში იკარგებოდა ინდივიდუალობა და ჩვენც ვმოქმედობდით როგორც კოლექტივი, როგორც საბჭოთა ცემენტით შედუღებული ბოლშევიკური ფოლადი. ჩვენ უნდა განვაბტკიცოთ საბჭოთა კავშირის პრესტიჟი, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ისე, რომ ჩვენით ამაყობდეს ლენინ-სტალინის დიდი პარტია.


თურმე ჩვენ გვთვლიდენ გმირებად, თურმე ჩვენ გაკვირვებით შემოგვეყურებდა არა მარტო ჩვენი ღვიძლი საბჭოთა კავშირი, არამედ ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული მსოფლიო. ჩვენ ჩვეულებრივმა საბჭოთა კოლექტივმა, ასზე მეტი კაცისაგან შემდგარმა, დავანახეთ ქვეყანას, თუ რა შეუძლია ყოველ საბჭოთა კოლექტივს, თუ კი იგი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მთელი პროლეტარულ ქვეყნის ინტერესებით და ბოლშევიკური პარტიის მითითებებით. ისეთი, როგორც ჩვენ — მრავალია. ისეთი, როგორც ჩელიუსკინელები, — მთელი საბჭოთა ქვეყანა; და თუ მაინც ჩვენი ქვეყანა, პარტია და



მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებისა და ჯილდოს ღირსად გვთვლიან, ეს უფრო მეტ ვალდებულებას გვაკისრებს მომავალში.

ჩელიუსკინელებს ღირსეულად ეჭირათ თავი ცინულის ველზე. ჩელიუსკინელები, სადაც არ უნდა დააყენოს თითოეული ჩვენგანი პარტიამ და მთავრობამ, მოიქცევიან ისე, რომ იყვნენ ღირსნი თავიანთი დიდი ქვეყნის, თავიანთი შესანიშნავი ბოლშევიკური პარტიის, თავიანთი უბადლო ბელადის, ამხანაგ სტალინის.

ფოტო გ. უშაკოვის



შმიდტის დაცალიერებულ ბანაკში ფრიალებს საბჭოთა დროშა.

### III

საბჭოთა ორთუბი ყინულთში

## ვანკარები, უელენი



ლიაკიდევისკის,  
ლევანევისკის,  
მოლოკოვის,  
კამანინს,  
სლევნიოვის,  
ვოდოკიანოვის,  
დორონინს.

აღტაცებული ვარტ თქვენ მიერ ჩატარებული მუშაობით ჩელიუსკინელთა გადასარჩენად. ვამაყობთ თქვენი გამარჯვებით სტიჰინს ქალეზზე. გვინახარია, რომ თქვენ გაამართლეთ საუკეთესო იმედები და აღმოჩნდით ჩვენი დიდი სამოთხეობლად ღირსეული უვილნი.

ვმუშაობდომლობთ ს. ს. რ. კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე:

1. დაწესდეს წარჩინების უმაღლესი ხარისხი, დაკავშირებული გმირობის გამოჩენასთან— „საბჭოთა კავშირის გმირის“ სახელწოდება.

2. მიეკუთვნოს მფრინავებს: ლიაპიდევსკის, ლევანე-სკის, მოლოკოვს, კამანინს, სლეპნიოვს, ვოდოკიანოვს და დორონინს, რომელთაც ჩელიუსკინელთა გადასარჩენად უშუალო მონაწილეობა მიიღეს, „საბჭოთა კავშირის გმირთა“ სახელწოდება.

3. დაჯილდოებულ იქნან ლენინის ორდენით დასახე-ლებული მფრინავები და მათთვის მომსახურების გამწვავი ბორტმექანიკოსები და მიეცეთ მათ ერთდროული ფულა-დი ჯილდო წლიური ჯამაგირის რაოდენობით.

- ი. სტალინი.
- 3. მოლოტოვი
- კ. ვოროშილოვი
- 3. კუიბიშვილი
- ა. შტანოვი

ი. ვ. დორონინი.

## პუ რ გ ა შ ი

ოხოტის ზღვა თავდება. გვრჩება კიდევ ერთი გადაფრენა. ჩვენ უნდა გადავიაროთ პენჯინის უბე, 60 კილომეტრი მდ. პენჯინის გრავიურა ე. ბურგუნკერის.



ზედა მდინარების გაყოლებით და ჩამოვსხდეთ კულტაზაში.

28 მარტს გიჟიგკში ძალიან თოვს, მეორე დღეს თოვამ ოდნავ იკლო. გადავსწყვეტეთ გაფრენა. წინასწარ შევთანხმდით, თუ ცუდი ხედვა იქნებოდა, წავიდოდით სხვა-დასხვა კურსით.

ნახევარკუნძული ტაიგონოსი დამალულია ღრუბლებში. ერთი თვითმფრინავი მიტრიანავს მარ-ჯვნივ, მეორე — მარცხნივ. მდინარე ჩორნაისთან სრულიად არაფერი ჩანს. საჭირო გახდა 1200 მეტრის სიმაღლეზე აფრენა. ნახევარ საათის შემდეგ ღრუბლებიდან გამოა-ნათა. გამოჩნდა პენჯინის უბე, შემ-დეგ — კულტაზა. თოვლის ფიფ-

ქებში დავინახე 5 კოცონით გარშემორტყმული აეროდრომი. კოცო-ნებს შუა დაშვება დამთავრდა მარცხით: გაბტეხე შასი. აღმოჩნდა,



რომ უკანასკნელი პურგის დროს მოედანი დაფარულიყო თითქმის ერთ მეტრიანი ნაბუქრებით. ვერ მოესწროთ მათი გასწორება.

მალე აეროდრომის ზევით გამოჩნდნენ გალიშევის და ვოდოპიანოვის თვითმფრინავები. გამიელვა აზრმა: თუ დაეშვენ—დაიშხვრევიან.

— გააკეთეთ ჯვარი,—ვუყვირი აეროდრომზე შეკრებილებს. ნიშნით ჩემსკენ მოეუხმობ მათ, მაგრამ როგორ გააკეთონ? მორბის რვა კაცი, მე გავაწვიწე ისინი თვითმფრინავის მახლობლად ჯვარის სახით (ეს ნიშნავს აეროდრომზე დაშვების აკრძალვას).

ფოტო გ. უშაკოვის



ფაქტორიის შენობა ვანკარემში, სადაც მოწყობილი იყო საავარიო რაიცა ბანაკთან დასაკავშირებლად.

სულ დაბლა გაიფრინა გალიშევემა. დაინახა, დაახამხამა ფრთებით და გაფრინდა მდინარის ნაპირებისაკენ. მე თათქმის დამშვიდებული ვიყავი. გალიშევი პირველ წელიწადს არ ფრინავს ჩრდილოეთის მდინარეების მიდამოებში და ალბად გამონახავს ადგილს დასაფრენად. გავაფრთხილე, რომ მალე გაგზავნონ მარხილი ძაღლებით თვითმფრინავის ჩამოსაჯდომ ადგილას. მალე ვტყუობილობ, რომ გალიშევი მშვიდობიანად დაეშვა ერთერთ ადგილზე: ცოტა ხნის შემდეგ გალიშევის გვერდით დაეშვა ვოდოპიანოვიც.



ჩემი მანქანის დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა. დილით, ძლიერი პურგის მიუხედავად, მანქანა უკვე მზად იყო. მაგრამ არც იმ, არც მეორე დღეს გაფრენა არ მოხერხდა. თვითმფრინავები იმარხებოდნენ თოვლში და ჩვენ გვიხდებოდა მათი ამოთხრა.

მხოლოდ 4 აპრილს გაფრინდი ანადირში.

აღდანის მთებთან წავაწყდი დაბალ ღრუბლიანობას და ნისლს, მთები დამალულია. არაფერი არ ჩანს. გალიშეგვა და ვოდოპიანოვმა შეუხვედნენ მდ. ანადირის ველისაკენ. მე გადავწყვიტე გზა გამეკაფა წინათ აღებულ კურსით. ნახევარ საათის შემდეგ ოდნავ გამოანათა. ათ წუთში გავედი მდინარე ანადირზე. ანადირში მივედი სხვა თვითმფრინავებზე ოცი წუთით ადრე. აქ დიდხანს გვაკავებდა პურგა და მხოლოდ 11 აპრილს ჩვენ მივფრინდით ვანკარემში, ხოლო ვოდოპიანოვი—სევერნის კონცხზე.

მეორე დღეს ჩვენ კამანინთან, მოლოკოვთან და ვოდოპიანოვთან ერთად დაფრინდით შმიდტის ბანაკის აეროდრომზე.

**ბ. ა. ლევანევსკი.**

## ა ვ ა რ ი ა

გრაფიურა ი. ლუნინის.



28 მარტს, მყავდა რა თვითმფრინავში უშაკოვი და ამერიკელი მექანიკოსი, გაფრინდი ნომიდან, საბარგოში მაქვს აფთიაქი, სასურსათო ექსტრატები და სხვა.

მეტერეოლოგიური ცნობა გვაუწყებდა, რომ დამაკმაყოფილებელი ამინდი გრძელდებოდა ვანკარემამდე—ჩვენს ჩამოსასხდომ ადგილამდე. მივფრინავთ. გავიარეთ ბერინგის სრუტე. ყინულებს და ყინულებს შუა ჩანს წმინდა წყალი.

გამოჩნდა საბჭოთა საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთის უკიდურესი პუნქტი—დერენევის კონცხი. ვეშვები უელენზე, შევდი-

ვარ აეროდრომში. რომელიღაც თვითმფრინავს ახლო დგას ხალხი. არავითარი სიგნალი არ არის. ჩანს ამინდი ვანკარემისკენ არ შეც-

ვლილა. მიეფრინავ ისევ. თანდათან ჩნდება ღრუბლიანობა. ავდივარ ღრუბლებს ზევით. ახლა უნდა გამოჩნდეს კოლიუჩინის უბე, უკლებ გაზს. გამოვდივარ ღრუბლებიდან. თვითმფრინავს ქვევით—ზღვაა გაყინული, მთლიანად ტოროსებით დაფარული.

ჩემი გამოანგარიშებით ნახევარ საათში უნდა გამოჩნდეს ნაპირი—ონმანის კონცხი. უცბად დაიწყო ძლიერი დამაბრმავებელი პურგა. თვითმფრინავის წინ მოულოდნელად გამოხტის კონცხის კლდოვანი ნაპირი, სწრაფი შემობრუნებით ძლივს ვშორდები მას. ისევ კლდე. მანქანის ირგვლივ და მის ქვევით არაფერი არ ჩანს. ავდივარ მაღლა, ვბრუნდები უკან უელენისაკენ.

ფოტო კინო-ობერატორ შ ა ფ რ ა ნ ი ს.



ვანკარემი. ჩელიუსკინელთა ჯგუფი.

ცენტრში—საგანგებო სამეულის თავმჯდომარე ამხ. ჰეტროვი, მის გვერდით—  
ამხ. კოპუსოვი.

თვითმფრინავი ირყევა. ქარი ბუჯლა-ბუჯლა აყრის მას შემდნარ თოვლს. სიმაღლე 1 500 მეტრი. უშაკოვი მაწვდის დაწერილ ქალაქის ნაგლეჯს: მატყობინებს, რომ თვითმფრინავი ძალიან სწრაფად იმოსება ყინულით. გაკვეთილი უნდა იქნას მანძილი 2 500 მეტრზე. ღრუბლები უფრო ნათელი ხდებიან. ალაგალაგ ჩანს წვრილი ნახვრეტები, რომელშიც გამოსჭვივის მზის სხივი. მაგრამ თვითმფრინავი უკვე დამძიმდა და ძლივს მიიწევს მაღლა.

უცბად მოტორის გუგუნი წყდება. თვითმფრინავი შეტორტმანდა. ვგრძნობ, რომ ისევ ბნელ უფსკრულში ვეშვები, ვცდილობ გეზი ჩრდილოეთისაკენ, ზღვისკენ ავიღო: დაბლა—მთებია და კლდეები 1000 მეტრამდი სიმაღლის. მაგრამ შებრუნების და სიჩქარის მაჩვენებლებმა შესწყვიტეს მუშაობა. ჩანს, მიმღები მიწები გაყინულა.

ვცდილობ კურსი გავარკვიო ძალიან არამყარ კომპასით, და შევაკავო მანქანა შტოპორზე გადასვლისაგან. სიმაღლე კი თანდათან კლებულობს. თუ დაბლა სულ ისევ მთებია, მალე მოხდება შეხვედრა. როგორც იქნა, გეზი აღებულა.

მანქანა უფრო და უფრო მძიმდება. ალტიმეტრის ისარი გვიჩვენებს 500, 300, 150 მეტრს. თვითმფრინავს დაბლა გაიქროლეს ტოროსებმა. ბიძგი. მსხვრევის ხმა. ხანძრის ასაცილებლად ვასწრებ ასანთებლის მოხსნას. ბოლომდე ვამუხრუჭებ სტაბილიზატორს, ვჭიმავ შტურვალს. ხრიალის ხმა, მანქანამ ფიშხელიაყით გაირბინა 200 მეტრი. გაიშალა 180 გრადუსზე და შეჩერდა.

გამომაფხიზლა უშაკოვის შეშფოთებულმა შეძახილმა:

ცოცხალი ხარ?

მძიმე იყო დავარდნა, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე გამოფხიზლება.

ა. ვ. ლიაპიდევსკი.

## ეპიზოდები

გრაფიურა ი. შპინკელის.



შმიდტის დავალებით, პროვიდენციეს ბუხტიდან ჩვენ მივფრინავდით უელენში, რომ მოზამთრე „ჩელიუსკინიდან“ წამოგვეყვანა ქალები და ბავშვები. პურგამ გვაიძულა ჩამოემსხდარიყავით ლავრენტის ბუხტაში. უკვე ერთი კვირაა რაც მე, ბორტმექანიკოსი კუროვი, მექანიკოსი სკლიაროვი და მოტორისტი ასაულენკო ვზივართ გულხელდაკრეფილი. გააფთრებული ქარი და თოვლი თვალებს გვიბრმავებდა, იჭრებოდა ყველა ხერეტილში და ბუქში ხვევდა ნაშენებს.



დადგა 13 თებერვალი, ისეთივე გულის მღრღნელი დღე, როგორც ყველა დღე.

უცბად შემორბის ნებოლსინი. იგი მთლად თოვლშია გახვეული. იგი მალმალ სუნთქავს და აშკარად აღელვებულია. თავისუფლად ამოსუნთქვისა და თოვლის შემობერტყვისთანავე მაძლევეს რადიოგრამას:

— „ჩელიუსკინი“ გასრესილია, ხალხი ჩამოსხდა ყინულზე, — ვკითხულობ ხმამაღლა.

ისევ რადიოგრამა. კ უ ი ბ ი შ ე ვ ი მოითხოვს:

„თქვენს პასუხისმგებლობაზეა ჩელიუსკინის ექსპედიციის ეკიპაჟის გადარჩენა“.

უამიდობა გრძელდებოდა. დავდივართ დაღვრემილი, ცხვირჩამოშვებული.

გავიდა 5 მოუთმენელი დღე. 13 თებერვალს ამინდი შეიცვალა; ქარი ჩადგა, ტემპერატურა 18 გრადუსი; ცაზე ერთი ღრუბელიც არ არის. დაუყოვნებლივ ჰაერში.

40 წუთს შემდეგ ჩვენ უელენში ვართ. აქ ჩვენ მოუთმენლად გველიან შტურმანი ლ. ვ. პეტროვი, მეორე პილოტი კონკინი და უელენის მთელი მოსახლეობა.

მაგრამ ხვალისათვის ისევ ცუდ ამიდნს იჭერს. უნაყოფოა გავრჩენის ყოველგვარი ცდა. ნისლი, პურგა უკანვე უელენში გვერეკება. 21 თებერვალს ისევ მიფურინავთ, დავხეტილობთ მთელი დღე პურგასა და ნისლში, მაგრამ ბანაკს ვერ ვპოულობთ. დაბინდებისას ვბრუნდებით უელენში. დაშვების დროს გამიტყდა შასი.

შევუდექით მაშინვე რემონტს. ეკიპაჟი მუშაობს შეუსვენებლად. მაღე, მაღე! აი რემონტიც დასრულდა. თვითმფრინავი გავშინჯეთ ჰაერში. უამინდობა კი ისევ გრძელდებოდა.

\* \*

როგორც იქნა, ამინდი შეიცვალა. 5 მარტს დაიჭირა მშვენიერი მზიანი დღე, და ჩვენ გავფრინდით ბანაკისაკენ.


გეზი სერდცე-კამენზე ავიღეთ, შემდეგ ოკეანეს ზევით მიფრინავთ. დაბლა — თვალუწვდენელი ველი ტოროსებისა, რომლებიც ერთიმეორეზე შეხორხლილან და ჰორიზონტს გარს შემორტყმინან. ჩვენს დაბლა აეროდრომია: მასზე ფინჩხასავით მოსჩანს ბაბუშკინის თვითმფრინავი. ჩელიუსკინელები ძლივს ასწრებენ ნიშან „T“-ს გაფენას. ბოლოს: ორი წრის შემოხაზვა, დაჯდომა და ერთიმეორეს გადახვევა.

ამ დროს აეროდრომზე მოდიან შმიდტი, ბობროვი, ვორონინი და ქალები ბავშვებით. მათ თან მოჰყვება ჩელიუსკინელთა მთელი ჯგუფი. ყველას ფხიზელი და მხნე გამომეტყველება აქვს, ყველა სიხარულისაგან აღელვებულია. ისევ ლაპარაკი, მისალმება, ახალი ამბების გაცვლა-გამოცვლა. ბოლოს ერდოზე ამყავს ათი ქალი და ორი ბავშვი. ავდივარ მაღლა და მშვიდობიანად ჩამომყავს ისინი ნაპირზე უელენში.



14 მარტს ისევ მივფრინავ უელენიდან გადასარჩენ ოპერაცი-  
ებში მონაწილეობის მისაღებად. ამინდი ხელისშემწყობია, სინათლეც  
არის, უმნიშვნელო ქარია, მაგრამ საშინლად ჰყინავს,—39 გრადუსია.  
ყველა საშინლად ვიყინებით. მივფრინავთ კოლიუჩინის უბის ყელზე.  
დაბლა არსად არ არის არცერთი დასაჯდომი მოედანი: მხოლოდ  
მთლიანი ხროვა ყინულებისა, რომლებიც ყალყზე დაუყენებიათ შე-  
მოდგომის ქარიშხლებს და ქარბუქს.

ფოტო ჩელიუსკინელ ი. გაკელის.



ლიაპიდევსკის თვითმფრინავი AHT-4, რომელიც პირველად მიფრინდა  
შმიდტის ბანაკში.

უცბად მომესმა გარეშე, უცხო ხმა, რომელიც შეიჭრა მარც-  
ხენა მოტორის თანაბარ გუგუნში.

მანქანა მძიმედ იხრება მარჯვნივ. აზრს ჯერ კიდევ ვერ მო-  
ესწრო თავში გაეღვება, გაზი კი უკვე დახურულია, ხელი შტურვალს  
ჩაფრენია, კონტაქტი მოხსნილია. დარდიან თვლებს ვაცეცებ ყინუ-  
ლოვან ნაპირების ვრცელ მინდორზე, ვეძებ თუნდაც უმნიშვნელო  
ფართობს. მანქანას დამსხვრევა მოელის.

ვწყვეტ მეორე მოტორის მუშაობასაც. ცხვირის ნაწილის მთელი  
ეკიპაჟი ბოლოში გადადის. გადატვირთული ეკიპაჟი ეხება ყინულს,  
სხლტება, ხტის სწრაფი ძლიერი ბიძგებით, აქეთ-იქით ტორტმანობს.  
გადმოვდივართ ყინულზე. აღმოჩნდა, რომ გაღუნულა შასის მარჯვენა  
ფერმა, რყევისაგან გახლეჩილა რადიატორის მოტორქვეშა გასამა-  
გრებელი ჩარჩოები.

• მეორე დღეს დილით მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ: მეორე  
პილოტი კონკინი, ბორტმექანიკოსი კუროვი, რუკოვსკი და გერას-  
კინი რჩებიან კოლიუჩინზე, შლიან მოტორს, აძრობენ მოტორქვეშა  
ჩარჩოს და გზავნიან მას ვანკარეშში.

მეორე დღეს მე გავემგზავრე ძალებით უელენში, სადაც შე-  
ევუდექი მზადებას სათადარიგო მოტორქვეშა ჩარჩოს გადასაგზავნად.  
ამავე ხანში სევერნის კონცხიდან კოლიუჩინში მოიტანეს დაშლილი  
მოტორი. 7 აპრილს ამერიკიდან მოფრენილ სლენბიოვთან ერთად  
გავფრინდი ვანკარემში. მოლოკოვმა თან წაიღო ჩვენი ჩარჩო. ერთი  
დღის შემდეგ ჩვენ უკვე ვიყავით კალიუჩინში, შეევუდექით ჩარჩოს  
დადგმას და მოტორის აწყობას.

დარჩენილ მექანიკოსებს ჩუკებისგან უნათხოვრებიათ ძალა-  
ყინები. საკავშირებელი ლამპებით გაუხურებიათ ფერმა, შემოუხვევიათ  
ძალაყინებისათვის უღე, ამგვარად გაუხდიათ ფერმა საკმაოდ გამძლე,  
თუმცა დაუძძიმებიათ. 25 აპრილს მოტორების მონტაჟი დამთავ-  
რდა. 3 ჩელიუსკინელის—დურასოვის, აგაბოვის და ლესკოვის (რო-  
მლებიც ვანკარემიდან უელენში ფეხით მიდიოდნენ) დახმარებით  
ამოვთხარეთ თოვლიდან თვითმფრინავი. რამდენათაც შეიძლებოდა,  
მოვაშორეთ თვითმფრინავს ყინულები და იმავე დღეს ყველა ერთად  
გავფრინდით უელენში.

3. ს. მოლოკოვი.

## ტრასი არ იყო ადვილი—ეს იყო და ეს

გრაფიურა ი. ანტერის.




ძალიან დიდხანს გაჭიანურდა  
დრო, ვიდრე გემ „სმოლენსკით“  
მივდიოდით ოლიუტოროკში,  
სადაც გადავწყვიტეთ თვით-  
მფრინავების გადმოტვირთვა.  
ეს იყო 21 მარტს, კრასნოიარ-  
სკიდან გამგზავრების სწორედ  
ერთი თვის შემდეგ. 5 ერთტი-  
პიანი მანქანა P—5 აფრინდა  
პატარა გაყინული ტბის მოედ-  
ნიდან და გასწია მაინა-პილ-  
გინისკენ.

1500 მეტრის სიმალიდან  
ჩვენ წინ გადაიშალა თოვლით  
დაფარული ქედების დამაბრმა-  
ვებელი ბრჭყვიალა გამახული  
წვეტები. ტრასი არ იყო ადვი-  
ლი. მთელ გზაზე მე არ მი-

ნახავს მოედნის არც ერთი „ნაჭერი“, რომელზე-  
დაც შესაძლებელი ყოფილიყო დაშვება უავარიოთ.  
ასეთ უბნებზე პილოტები ყოველთვის გულდასმით უგდებენ ყურს  
მოტორის მუშაობას. ეს არის და ეს.

ჩემი საბჭოთა M-17 მუშაობდა ზუსტად აქაც და შემდეგაც  
ჩუკოტისა და პოლიარულ ზღვებს მაღლა.

ფოტო შაფრანის.



მოლოკოვი ბანაკში.

...უკვე მივფრინავთ 4 საათი, მაინა-პილიგინი კი არ ჩანს, თუ-  
მცა სულ მხოლოდ 450 კილომეტრი დარჩა. ძლიერი შემხვედრი  
ქარი აფერხებს ფრენას. ხოლო 5 საათის ფრენის შემდეგ ჩვენ ვხე-  
დავთ ჩუკოტის მცხოვრებთა სახლებს და იარანგებს. დავეშვიტ. მალე  
ღამდება. გადავწყვიტეთ: დილით განვაგრძოთ გზა ჩრდილოეთით—  
ანადირისაკენ.

აქ მოფრინდა მხოლოდ 3 მანქანა: კამანინის, პივენშტეინის და  
ჩემი. ამ დღეს—22 მარტს, თითქოს ჩვენს ჯინაზე, ამოვარდა პურგა,  
მთელი დღელამის განმავლობაში თოვს. ჰქრის ჩრდილოეთის ქა-  
რი, აეროდრომზე თოვლში იფლობა მანქანები. არ არსებობს გა-  
ფრენის არავითარი შესაძლებლობა. მეტეოროლოგები „ვერ გვპირ-  
დებიან“ გამოდარებას. ვეკითხები ჩუკჩებს: რას იტყვიან, არ გამო-  
იდარება?

—შეიძლება გამოიდაროს, შეიძლება არ გამოიდაროს,—გვიპა-  
სუხებენ თავაზიანად, მაგრამ ...არა სავსებით გარკვეულად.



—სანადიროთ თუ წახვიდლოდი?

—არა,—მეუბნება,—სანადიროთ წასვლა არ შეიძლება.

მამასადამე, გამოდარებას არ ელიან.

6 დღე ვზივართ ანადირში, მხოლოდ 28 მარტს ჩადგა პურგა. გაგვეხარდა, მივფრინავთ პირდაპირ ვანკარემში.

ჯვარის სრუტე სქელ ნიპლშია გახვეული. ვკვეთავთ. მალე უნდა შეგვხვდეს 1200 მეტრის სიმაღლის ქედი. ყურადღებით ვადევნებ თვალყურს სიმაღლის გამზომ ხელსაწყოებს, გავყურებ ჰორიზონტს. აი ქედიც. მის მწვერვალებზე გაწოლილი არიან სქელი ღრუბლები. გაფრენა შეუძლებელია. და ყრუ სოფელ კაინერგინში ყველასაგან მოწყვეტილებმა და ჩვენ შესახებ ვისმესთვის რაიმე ცნობის მიწოდების საშუალებას მოკლებულებმა, დავყავით „სტუმრად“ ოთხი დღელამე.

1 აპრილს ჩვენ განვაგრძეთ ფრენა. შემდეგ მხოლოდ შტურმა ნმა ამხ. შელი განგვმა პითხრა, რომ ამ დღეს ჩვენ მხოლოდ 80 კილომეტრით ვიყავით დაშორებული ვანკარემს, მაგრამ მაშინ მაინც ვერ შევძელით მისი მიღწევა. ფრენის გეგმა ძალზე შეიცვალა. ამ დღეს ჩვენ გაფფრინდით ისე, რომ არ ვიცოდით, თუ როგორ ამინდს დაიჭერდა გზაზე. პირველად ყველაფერი რიგზე იყო. მე უკვე ვფიქრობდი, რომ მალე მიზანს მივალწევდით. მაგრამ ამოდ. სქელი ნისლი გადაულახველ მრისხანე კედლად აღიმართა ჩვენს გზაზე. მძიმე ღრუბლები ეშვებოდნენ ორკილომეტრიან ქედზე. არა, რაკი ამდენი მანძილი, გავვივლია რაკი ასე ახლო ვიმყოფებით მიზანთან, არ შეიძლება გავსწიროთ მანქანები. ჩვენ გამოვბრუნდით უკან კაინერგინისკენ.

ვეშვებით ნაცნობ ადგილზე. კამანინი მეკითხება:

—როგორ მოვიქცეთ, ვასილი სერგეევიჩ, გაფფრინდეთ ანადირში ან პროვიდენიეში?


მე გავიფიქრე—საწყვავი გველევა, და ვუპასუხე:—პროვიდენიეში უნდა გაფფრინდეთ, მაგრამ ბენზინი გვინდა.

არ დაგვიყოვნებია. ისევ გავშალეთ ფრთები თოვლიან სივრცეებს ზევით. მივალწიეთ ბერინგის კონცხს. ისევ დაბრკოლება, ისევ ნისლი. ვეშვებით კონცხიდან 10 კილომეტრზე ჩუკოტის პატარა სოფელ—ვულტკანტენში. ვხედავთ, სულ ცოტა ბენზინი დაგვრჩენია. სამი თვითმფრინავიდან დარჩენილ ბენზინს მე და კამანინი შუაზე ვიყოფთ და 3 მარტს ვტოვებთ რა მფრინავ პივენშტეინს, ბერინგის კონცხიდან, მივფრინავთ პროვიდენიეში. იქ ვღებულობთ საწვავს, ღამეს ვათევთ და ბეორე დღეს ჩავდივართ უელენში.



უკვე 7 აპრილია. ჩვენ ვანკარეში ვართ. არ გვინდა დავკარგოთ არც ერთი საათი. გავმართეთ მანქანები. ბაბუშკინმა გვიამბო. ბანაკის და აეროდრომის მდგომარეობის შესახებ. მე გავფრინდი ბანაკში და 55 წუთში უკვე მივედი იქ. ჩვენ მივდიოდით აბსოლუტურად ზუსტად, თითქოს მივფრინავდით რკინისგზის ხაზის ან გზატკეცილის ზევით, ე. ი., მიწის გარკვეულ ორიენტირების მალა.

ფოტო გ. უშაკოვის



მოლოკოვის თვითმფრინავი ბანაკიდან ვანკარემისაკენ ერთერთი გაფრენის წინ.

7 აპრილს, 33—დლიანი წყვეტის შემდეგ, შმიდტის ბანაკში მიფრინდა სამი თვითმფრინავი: სლეპნიოვის, კამანინის და ჩემი. მატერიკის ნაპირზე მე ვბრუნდები სამი ჩელიუსკინელით. 10, 11 და 13 აპრილს გავაკეთე კიდევ 8 გაფრენა. ყოველ გაფრენაზე უმატებდი „პასაჟირების“ რიცხვს. ორჯერ ექვსი კაციც კი წამოვიყვანე: ოთხი მოთავსდა ბორტმექანიკოსის კაბინში, ორი—საპარაშიუტო ყუთებში სიპრტყეებს ქვემოლ.

11 აპრილს მოვახდინე ოთხი გაფრენა ბანაკში. ამ დღეს ჩემს მიერ ნაპირზე გადმოყვანილთა შორის იყო ავადმყოფი ოტო იულევიჩი შმიდტი. ადგილს, სადაც ორი თვე არსებობდა ბანაკი, უკანასკნელად მოწყდა ჩემი P—5: მე დავამთავრე ოპერაცია, მოვიყვანე 33 ჩელიუსკინელი მიწაზე. ეს მოხდა 13 აპრილს,

## „ბერინგსტრიტზე იღვა ნისლი“

... პილოტს ხელი კოზიროვს ქვეშ ეჭირა. მუნიციპალიტეტი ქ. ნომის, ქალაქის, რომელსაც მიუღია ამუდსენი, ნობილე, უინდბერგი, პოსტი ზემით მობარებდა ვარსკვლავიან დროშას, მე—საბჭოთა პილოტს.

გავლილია 1000 კილომეტრი გაყინულ იუკონს ზევით. წინ კიდევ, — თვითმფრინავის გადახტომა თხილამურებით, მსოფლიოში ყველაზე უსაძაგლეს, ბერინგის სრუტეზე, შედეგ—დახტომა ყინულის მინდორზე.

გრაფიურა ი. შპინკელი.



თვითმფრინავის სიახლოვით გახარებული ადამიანები მთხოვდნ არ მეფრინა ცუდ ამინდში, არ გაფფრენილიყავ ნისლსა და პურგაში. მაგრამ კარგი ამინდი ბერინგის ზღვაზე არააოდეს არ არის. ლიაპიდევსკი უკვე აღარ ფრინავდა, მის თვითმფრინავს რემონტს უკეთებდნ. კუნძულ კოლიუჩინის ახლო ყინულზე დამსხვრეული იყო ლევანევსკის მანქანაც, რომლითაც ნომიდან გაფრინდა უშაკოვი.

მე განკარგულება მივეცი მექანიკოსს ლევერს აემუშავებია მოტორი. მექანიკოსმა მითხრა: „იეს, სერ“ და ჩავიდა ტრილში. თვითმფრინავი იღვა გამზადებული. საზღვაო სადგურის კოშკზე ფრიალებდა ვარსკვლავიან დროშებთან ერთად საბჭოთა დროშაც. ქალიშვილებმა შემოისროლეს კაბინში სამი წითელი მიხაკი. აწკარუნდნ ფოტოაპარატები. „ფრისტერი“, აღრიალდა რა თავის 600 ძალოვანი „რაიტ ციკლონ“-ით, ნელა დაიძრა ადგილიდან. მძიმედ გადატვირთულ, ჭერამდი სავსე თვითმფრინავში იჯდა ორი. მექანიკოსს უილიამ ლევერს 21 წელიწადი უსრულდებოდა. პილოტი კი უკვე 4 წელიწადია ფრინავს თვითმფრინავებით.

„ფლისტერი“ დუდღუნებდა, გული მოდიოდა თოვლზე, ყინულის უსწორმასწორობაზე, დაუჯერებელ გადატვირთვაზე. იღებდა სისწრაფეს, ბარბაცებდა, ხტოდა მთელი თავისი 3 ტონა სიმძიმით. გაქანდა 150 კილომეტრის სისწრაფით და შეხტა ჰაერში, ორივე კომპასმა ზუსტად უჩვენა: ნორდი. ამერიკული თვითმფრინავი კინამოთი აფრინდა 20 მეტრზე, ამერიკელები აქნევდნენ ხელებს. იქანავეს რამდენიმე წამს „ფლისტერის“ გვერდით და თვითმფრინავით ნელნელა მხედველობიდან გაქრენ.

მექანიკოსმა ლევერმა ასწია დიდი თითი ზევით—ეს არის საერთაშორისო საავიაციო ნიშანი, რომ მოტორი მუშაობს კარგად. მარცხნივ ჩანდა კლდე „კვალი“. მეორედ მივფრინავდი მე ბერინგის სრუტეზე: იყო 1934 წლის 31 მარტი. პირველად მე გადავიფრინე მასზე 1930 წლის 4 მარტს, მივაცილებდი რა ორ გვამს—ამერიკელი პოლკოვნიკი—ეიელსონის და მექანიკოს ბორლანდისას. ერთი იყო თავისივე მარცხენა ხელით შეღეწილი მკერდით, მეორე დაჩეჩქვილი თავით, ორივე გახვეული ვარსკვლოვან დროშებში. პოლკოვნიკი ეიელსონი გადახტა ბერინგის სრუტეზე, რომ გადაერჩინა ამერიკული შხუნის—„ნანუკის“ ხალხი. იგი თვით ვერ მოესწრო უკან დაბრუნებას. ეიელსონს, რომელიც ერთ დროს გადაფირდა ჩრდილოეთის პოლიუსზე, უკან მოვაცილებდი მე, რომელმაც აღმოვაჩინე იგი ყველასათვის უცნობ ლანგუნს ახლო 3 მეტრიან თოვლსა და ყინულს ქვეშ.

კლდე დარჩა მარცხნით. წინ გამოჩნდა კუნძული კინგი. თვითმფრინავმა აიღო 300 მეტრის სიმაღლე და მიფრინავდა დამსხვრეულ ყინულებს ზევით. ციმბირის ნაპირი დაბურულიყო ნისლით, კუნძული არ ჩანდა. მე მტკიცედ მივსდევდი კომპასის ჩვენებას. ნისლმა დაფარა მსხვრეული ყინულიც. მანქანა ჰკვეთდა ღრუბლების სქელ ფენას, დაბლა ყველაფერი დაეფარა თეთრ სოველ ზეწარს. უკვე მივფრინავთ ერთი საათი. ჩვენ ვიმყოფებით პოლიარულ ზღვის ზევით. მაღლიდან თვითმფრინავს აწვება ღრუბელი. მინებზე გაჩნდა პირველი გაუყინავი წვეთები, მანქანა მძიმდება.

მეორე საათია მივფრინავთ. ბერინგის სრუტე უკვე უკან მოვიტოვეთ. მაგრამ წინ—ისევ ნისლი, გაყინვა, დაღუპვა.

უნდა დავბრუნდი. გავშალე მანქანა 180 გრადუსზე.

თითქოს თვითმფრინავი უფსკრულისკენ დაქანდა. მაგრამ ისრებმა გვიჩვენეს, რომ შემობრუნება სწორად არის გაკეთებული. მოტორი უფრო მხიარულად აგუგუნდა, 15 წუთში ქვევით ნისლში გაიელვა ყინულმა, მტკიცე ნებისყოფით ვიხევედი უკან, ვშორდებოდი

რა ყინულზე მომლოდინე ადამიანებს. მესამეჯერ გავიქროლე ბერინგის სრუტეზე. გამოჩნდა ამერიკული კონცხი იორკი. მის ზევით ნისლი არ ყოფილა. დავხუჭე თითქმის სრულიად თვალები, მარცხენა სპირალით თვითმფრინავი 3000 მეტრის სიმაღლიდან დაეჭანა მიწაზე, ჩაიყურყუმალა ნისლში, ზღვიდან 20 მეტრის სიმაღლეზე აილო გეზი ნორდ-ვესტზე...

მეოთხეჯერ შევუდექე გადაფრენას სრუტეზე. ჩემს ზევით იდგა არა თეთრი, არამედ ნაცრისფერი სივრცე, ქვევიდან ამოდიოდა სოველი ნისლი: თუ მოტორმა მილალატა, ვისმე გამოგზავნა დასახმარებლად საჭირო არ იქნება... მგონი სადღაც განზე მოვიტოვეთ დიომიდის კუნძულები, წესით უკან უნდა გამოჩენილიყო დეჟნევის მაღალი კონცხი. ხედავ ნახევარ კილომეტრზე ვრცელდება. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო, რომ „ფლისტერი“ ხრიალით გადაიქცეოდა უფორმო მასად, დაეჯახებოდა რა კლდეს. მინებზე ეცემოდნენ გაყინული წვეთები. წინ გაიქროლა რაღაც სიბნელემ, ვერტიკალური ვირაჟით გავშალე მანქანა ზიუდ-ოსტისაკენ. მე ისევ უკან დავიხიე.

ერთ საათს შემდეგ თვითმფრინავს ქვევით გამოჩნდა თოვლი და ქალაქი ტეილორი. თოვლიან მინდორზე იდგნენ მოქალაქენი, ქალაქს თავს დასტრიალებდა თვითმფრინავი „C C P-M C“. კომანდირმა სლენიოვმა ვერ დასძლია ბერინგის სრუტე.

თვითმფრინავი დაეშვა მიწაზე. ესკიმოსებმა მიასრიალეს მარხილით საწვავით სავსე ბიდონები. მექანიკოსი ლევერი ამაგრებდა ფიუზელაჟზე დროშას ჩაქუჩით და ნამგლით.

მისტერ ანდერსენი თავის ბინაზე უმასპინძლდებოდა პილოტს კონიაკითა და თან ეუბნებოდა, რომ ამ დროს „ბერინგსტრიტზე“ და ციმბირზე მუდამ ნისლი დგას. მისტერ ანდერსენი აიძველებს მას, რომ ორ კვირაში შესაძლებელია ამინდი გამოიცვალოს.

მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო ლოდინი. მეორე დღეს ადრე დილით „ფლისტერი“ მოტორის გუგუნით აღვიძებდა ტეილორის მოქალაქეებს, იღებდა რა გეზს ყინულზე მყოფ ადამიანებისაკენ. თვითმფრინავი მიფრინავდა 4000 მეტრის სიმაღლეზე. დეჟნევის კონცხი ნისლში იყო გახვეული. სადღაც ნისლს ქვევით მდებარეობდა უელენი, წინ მოჩანდა კლდე სერდცე-კამენი, ხოლო იქით კიდევ—ყინულოვანი ბურუსი და ამ ბურუსში დამარხული იყო ლევანევისკის გაყინული დამსხვრეული მანქანა. სადღაც უშაკოვი მარხილში შებმული ძალღებით უახლოვდებოდა ვანკაოემს.


სერდცე-კამენტან 4.000 მეტრის სიმაღლიდან დავეშვი რა 100 მეტრზე, ნისლში გახვეული დავბრუნდი უკან უელენისაკენ. თოვლზე



იღვა დიდი მანქანა მომძვრალი შასით. გავაკეთე რამდენიმე წრე და შევისწავლე ყურადღებით აეროდრომი, დავეჯექი, მივაყენე რა მანქანა მოზეიმე ამხანაგთა ჯგუფს. გავაცანი მათ ჩემი მექანიკოსი ლევერი, რომელიც „საზღვარგარეთიდან“ ჩამოვიდა, ხოლო ამავე დროს რადიო იუწყებოდა, რომ საზღვარგარეთიდან საბჭოთა ნაპირზე მოფრინდა სლუპნიოვი და მშვიდობიანად დაეშვა უელენში.

ბერინგის სრუტე დამნებდა.

ვანკარემი. ბაზის პატარა სახლი. <sup>\* \* \*</sup> სახლში ორი ოთახია. ერთში შეხიზნულნი რიგრიგობით იკავენ სკამს და სვამენ ჩაის. იატაკზე საწოლ ტომრებზე ზიან პილოტები და მექანიკოსები, მათ შორის ამერიკელებიც. მეორე ოთახში—ვიწრო რკინის საწოლია. მასზე წევს ექსპედიციის ავადმყოფი უფროსი. კაცმა რომ თქვას, მთავარი უფროსი აქ რადისტია. მისი აწეული თითი უცბად შეაჩერებს ხოლმე ჩურჩულით წარმოებულ საუბარს. პაპიროზის მწვეელნი სახელოში მალავენ ხოლმე პაპიროზებს, თითქოს პაპიროზის კვამლი ხელს უშლიდეს რადიოცნობის მიღებას.



სლუპნიოვის თვითმფრინავი ვანკარეში.

აქაური ვითარება მომაგონებს წინანდელ დროს—წითელი გვარდიის შტაბს. ვკრძნობთ, რომ ხდება რაღაც მნიშვნელოვანი, არაჩვეულებრივი.

მექანიკოსებს ლევარს და არმისტეტს ვაძლევ ვანკარეულებას—ლამით მოამზადონ ანტიდეტონატორული ნარევი და ჩაასხან საწვავი თვითმფრინავში. სიტყვა „ლამით“ ოდნავ აკვირვებს

მექანიკოსებს: ღამით კაცს უნდა ეძინოს. მაგრამ ისინი შესანიშნავი შემსრულებელნი არიან ბრძანების. დაუყონებლივ იცვამენ ტანზე, მიდიან ჯერ ბოქკებთან და შემდეგ თვითმფრინავთან.

დილაა. დერეფანში შეგროვილან ჩელიუსკინელები, ჩუკჩები, გვერდით დგას მარხილი, ზედ ალაგებენ ერთ, ორ, სამ საწოლ ტომარს. გამოყავთ ხელით შმიდტი. აწვენენ მარხილზე და მიჰყავთ თვითმფრინავთან. ბაბუშკინი მირბის მოედნის ბოლომდე და მოხაზავს ნიშანს, რომლიდანაც თვითმფრინავი უნდა აფრინდეს.

უშაკოვი, არმისტეტი და ლევარი იკავებენ თავიანთ ადგილს სამგზავრო კაბინში.

ღვედით მე ვემაგრები სავარძელს და ვაძლევ გაზს.

წინ მიძევს საპასუხისმგებლო გადაფრენა ჩუკოტზე. მეშვიდე-ჯერ უნდა გადავფრინდე ბერინგის სრუტეზე, ალიასკის მთებს იქით.

ისევ კუნძული კოლიუჩინი, იდლიდლია, სერდცე-კამენი, დეჟნევის კონცხი. ზღვაზე ნისლი დაბლა ჩამოწოლილა, მაგრამ შორს ჰორიზონტზე მოსჩანს ამერიკული კონცხი უელსი. 40 წუთი მივფრინავთ დამსხვრეულ მცურავ ყინულს ზევით. შემოვტრიალდი მგზავრებისაკენ. ოტო იულევიჩი და უშაკოვი ხელებს მიქნევენ. ლევარი ჩემსკენ ყოფს ხელს. მე ვართმევ მას და თვალებით ვულოცავ ა. შ. შ-ში ჩასვლას.

მივფრინავთ კიდევ 3 საათს.

აგერ ნომიც. აეროდრომი მდებარეობს ნაპირიდან 2 კილომეტრზე. იგი ტალღებისაგან გარეცხილია და ამიტომ მისი კიდე წყალს დაშორებული არ არის.

პატარა ქალაქზე მექანიკოსს ვწერ: „ამართე ფლაგი“. თვითმფრინავი ჯდება უცხო სახელმწიფოს აეროდრომზე. წრე ერთი, ორი, სამი. ფრთხილი დაჯდომით ჩვენ ისევ ყინულზე ვართ.

იღება თვითმფრინავის ზედა სარკმელი, თვითმფრინავი ეშვება მიწაზე, სარკმლიდან იშლება პროპელერის ქროლით მოფრიალე წითელი ფლაგი იმ ქვეყნის, რომელსაც თვითმფრინავი ეკუთვნის, და ვარსკვლავიანი ფლაგი იმ ქვეყნის, რომელიც ამ თვითმფრინავს სტუმართმოყვარეობით ხვდება.

სტოპ, მოტორ!

—არის. სტოპ.

ჩამოვარდა სიჩუმე.

ჩემი მუშაობა გადასარჩენ ექსპედიციაში დამთავრებულია ამერიკელების და ესკიმოსების დიდძალი ბრბო გარს ეხვევა თვით-

მფრინავს, გაისმის კინო-ფოტო აპარატების რაწყკუნე, მოდიან თვით-მფრინავთან ავტომობილებიც. მე და უშაკოვი გენმარებით შმიდტს და ვაჯენთ ავტომობილში.

ძველი კაპიტანი ტომას როსო, წელში გამართული, როგორც მეზღვაურს შეეფერება, მკაფიოდ ამბობს:

—ბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება, ჯენტლმენებო!

მ. ვ. კამანინი.

## უცნობ ქედებზე

ანადირი შორს მოვიტოვეთ. ოქროს ქედის უკანასკნელი ცი-ცაბოები მოწყდენ თვითმფრინავის კულს. იწყება ტუნდრა. მრისხა-

გრავეურა ა. ს. ო. ლ. ო. ვ. ე. ი. კ. ი. ს.



ნედ გამოიყურება შავი ზოლი წყალისა—წმინდა ჯვარის სრუტე. მატერიკის სიღრმეში შორს შეკრი-ლი ეს სრუტე გაუყინავია. განსა-ცვიფრებელი ზამთარია წელს!

მაგრამ განცვიფრებისთვის დრო არ არის. ჩემს ყურადღებას იქცევს ჰორიზონტის ჩრდილოეთ ნაწილი. ჩემს წინ შორს ჩნდება უფორმო თეთრი მასა. იგი იზრდება, მოძრაობს და სწრაფად გვიახლოვდება. რა არის? ღრუბლები? ნისლი? არც ერთი. ეს არის ძლიერი ქარბუქი. ჩრდილოეთის უძლიერესი პურგა დათარეშობს თვითმფრინავებს დაბლა. ჩრდილოეთის უძლიერესი ქარი ხვეტს თოვლის ვებერთელა მასებს, სროვი-

ლობს მათ ათობით და ასობით; კილომეტრის სიგრძეზე, დგამს ერთბაშად თოვლის უზარმაზარ მთებს წერეთ ალაგს, ხოლო სრულიად ძარცვავს თოვლის სამოსელისაგან ტუნდრის ღარიბ მცენარეულობას—მეორე ალაგს.

ნიფფრინავთ 800 მეტრის სიმაღლეზე. ვხვდებით ღრუბლის ცალკე ნაჭრებს, ზევითაც ღრუბლებია. მზე იშვიათად ჩნდება. იშვიათად ვხედავთ აგრეთვე ლურჯი ცის ნაჭრებს. მაგონდება ვანკარემის ცნობა: „მთლიანი ღრუბლიანობა, ხედვა 15 კილომეტრზე“.

გავკვეთეთ. პირველად არ გვიხდება ჩვენს ცხოვრებაში ღრუბლებთან ბრძოლა. წინ—ანადირის ქედია. საინტერესოა, რა სიმაღლე აქვს ანადირის ქედის მწვერვალებს. არც ერთ რუქას არ გაუცია ჰასუხი ამ კითხვაზე. ადგილობრივი მცხოვრებნი სხვადასხვაგვარად ლაპარაკობენ.

ნაკლებად თუ ვინმემ იცის ანადირის ქედი. არ ვიციტ ჩვენც. აგერ ის ჩვენ წინ არის, დაფარული მთლიანი ღრუბლების კედლით, დაბლა ქედის ფერდობებზე თარეშობს პურგა... ვიწვევით მაღლა. ღრუბლის კედელი უსაზღვროდ მაღალია. ძალზე დატვირთულ თვითმფრინავებს უჭირთ ზევით ასვლა. ღრუბლების მთლიან სივრცეზე ფრენა უცნობი ქედის ზევით, როცა კარგად იცი, რომ ქვევით, ღრუბლებს დაბლა პურგა თარეშობს,—გიჟური საქმეა. უნდა დაებრუნდეთ.

შორს მარცხნით სჩანს წყლის შავი ზოლი. იქ აღმოსავლეთისაკენ პურგას ჯერ არ მიუღწევია. ვცვლით გეზს. გავდივართ ჯვარის სრუტის აღმოსავლეთის ნაპირზე. დაბლა სრუტის ნაპირებზე, თეთრ ფონზე 5 ჩუკოტური იარანგია,—სოფელი კაინერგინი. ზევიდან ვირჩევთ დასაჯდომ მოედანს და ერთი მეორეზე ყველა თვითმფრინავი ეშვება პირდაპირ იარანგების წინ. ჩვენ გვეგებებიან გაკვირვებული ჩუკჩები. რუსული ენა არც ერთს არ ესმის. ნახევარ საათში მოაღწია აქაც პურგამ.

ორი დღის თარეშის შემდეგ იგი ჩადგა. მთელი დღე მოვანდომით ჩაფლულ მანქანების ამოღებას თოვლის სიღრმიდან და მოტორების, კამერების, ხელსაწყოების გასუფთავებას. 1 აპრილი გასანცვიფრებლად ნათელი დღე დგება. ჩრდილოეთში ასეთი დღეები იშვიათია: ცაზე ერთი ღრუბელიც არ არის. ქარი ჩამდგარია, გაზაფხულის მზე მოგვაგონებს თავის უფლებებს.

ვიღებთ გეზს ვანკარემზე.

ნუთუ დღეს ვიხილავთ ბანაკს? რასაკვირველია, ვიხილავთ. ვანკარემამდე ხომ მხოლოდ 300 კილომეტრია, ახლა 11 საათია, 6 საათის საფრენი დროა ჩვენს განკარგულებაში, და აი ჩვენს დაბლა ისევ ანადირის ქედის სამხრეთი ფერდობებია. მაგრამ რა სწრაფად ფუჭდება ამინდი,—ქედი ისევ დაფარეს ღრუბლებმა. ავდივართ მაღლა—2600 მეტრის სიმაღლეზე. ღრუბლები აღარ არიან. ავდივართ




კიდევ 300 მეტრის სიმაღლეზე. მთლიანი უსაზღვრო ზღვაა ღრუბლები-  
ბისა. რა ხდება ღრუბლებს დაბლა?—ნისლია, პურგა; თუ კარგი  
ამინდი?

— ვანკარემამდე რჩება 70 კილომეტრი, ამბობს ტელეფონში  
რაზმის შტურმანი შელიგანოვი.

მივფრინავთ კიდევ ათ წუთს. ღრუბლებში სინათლის ნატამა-  
ლი არა სჩანს. შემდეგი ფრენა უაზრობაა. სამივე თვითმფრინავი  
უკანვე ბრუნდება. დავეშვით ისევ კაინერგინში.

გავსინჯეთ ბენზინი და აღმოჩნდა, რომ იგი გვეყოფა კიდევ  
2—5 საათს. რა ვქნათ? გავფრინდეთ უკან ანადირში, რომ შევავსოთ  
თვითმფრინავები საწვავით? ვცადოთ ერთხელ კიდევ ვანკერემში მი-  
ფრენა, თუ გავფრინდეთ პროვიდენიის ბუხტაში, სადაც გვეგულდება  
საწვავის დიდი მარაგი?

ფოტო ჩელიუსკინელ ი. გაკელის



მშველელი ექსპედიციის თვითმფრინავები ვანკარემის აეროდრომზე. მარცხნიდან-  
მარჯვნივ: თვითმფრინავები—ვოდოპიანოვის, მოლოკოვის, კამანინის და დორო-  
ნინისა. წინა პლანზე—ბაბუშკინის ამფიბია.

პირველი ვარიანტი თავისთავად მოიხსნა, — არც ერთს არ გვინ-  
დოდა უკან დახევა. მეორე ვარიანტი, თუ მარცხი მოგვივიდოდა,  
იმით იყო საშიში, რომ სამივე თვითმფრინავი დარჩებოდა კაინერ-  
გინში უბენზინოთ. ისევ სჯობდა პროვიდენიის ბუხტაში გავფრენი-  
ლიყავით. კაინერგინიდან პროვიდენიემდე 300 კილომეტრია. ბენზინი  
გვეყოფა, თუ ძლიერ შემხვედრ ქარს არ წავაწყდით. ისევ მოვფრი-  
ნავთ კაინერგინიდან, ვიღებთ გეზს პროვიდენიისაკენ. 30 წუთის  
ფრენის შემდეგ გაშლილ ზღვაზე გვხვდება სქელი ნისლი.

ფრენის გაგრძელება წინ შეუძლებელია, მაგრამ არც კაინერ-  
გინში დაბრუნება არის შესაძლებელი.

ფრენის ყოველი ზედმეტი წუთი ამცირებს ჩვენს მარაგს, მოგ-  
ველის საწვავის სრული გამოღევა. ჩვენი გეზიდან 10 კილომეტრის

დაშორებით მარჯვნივ დავტოვეთ ნატაპელმანი—ჩუკოტის სოფელი, სადაც ფაქტორიაა. სწორედ ისე, თითქოს მშობლიური აეროდრომი ყოფილიყოს, დავეშვით ამ ფაქტორიის გაპენტილ თოვლში.

40 წუთს შემდეგ ნისლი შეთხელდა, აღმოსავლეთის მხარეზე გამოჩნდა ცის ვიწრო ლურჯი ზოლი. რამდენიმე წუთი კიდევ და ჩვენ ისევ გაშლილ ზღვის ზევით ვართ. ნაპირი რჩება შორს მარცხნივ. ვზოგავთ ბენზინს,—მიეფრინავთ უმოკლესი გზით. მოტორები კარგად მუშაობენ. ჩვენ გვჯერა, რომ მოტორები არ გვიღალატებენ. მაგრამ უნებურად თავში გამიელვებს: რა უნდა ვქნა, რომ მოტორმა მისუსტოს. მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სისულელეა. თუ მოტორი მისუსტებს, შეიძლება ზღვაში დაიხრჩო, მეტს საპასუხოდ ვერაფერს მოვიგონებ.

ფოტო გ. უშაკოვის.



მოლოკოვის და კამანინის თვითმფრინავები შმიდტის ბანაკში.

გავიხედავ უკან მოლოკოვისაკენ და პივენშტეინისაკენ—ისინი უკან ძალიან ახლო მოტრინავენ, ჩემსავით ისინიც მინდობიან მოტორებს.

უკან მოვიტოვეთ 160 კილომეტრი ზღვა, მარცხნივ დავტოვეთ ჩირიკოვის კონცხი, წინ მარჯვნივ—ბერინგის კონცხის შავი მასივია. ამ დროს პივენშტეინი თავისი თვითმფრინავით თითქმის ეხება ჩემი თვითმფრინავის მარცხენა სიბრტყეს. უმზერ იმას. იგი მანიშნებს, რომ დარჩა მხოლოდ 15 წუთის საყოფი საწვავი. პროვიდენიემდე ჯერ კიდევ შორი მანძილია—140 კმ. წინ შავი კლდოვანი, ძალიან კუშტი ნაპირია, ჩვენს დაბლა გაშლილი ზღვაა. ყინულის ვიწრო ნაქერი. ნაპირის ან თოვლის მცირეოდენი ფენა მაინც სჩანდეს.

დაბლა ივითრად სჩანს ვიწრო ზოლი. ეს მდინარეა. მისი სიგანე 2 მეტრს თუ აღწევს. ის მეტად მიხვეულ-მოხვეულია, მაგრამ ამას ეხლა ანგარიშს ვერ გაუწევ. ასე იყო, თუ ისე, სამივე თვითმფრინავის გაფრენა მშვიდობიანად დამთავრდა.

მეორე დღეს ჩადგა თუ არა პურგა, სამი თვითმფრინავიდან ბენზინი გადავასხით ორში. მოლოკოვი და მე გავფრინდით პროვიდენიეს ბუხტისაკენ. პივენშტეინი დარჩა ბერინგის კონცხთან იმ იმედით, რომ პროვიდენიედან შას მივაწვდიდით ბენზინს.

მეორე დღეს თითქმის გაუჭირვებლად მივფრინავდით უელენში და 7 აპრილს მშვიდობიანად დავეშვიტ ვანკარემის პატარა უვარგის აეროდრომზე.

ვანკარემიდან შმიდტის ბანაკამდე 150 კილომეტრია. რა მოკლეც არ უნდა იყოს ჩრდილოეთის დღე, ჩვენ შაინც ვასწრებდით 3—4 რეისს დღეში.

ორადგილიანი თვითმფრინავით ძალიან ცუდი აეროდრომიდან ჩვენ აგვყავდა 6—7 კაცი.

სამი დღის გახურებული ფრენით შმიდტის ბანაკს ლიკვიდაცია უყავით. ჩემი ჯგუფის თვითმფრინავებმა 24 რეისიდან ბანაკში გააკეთეს 18 რეისი, გადმოიყვანეს მატერიკის ნაწილზე 73 კაცი, 8 ძალი, ორ ტონამდე ბარგი.

გავკვეთეთ რა უცნობი ქედები, პურგა და ნისლი, ჩვენ შევასრულეთ მთავრობის დავალება.

მ. ვ. ვოლოკინაძე.

## უკანასკნელი რეისი შმიდტის ბანაკში

გრაფიურა ი. ლუნინის



გათენდა გადასარჩენ სამუშაოების უკანასკნელი დღე—13 აპრილი. შმიდტის ბანაკში დარჩენილი იყო ექვსი კაცი. მე უნდა გავფრენილიყავი ერთი პირველთაგანი, სხვა მანქანები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად. ბანაკიდან შეგვატყობიეს, რომ იქ ამინდი ძალიან კარგია, ცა მოწმენდილია. ხედვა შეიძლება 35 კილომეტრის მანძილზე.

15 წუთს შემდეგ გაჩნდა ნისლი. პირველად ძლივს ჩანდა კუნძულ კოლიუჩინის მაღლობი ნაწილი. ხედვის რადიუსი არ აღემატებოდა 5 კილომეტრს. ვიხეტიალე რა ჰაერში ერთ სა-



ათს და 10 წუთს, იძულებული გავხდი უკანვე ვანკარეში დავბრუნებულიყავი.

12 საათს და 30 წუთს გავფრინდი კამანინთან და მოლოკოვან ერთად. 30 წუთს შემდეგ შორს თვალი მოვკარი კვამლოვან კოცონს. ეს იყო შმიდტის ბანაკი. აგერ აეროდრომიც. პირველად ჯდება კამანინი, შემდეგ მოლოკოვი. მე უცდი, როდის დაჯდებიან ისინი. ვაკეთებ რამდენიმე წრეს ბანაკს გარეშემო. კამანინმა ბორტზე აიყვანა ერთი ჩელიუსკინელი და პარაშუტის ტომრებში ჩასვა რვა ძაღლი. მოლოკოვმაც აიყვანა ორი ჩელიუსკინელი და ტომრებში ჩააწყო ძვირფასი ნივთები. ჩემს თვითმფრინავში მივიღე სამი:— ბობროვი, კრენკელი და ივანოვი.

მე აფფრინდი მეორედ, გავაკეთე გამოსამშვიდობებელი წრე ბანაკის ზევიტ და გავემართე ნაპირისაკენ. 45 წუთს შემდეგ ვანკარეში ვართ. როცა ჩემი მგზავრები თვითმფრინავიდან გამოვიდნენ, მე ხუმრობით ვეუბნები კრენკელს:

—აბა გასინჯე: მაგარია, თუ არა მიწა.

—როგორც იქნა, მოვალწიეთ,— ამბობს კრენკელი,— უკვე მერამდენე თვეა, მიწა არ მინახავს.

ვილაცამ შენიშნა, რომ ეს მხოლოდ აეროდრომია, რომელიც მდებარეობს მოყინულ ზღვაზე. მიწა 100 მეტრის დაშორებითაა.

—როგორ თუ დაშორებით?— იცინის კრენკელი, თურმე ჯერ ისევ ზღვაში ვყოფილვარ. ჩქარა მიწაზე!

ამავე დღეს მე და მოლოკოვი კოპუსოვით, ვორონინათ და ივანოვით გავფრინდით უელენში. უელენში შეგვეგება მთელი მოსახლეობა.

ვარ რა 1931 წლიდან „პრავდას“ დამკვრელი, მე მადლობას ვუცხადებ „პრავდას“ რედაქციას, რომელიც დამენმარა ჩელიუსკინელთა გადასარჩენად ჩემი გაფრენის ორგანიზაციაში.

ჩემმა თვითმფრინავმა „СССР—П—10 90“ გადმოიყვანა ბანაკიდან 10 კაცი.

**მზრინავი პივენუბინი.**

## ჩემი დღიურიდან

3 აპრილს გავაცილე მოლოკოვი და კამანინი. თვითონ მე დავრჩი ბერინგის კონცხთან, რომ შემეკეთებია შასი, მეშოვა ბენზინი და გამეგრძო ფრენა დანიშნულ ადგილისაკენ. მოლოკოვის და კამანინის თვითმფრინავები წრის გაუკეთებლად პირდაპირ დაადგენ გზას პროვიდენიის ბუხტისაკენ. მე მივაცილებდი თვალებით მანამდე, ვიდრე ორივე წერტილი ჰორიზონტს არ მოეთარა.



თვითმფრინავის შეკეთება ჩრდილოეთის პირობებში, ჩუკოტის სოფელში, სადაც არ არის არავითარი მასალა, არც ინსტრუმენტი, ძალიან ძნელი ამოცანაა. მაგრამ კიდევ უარესი, — მე დავრჩი ისე, რომ ერთი გრამი საწვავიც კი არ დამრჩენია. შევიტყვე თუ არა ჩუკჩებისაგან, რომ პრეობრაჟენიეს ბუხტაში, ფაქტორიაში ბენზინი არისო, მე გავეშურე იქითკენ მარხილში შებმული ძაღლებით. პრეობრაჟენიეს ბუხტა ბერინგის კონცხიდან 65 კილომეტრზე მდებარეობს. მისვლა-მოსვლას ორი დღე მოუხდის და მოჟიტანე ბენზინი, რომელიც მეყოფოდა პროვიდენიეს ბუხტამდე, მაგრამ ახლა ამოცანაა-შასის შეკეთება. ჩვენ უნდა გამოგვეცვალა ფოლადის ბარბაცა. ჩემი მექანიკოსი ანისიმოვი შეუდგა შეკეთების ხერხის გამოგონებას. მან ჩვეულებრივი დანით გათალა ხის ბარბაცა. მანქანაში მის ჩასადგმელად საჭირო იყო მთელი თვითმფრინავის აწევა, ამ საქმეში დაგვეხმარენ ჩუკჩები. თავი მოუყარეთ მთელ მოსახლეობას. ამ დღეს არავინ წასულა სანადიროთ. ჩავდგით რა ბარბაცა, გასამაგრებლად შემოვახვიეთ ბაწარი. ახლა ჩემ წინ დაისვა საკითხი: გაუძლებს თუ არა ფრენას ჩვენი კონსტრუქცია?

ჩვენი „აეროდრომი“ წარმოადგენდა ყინულოვან მოედანს 40×250 მეტრს. მივეცი გაზი და გავაქანე მანქანა ასაფრენად. ანისიმოვმა უკანასკნელად შეათვალღერა ჩვენგან მიბმული „პროტეზი“ და ნიშნათ იმისა, რომ ყველაფერი რიგზეა, თავი დამიქნია და ჩვენც შევეცურდით ჰაერში. აფრენის დროს ყოველ ღონეს ვხმარობდით, რომ მანქანას ნაკლებ ეხტუნა, რადგან თითოეულ შეხტომას შეეძლო თვითმფრინავი რიგიდან გამოეყვანა. როცა თვითმფრინავი მიწას მოშორდა, ავიღე გეზი პროვიდენიესკენ.

მივფრინავდით კლდოვან ნაპირების და გაშლილ ზღვის ზევით. საათ ნახევარს შემდეგ შევნიშნე სოფელი. ეს იყო სწორედ ის პროვიდენიე, სადაც მე შემეძლო ბენზინიც მეშოვა, შემეკეთებია ჩემი თვითმფრინავი და მომემარაგებია სურსათი.

შე ვიყავ 1600 მეტრის სიმაღლეზე. დავიწყე წვრილი სპირალით დამდაბლება. შიგ კი რაღაც ხახუნის ხმა ისმის. გაძლებს ჩვენი კონსტრუქცია, თუ დაჯდომის დროს დაიმსხვრევა? სპირალით თვითმფრინავი თანდათან უახლოვდება მიწას, იმ ადგილს, სადაც უნდა გადაწყდეს ჩვენი ბედი. გული გავიმაგრე და დავექანე დასაშვებად. მიწაზე დაჯდომისას გადავიხარე მარჯვენა გვერდზე იმ მიზნით, რომ შემესუსტებია მარცხენა თხილამურის მიწაზე დატაკება. თვითმფრინავი შეეხო მიწას. მისი გარბენის თითოეული მეტრი ანელებდა ჩემს მღელვარებას და მაუწყებდა კეთილ დასასრულს. როცა თვითმფრი-

ნავი სრულიად შეჩერდა, ანისიმოვმა ვერ მოითმინა, გამოვარდა კაბინიდან დასარწმუნებლად, მართლა გადავრჩით, თუ არა. პროვიდენიეს ბუხტაში სახელოსნოებში საშუალება მოგვეცა თვითმფრინავი საფუძვლიანად შეგვეკეთებია. როცა თვითმფრინავი სავსებით მზად იყო გასაფრენად, დაიწყო კუშტი. დღეები: ნისლი, თოვა და პურგა.

25 აპრილი ჩვენს ბიჭებთან შეხვედრის დღე იყო. მივფრინდი უელენში და ჩემი ძმა-ბიჭები ისე შემხედნენ, თითქოს საიქიოდან დავბრუნებულიყავი. მე ძალიან მოხარული ვიყავი, რომ მივიყვანე სრულიად სალი მანქანა დანიშნულ ადგილზე. საუბრისათვის დრო არა გვქონდა, საჭირო იყო ჩელიუსკინელების კიდევ გადმოყვანა. შევეუერთდი რა ჩემს ჯგუფს, მათთან ერთად შევეუდექი ჩელიუსკინელების გადაყვანას უელენიდან პროვიდენიეში, ხოლო შემდეგ ლაერენტის ბუხტიდან. მე კიდევ მხვდა მაინც წილად ჩემი თვითმფრინავით გადმომეყვანა 18 ჩელიუსკინელი, რისთვისაც გაგზავნილი ვიყავი პარტიისა და მთავრობის მიერ.

### 8. უსაკოვი.


## მამაცი და გულმაგარი

„ჩელიუსკინის“ დაღუპვის შესახებ რადიოგრამის გამოქვეყნების მეორე დღეს, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ მიიღო მფრინავ ლევანევსკის დეპეშა. ამ დროს იგი სარგებლობდა შევებულებით, იმყოფებოდა პალტავაში. შეიტყო თუ არა კატასტროფის შესახებ, სამმართველოს შესთავაზა თავისი სამსახური, ჩრდილოეთის კარგად მცოდნე, მამაცი და გულმაგარი მფრინავის სამსახური.

ლევანევსკის წინადადება—მონაწილეობა მიეღო ჩელიუსკინელების გადასარჩენ მუშაობაში, მიღებულ იქნა. გავუგზავნე რა დეპეშა პალტავაში, მე მფრინავ სლეპნიოვთან ერთად გავფრინდი ბერლინში, მივეცი რა წინადადება ლევანევსკის გზაზე დაგვწეოდა. ბერლინში მივფრინდით 17 თებერვალს, მეორე დღეს ლევანევსკიც დაგვეწია. პირველად გაწახარული გვქონდა გავმგზავრებულიყავით ბერლინიდან ჰამბურგით, მაგრამ რაკი შევიტყვეთ, რომ სოიუტგემპონიდან (ინგლისის ნავთსადგურია) გემი „ოლიმპიკი“ ორი დღით ადრე გადიოდა, ჩვენ გავსწიეთ თვითმფრინავით ლონდონში. მე არ შევუდგები ოკეანეზე ჩვენი გადაფრენის და ამერიკაზე სიეტლამდე ჩვენი მგზავრობის

აღწერას. სიეტლში ჩვენ მივიდიოდით მატარებლით. გზაზე ჩვენ შევეუ-  
თანხმდით მფრინავს ჯო კროსენს, რომელიც დაგვპირდა რომ დაგ-  
ვხვდებოდა ალიასკის სამხრეთ ნაწილში—ვაიშ-გორნში. ჩამოვხტით  
რა იქ, ნახევარ საათს შემდეგ ჩვენ უკვე ვიჯექით კროსენის თვით-  
მფრინავის კაბინში.

ფოტო გ. უშაკოვის.



შმიდტის ბანაკში. ჩელიუსკინელები სხდებიან მოლოკოვის თვითმფრინავში.

კროსენის თვითმფრინავით ჩავედით ფერბენსკში, იქ მივიღეთ  
ორი მანქანა და განვაგრძეთ გზა, შევჩერდით ინდიურ სოფელ ნუ-  
ლატოში მდ. იუკონზე. ეს სწორეთ ის ადგილებია, რომელიც ასე  
კარგად აქვს აწერილი ჯეკ ლონდონს. აქედან ჩვენ ავფრინდით ისე,  
რომ კარგად არ ვიცოდით, რა ამინდი დაგვესწრებოდა. პირველი  
თვითმფრინავით მიფრინავდენ: მფრინავი ლევანესკი და მექანიკოსი  
ამერიკელი არმისტეტი, მეორეთი—მფრინავი სლეპნიოვი და მეორე  
მექანიკოსი—ამერიკელი ლევერი. ფრენის დასაწყისში იდგა ნათელი  
ამინდი, შემდეგ თვითმფრინავები მოხვდენ ქარბუქში და ჩვენც მივ-  
ყვებოდით ტელეგრაფის ბოძებს, რომ მიმართულება არ დაგვეკარგა,  
ნომში მშვიდობიანად ჩავედით.

ნომში მიღებული მეტეოროლოგიური ცნობა გვაუწყებდა, რომ ჩუკოტკზე კარგი ამინდია, ვანკარემში — ღრუბლიანობა 500 მეტრის სიმაღლეზე. ფრენის შემდგომი პირობების გამორკვევამდე სლუპნიოვი დაეტოვებ ნომში. მე ლევანევსკისა და მექანიკოსს არმისტეტთან ერთად გაფორინდი ჩუკოტკში.

ტელიორამდე ჩვენ გაფორინეთ მთელი ალიასკის სანაპირო კარგ ამინდში. ბერინგის სრუტეზე ქროდა ქარი, მაგრამ ცა მოწმენდილი იყო, მხოლოდ თვით უელენტან ჩვენ მოვხვდით ქარიშხალში, რომელმაც მაინც ვერ შეგვაჩერა, გაემორდით რა უელენს, ავიღეთ გვზი სერდცე-კამენზე.

500 მეტრის სიმაღლეზე შევხვდით ღრუბლებს. ისინი უფროდაუფრო დაბლა ეშვებოდნენ. თვითმფრინავს აიძულებენ ეფრინა მიწიდან 80—85 მეტრის სიმაღლეზე. მიუხედავად ამისა, ლევანევსკის მანქანა მიყავდა მშვიდად და დაჯერებით. ონმანის კონტებს ახლო ჩვენ შევხვდით მიწაზე გაფენილ სქელ ნისლს...

არ იცნობდა რა კლდოვანი ნაპირის მოხაზულობას, ლევანევსკიმ გადასწყვიტა გადაეხვია ჩრდილოეთისკენ. უეცრად ჩვენი თვითმფრინავის წინ წამოიმართა დიდი კლდე. გვეგონა, რომ დაღუპვა აუცილებელია. მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ აუცილებლად შევიჭრებით კლდეში, მაგრამ ლევანევსკიმ დააყირავა თვითმფრინავი და ჩვენ გაექანდით, გადავჭერით, გადაუჭროლეთ რა კლდეს თავზე. პირველის კვალზე წარმოიშვა მეორე საშიშროება — კიდევ ერთი კლდე. მფრინავის ხელი ელვისებურად დააწვა საჭეს, თვითმფრინავი ისევ დაყირავდა და თავი დააღწია განსაცდელს.


ასეთ ნისლში წინსვლა შეუძლებელი იყო. გადავსწყვიტეთ მალა ავწეულიყავით. ალტიმეტრის ისარმა 1000 მეტრი გვიჩვენა. შევცურდით ნისლში; ავედით 1500 მეტრზე. ქარბუქი. ავღივარდხვეით 2000 მეტრის სიმაღლეზე.

გავიდა სამსაათნახევარი მას შემდეგ, რაც ნომიდან გამოვფრინდით. თვითმფრინავი 2300 მეტრის სიმაღლეზე იყო, როცა შევამჩინეთ თანჯრიდან, რომ მანქანის სიპრტყე გაბრწყინდა. ცხადი შეიქნა, რომ თვითმფრინავი ყინულით იფარებოდა. კაბინის თანჯრიდან ჩანდა, რომ ყინულის ქერქი სქელდებოდა და მალე თვითმფრინავის სიპრტყე დაიფარებოდა ორი თითისდადება ყინულით. თვითმფრინავი კარგავდა რა ჩამოდინების უნარს და სისწრაფეს, დაბლა ეშვებოდა. ყინულშემოვლებული, დამძიმებული მანქანა, რომელმაც ნორმალური მდგომარეობა რაღაც 4—5 წუთს შეინარჩუნა, უცბად ცხვირით ქვევითკენ დაეშვა. ყველაზე კრიტიკულ წუთში ლევანევს-



კიმ გაასწორა მანქანა, მაგრამ მყისვე ჩვენ ისევ შეუჩერებლივ დაბ-  
ლა დავექანეთ. მე ახლა უკვე არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა  
ეს ქეშმარიტად გმირული ბრძოლა მფრინავისა სტიქიასთან.

ფოტო გ. უშაკოვის.



ვანკარემო. 7 აპრილი. სლენიოვის თვითმფრინავი ბანაკში გაფრენის წინ. ჯდებთან.

... თვითმფრინავის ქვეშ გამოჩნდა ყინული. შასის ერთი მხა-  
რის დაჯახებით ერთერთი თხილამური მოძვრა თვითმფრინავს. ლე-  
ვანევსკი აფრინდა ისევ ჰაერში მანქანაზე მხოლოდ ცალი თხილამუ-  
რით. ერთის ამარა დაჯდომა არ შეიძლება, მაგრამ არც მუდამ  
ფრენა შეიძლება. მფრინავი შემოტრიალდა, გაამტვრია წინ მინა,  
რომელიც იმდენათ გაყინულიყო, რომ მასში არაფერი ჩანდა და  
ისევ დაეშვა დასაჯდომად. მაგრამ, როცა შასის მეორე ნახევარიც  
შეეხო ყინულს, მოძვრა მეორე თხილამურიც.

ლევანევსკიმ ისევ ააფრინა მანქანა. ჩვენ ვფრინავდით. უთხი-  
ლაპუროთ მოედნის ზევით, რომელიც ყინულის ვიწრო ზოლს წარ-  
მოადგენდა. ჩვენი პილოტი მესამედ დაეშვა დასაჯდომად და შეეხო  
რა ყინულს, გამოუერთა მოტორი. მანქანა არაჩვეულებრივი გუგუნით  
მუცელზე ხოხვით გასრიალდა 150—180 მეტრზე და შეჩერდა ტო-  
როსის ახლო.

მე მივიხედ-მოვიხედუ. მექანიკოსი უვნებელია. მოვტრიალდი  
ლევანევსკისკენ. იგი ზის უძრავად.

— სიგიზმუნდ,—ვეძახი მას.

იგი სდუმს, ადგილიდან დაუძრავად.

— სიგიზმუნდ,—უყვირი მეორედ.

იგი მაინც უძრავია.

მგონია რა, ლევანევსკი უკვე მკვდარია, სწრაფად ვდგები ად-  
გილიდან, ხელს ვკიდებ სახელოებში და ვარხევ. შეკრთა და ნელა  
მოაბრუნა ჩემსკენ სახე. მე დავინახე, რომ მარცხენა ლოყა გასისხლი-  
ანებული ჰქონდა, გამოვიყვანე იგი კაბინიდან. უჭირდა მოძრაობა,  
ბარბაცებდა და დგომა შეეძლო მხოლოდ მანქანაზე მიყრდნობით.  
შევხოხდი კაბინში, უცბად გამოვიტანე პატარა ჩემოდანიდან თეთ-  
რეული, დავხიე, დასახიჩრებული სახე შევუხვით. შემდეგ ლევანევსკი  
დაუფტოვე მექანიკოსს მანქანასთან და თავად გავეშურე ნაპირისაკენ,  
სადაც მოსჩანდა ჩუკოტური იურტა. ძლივ-ძლივობით გავაგებთ ჩემი  
ლაპარაკი იმ იურტის მცხოვრებლებს (მოხუც ქალსა და 14 წლის  
ბავშს), რომლებსგანაც შევიტყვე, რომ აქედან 8—10 კილომეტრის  
მანძილზე მდებარეობს ჩუკოტელთა პატარა ახალშენი. 2 საათის  
ქებნის შემდეგ, გამოვძებნე ორი მარხილი ძაღლებითურთ და აგრე-  
თვე დავითანხმე და უკან ჩემთან წამოვიყვანე უელენიდან ვანკერეში  
მიმავალი ორი მარხილი.

ეს ღამე გავათიეთ ჩუკოტას სოფელში, ხოლო მეორე დღიას  
ძაღლებით გავსწიეთ ვანკარემისკენ.

#### IV

„ჩელიუსკინის“ ეპოპეა და  
საბჭოთა ვაჟმირი

## საბჭოთა ავიაციის ტრიუმფი

„პრავდა“, 12 აპრილი, 1934 წ.

მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს ყურადღება მრავალი დღის განმავლობაში მიპყრობილი იყო შმიდტის ყინულოვან ბანაკისაკენ. ჩელიუსკინელთა ამაღლევებელი ეპოპეა შევა ისტორიაში, როგორც არქტიკის საბჭოთა მკვლევარების გმირობის და სიმამაცის, სწრაფი მოსაზრების უნარის და ორგანიზებულობის ნიმუში. მიმდინარე წლის განსაკუთრებით ძნელ ყინულოვან პირობებში ექსპედიციის მონაწილეებმა განიმეორეს „სიბირიაკოვის“ შარშანდელი ისტორიული რეისი. ერთ ნავიგაციაში მათ გაიარეს პოლიარული ზღვებით მურმანსკიდან შორეული ჩუკოტის ნაპირებამდე.

„ჩელიუსკინი“ დაიღუპა. იგი გასრისეს ყინულებმა.

მაგრამ ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზა დაპყრობილია. საბჭოთა გემები დაუბრკოლებლივ ივლიან მასზე წყლის უმოკლესი გზით, დააკავშირებენ რა ჩვენი ქვეყნის ცენტრებთან მის ცალკეულ განაპირა რაიონებს— შორეული ჩრდილოეთის, და შორეულ აღმოსავლეთის უმდიდრეს რაიონებს.

ფართოდ გაშალა თავისი ფრთები საბჭოთა მეცნიერებამ, საბჭოთა ტექნიკამ; ასობით საგამოკვლევო ინსტიტუტში, ათასობით ლაბორატორიაში ჩვენი მეცნიერები წვდებიან ბუნების უღრმეს საიდუმლოებას, რათა დაუმორჩილონ იგი სოციალისტური მშენებლობის საჭიროებებს.

განა სტრატოსფეროს შემსწავლელი მრავალრიცხოვანი კონფერენცია, რომელიც ახლახან დამთავრდა და რომელმაც გააერთიანა აკადემიკოსები და მფრინავები, ინჟინრები და ექიმები, ფიზიკოსე-

ში და ასტრონომები, განა მარტო იგი არ წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ რა თვალუწვდენელ სივრცეს შლის სოციალიზმი მეცნიერების წინაშე.

ამ წყობილებამ უკვე აღზარდა და ახლაც ყოველდღე ზრდის იმ ადამიანთა თაობას, რომლებიც უშიშრად მიდიან იქითკენ, სადაც ამას მოითხოვს მათდამი მინდობილი საქმის ინტერესები, მეცნიერების დაუღალავი მკვლევარები, საბჭოთა ტექნიკის პიონერები. „საჭიროა ჩემი ქვეყნისათვის“, — ასეთია მათი სიცოცხლის უმაღლესი კანონი. მისი გულისთვის მიეშურებიან ისინი არქტიკის ყინულებსაკენ, სტრატოსფეროს გამოუკვლეველ სიმაღლეებისაკენ, ყარა-ყუმის ველების ფხვიერ სილიან ბარხანებისაკენ, პამირის მიუვალ მწვერვალებისაკენ. ეშვებიან ზღვის ფსკერზე, რათა ამოიღონ ჩაძირული გემები. ისინი გამოზარდა ბოლშევიკურმა პარტიამ—გაბედულნი და წინდახედულნი, თავისი საქმის მცოდნენი, უდიდესი სურვილის მქონენი შეიძინონ სულ უფრო და უფრო მეტი ცოდნა.

სამოქალაქო ომის წლებში ახლად შექმნილი წითელი არმიის ერთი მეორეზე ნაფოტებად ამსხვრევდა თეთრგვარდიელთა ბანდებს, რომლებსაც აკმევდნენ და ასმევდნენ, აიარალებდნენ და წრთვნიდნენ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების კაპიტალისტური მთავრობები. მაგრამ რამდენ ათეულჯერ გაიზარდა წერა-კითხვის ერთიანად მცოდნე, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული წითელი არმიის ძლიერება. მაგრამ, ჩელიუსკინელებს, ეს ახლა საზოგადო სახელია, — შესწევთ არა მარტო სტიქიის დამარცხების უნარი, დაუკვირდით იმას, თუ რა შიხდა პოლიარულ ზღვაში, მორდვიფე ყინულებში, ჩუკოტის ნახევარკუნძულის უდაბური ნაპირებისაგან მოშორებითაც კი. ილუპება გეში. გემზე 100 კაცზე მეტია. საჭიროა გადმოსვლა ყინულზე. პანიკა? მას ადგილი არა აქვს საბჭოთა პოლიარელების რაზმში. ექსპედიციის მონაწილეები ორგანიზებულად ტოვებენ გემს და ზღვას აძლევენ ნხოლოდ ერთ შემთხვევით მსხვერპლს. დაბნეულობა? — არც მას აქვს ადგილი.

ჩელიუსკინელებმა წინდახედულად გადაარჩინეს იმის მაქსიმუმში, რის გადარჩენაც კი შეიძლებოდა — სურსათიც, თბილი ტანსაცმლისიც, თვითმფრინავიც, რადიო-სადგურიც და საშენი მასალაც კი მომავალი ბანაკისათვის. გადის მოსაწყენი დღეები, სანამ მრავალი ათასი კილომეტრის იქით მოეწყობა და გაიკაფავენ გზას ჩრდილოეთისაკენ მაშველი რაზმები. სასოწარკვეთილება? — არა. „ბანაკის ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს“ — დროგამოშვებით იუწყებიან იქიდან რადიოთი. მცურავ ყინულზე აშენებენ ბარაკებს, წმენ-





სტალინისა და შმიდტის შეხვედრა წითელ მოედანზე.

დენ აეროდრომებს... კოლექტივის დარაზმულობა;—აი ჩვენი ქვეყნის ახალი ადამიანებისათვის დამახასიათებელი თვისება.

მუშათა, კოლმეურნეთა, მშრომელთა, მოწაფეთა ათეული მილიონები სწორედ ამიტომ გრძნობდნენ ასე მწვავედ და ცოცხლად განიცდიდნენ ყოველივე დეტალს ჩელიუსკინელთა ბანაკში. ისინი მათთან ერთად ცხოვრობდნენ ერთი სიცოცხლით, ერთი სურვილით. „ვიდღესასწაულეთ წითელი არმიის დღე“—ამხ. შმიდტის ამ დეპეშამ, პოლიარული ზღვიდან მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადპყო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა აზრის ნებისყოფის მთლიანობა, მათი სიყვარული და ერთგულება რევოლუციის უძლეველი არმიისა და იმ საქმისადმი, რომელსაც იგი იცავს.

როგორც კი მიღებულ იქნა ცნობა კატასტროფის შესახებ ჩელიუსკინელთა გადასარჩენად შეიქმნა მთავრობის განსაკუთრებული კომისია.

„ყოველგვარ ზომას ვღებულობთ თქვენთვის დახმარების აღმოსაჩენად“—რადიოთი აცნობეს ამხ. შმიდტს ამხანაგებმა სტალინმა, მოლოტოვმა, ვოროშილოვმა, კუიბიშევმა, ორჯონიკიძემ და კავანოვიჩმა, მიესალმნენ რა ისინი გმირ ჩელიუსკინელებს; ეს თავისთავად გასაგებია. პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუხმარებლად არ ტოვებენ სოციალიზმისათვის დიადი ბრძოლების არც ერთ მონაწილეს, რაც არ უნდა დაჯდეს ეს.

მაგრამ ჩვენს ქვეყანას არა თუ სურდა, რითაც კი შეეძლო დახმარებოდა ჩელიუსკინელებს. მას ამისათვის საკმაო ტექნიკური საშუალებანიც გააჩნია. ჩრდილოეთისაკენ გავიდნენ საბჭოთა გემები „სმოლენსკი“, „სტალინგრადი“ „სოვეტი“, ოკეანეებით, დედამიწის ირგვლივ, დაიძრა ბანაკისაკენ ბალტიის ქარხნის დამკვერელთა მიერ უმოკლეს ვადაში შეკეთებული „კრასინი“, ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ მფრინავები, გაიგზავნა დირიჟაბლები, აერომარხილები, ტრაქტორები.

მრავალი ათასი კილომეტრი აშორებდა შმიდტის ყინულოვან ბანაკს საბჭოთა კავშირის ცენტრებისაგან. მრავალი ათასი კილომეტრი სუსხიანი ტაიგი, გამოუკვლეველი მთაგრეხილები, გულშემზარავი ტუნდრი და ყინულის ჯგავნით შემოსილი პოლიარული ზღვები. მაგრამ არქტიკაშიც კი არ მოიპოვება სიმაგრენი, რომელთა აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ.

რადიოსადგურებმა უზრუნველყვეს მუდმივი კავშირი ბანაკთან. ვანკარემის კონცხის ველურ უკაცურ ნაპირებზე მოვანერხეთ უმოკლეს ვადაში მოგვეწყო მაშველი ბაზა, უზრუნველგვეყო იგი მიმოსვლის საშუალებით, საწვავი მასალით, სურსათ-სანოვავით; ბინებით;

არქტიკის მძიმე პირობებით გამოწვეული ავარიების მიუხედავად ჩრდილოეთში მიფრინდენ თვითმფრინავები ყველა ასი ჩელიუსკინელის გადასარჩენად, საკმარისი რაოდენობით.

ჩელიუსკინელთა გადარჩენა საბჭოთა ტექნიკის და, პირველ რიგში, მისი ავიაციის ტრიუმფია.

ლიაპიდევსკიმ, რომელმაც პირველმა მიაღწია მატერიკიდან ყინულებს, ბანაკიდან გადმოიყვანა ქალები და ბავშვები, მოახდინა რა გაფრენა ისეთ პირობებში, როცა ყოველი წინდაუხედავი მოძრაობა დალუპვას მოასწავებდა. ბაბუშკინი ბანაკიდან გადმოფრინდა მცირეძალიან თვითმფრინავ „ამფიბიათი“, რომელიც დაკერებული და შეკეთებული იყო მხოლოდ იმით, რაც მისთვის შეეძლო მიეცა ბანაკის პრიმიტიულ სახელოსნოს.

ლევანევსკიმ დამაბრმავებელ პოლიარულ პურგაში ალიასკიდან ვანკარემში მიიყვანა უშაკოვი და გადაარჩინა თავისი თვითმფრინავის ეკიპაჟი.

მოლოკოვი, კამანინი და სლევნიოვი, რომელმაც დიდი და მძიმე გზა გაიარეს, მაშინათვე გაფრინდნენ ბანაკისაკენ და, მიუხედავად ჩამოშვების განსაკუთრებით რთული პირობებისა, ისინი დღეში რამდენიმეჯერ ახდენდნენ გაფრენებს. გალიშევმა, დორონინმა და ვოდოპიანოვმა, ააწყეს რა მანქანები ხაბაროვსკში, გადალახეს ხუთ ათასამდე კილომეტრი ანადირამდე, შუათანა პუნქტებზე ამოჰქონდათ თღვლში ჩაფლული თვითმფრინავები, უხდებოდათ ფრენა ნისლშიც და პურგაშიაც. დორონინმა და ვოდოპიანოვმა გადაჭრეს გამოუკვლეველი ანადირის ქედი. აი, რა გმირები გამოზარდა საბჭოთა ავიაციამ. ისინი ათასობითაა; გამოცდილნი და მამაცნი, თავის სამშობლოსათვის უსაზღვროდ თავდადებულნი,—ისინი საბჭოთა თვითმფრინავებით მალლა მიემართებიან, იცავენ ჩვენი ქვეყნის ხელშეუხებლობას, ახორციელებენ განშტოებული სახალხო მეურნეობის „კავშირგამბულობის საქმეს“.

ამხ. შმიდტი—„ჩელიუსკინის“ ექსპედიციის ხელმძღვანელი, მიუხედავად სერიოზული ავადმყოფობისა, არც კი ამხელდა ამას, განაგრძობდა თავის პოსტზე ყოფნას, უარს აცხადებდა დაეტოვებია ბანაკი პირველთა რიცხვში. ჩვენმა თვითმფრინავებმა, აურაცხელი სიძნელის მიუხედავად, აგრეთვე თავგამოდებით შეასრულეს თავისი მოვალეობა, დაიპყრეს რა არქტიკის სუსხიანი ბუნება. დიდება მათ. დიდება საბჭოთა პოლიარულ მკვლევართ, რომელნიც აფართოებენ ჩვენს მიერ ათვისებულ სივრცეთა ფარგლებს.

# გამარჯვების პირველი საათები შორეულ ჩრდილოეთში

## გიტინგი უელენში

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს „ელვა“. უელენიდან მიღებულია ცნობა, რომ 13 აპრილს საღამოს იქ მიფრინდენ პილოტები მოლოკოვი და ვოდოპიანოვი. მათ მოიყანეს შვიდი ჩელიუსკინელი: „ჩელიუსკინის“ კაპიტანი ამხ. ვორონინი, მწერალი სემიონოვი და სხვები. აქ, საბჭოთა კავშირის განაპირა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის პუნქტში, თვითმფრინავების მახლობლად გაიმართა მიტინგი. პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. შოლომოვი (იგივე დეჟნევის კონცხის მეზამთრეთა უფროსი) და ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტაქნოვი მხურვალედ მიესალმენ ჩამოსულ ჩელიუსკინელთ.

მიტინგზე გამოვიდენ ო. ი. შმიდტის სწავლული თანაშემწე ამხ. ბავესკი, მჭრინავი მოლოკოვი და კაპიტანი ვორონინი.

„ვერაფერი ვერ გატეხს ბოლშევიკ-პოლიარელთა ენერგიას,— განაცხადა ამხ. ვორონინმა. გამარჯვება ჩვენი იქნება. პოლიარული ზღვა ამიერიდან ველარავის იმსხვერპლებს. „ჩელიუსკინი“,— დარწმუნებული ვარ,— უკანასკნელი მსხვერპლია. დიდება და სახელი საბჭოთა ავიაციას და მის უშიშარ მმართველებს“.

## გიტინგი არხანგელსკში.

13 აპრილი. ჩელიუსკინელთა გადარჩენის ამბავი სწრაფად მოედო მთელს ქალაქს. დღეს გაიმართა კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ჩელიუსკინელთა, მათ შორის ვორონინის, შტურმან მარკოვის, პავლოვის და სხვ., 13 ოჯახის წევრებმა, რომლებიც არხანგელსკში იმყოფებიან. კრებაზე გამოვიდა ჩრდილოეთის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ივანოვი.

ჩელიუსკინელთა ოჯახის წევრებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ამხ. სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს და კუიბიშევს, აგრეთვე გმირ მფრინავებს.

ამხანაგ სტალინისათვის, მოლოტოვისათვის, ვოროშილოვისა და კუიბიშევისათვის გაგზავნილ წერილში ჩელიუსკინელთა ნათესავები წერენ:

— ბედნიერება და სიხარული—მხოლოდ უფერული და უძწეო სიტყვებია. განა ამ სიტყვებით შეიძლება იმ გრძნობის გამოხატვა, რაც



ჩვენ განვიცადეთ, როცა შევიტყვეთ ჩვენი ღვიძლი გმირების — ჩელიუსკინელების გადაარჩენის ამბავი?

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დიდი კომუნისტური პარტია, ჩვენს საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ჩელიუსკინელთა მიმართ. მათ გადასარჩენად ჩვენმა ქვეყანამ გაგზავნა თავისი მამაცი შვილები და დარაზმა ყველა შესაძლო ტექნიკური საშუალებანი.

ჩვენ უდიდეს მადლობას ვუძღვნით ამხ. სტალინს იმისათვის, რომ იგი, დატვირთული უდიდესი ზრუნვით მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, პოულობდა დროს ეზრუნა ჩელიუსკინელებზე და დიდ ადამიანურ მონაწილეობას ღებულობდა მათ ბედობაში. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ, თუ როგორი თავგანწირული სიმამაცით იბრძოდნენ ჩვენი ახლობელი ადამიანების გადასარჩენად საბჭოთა მფრინავები, საბჭოთა პოლიარელები, საბჭოთა მეზღვაურები, რომელთა სიცოცხლეს ყოველ საათს მოელოდა საფრთხე.

თქვენი სახით, ჩვენ მხურვალე მადლობას ვუძღვნით პარტიას და მთავრობას, საბჭოთა კავშირის მშრომელთა მთელ მრავალმილიონიან კოლექტივს იმ ყურადღებისა, მონაწილეობისა და მზრუნველობისათვის, რომლებიც მათ გამოიჩინეს ჩელიუსკინელთადმი. თქვენ გადაარჩინეთ არა მარტო ჩვენი ქმრები, ძმები, მამები — თქვენ გადაარჩინეთ არქტიკის დაუფლებებისათვის გმირი მებრძოლები.

თქვენი მეცადინეობის წყალობით მათ კვლავ შეუძლიათ ჩადგნენ საბჭოთა ჩრდილოეთის მოწინავე მებრძოლთა რიგებში. ჩვენ მოხარული ვართ და ვამაყობთ იმით, რომ ვატარებთ ასეთი დიდი ქვეყნის მოქალაქეთა სახელს, რომ ჩვენ გვყავს ასეთი პარტია და ასეთი მთავრობა.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას. გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ, ჩვენს ძვირფას ამხ. სტალინს.

მ. ზორკი.

## ეს გმირობა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოების ქვეყანაში

ჩელიუსკინის დაღუპვის ისტორიაში და აუცილებელ დაღუპვი საგან მისი ეკიპაჟის გადაარჩენისათვის წარმოებულ გმირულ მუშაობაში არის რაღაც ისეთი რამ, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებით დიდი ყურადღებას და გაგებას.

ავილოთ ევროპის სახელმწიფოები, ეს ქადები, რომლებიც შეზავებულია ტყვიამფრქვევებით, ყუმბარებით, ასაფეთქებელი ნივთიერებით და ყოველივე იმით, რაც დამზადებულია მუშათა და გლეხთა მილიონების ამოსაჯლეტად, „კულტურული“ ბურჟუაზიის ისეთ ორგანიზაციებიდან, რომლებიც მზად არიან აფეთქდნენ ადამიანთა მასობრივად გაჯლეტის საშინელებით. ავილოთ ერთერთი და დავსვათ კითხვა: შეეძლო თუ არა ბურჟუაზიას გაეხედა ესოდენ მრავალი ძალებისა და სახსრების ხარჯვა ასეული ადამიანების გადასარჩენად, რომელთა უმრავლესობა, — მედუქნეთა შეფასებით, — მცირე ღირებულების ხალხია: დამლაგებლები, მეზღვაურები, ცეცხლფარეშები, დურგლები? სრული რწმენით ვბედავ ვუპასუხო: არა, მედუქნეები ვერ გაბედავდნენ ამ საქმეს. არა, ისინი დაინანებდნენ ფულს და არ დაზოგავდნენ ადამიანებს. მათ უმუშევართა ისეთი მდიდარი მარაგი მოეპოვებათ, რომ რა დასანანიცა, თუ დაილუპება ასიოდე კაცი.

ჩელიუსკინელთა გადარჩენის გმირობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატმა ხელში აიღო ძალაუფლება და შექმნა თავის სამშობლო. ეს გმირობა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური საბჭოების ქვეყანაში, სადაც გამომჟღავნებულია ბურჟუაზიული ჰუმანიზმის თვალთმაქცობა და სიცრუე და იზრდება პროლეტარიატის ჰუმანიზმი, დამყარებული სოციალურად სასარგებლო შრომის გამწვევ ყველა ადამიანის თანასწორფასიანობის შეგნებაზე. ეს გმირობა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში, სადაც მთავრობა დაუღალავად და წარმატებით მუშაობს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებაზე, ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხის, დედამიწის ყველა ერის ცხოვრების დასაცავად, — იმ ხალხის, რომელთა მილიონების მოსპობას კვლავ ფიქრობს ბურჟუაზია.

ჩვენს ქვეყანაში არ არიან „მცირე ღირებულების ადამიანები“. ჩვენი ადამიანები სულ უფრო ერთპირად და წარმატებით ამტკიცებენ, რომ ეს ნამდვილად ასეა: მუშათა და გლეხთა წრიდან ყოველწლიურად წინაურდება ათიათასობით ახალი საბჭოთა ინტელიგენცია. ფეიქრები და მწყემსები, მალაროელები და ზეინკლები, დამლაგებლები, მკერავები და საერთოდ ფიზიკური შრომის ადამიანები სწრაფად ხდებიან მაღალი ინტელექტუალური კვალიფიკაციის ადამიანებად. ჩვენში ადამიანს სულ უფრო და უფრო ემატება ფასი, ვინაიდან თითოეულის წინაშე გახსნილია ყველა გზა მისი ნიჭის, უნარის განვითარებისა და საბჭოების კავშირის მოსახლეობის 170 მილიონიან მასაში მუშაობს ადამიანთა ოდენობა, რომლებსაც შეგნებული აქვთ.

რომ ისინი თავისი მამაცური შრომით აშენებენ სამშობლოს, რომელიც მათ არ ჰქონდათ.

ჩელიუსკინელთა გადარჩენა—მფრინავთა გმირული საქმეა და იგი სამუდამოდ დარჩება ჩვენი კულტურული ზრდის ისტორიის ერთერთ მკაფიო ფაქტად. არქტიკის ყინულებში ჩარჩენილ ოტო შმიდტის და მისი ამხანაგების ურყევი სიმამაცე, იმ გმირთა სიმამაცე, რომლებიც ყოველ საათს მოელოდნენ დაღუპვას და რწმენით ელოდებოდნენ დახმარებას—ისეთი ფაქტია, რომელიც მოწმობს, რომ ადამიანებს შეგნებული ჰქონდათ სამშობლოს მხრით დახმარების მიღების უფლება. ჩელიუსკინელთა ისტორია სავსეა ღრმა აზრით, ვინაიდან იგი მთელი საბჭოთა კავშირის ადამიანებს უნერგავს რწმენას, რომ მათ აქვთ სამშობლო, რომ იგი ყოველ მომენტში დაეხმარება თითოეულ მათგანს, რომ მისთვის არ არსებობს „მცირე ღირებულების ადამიანები“ და რომ ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაადიდოს მისი ძლიერება, მისი სიმდიდრე თავისი შრომით, იმუშაოს პატიოსნად, მუდამ უნდა სძულდეს მტერი, უყვარდეს და პატივს სცემდეს თავის თანამოაზრეებს, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე თავის მოძმეებს.

## 5. ბუნხარინი.

# იერიში და გამარჯვება

შორეულ აღმოსავლეთში, თოვლის და ყინულის გამოუკვლევ უდაბნოებში წავიდნენ „ჩელიუსკინით“ უშიშარი ადამიანები პროლეტარული ქვეყნიდან, რომელიც კაფავს ახალ ისტორიულ გზებს. ბუნებისათვის წართმეულ მძლავრ ძალას—რადიოტალღას—ყოველდღე მოჰქონდა ეთერით ამბები სუსხიან შორეულ მხარეებიდან. და უთვალავ მშრომელთ მწუხარებით შეეკუმშათ გული, როცა „ჩელიუსკინის“ გვერდები შეამტვრია ყინულის ლოდებმა და ამაყი გემი ჩაიძირა ცივი ზღვის უფსკრულში. პროლეტარული ქვეყნის მიერ გაგზავნილთა რაზმი უეცრად აღმოჩნდა ყინულზე, რომელიც მდინარეებას მიჰქონდა მატერიკიდან სულ უფრო და უფრო შორს, უცნობ ადგილებისაკენ. ასეთ მომენტებში ჩვეულებრივ ადამიანთა გულში აღიზნება ისადგურება, გონება აღარ მუშაობს, სიმამაცე ჰქრება როჟინვა ისადგურებას, გონება აღარ მუშაობს, სიმამაცე ჰქრება როგორც კვამლი და მხეცი იღვიძებს ადამიანში: იგი წყალში ახრჩობს

თავის მოყვასს, ოლონდ თავი გადაირჩინოს; იგი იმარაგებს საკმე-  
ლის ზედმეტ ნაჭერს, ოლონდაც გამოიკვებოს თავი; იგი მზადაა რო-  
გორც კაცისმჭამელი ნერწყვმორეული უცქერდეს უბედურების თანა-  
მონაწილეს, როცა უკვე თავდება საკმელი; იგი იბრძვის მუშტებით,  
იდაყვებით, წიხლებით, ოლონდაც თითონ ისარგებლოს გადარჩენის  
პირველი შესაძლებლობით, მაგრამ დიდი ადამიანებიც კი მზურვალე  
გულით და დიდი გონებით იშვიათად ახერხებდნენ მოეცათ მსოფ-  
ლიოსთვის სიმამაცის, სიმტკიცის და ორგანიზებულიობის ისეთი შე-  
სანიშნავი ნიმუში, როგორც მთელ მოაზროვნე მსოფლიოს მისცა  
შმიდტის ბანაკმა. არც ერთი წამით არ შემოლევია ამ საუცხოვო  
და უცნაურ ბანაკს დამრავლავი გმირული ნებისყოფა. არც ერთი  
წამით არ დაშლილა, არ დაქუცმაცებულა ეს მკიდროდ დარაზმული  
კოლექტივი, არც ერთი წამით არ დაუკარგავს მას ინტერესი სო-  
ციალისტურ სამშობლოს ცხოვრებისადმი, დიადი პარტიის რევო-  
ლუციური მაჯის ცემისადმი.

ბანაკი—მეურნეობა, ბანაკი—სკოლა, ბანაკი—ლაბორატორია,  
ბანაკი ჩვენი ქვეყნის და პარტიის ნაწილი—დამშვიდებით და მეთო-  
დურად განაგრძობდა თავის მუშაობას. მისი მეთაური გზავნიდა გა-  
მოკვეთილ და ზუსტ რადიოგრამებს: არც ერთი ჩივილი, ერთი კრინ-  
ტიც კი დახმარების შესახებ. და როცა ავადმყოფობა მას ყელში  
წვდა და ძირს დასცა, მან დამალა ეს ავადმყოფობა, რათა არ დაე-  
კარგა უდიდესი პატივი—ბოლომდე დარჩენილიყო უაღრესად საში-  
შარ პოსტზე,—ყინულზე, რომელიც იმსხვრევა და აჩენს წყლის შავ  
სასიკვდილო უფსკრულებს. დაფნის გვირგვინი გმირების თავს.

მთელი ჩვენი ქვეყანა ამოძრავდა. გაცემულ იქნა ბრძანება:  
„დავეხმაროთ ჩელიუსკინელებს“. ცეცხლის სისწრაფით ამოძრავდნენ  
გემები და აეროპლანები და მათი გამობრძმედილი მმართვენი წავი-  
დნენ უმაგალითო შეტევაზე.

გამოუკვლევ, მოღუშულ ჩრდილოეთის ქედებზე, თოვლიან ქარ-  
ბუქში მიფრინავდნენ მამაცი პილოტები, რომლებსაც ფილისტერები  
გიჟებად თვლიდნენ. ისინი ახდენდნენ ისეთ დაფრენებს, რომელთა  
მსგავსიც მსოფლიოს არ ახსოვს. მათი გაყინული თვითმფრინავები  
უეცრად ვარდებოდნენ სიმაღლიდან, იმსხვრეოდნენ ბავშვის სათამშო-  
სავით სტიქიის ხარხარში. ხშირად ისინი იძულებული ხდებოდნენ  
დაშვებულიყვნენ თოვლით გადაპენტილ, შემადრწუნებელ უსახვრო  
ველებზე, ყინულოვანი ცივი სივრცეების უხმო, მკვდარ სიჩუმეში.

მაგრამ ისინი მიდიოდნენ მიზნისაკენ, კვლავ და კვლავ მართავ-  
დნენ თავის ფოლადის ფრინველებს და სხვებთან ერთად ხელახლა



მიფრინავდენ ამხანაგების დასახმარებლად. ისინი მიფრინავდენ როგორც ჰაერის სტიქიას შეჩვეული უშიშარი არწივები. ისინი თვალის დაუხამხამებლად უყურებდენ დაღრჴენილ კბილებში სიკვდილს, რომელიც მათ უდარაჯებდა ყოველ საჰაერო მზაკვრულ ორმოსთან მწვავე ცინულოვან სუსხში. და უეცრად მათ ბრწყინვალე იერიში მიიტანეს ბანაკზე და უმაგალითო სისწრაფით გამოგლიჯეს სიკვდილს ბრწყალებიდან ყველა ჩელიუსკინელი. რა დაუტკნობელი სახელი მოიხვეჭეს ჩვენმა გმირებმა?! სამუდამოდ აღმასივბთ ბრწყინავს მათი სახელი, უმამაცესი და უგმირესი ადამიანების სახელი და მილიონთა გული აღტაცებით ფეთქს გმირების უმაგალითო საქმეებისაგან, გმირების, რომლებიც წარმოშვა საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლო.

ეს ეპოპეა — ძლევა მოსილი გმირული სიმღერაა, რომელიც მთელ მსოფლიოს გასაგონად იმღერა ჩვენმა ქვეყანამ. სიმღერა იერიშზე და გამარჯვებაზე, სიმღერა სახელოვან ბრძოლაზე, სიმღერა შესანიშნავ ადამიანებზე, რომლებიც სასწაულებს ახდენენ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ათასობით სხვა ადამიანებიც: ისინი, ვინც აშენებდა თვითმიფრინავებს; ისინი, ვისაც გამოჰყავდა ზუსტი ფორმულები; ისინი, ვინც აკეთებდა მოდელებს; ისინი, ვინც დგამდა რადიოსადგურებს, ქმნიდა რთულ აპარატებს, უძილო ღამეებს ატარებდა მეცნიერების საიდუმლოებათა გამოსაცნობად; ისინი, ვინც ასობით ქარხნებში ამზადებდა ლითონს, ამუშავებდა მადანს და ეძებდა მას; ისინი, ვინც სჭედდა ნებისყოფას, ვისაც ბრძოლაში მიჰყავდა მილიონები, ვინც იმუშავებდა სოციალიზმისათვის ბრძოლის დიად გეგმებს და მძლავრი ხელით მიმართავდა მილიონთა ნებისყოფას ერთი მიზნისაკენ.

გმირი პოლიარელები და გმირი მფრინავები — ეს უცხო მიწის წინასწარმეტყველები და მისნები როდია, ესენი ჩვენი მშობლიური და ძვირფასი ადამიანებია. ისინი წარმოშვა ჩვენმა ქვეყანამ. ისინი წარმოშვა ახალი ბრწყინვალე მომავლის ყველა მშენებელმა, ისინი წარმოშვა ჩვენმა პარტიამ, შეუდრეკელმა და უძლეველმა პარტიამ, წარმმართავემა და ხელმძღვანელმა ძალამ. და ვაი მათ, ვინც ხელს წაუპოტინებს დიადი კოლექტივის ამ დიად ძალას, რომელიც სასწაულებს ახდენს.

## ფრთოსანი კომკავშირი

ყველა ისინი—რევოლუციის შვილებია, მის მიერ აღზრდილი მათგან ყველაზე უფრო მხცოვანი მოლოკოვი 38 წლისაა, ხოლო ვინაიდან რევოლუცია 17 წლისაა, იგი მასში შევიდა 21 წლის ახალგაზრდა, ფრინავს კი— 1919 წლიდან. რევოლუციამ ფრთები შეასხა მას და ასწავლა ფრენა. სლევნიოვი დაახლოებით 35 წლისაა. იგი უკვე 10 წელია, რაც ფრინავს, ისინი რევოლუციისაგან სწავლობდნენ არა მარტო საფრენონსო საქმეს, არამედ ისინი მისგან სწავლობდნენ სიმამაცეს, სიღინჯეს, შრომას, ორგანიზებულობას და შეუპოვრობას. და ჩვენ აღფრთოვანებით შევცქერით მათ, ჩვენი დიადი რევოლუციის ამ ხორცს ხორცთაგანს.

მაგრამ ისინი—ოქტომბრის თაობაა, ჩამოსხმული იმავე მაღალხარისხოვანი ფოლადისგან, რომელმაც გაუძლო ქიმიურ გამოცდებს და უდიდეს წნევათა გამოცდებს; მათი სახით დაფრინავს საკ. კ.პ. (ბ) მუშათა კლასი—ის, ვასაც, თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, დიდი ისტორია აქვს.

მაგრამ ყველაზე უფრო საყვარელია ჩემთვის ნიკოლოზ პეტრეს ძე კამანინი, შვილი მეჩემისა და მქსოველი ქალისა ვლადიმერის გუბერნიიდან, დაბადებული 1908 წელს. როცა მსოფლიო კაპიტალმა მთელი კაცობრიობა ცეცხლის ალში გახვია, მაშინ იგი მხოლოდ 6 წლის იყო. იქნებ იგი სიხარულით დასდევდა ომში მიმავალ პოლკებს და აღტაცებული იყო სამხედრო მუსიკის ხმით. როცა რევოლუცია დაიწყო, იგი 9 წლისა იყო. და, ალბათ, პატარა ბიჭუნა მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა, რომ დადგა დიადი პერიოდი, როცა მქსოველი ქალები და მეჩემეები წარმოადგენენ კეთილშობილ წოდებას, როცა მქსოველი ქალების და მეჩემეების შვილები პაერში დაიწყებენ პროლეტარიატის დიქტატურის ბრძოლას ბუნების დაპყრობისათვის. და როცა მეჩემეები იბრძოდნენ სამოქალაქო ომში და მქსოველი ქალები მათ ეხმარებოდნენ, კოლია კამანინი გაგზავნეს სასწავლებლად სამოქალაქო ომისდროინდელ საბჭოთა სკოლაში, როცა რესპუბლიკა მთელი თავის ძალღონეს ღვივდა იმისათვის, რომ გამოეკვება მოზარდი თაობა. და რესპუბლიკამ საშუალება მისცა

მას ესწავლა მ წელიწადს, ხოლო შემდეგ შესულიყო სამხედრო-თეორიულ სკოლაში და ისიც მფრინავთა სკოლაში. ათ წელზე მეტს სწავლობდა კოლია კამანინი, რაც წინათ მიუწოდომელი იყო პროლეტარ ბავშებისათვის და სწავლობდა იგი არა მარტო წერა-კითხვას და ტექნიკას, არამედ სწავლობდა ჩვენი ცხოვრების აზრსაც, სწავლობდა რევოლუციას.

1925 წელს ამხ. კამანინი—წევრობა კომკავშირის, რომელმაც, მიიღო რა ლენინის სახელწოდება, იკისრა უდიდესი ისტორიული პასუხისმგებლობა. ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ეს ის კავშირია, რომელმაც უნდა აღზარდოს ისეთი ხალხი, ვისაც ექნება მსოფლიოს ლენინურად გარდაქმნის უნარი. სჩანს, რომ ლენინურ კომკავშირს კარგად აღუზრდია ამხ. კამანინი, რაკი იგი გახდა ავიაციის ისეთი რაზმის მეთაური, რომელსაც არ შემთხვევია ავარია და რომელიც საუკეთესოა დისციპლინის მხრივ. კამანინი დაეუფლა თავისი საქმის ტექნიკას. მაგრამ ამავე დროს იგი იყო კომკავშირული უჯრედების მდივანი და კულტპროპი, ე. ი. მან იცოდა, რომ იმარჯვებს არა მანქანა, არამედ კაცი—კლასის წევრი, რომ საჭიროა შეგეძლოს არა მარტო მანქანის მართვა, არამედ აღზომიანების ხელმძღვანელობაც.

არქტიკის პურგაში აბარებს გამოცდას ფრთოსანი კომკავშირი. იგი დაჰქრის ნისლში და ეშვება ყინულის აეროდრომებზე, მამაცურად მიდის ბუნების წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა გადაარჩინოს ამხანაგები. რევოლუციის მთელი ქვეყანა შეყურებს კამანინებს. ისინი იყვნენ პიონერები, ისინი იყვნენ კომკავშირლები, ახლა ისინი პარტიის წევრებია და ძლევამოსილად აბარებენ უდიდეს გამოცდას. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მოწოდებაზე „იყავ მზად“ ისინი ბავშური ხმით უპასუხებდნენ: „მზად ვართ“. ახლა ისინი მზად არიან რესპუბლიკის დასაცავად, მზად არიან იმისთვის, რომ ებრძოლონ ისტორიულ პურგას, რომელიც ამოქრის კუდიანთა კაპიტალისტურ ქვაბიდან და ემუქრება მსოფლიოს.

ფოტოგრაფიული სურათიდან გამოიყურება მშვიდი, თითქოს გამოკვეთილი სახე, შალალი შუბლით, მტკიცე გამომეტყველებით. ნუ გრცხვენია, რევოლუციის სუსხიანო ქვეყანა, გულში ჩაიკარ ახალგაზრდა გმირი, იგი ხომ შენ შობე.

## ფრთოსანი კომკავშირი

ყველა ისინი—რევოლუციის შვილებია, მის მიერ აღზრდილი მათგან ყველაზე უფრო მსცოვანი მოლოკოვი 38 წლისაა, ხოლო ვინაიდან რევოლუცია 17 წლისაა, იგი მასში შევიდა 21 წლის ახალგაზრდა, ფრინავს კი— 1919 წლიდან. რევოლუციამ ფრთები შეასხა მას და ასწავლა ფრენა. სლევნიოვი დაახლოებით 35 წლისაა. იგი უკვე 10 წელია, რაც ფრინავს, ისინი რევოლუციისაგან სწავლობდნენ არა მარტო საფრენონსო საქმეს, არამედ ისინი მისგან სწავლობდნენ სიმამაცეს, სიდინჯეს, შრომას, ორგანიზებულობას და შეუპოვრობას. და ჩვენ აღფრთოვანებით შევცქერით მათ, ჩვენი დიადი რევოლუციის ამ ხორცს ხორცთაგანს.

მაგრამ ისინი—ოქტომბრის თაობაა, ჩამოსხმული იმავე მაღალხარისხოვანი ფოლადისგან, რომელმაც გაუძლო ქიმიურ გამოცდებს და უდიდეს წნევათა გამოცდებს; მათი სახით დაფრინავს საკ. კ.პ. (ბ) მუშათა კლასი—ის, ვასაც, თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, დიდი ისტორია აქვს.

მაგრამ ყველაზე უფრო საყვარელია ჩემთვის ნიკოლოზ პეტრეს ძე კამანინი, შვილი მეჩექმისა და მქსოველი ქალისა ვლადიმერის გუბერნიიდან, დაბადებული 1908 წელს. როცა მსოფლიო კაპიტალმა მთელი კაცობრიობა ცეცხლის ალში გახვია, მაშინ იგი მხოლოდ 6 წლის იყო. იქნებ იგი სიხარულით დასდევდა ომში მიმავალ პოლკებს და აღტაცებული იყო სამხედრო მუსიკის ხმით. როცა რევოლუცია დაიწყო, იგი 9 წლისა იყო. და, ალბათ, პატარა ბიჭუნა მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა, რომ დადგა დიადი პერიოდი, როცა მქსოველი ქალები და მეჩექმეები წარმოადგნენ კეთილშობილ წოდებას, როცა მქსოველი ქალების და მეჩექმეების შვილები ჰაერში დაიწყებენ პროლეტარიატის დიქტატურის ბრძოლას ბუნების დაპყრობისათვის. და როცა მეჩექმეები იბრძოდნენ სამოქალაქო ომში და მქსოველი ქალები მათ ეხმარებოდნენ, კოლია კამანინი გაგზავნეს სასწავლებლად სამოქალაქო ომისდროინდელ საბჭოთა სკოლაში, როცა რესპუბლიკა მთელი თავის ძალონეს ღიმავდა იმისათვის, რომ გამოეკვება მოზარდი თაობა. და რესპუბლიკამ საშუალება მისცა



მას ესწავლა მ წელიწადს, ხოლო შემდეგ შესულიყო სამხედრო-თეო-  
რიულ სკოლაში და ისიც მფრინავთა სკოლაში. ათ წელზე მეტს სწა-  
ვლობდა კოლია კამანიანი, რაც წინათ მიუწოდებელი იყო პროლე-  
ტარ ბავშებისათვის და სწავლობდა იგი არა მარტო წერა-კითხვას  
და ტექნიკას, არამედ სწავლობდა ჩვენი ცხოვრების აზრსაც, სწა-  
ვლობდა რევოლუციას.

1925 წელს ამხ. კამანიანი—წევრია კომკავშირის, რომელმაც,  
მიიღო რა ლენინის სახელწოდება, იკისრა უდიდესი ისტორიული  
პასუხისმგებლობა. ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავში-  
რი ეს ის კავშირია, რომელმაც უნდა აღზარდოს ისეთი ხალხი, ვი-  
საც ექნება მსოფლიოს ლენინურად გარდაქმნის უნარი. სჩანს, რომ  
ლენინურ კომკავშირს კარგად აღუზრდია ამხ. კამანიანი, რაკი იგი გა-  
ხდა ავიაციის ისეთი რაზმის მეთაური, რომელსაც არ შემთხვევია  
ავარია და რომელიც საუკეთესოპ დისციპლინის მხრით. კამანიანი  
დაეუფლა თავისი საქმის ტექნიკას. მაგრამ ამავე დროს იგი იყო  
კომკავშირული უჯრედების მდივანი და კულტპროპი, ე. ი. მან იცო-  
და, რომ იმარჯვებს არა მანქანა, არამედ კაცი—კლასის წევრი,  
რომ საჭიროა შეგედლოს არა მარტო მანქანის მართვა, არამედ აღა-  
მიანების ხელმძღვანელობაც.

არქტიკის პურგაში აბარებს გამოცდას ფრთოსანი კომკავშირი.  
იგი დაჰქრის ნისლში და ეშვება ყინულის აეროდრომებზე, მამაცურად  
მიდის ბუნების წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა გადაარჩინოს ამხა-  
ნაგები. რევოლუციის მთელი ქვეყანა შეყურებს კამანიანებს. ისინი  
იყვნენ პიონერები, ისინი იყვნენ კომკავშირლები, ახლა ისინი პარ-  
ტიის წევრებია და ძლევამოსილად აბარებენ უდიდეს გამოც-  
დას. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მოწოდებაზე „იყავ მზად“  
ისინი ბავშური ხმით უპასუხებდნენ: „მზად ვართ“. ახლა ისი-  
ნი მზად არიან რესპუბლიკის დასაცავად, მზად არიან იმისთვის, რომ  
ებრძოლონ ისტორიულ პურგას, რომელიც ამოქრის კუდიანთა კა-  
პიტალისტურ ქვაბიდან და ემუქრება მსოფლიოს.

ფოტოგრაფიული სურათიდან გამოიყურება მშვიდი, თითქოს გა-  
მოკვეთილი სახე, მაღალი შუბლით, მტკიცე გამომეტყველებით. ნუ  
გრცხვენია, რევოლუციის სუსხიანო ქვეყანა, გულში ჩაიკარ ახალგა-  
ზრდა გმირი, იგი ხომ შენ შობე.

## პროლეტარული ვიკინგები \*)

დღეს, შემოხაზეს რა ვეებერთელა წრე ზღვებისა და ხმელეთის გავლით, პროლეტარული შემოქმედების დედა-ქალაქში მოდიან საბჭოთა-გემების მკაცრი წინამძღოლნი, პროლეტარული ქვეყნის ვიკინგები—ამხ. შმიდტი და უშაკოვი, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან საბჭოების ქვეყნის ცენტრისაკენ მოისწრაფიან ყინულოვან უდაბნოთა დამპყრობელნი. მალე წყნარი ოკეანეს ნაპირებიდან მოვლენ საბჭოთა გმირები, ხოლო მათი ხელმძღვანელნი, რომლებმაც თოვლიან ველების დიდებული მღუმარების შემდეგ გამოიარეს კაპიტალისტური ცივილიზაციის ახმაურებული და მშფოთვარე ქალაქები, უკვე შემოდიან ტრიუმფალურ თაღში, ბელორუს—ბალტიის ვაგზალს ახლოს რომ არის ამართული. მალე ჩვენ შემოგვხვდავს ოტო იულევიჩი თავისი ფაიფურის თვალებით და ჩაყობს რა თითებს თავისი დიდებულ წვერებში, ოდნევი დამცინავი ხმით მოჰყვება ვაჟკაცურ ლაშქრობის ამბავს ჩრდილოელ მკვლევარებისას, რომელთაც გაბედულად გადასცურეს სიფთხილის ფარგლებს გადაღმა და მაინც გადარჩენილ იქმნენ საჰაერო გემის ფრთებზე შემსხდარ საბჭოთა ქვეყნის შვილთა გმირობით. მალე შორეული ჩრდილოელი ზამთრობის მოციქული მღუმარი უშაკოვი მოგვიყვება ამბავს იმ დახმარებისას, რომელიც პროლეტარულმა ქვეყანამ მოაწყო და ტყეებსა, მთებსა და ყინულოვან უდაბნოებს იქით შორეულ ყინულოვან ბანაკში გაგზავნა ექსპედიციის უფროსად მათემატიკოსი, რომელიც შეზღვაური შეიქნა. შეიძლება მათემატიკური ანგარიში, ყველაფრის ამწონი ჭკუის ცივი დისციპლინა, ყოფილი ნარკომპროდჩიკის და სამთო და პოლიარული ექსპედიციის საკმაოდ მდიდარ გამოცდილებასთან შეერთებული დისციპლინა დაეხმარა შმიდტს დაემყარებია სანიმუშო წესრიგი მცურავ ყინულოვან კუნძულზე, დაემყარებია დისციპლინა, რომელიც აღიარებული იქნა ყველას მიერ ნიმუშთა ნიმუშად. ჯერ კიდევ უძველეს საგებში 'ამაყი ბრუნგილდა' ამაოდ როდი ურჩევს სივრუტს:

\*) შმიდტის და უშაკოვის მოსკოვში ჩასვლის გამო.

ძველთა თქმულებებს ჩაწვდი რუნებსა,  
სად ზღვა ბობოქრობს ჭარიშხლიანი,  
ამოსწვი იგი საჰისა ტარზე,  
თუ გსურს ხომალდებს აცდეს ზიანი.

„რუნებს“, ე. ი. დამუშავებულ განზოგადებულ ფორმულებში ჩაწერილ გამოცდილებას შმიდტი ჩაწვდა დიდებულად და თუმცა მან ვერ მოახერხა გადაერჩინა ხომალდი, მაინც ჩელიუსკინელთა და მათ თანამებრძოლთა ლაშქრობა უკვე შევიდა ისტორიაში, როგორც უბრწყინვალესი გმირული ეპიზოდი და აქ, რასაკვირველია, შმიდტის როლი განსაკუთრებულია. ეს სწავლული მათემატიკოსი, სპეციალისტი უაბსტრაქტიულებსი „ჯგუფთა თეორიისა“, ყოფილი ნარკომპროდჩიკი და ფინანსისტი, განსახკომის მუშაკი და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქტორი, ალპინისტი და პოლიარელი, ამჟღავნებს რკინის გამძლეობას და ქეშმარიტად განუზომელ თავდადებას პარტიისათვის. ყველგან გაისმოდა შინაგანი გაკვირვების ნოტა: იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც ნამდვილად იდგენ უფსკრულთან, სადაც მათ დარაჯობდა სიკვდილი და რომლებიც ასეთ პირობებში, აუცილებელი დაუშუბის პირისპირ, იცავდენ თავიანთ ურთიერთობაში ნამდვილ ადამიანურ წესრიგს და რომლებიც მუდამ გრძნობდენ კავშირს დიად ქვეყანასთან და დიად პარტიასთან. ეს უკანასკნელი უაღრესად დამახასიათებელი თვისებაა ჩელიუსკინელთა ეპოპის, თვისება სრულიად უცნობი და საიდუმლოებით მოცული კაპიტალისტური მსოფლიოსათვის.

რამდენიმე წლის წინათ შორეულ ჩრდილოეთში მრავალ წლიანი ზამთრობის შემდეგ დაბრუნებული უშაკოვი ამბობდა, რომ პირველ ხანებში არ შემეძლო გამეგო ჩვენი გაზეთების ენა, იმდენად გამოცვლილა იგი, იმდენი ახალი სიტყვა, ცნება, ფაქტი, პრობლემა, საკითხი წამოჭრილა და შემოსულა ხმარებაშიო. ხოლო ახლა კი ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ზრდა უკვე სძლევს სივრცის ამ ბოროტ უსაზღვრეობას, და რადიო-ტალღები უზრუნველყოფენ მუდმივ ცოცხალ კავშირს,—და შეიძლება მთელი მსოფლიო გამოცდილებაც გადაცემული იქნას წარმოუდგენელი სისწრაფით. ეს სულ სხვა ხასიათის „რუნებია“ და ამ „რუნებს“ სავესებით დაუფლებიან ამ. შმიდტი და მისი თანამებრძოლნი.

დღეს ჩვენ ვეგებებით იმათ, რომლებსაც მშფოთვარე დაუვიწყარ დღეებში დაუნათესავდენ, დაუძმობილდენ მილიონები. ჩვენ ვეგებებით მათ აღტაცებით და უდიდესი სიხარულით, ჩვენ ტაშს ვუკრავთ მათ. ჩვენ ვესალმებით მათ. ჩვენ მათ ვუსურვებთ არა „მშვი-

დობიან ცხოვრებას,“ არამედ ახალ ძიებას, ახალ შემოქმედებას, მქუხარეს და მოუსვენარს, და ახალ გამარჯვებებს საბჭოების დიადი ქვეყნის სასახელოდ და სადიდებლად.

ა. კახენოგორსკი.

## გზა ყვავილების

ვლადიმასტოკიდან—მოსკოვამდე.

ბევრ შესანიშნავ თვისებას აღნიშნავს მომავალი ისტორიკოსი ეპოპეაში, რომელსაც დაერქმევა ალბად ჩელიუსკინი: მთავრობის და პარტიის უმაგალითო მზრუნველობას დიდი სტალინის მეთაურობით თავისი გაბედული შვილების გადასარჩენად; მფრინავების განსაცვიფრებელ მამაცობას და ოსტატობას, საბჭოთა საჰაერო ფლოტის ტექნიკური სიმძლავრის ბრწყინვალე დემონსტრაციას და ბეგრ სხვას. მაგრამ ის, რაც ყველაზე მეტად აღელვებდა თანამედროვეს, რაც ავსებდა მის გულს აღტაცებით, სიამაყით და სიყვარულით,—ეს იყო, ჩვენის აზრით, ჩელიუსკინელების მიერ გატარებული ორი თვე ყინულოვან მინდორზე.

ბოლშევიკები დარჩენ ბოლშევიკებად. არაფერი არაჩვეულებრივი არ ყოფილა იმ მეთოდებში, რომელიც ამაგრებდა და ამხნევებდა ამ შესანიშნავ კოლექტივს. იწვევდენ კრებებს, სცემდენ კედლის გაზეთს, როგორც ცემენ მას იმ გიგანტური ორგანიზმის ყოველ უწვრილეს უჯრედში, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა ეწოდება. კედლის გაზეთში არ აგინებდენ „ზავხოზს“, რადგან იგი დაილუპა, დაილუპა აქალგაზრდა და მხიარული მოგილვეიჩი, ტრაგიკულად, უაზროდ დაილუპა, მაგრამ ალბად ვისმეს მაინც აგინებდენ ამ გაზეთში. მიმდინარეობდა მაცადინეობა, ან რატომ არ უნდა ემაცადინათ, კითხულობდენ მოხსენებებს. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გამარჯვებული პროლეტარისათვის შრომას პატიოსნების, გმირობის და მამაცობის საქმედ ჰქმნის,— სოციალისტური შეჯიბრება მოდრეიფე ყინულოვან მინდორზედაც მოქმედობდა.

ჩვენმა ქვეყანამ გმირებში თავის თავი იცნო. ასე ვართ ჩვენც საამქროში, ქარხანაში, კოლმეურნეობაში; დე, გმირებში საბჭოთა ადამიანის სახე უფრო სრულად და მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი არსებითად იგი ამით არ შეცვლილა, იცნო რა თავის თავი გმირებში, ჩვენი ქვეყანა უსახლვრო გულითადობით მიესალომა მათ. შეიძლება



ისტორიამ იცოდა უფრო საზეიმო ფერადოვანი ტრიუმფი, მაგრამ არ იცოდა ამაზე უფრო გულწრფელი, სასიყვარულო და ნაზი შეხვედრა.

საჭიროა დაიწეროს განსაკუთრებული წიგნი ჩელიუსკინელების გზაზე ვლადივასტოკიდან მოსკოვამდე. ყველაფერი, რითაც მშრომლებს შეეძლოთ თავისი სიყვარულის გამოსახვა, შესრულებული იქნა. სადგურები შემკული იყო, ორკესტრები გუგუნებდნენ. ორატორები ამბობდნენ ყველაზე ძლიერ, ყველაზე მხურვალე სიტყვებს.

ჩელიუსკინელებმა იცოდნენ, რომ სამშობლოს უყვარს ისინი და თავს იწონებს, ამაცობს მათი გმირობით, მაგრამ ასეთ შეხვედრას, — აღიარებენ ისინი, — მაინც არ ელოდნენ. ისინი ცოტათი დაიბნენ კიდევ. პირველ სადგურებზე ყველა გამოდიოდა, მხიარულად ილიმბოდა, სიტყვებს ამბობდნენ და თავისთვის დიდხანს ფიქრობდნენ: ალაგალაგ რა რიგ შესანიშნავი სადგურები გვხვდება და რა ექსპანსიურ მცხოვრებლებს ენახულობთო. მაგრამ ასე გამეორდა ხუთჯერ, ათჯერ და მრავალზე მრავალჯერ, ყოველივე ამის შემდეგ თავი იჩინა ისეთმა პროზაულმა, მაგრამ აბსოლუტურად აუშორებელმა გარემოებამ, როგორიც არის ძილის საჭიროება, რადგან ჩელიუსკინელების შეხვედრა ხდებოდა ღამობითაც. ღამის 12, 2 თუ დილის 5 საათი იყო, მუშები და კოლმეურნეები მაინც იკრიბებოდნენ სადგურებზე. ჩელიუსკინელებიც აუცილებლად გამოდიოდნენ ვაგონებიდან. ორი თვეც ყინულზე ყოფნა აგარაკი არ ყოფილა. რატარებელში იყო სპეციალური ვაგონი ავადმყოფებისათვის და ის არ დარჩენილა ცარიელი. იფიქრეს და გადაწყვიტეს გამოეყოს მორიგი ბრიგადები საპასუხო მისალმებისათვის, ხოლო მორიგეობისაგან თავისუფალ ჩელიუსკინელებს გადაკრით უთხრეს: დოცავით რეჟიმი, ძვირფასო მეგობრებო! გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას, რადგან არქტიკა ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის დაპყრობილი.

რის რეჟიმი? — მ ო ლ ო კ ო ვ ი დიდხანს იკავებდა თავს.

ორი საათი იგი მიმოდოდა მატარებელში და დინჯად გამოათქვამდა გულისწყრომას, რომ გაზეთებში კორესპონდენტები მას მღუმარეს უწოდებენ და აქვე დემონსტრატიულად უმტკიცებდა ჟურნალისტებს წინააღმდეგს. ნელა, საბუთიანად, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით უმტკიცებდა მათ, რომ სრულიად გმირი არა ვარო. ამის შემდეგ ჩვენი ძმა-მწერლები, ამ შესანიშნავი კაცით კიდევ უფრო აღტაცებულნი, წერდნენ კიდევ უფრო აღმაფრთოვანებელ კორესპონდენციებს.

მოლოკოვი შეიძლება თავს იმაგრებდა ორ საათზე მეტს, შეიძლება სამ საათსაც. მისი მორიგეობა არ ყოფილა და იგი იჯდა თავის კუბეში, უკვე იხდიდა ტანზე. კუბეს ფანჯრის წინ საბავშვო ბაღს გზა აბნეოდა, ვერ მიეგნო იმ ფანჯრისათვის, საიდანაც მორიგე ორატორი ლაპარაკობდა. აქ კი თავი ვერ შეიკავა მოლოკოვმა, ადგა და ბავშვებს მოუთხრო, როგორ გადმოყავდა თვითმფრინავის ფრთებს ქვეშ ჩამოკიდებული ხალხი. აღფრთოვანებული აუდიტორია ორგანიზაციულად ჩამოეკიდა ორატორს კისერზე. დატვირთა იგი უფრო მძიმედ, ვიდრე „შტატგარეშე“ პასაჟირებმა მისი თვითმფრინავი.

აღბად ხმები ბავშთა თვალების შეუცდომელ მოქმედებაზე გავრცელდა მთელ ხაზზე. ფანჯრებთან მოდიოდნენ ბავშვები, გამოდიოდა ყინულოვანი კაპიტანი ვორონინი, თვით მკაცრი ბობროვი და ყველა დანარჩენი, მაგრამ სად აქვთ ასეთი სინაზე, ბავშვებთან საუბრის ასეთი უნარი ამ დიდ ძლიერ ადამიანებს?

ისევ ორკესტრები! არ ვიცი რომელია, ენამახვილი სლენიოვი, თუ ოხუნჯი რეშეტნიკოვი ამბობს, რომ აღბად ორკესტრი სადღაც უკანა ვაგონში შეხიზნულა და მთელ გზაზე შეუჩერებლად უკრავს. მატარებელს ზევით დაფრენდნენ აეროპლანები. კაცს ეგონებოდა, რომ ერთიდაიგივე აეროპლანები ფრენდნენ, მაგრამ ისინი შესახვედრად მოდიოდნენ თითქმის ყველა სადგურიდან. ცვივოდა ყვავილები. რამდენი ყვავილია ჩვენს რესპუბლიკაში?! პროლეტარებს მოქონდათ საჩუქრები. სვერდლოვსკში ჩელიუსკინელებს მიართვეს ურალის ფერადი ქვებისგან გაკეთებული ნივთები.

ვიატკაში — კუსტარული ნაწარმოები. კოლმეურნეებს პატარა სადგურებზე მოქონდათ კარაქი, ნამცხვარი, გოჭები. თითქმის ყოველ სადგურზე, სადაც კი ჩელიუსკინელებს დრო ჰქონდათ, მუშები უჩვენებდნენ მათ თავიანთ ქარხნებს, რთულ მანქანებს, თავიანთ ნაწარმოებს. მატარებელში კი ხდებოდა შემდეგი: ყოველდღე შედიოდა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. ეს განცხადებები შექონდა ხალხს, რომელთა სახელი იცის ყველამ: ვოდოპიანოვს, ლევანევისკის, ლიპაიდევისკის, კრენკელს, ფაკიდოვს და სხვ.

.....ღამით ერთ კუბეში მჭიდროთ შექუჩული ჟურნალისტები უცბად გამოადვიდა ყვირილმა: „ურა!“. სადგურია აღბად, — იფიქრეს მათ, მაგრამ გაიხედეს ფანჯარაში და დაინახეს მინდვრად განმართოვებული სახლი, რომელთანაც მატარებელი ერთი წამით შემთხვევით გაჩერებულიყო. ჯერ კიდევ ძილიდან გამოურკვეველი, ნახევრად

ჩაკმული ქალი ფანჯარაში თავგამოყოფილი ალტაცებული ყვირილით ესალმებოდა გმირებს.

ბუიში მატარებელს შეხვდა შმიდტი. აქ იგი უფრო ადრე მოსულიყო და, როცა ჩელიუსკინელები პერონზე გამოვიდნენ. ის უკვე იდგა იქ უნსლიხტის გვერდით. მას მიცვინდენ, მის გარშემო თავი მოიყარეს და ბუნებრივად იგი აღმოჩნდა ცენტრში—მეთაურად. იგი მაგრად ართმევდა ხელს მისულებს და ალერსით ეუბნებოდა:

— მოგიკეთებიათ, ყმაწვილებო, კაცი ვერ გიცნობთ!

შმიდტს დიდი, გენიალურად გამოკვეთილი თავი აქვს, ფოტოგრაფიული სურათი ვერ იძლევა წარმოდგენას მასზე. ლაპარაკობს შმიდტი უბრალოდ, მაგრამ ისე იტაცებს მსმენელებს, რომ მის პირველ ფრაზიდანვე ხალხი სუნთქვას აჩერებს. ჩაჯდა თუ არა მატარებელში, ყოველგვარ მორიგეობის გარეშე, ოტო იულევიჩი ყოველ სადგურზე სიტყვით გამოდიოდა. იგი ყველგან იმეორებდა, რომ მილიონი კლასობრივი ძმის მოგონება ძალას მატებდა ჩელიუსკინელებს, რომ გმირობისათვის ასპარეზი ჩვენს ქვეყანაში ყველგანაა, რომ მხოლოდ პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობას შეეძლო წარმოეშვა მასიური გმირობა.

თითქმის თვით ქ. ალექსანდროვიდან მოსკოვამდე ლიანდაგის გასწვრივ დაუსრულებელ რიგებად იდგენ მშრომელთა კოლონები. ისინი იდგენ, გამორბოდენ სახლებიდან, ყვიროდენ ვაშას.

გაიარეს გზა ვლადივასტოკიდან მოსკოვამდე. ჩელიუსკინელები მიუახლოვდნენ საბჭოთა კავშირის გულს. მათ ელოდათ დიდი დღე. ისინი ბევრ რასმე მოელოდნენ, მაგრამ ის, რასაც ისინი ელოდნენ, არათერი გამოჩნდა იმასთან შედარებით, რისი მოწმენიც გახდნენ. მოსკოვიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე ხალხი გამწკრივებულიყო, რამდენიმე მეტრის სივანეზე შემჭიდროებულიყო, მისალმების ძახილი გადაიქცა გუგნად, გამოჩნდნენ ნაცნობი შენობები... მოსკოვი.

და აი გამოდიან ვაგონებიდან. ისევ ქუხს მუსიკა. მატარებელს ისევ თავს დაფრენენ თვითმფრინავები. გმირებს ისევ ესალმება ხალხი ყვირილით. ისევ შეჩერება? არა, გზა გავლილია! უკვე ეხვევა შმიდტს კუიბიშევი, რომელმაც ჩელიუსკინელების გადასარჩენად ამდენი რამ გააკეთა, შემდეგ ს. ს. კამენევი, შემდეგ ლიტვინოვი. რამდენი ნაცნობი სახეა. აქ არიან ისინი, რომლებმაც ვინ დაზვასთან სასახლო მუშაობისათვის, ვინ კიდევ პალიტრასთან, ან საწერ მაგიდასთან მოიპოვა საბჭოთა ქვეყნის წარჩინებული ადამიანის საპატიო სახელი. აქ არიან საუკეთესო დამკვრელები, ცნობილი

მწერლები, სამხედრო მეთაურები, მხატვრები, მეცნიერები, რომლებითაც ამაყობს დედაქალაქი. ვილაც ტირის ხალხში; რატომ? ეს ახლობლები არიან. ძალიან ბევრი რამ განიცადეს! მათი განცდა ნაკლები არ იყო იმ გმირთა განცდებზე, რომლებიც ასე მამაცურად ებრძოდნენ ჩუკოტის ზღვის ყინულებს.

ჩელიუსკინელები გამოდიან მოედანზე! არა, მიტინგი ჯერ არ უნდა დაიწყოს, გზა კიდევ არ არის დამთავრებული. გმირებს უცდიან მანქანები. ეს არის საუკეთესო მანქანები, რომლებიც კი მოსკოვს მოეპოვება, მანქანები შემკობილია ცოცხალი ყვავილებით. მორთული გირლიანდებით, თაიგულებით, სავსეა სიმწვანით, ისინი სურნელებას აფრქვევენ.

იწყება უკანასკნელი ნაკვეთი გზისა, შეიძლება ყველაზე უფრო პატეთიური. რამდენი სიტბო აღმოაჩნდა მოსკოვს თავის ბუმბერაზ გულში? ნელნელა რამდენიმე მწკრივად მიიმართებიან მანქანები მოზეიმე ტვერის ქუჩაზე. საზოგადოებრივი შენობები მორთულია დროშებით; ეს ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ წითელ ფერს ემატება ლურჯი ფერიც. თითოეული აივანი, თითოეული ფანჯარა შემკულია წითელი დროშით, ნოხებით, ანუ ისევ ყვავილებით. ყვავილები აცვივა მანქანებს. ყვავილებს ისვრიან ტროტუარებზე მჭიდრო კედლად ამართული მოქალაქენი. მათ ისვრიან ფანჯრებიდან მომზირალნი, მათ ისვრიან სახლების სახურავებიდან. სრული ქეშმარიტება იყო, როცა ამბობდნენ, რომ ამ დღეს ყვავილები დეფიციტური საქონელი იყო. უცბად რა არის ეს?—თოვლი? ასობით, ათასობით, მილიონობით მისასალმებელი ფურცლები დაფრინავს ჰაერში.

აგერ, როგორც იქნა, დასრულდა გზა!

თუ საბჭოთა ქვეყნის გული მოსკოვია, მოსკოვის გული—წითელი მოედანია. ეს მუდმივი მოწმე ჩვენი გამარჯვებების და ზეიმობის. აქ ტრიბუნაზე შმიდტი, მისი ჟახლოესი თანამებრძოლნი და მფრინავები ხვდებიან მას, ვისი სახელიც აღფრთოვანებდა მათ, მას, რომლის ვაჟკაცურმა სიტყვამ გიგანტი ქვეყანა დასძრა არაჩვეულებრივ ლაშქრობად გმირების დასახმარებლად. სტალინთან ერთად ტრიბუნაზე აღიან კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, კუიბიშევი. თვალი შეეყურებს მავზოლეუმს. არქტიკის მამაც დამპყრობელებს თვალებით უაღერსებს მათ გვერდით მდგარი გორკი. მიტინგს ხსნის ამხ. კუიბიშევი. მოსკოვის მშრომელთა სახელით ჩელიუსკინელებს მისასალმებელ სიტყვას ეუბნება ამხ. ბულგანინი. შემდეგ ლაპარაკობენ შმიდტი, კამანინი, ვორონინი, მოლოკოვი, ბობროვი და ლიაპიდევსკი.



მათ უმძიმთ სიტყვის დაწყება. არქტიკის დამპყრობელები ლაპარაკობენ სხვადასხვაგვარად ერთსა და იმავეს. გვაფრთოვანებდა რა სამშობლოს სიყვარული, მოვქმედობდით რა როგორც ბოლშევიკებზე, ვეყრდნობოდით რა მასების დახმარებას, ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას. მას ჩვენ შევასრულებთ მომავალშიაც ჩვენი ქვეყნის ყველა თავდადებულ შვილთან ერთად. მილიონ შვილებს წარმოშობს მშრომელი მასა, თუ მტერი ხელყოფს მის სამშობლოს. და მომავალი გმირები იწყებენ სვლას მოედანზე.

მოედანს ზევით—ღირითებლები, საჰაერო ესკადრილია და აგერ ის უძლიერესი თვითმფრინავი „მაქსიმ გორკი“, რომლის გამოჩენას ჰაერში ასე მოუთმენლად ველოდით ყველა!

ახალგაზრდობა ჩაუარს ტრიბუნას! ფიზკულტურელები, მებრძოლი მუშები, ისინი ჭაბუკნი არიან თავისი ქვეყნის სიჭაბუკით. ისინი მსუბუქად და მკვრივად მოარხევენ თავიანთ გაწვრთნილ სხეულებს. ისინი მოდიან მწკრივებად, არ ჩერდებიან, არ უმზერენ იმათ დიდხანს, რომელთა სანახავად აქ მოსულან. სურვილი კი დიდია. სახის მეტყველება ამხელს მათ, მაგრამ სახეებზე არის გამობატული არა მარტო სიყვარული და ალტაცება! ამ სახეებზე ჩანს მტკიცე გადაწყვეტილება—საქმით დაამტკიცონ ასე ამაყად ახლახან ნათქვამი სიტყვა: გმირთა ასეულს შეუერთდენ მილიონები.

## შესანატრია ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ასეთი გმირები

და შესანატრია გმირები, რომელთაც აქვთ  
ასეთი სამშობლო

„პრავდა“, 19 ივნისი.

მოსკოვი ელოდა დღევანდელ დღეს, მას ელოდა მთელი საბჭოთა ქვეყანა, ელოდენ მშრომელთა მილიონები მთელ დედამიწის ზურგზე, ელოდენ იმ მოჩენტიდან, როცა საბჭოთა კავშირის რუკაზე შეიქმნა ახალი პუნქტი—შმიდტის ბანაკი ყინულებზე.

„კრასნი პუტილოვეცი“ მუშებმა უკვე თქვეს, თუ როგორ აღდევნებდენ ისინი თვალყურს ამ პუნქტში ცხოვრებას.

ჩვენ თქვენით ვცხოვრობდით. მუშები, მოხუცები და ჩვენი ბავშვები ხანგრძლივ ათვალისწინებდენ ჩვენი ჩრდილოეთის რუკას, სა-

დაც თქვენ მოდრეიფე ყინულებზე გაშალეთ თქვენი გმირული ბანაკი. ჩვენ მღელვარებით ვითვლიდით იმ კილომეტრებს, რომლებიც გაშორებდათ თქვენ ჩვენი გმირი მფრინავებისაგან, რომლებიც საბჭოთა მთავრობის და ჩვენი დიდი სტალინის დაძახებისთანავე მიიჩქაროდნენ თქვენ დასახმარებლად საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. ჩვენ გათბობდით თქვენ იმ მშობლიური ქვეყნის სითბოთი, რომელიც თქვენზე ზრუნავდა.

და აზრს დღევანდელი დღის შესახებ არა ერთხელ გაუთბინხართ თქვენ, ამხანაგო ჩელიუსკინელებო, როცა დაძახული სამუშაო დღის შემდეგ წვებოდით საძინებელ ტომრებში, ყურს უგდებდით, თუ როგორ ღრიალებდა პურგა კარვის ტილოს იქეთ და მის ველურ ხმაურში გესმოდათ მოძრავი ყინულების გაბოროტებული კრიალი. მაშინ თქვენ თვალწინ გიდგებოდათ საყვარელი სამშობლო, ის ადგილები, სადაც განვლო თქვენმა ბავშობამ, სადაც თქვენ სწავლობდით ბრძოლას კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, სადაც შრომასა და სწავლებაში აგროვებდით ძალებს და იბრძმებოდით სოციალიზმისათვის შემდგომი დაუღალავი შეურიგებელი ბრძოლის საწარმოებლად. აქ, სამშობლოში დარჩენ თქვენი ნათესაეები, არა მარტო თქვენი ცოლები, დედები, ძმები და დები, არამედ თქვენი ღვიძლი კომუნისტური პარტიაც, ღვიძლი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ჩვენ ვიცოდით, რომ ეს დღე დადგებოდა. ეს არ იყო ფატალისტური პასივობაზე დამყარებული რწმენა. ეს იყო ანგარიშზე და ანალიზზე, აქტიურ ბრძოლაზე დამყარებული რწმენა, და სწორედ ასევე ამავე საფუძველზე იცოდით თქვენც რომ ეს დღე დადგებოდა.

სულმოკლეობას, სასოწარკვეთილებას, შიშს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი არც უდიდეს საბჭოთა პლანეტაზე, არც მის თანამგზავრზე, მისგან მოწყვეტილ მცირე ნატეხზე—შმიდტის ბანაკში.

კაპიტალისტურმა მსოფლიომ გამოგიტირაათ თქვენ, ზოგმა გულწრფელი, ზოგმა კი ნიანგის ცრემლებით. კეთილისმსურველი სპეციალისტები ამბობდნენ—არაფერი არ გამოვა თვითმფრინავებით ჩელიუსკინელთა გადარჩენიდან, თვითმფრინავები ყინულებზე—ეს ავანტიურააო. მტრები ფაშისტური გერმანიიდან ცდილობდნენ ჩაენერგათ თქვენთვის შორი ბანძილიდან: ნუ გაქვთ საბჭოთა ქვეყნის იმედი, თავს უშველეთ ფეხით, ვისაც როგორ შეგიძლიათ, დასტოვეთ ბავშვები, ქალები, სუსტები, დაე, დახოცილთა გვამებზე გამოვიდნენ ნაპირზე „ბელადები“.

ამ მრავალუცხოებიან ფორმულაში, რომელსაც ჩელიუსკინელთა გადარჩენა ეწოდებოდა, არის სიდიდე ჩვენთვის ცნობილი, ხოლო

ბიტალისტური მსოფლიოსათვის უცნობიც და მიუწვდომელიც. ეს  
მიდიდა ბრძოლის და გამარჯვების ხელოვნება, რომელიც კომუ-  
ნისტურმა პარტიამ აღზარდა მშრომელთა მილიონებში.

ჩვენ არ ვილაპარაკებთ ჩელიუსკინელთა და იმ მფრინავთა სი-  
მაძაცზე, რომლებიც ჩელიუსკინელებს შეელოდნენ, იმ მეზღვაურებზე,  
რომლებიც მიდიოდნენ ჩელიუსკინელთა შესახვედრად. საკმარისია  
თქვას, რომ ჩელიუსკინელთა ისტორიულ ეპოპეაში იშვა „საბჭოთა  
კავშირის გმირების“ საპატიო წოდება.

მაგრამ იმ სიმამაცის გვერდით, რომელმაც მთელი მსოფლიო  
ანაცვიფრა, დგას უაღრესად მძიმე პირობებში ბრძოლის არანა-  
ლებ განსაცვიფრებელი ხელოვნება, რომელიც გამოიხატება ყოველ-  
ფარის საქმის ტექნიკის დაუფლებაში, რომელსაც კი ხელს კიდებდნენ  
ჩელიუსკინის ეპოპეის გმირები.

არა მარტო კოლექტივის უდიდესი სიმამაცით, არამედ ხელ-  
მღვანელობის (ამხ. შმიდტის და ვორონინის სახით) უდიდესი ოსტა-  
ტობით, საქმის სრული ცოდნით და უმაგალითო დისციპლინით ჩა-  
ზარდა ყინულზე გადმოსვლა გემიდან, რომელიც იღუპებოდა. მხო-  
ლოდ ერთი მსხვერპლი გამოგვტაცა მრისხანე სტიქიამ. წითელ მოე-  
ნზე დღეს ჩვენ ვერ შევხვდებით გმირ ბორის მოგილევიჩს. მაგრამ  
ისი სახელი მუდამ იცოცხლებს ყველა ჩელიუსკინელს სახელის  
გვერდით.

ასე იქნა მოგებული პირველი გადამწყვეტი ბრძოლა. და არა  
მარტო უდიდესი სიმამაცით, არამედ უდიდესი ოსტატობითაც იქნა  
დაწყარებული ბანაკის რეჟიმი ყინულებზე. დაუღალავი შემოქმედე-  
ბით შრომა შეთავსებული იყო პოლიტიკურ აღზრდასა და სწავლე-  
ბასთან. ამაში იყო ჯანსაღი საბრძოლო ოპტიმიზმის, ფოლადისებუ-  
ლი შეკავშირების, მუდმივი სიმხნევის და ახალგაზრდა მხიარულების  
დაუშრეტელი წყარო. და არა მარტო გმირული სიმამაცე, არამედ  
სანიშნავი ოსტატობაც ახასიათებდა ჩელიუსკინელთა გადარჩენის  
წინააღმდეგელებს. მტკიცე, ურყევე, ზუსტ ხელმძღვანელობას, რომელ-  
მაც წარმართავდა ამხანაგი სტალინი, ჰყავდა მტკიცე, ურყევი,  
უსტი შემსრულებლები.

დღევანდელი დათვალიერებით წითელ მოედანზე მთავრდება  
საბჭოთა ძალების, ტექნიკის დაუფლებისათვის საბრძოლველად საბ-  
ჭოთა კავშირის მზადყოფნის ის დათვალიერება, რომელიც თვეების  
მზავლობაში ხდებოდა საბჭოთა ხმელეთზეც, ყინულებზეც, წყალ-  
ქვეშაც და ჰაერშიაც. და ისე, როგორც ჩვენ ვიცოდით, რომ გავიმარ-

ჯვებით ბოროტ სტიქიასთან ბრძოლაში, ჩვენ ვიცით, რომ გავიმარჯვებთ ყოველგვარ ბრძოლაში, რა რიგ შიშვე უნდა იყოს იგი.

სტალინის სახელობის ავტოქარხნის მუშებმა განსაკუთრებულ მკაფიობით გამოხატეს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის ეს უზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი.

ჩვენ მტკიცედ ვიცით: თუ მტერი თავს დაგვესხმის, მთელი ქვეყანა ფეხზე დადგება, როგორც ერთი კაცი, თავის საზღვრებს დასაცავად. თითოეული ჩვენთაგანი იქნება კამანინი, თითოეული ჩვენთაგანი იქნება ლიაპიდევსკი; ჩვენს უსაზღვრო თავდადებას სამშობლოსადმი ჩვენ გავამრავლებთ ბოლშევიკურ ორგანიზებულობასა და მოწინავე ტექნიკაზე. დაე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა: წითელი არმია იწყება პოლკებსა, ბატარეებსა და ესკადრონებში, ხოლო თავდადება თითოეულ ქარხანაში, თითოეულ კოლმეურნეობაში. ომის დღეებში მთელი ქვეყანა წითელ არმიად გადაიქცევა.

მსოფლიომ ჯერ არ იცის ისეთი დამარცხება, როგორსაც თქვენებენ მტრის ურდოები, თუ ისინი გაბედავენ თავს დაესხან საბჭოთა ქვეყანას.

ამის საწინდარია—ჩელიუსკინელთა გმირული ეპოპეა. ამის საწინდარია—ჩვენი მუშათა კლასი, ჩვენი მშრომელი გლეხობა, ჩვენი ხუთწლენი, ჩვენი პარტია, ჩვენი სტალინი“.

ბურჟუაზიული სამყარო ეძებს თავის გმირებს და ვერ პოულობს მათ. გმირები ჯერ კიდევ სჭირდება კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებულ კლასს; ამ კლასის დაქინება და უმჯობობა აწინებს შის მმართველებს და იდეოლოგებს. ქმნიან უსირცხვილო თეორიებს, რომ საჭიროა ომები ბურჟუაზიულ ახალგაზრდობაში სიმამაცის აღსაზრდელად, ძველი რაინდული სულის აღსადგენად. ბურჟუაზია, რომელსაც არა აქვს ნიმუშები აწმყოში, იწვევს წარსულში აჩრდილებს, ახდენს მათ ფალსიფიკაციას, ანახლებს დიდხნის მემკვიდრეებს ლეგენდებს. ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში თავდადებულ ხელაღებული ბანდიტები და კონტრაბანდისტები წარმოადგენენ ბურჟუაზიული რომანტიკის საგანს. მდიდარი მამების შვილები იტყვიან ნებობენ იმაზე, რომ გახდნენ ისეთივე უშიშარი ადამიანები, როგორცაა ლაპ-კაპონე ან დილინჯერი, ისეთივე კკუამახვილი, როგორც მაძებარი შერლოკ ჰოლმსი. თანამედროვე ბურჟუაზიის პლუტარქი პოულობს ნიმუშებს ახალგაზრდობისათვის საპოლიციო უბანში ყაჩაღთა თავშესაფარში.

საბჭოთა ქვეყანაში არ არის გმირული მითითური შემოქმედება ჩვენი გეროიკა რეალურია. ოქტომბრელები „ჩელიუსკინელობის“



შობენ და მოზარდი ახალგაზრდობა ოცნებობს შრომისა და მეც-  
ნიერების გმირობაზე. სამოქალაქო ომის გმირების, პროლეტარული  
ბრძოლების გმირების, სოციალისტური მშენებლობის გმირების რე-  
პოლიტიკური აღტყინებით აღსავსე სახეებს ახლა ემატება ჩელიუსკი-  
ნელთა გალერეა. ისინი თვითონ სწავლობდნენ ყინულებზე—და ამავე  
დროს მათგან სწავლობდნენ მილიონები, თუ როგორ უნდა იქნას და-  
სრულებული დაბრკოლებანი სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

განცხადებებით კომუნისტურ პარტიაში მიღების შესახებ მრავ-  
ალმა გამოჩენილმა ჩელიუსკინელმა—იმათაც, ვინც შევლოდა და იმა-  
თაც, ვისაც შევლოდენ,—განაზოგადოვეს ბრძოლის ის სკოლა, რო-  
ბულიც მათ გაიარეს ამ თვეების განმავლობაში. ეს—უბრალო და  
ლოგიკური დასკვნაა ყოველივე იქედან, რაც მათ განიცადეს, ყოვე-  
ლივე იქედან, რაც მათ მოიფიქრეს. ეს დასკვნა გამოიყვანა ასობით,  
ათასობით და მილიონობით ადამიანმა, ვინც გულისფანცქალით, მაგ-  
ნიტურ რწმენით ადევნებდა თვალს ყველა ამ თვეში ყინულებში წარ-  
მოებულ გმირულ მუშაობას.

კომუნისტები იყვნენ ჩელიუსკინელთა პირველ რიგებში და მათ  
გარშემო მჭიდროდ შემოკრბა მთელი რაზმი. ფორმალურად ეს იყო  
ქსპედიცია, გუნდი, არსებითად კი ეს იყო ოჯახი, მეგობრობა  
ბრძოლასა და შრომაში. ადამიანები დაძმობილდნენ... მაგრამ კომუ-  
ნისტური პარტიის მეშვეობით მათ დაუძმობილდა მთელი ჩვენი ქვე-  
ყანაც. ისინი ყველასათვის ძვირფასი გახდნენ—„ძვირფასი ჩელიუსკი-  
ნელები“—ასე უწოდა მათ საბჭოთა სკოლის მოწაფემ თავის ლექს-  
ში. და როგორც თავის ნათესაეებს, როგორც თავის შვილებს ლე-  
სულობს ახლა მათი დიდი სამშობლო. მის გმირულ ისტორიაში მათ  
ახალი გვერდი ჩასწერეს, ამ გვერდს კითხულობენ ყველა ქვეყნის  
პროლეტარები და კიდევ უფრო მტკიცდება სიყვარულის, კავშირის  
და სიამაყის ის გრძნობები, რომლებიც საბჭოთა პროლეტარიატის  
ქვეყანას ხდიან მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოდ. „შესა-  
ნატრია ის ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ასეთი გმირები და შესანატრია  
ის გმირები, რომლებსაც აქვთ ასეთი სამშობლო“, თქვა დანიელმა  
უბრალო მეზღვაურმა, რომელმაც თვითონ განიცადა ავარია და  
რომელსაც გულცივად, მკაცრად და მტრულად შეხვდნენ თავისი ქვეყ-  
ნის ბატონ-პატრონები, როცა იგი დაბრუნდა თავის დედინაცვალ  
სამშობლოში.

საბჭოთა სამშობლო—მშრომელთა ღვიძლი დედაა. კარგად  
აქვეს მის შესახებ „კრასნი პუტილოვეცის“ მუშებმა:

„რუსეთი გახდა ყველა ეროვნების მშრომელთა დედა. მისი სიმდიდრეები, მისი სიუხვე, მისი სილამაზე, მისი ქალაქები, ფაბრიკები, ქარხნები, სოფლები, მდინარეები, ზღვები, ტყეები, მთები, ველები, ბაღები, მისი ცა,—კულტურა—ყოველივე ეს ჩვენია, ცხოვრება ჩვენთვისაა, ჩვენთვის ანათებს მზე დღეს, ჩვენთვის ამოვა იგა ხვალაც; და არა სცადოს ვინმემ რისიმე წაღება ჩვენგან. მას მოელოს რუსეთის ყოფილი იმპერატორის სისხლიანი ნაკოლოზის ხვედრი“.

## სალამის დემონსტრაცია

მოსკოვი, 20 ივნისი.

მწყობრი ნაბიჯებით ჩამოუვლიან მავზოლეს სამხედრო აკადემიათა მსმენელები. მათი ფართოდ გაშლილი კოლონით იწყება წითელი დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია, საბჭოთა ქვეყნის მისალმების და სიყვარულის დემონსტრაცია თავისი საუკეთესო შვილებისადმი.

აკადემიათა მსმენელებს მიჰყვებიან რუსეთის ცაკის სკოლის კურსანტები, ხოლო მათ—ფიზკულტურელები. ფორმის ხაკებს ცელს თეთრი „მაიკები“ და ტრუსები, შავ ჩექმებს—მაგარი გარუჯულო წვივები. ფიზკულტურელებს მიყვებიან შუცბუნდელები.

—როტ ფრონტ!—ესალმებიან ვენის ბრძოლის გმირები საბჭოთა არქტიკის გმირებს.

—როტ ფრონტ!—უპასუხებენ მათ ტრიბუნიდან ჩელიუსკინელები—თქვენი ბრძოლის ამბავი ჩვენ ვიცოდით ყინულზე! ვენიდან მოსული ცნობები აორკეცებდნენ ჩვენს ძალონებს.

მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების საუკეთესო დამკვრელები, შმიდტის, კამანინის, კრენკელის სახელობის ბრიგადები გაივლიან თავისი საწარმოო გამარჯვებათა ციფრების პლაკატებით და გვიჩვენებენ ჩელიუსკინელებისა და მფრინავებისადმი მიძღვნილი დაკვრითი წრომის შედეგებს.

მოედანი ერთი წუთით ცალიერდება. გაიარა მიტინგის ყველა მონაწილემ და როცა ოქროს ისარი სპასკის კოშკის შავ ციფრულ ბლატზე 8 საათს მიუახლოვდება, რევოლუციის მოედნიდან მოისმის კავალერიის მელერი თქარათქური.

ხმალ-ამოწვდილი გაივლიან კავალერისტები. მათ მისდევს „ტა-ჩანკები“, შემდეგ ტანკები, დაწყებული პაწაწა ტანკებით და გათავებული ტანკ-გიგანტებით. ლითონის მუხლუხები ჯერ ისევ აზანზარებენ წითელი მოედნის ქვაფენილს, ხოლო ჰაერში უკვე ისმის თვითმფრინავების მწყობრი გუგუნის. ისინი მიფრინავენ და გვიჩვენებენ საბჭოთა ავიაციის ძლიერებას; იმ შეურყეველ ძლიერებას, რომელიც ასე ბრწყინვალედ დაამტკიცეს ჩელიუსკინელთა მხსნელმა მფრინავებმა.

თავები მალაა აწეული. ჩელიუსკინელები ფერად-ფერადი ყვავილების თაიგულებით ესალმებიან პილოტებს. ბევრ მაჯანს, ალბათ, ახლაც ახსენდება ის მომენტი, როცა მათ ბანაკზე გამოჩნდა ლიაპიდევსკის თვითმფრინავი.

როცა უკანასკნელი თვითმფრინავები „ნეტარ ვასილის“ გუმბათებს მიეფარებიან, ისტორიული მუზეუმის კოშკებიდან გამოფრინდება საჰაერო ბუმბერაზი, წითელი ასობით ბუმბერაზის ფრთებზე წერია „მაქსიმ გორკი“. იგი მოფრინავს და ჰაერში გუნდგუნდად მიმოაბნევს ფურცლებს.

მოსკოვის ყველა ათი რაიონის მშრომელები ათი კოლონით მოემართებიან მოედნისაკენ. მათ თავებზე ირხევა დროშები, პლაკატები, მაკეტები, ყვავილები. განუწყვეტლად გაისმის მისალმების ლოზუნგები, მქუხარე ვაშა.

უამრავი პორტრეტი, ღია ბარათები მუშა-ქალთა მკერდრზე, ყვავილების გირლიანდებით მორთული გადიდებული ფოტოები, აკვარელის პორტრეტები, რომელთა დახატვაც უკვე მოასწრეს ქარხნების სახვითი ხელოვნების წრეებში, —მათზე გამოხატულია ჩელიუსკინელთა ეპოპეის გმირთა ვაჟკაცური, ჯანსაღი სახეები. მქუხარედ და მხიარულად ესალმებიან დემონსტრანტები იმათ, ვისაც პორტრეტებით იცნობენ, იმათ, ვისი სახეებიც ძვირფასი გახდა მათთვის, შმიდტის წვერი, კამანინის წამწვეტებული წარბები—მრავალი ნიშნით ცნობილობენ დემონსტრანტები გმირებს.

უამრავი ყვავილი: თაიგულები, გვირგვინები, გირლიანდები, თვითმფრინავთა და გემთა მაკეტებიც კი ცოცხალი ყვავილებისაგან. ვარდები, გეორგინები, გორტენზიები, მინდვრის ყვავილების კონები; ყვავილები ეცემა ტრიბუნაზე; ჩელიუსკინელები მთლად ყვავილებში არიან. რამდენი მოსკოველი, რომელიც წინააღმდეგ, გამოსასვლელ დღეს, ქალაქ გარეთ გავიდა, აგროვებდა ლილილოს, გვირილას—დღევანდელი დემონსტრაციისათვის.

ძალზე ბლომად არიან ბავშვები: აქ ნახავთ კარინა ვასილევას ტოლ ბავშვებს, ვიდრე ალა ბუიკოს თანატოლებამდე. მამებს მხრებზე

შეუსვამთ ისინი, დედებს ხელში უჭირავთ, ხოლო ერთი თვითმფრინავის დიდ მოდელშიც კი მოთავსებულა. ისინი მხიარულად აქნევდნენ იების თაიგულს, განუწყვეტლივ კისკისობდნენ. ეს არის ბრძოლის, საგმირო საქმეებისა და გამარჯვებათა თაობა.

ქარხანა „კაუჩუკი“ ჩივილის მრავალი ასეული საჰაერო ბურთით. ჰაერში ავარდება საბავშვო ფერად-ფერადი პატარა და დიდი ბურთები მისალმების წარწერებით.

მრავალი ასეული მაკეტი გვეუბნება, თუ რა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მოსკოვის მუშები ისტორიული ლაშქრობის და მაშველი ექსპედიციის თითოეულ დეტალს. „კრასინი“ და „სმოლენსკი“, თვითმფრინავები, დირიჟაბლები და ნარტებიც კი—ყველაფერი ეს გამოსახულია მაკეტებში. ბევრი მაკეტი მიძღვნილია ბანაკისადმი, რომელიც დახატულია იშვიათი სიზუსტით, ნაჩვენებია ბზარიც კი, რომელიც ყინულზე ბარაკის ქვეშ გადიოდა. ბეწვეულის ფაბრიკამ № 3 გააკეთა ბანაკის მაკეტი დიდი დათვის ქურქზე.

სალამო უკვე ჩამოწვა მოედანზე. აინთო პროექტორები, ხოლო კოლონები კვლავ მიდიოდნენ განუწყვეტლად. თითქოს არ ექნებოდა დასასრული ამ შესანიშნავ მსვლელობას—ჩელიუსკინელების მიერ კამჩატკიდან მოსკოვამდე განვლილი მრავალათას ვერსიანი ტრიუმფალური გზის აპოთეოზს. მრავალი ასეული სადგური გაიარეს მათ. ყველგან ტრიუმფით ხედებოდნენ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მრავალი ათასი, ათეული ათასი სადგურები, ქალაქები და კოლმეურნეობანი არ გაუვლიათ მათ თავიანთ გზაზე. და აი, პროლეტარული დედაქალაქი მიესალმა არა მარტო საკუთარი სახელით, არამედ თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა ამ ქალაქის და სოფლის სახელითაც, შთელი ხმით უცხადებდა მათ თავის სიყვარულს, მაგრად ართმევდა მათ მძლავრ ხელებს, კოცნიდა გარუჯულ სახეებში, იკრავდა თავის ფართო მკერდში. აი ამიტომ იყო დაუსრულებელი მშრომელთა კოლონები, რომლებიც ესალმებოდნენ ჩელიუსკინელებს. ესალმებოდნენ ამხ. სტალინს, პარტიას და მთავრობას, რომელთა ხელმძღვანელობით ჩელიუსკინელთა ეპოპეა გამარჯვებით დამთავრდა. აი, ამიტომ მრავალ ასეულ ლოზუნგში ასე მტკიცედ აცხადებენ დემონსტრანტები თავის მზადყოფნას ბრძოლისათვის, თავის მზადყოფნას გამარჯვებისადმი.



### 3. 3. კუიზიშვილის სიტყვა.

ამხანაგებო! საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მთავრობამ დამაფალეს მხურვალე ძმური სალამი გადავცე ყველა ჩელიუსკინელს და მფრინავეებს—საბჭოთა კავშირის გმირებს.

დღეს ღირსშესანიშნავი დღეა: ჩვენ ვხვდებით ჩელიუსკინელებს, რომელთა ისტორიული ლაშქრობა და გადარჩევა შეადგენს გმირულ ეპოპეას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის მეცადინეობით, მთელი ჩვენი ქვეყნის ძალონის დაჭიმვით და მფრინავთა სიამამაცით ჩელიუსკინელები გადარჩენილია.



წითელ მოედანზე. ესაღმებთან მოსკოვში ჩამოსულ ჩელიუსკინელებს.  
შუაში—სტალინი, მარცხნივ—კალინინი, მარჯვნივ—ვოროშილოვი.

საკმარისი იყო მოსულიყო ცნობა გემის დაღუპვის და ჩელიუსკინელთა მდგომარეობის შესახებ, რომ მაშინვე ამოძრავებულიყო მთელი ჩვენი ქვეყანა. არ დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც ხალხი არ ყოფილიყო დაინტერესებული ჩელიუსკინელთა ბედით, სადაც არ გამოსთქვამდენ შიშს მათი მდგომარეობის გამო, სადაც არ ცდილობდენ დახმარების აღმოჩენას, რითაც კი შესაძლებელი იყო.

მთელი ქვეყანა მთავრობის და პარტიის, განსაკუთრებით ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მონაწილეობას ღებულობდა ჩელიუსკინელთა გადარჩენაში.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ჩვენს ავიაციას, რომელმაც თავისი საუკეთესო მუშაკები მოგვცა ჩელიუსკინელთა გადასარჩენად; ეს ეხება ჩვენს ფლოტს, რომელმაც საუკეთესო მეზღვაურები მოგვცა; ეს ეხება ლენინგრადელ მუშებს, რომლებმაც უმოკლეს ვადაში მოამზადეს ყინულისმკრელი „კრასინი“; ეს კიდევ და კიდევ ეხება ათასობით და ათი-ათასობით ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ გადარჩენის ორგანიზაციაში.



ჩელიუსკინელები საბასუხო სალამს აძლევენ დემონსტრანტებს.

რატომ ამოდრავდა ასე მთელი ქვეყანა ჩელიუსკინელთა გადასარჩენად? იმიტომ, რომ იცოდნენ, რომ ჩელიუსკინელები გაგზავნილი იყვნენ მთავრობის დავალებით, იცოდნენ, ესენი თავგადასავლის შაძიებელნი კი არ იყვენ, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ იმ მუშაკთა კოლექტივი, რომლებიც ასრულებდნენ მნიშვნელოვან საქმეს, რისთვისაც ისინი გაგზავნა პარტიამ ჩრდილოეთისაკენ; იმიტომ, რომ მათში ხედავდნენ ჩვენი საბჭოთა კავშირის ხორცს ხორცთაგანს. აი იმიტომ იყო ასე დიდი მთელი ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა.

თავის მხრით ჩელიუსკინელებმაც და მფრინავეებმა—საბჭოთა კავშირის გმირებმა ცხადჰყვეს, რომ ისინი წარმოადგენენ თავისი დიადი სამშობლოს ღირსეულ შვილებს. მფრინავეების—საბჭოთა კავშირის გმირების სიმამაცე—ეს არის იმ რევოლუციური განწყობილების გამოხატულება, რომლითაც ჩვენი ქვეყანა, ჩვენი პარტია და მთავრობა აწარმოებენ ბრძოლას სოციალიზმის აშენებისათვის. სიმამაცე და საქმის კეთილად დაბოლოების ურყევი რწმენა, რაც გაშეფებული იყო შმიდტის ბანაკში,—ეს არის მთელი ჩვენი საერთო საქმისა და ამ საქმისათვის ბრძოლაში შეუღრეკელობის რწმენის გამოხატულება.

ჩვენ ქვეყანას თამამად შეუძლია იამაყოს თავისი გმირებით, რომლებსაც ამაყად ეძირათ საბჭოთა კავშირის დროშა. ჩვენს ქვეყანას თამამად შეუძლია იამაყოს თავისი მფრინავებით, რომელთა გმირობას საფუძვლად უდევს იმ პასუხისმგებლობის შეგნება, რომელიც მათ დააკისრა სამშობლომ ჩელიუსკინელთა გადარჩენისათვის. და აი, ჩელიუსკინელები გადარჩენილი არიან და ამჟამად ჩვენ თქვენს გვერდით ვდგევართ, ამხანაგებო, და მაგრად გართმევთ ხელს. ჩელიუსკინელთა გადარჩენამ დაგვანახვა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველ მომენტში აღსდგება თავის დასაცავად, როცა კი ეს საჭირო იქნება და რომ მას შეუძლია ბევრი და ბევრი გმირის მოკრება. ჩელიუსკინელთა გადარჩენამ დაგვანახვა, თუ რამდენად შეგვიძლია ჩვენ ვიქონიოთ ჩვენი საკუთარი ძალების იმედი, საკუთარი გაზრდილი მშობლიური ტექნიკის იმედი, თუ რამდენად წარმატებით ვეუფლებით ჩვენ ამ ტექნიკას.

ჩელიუსკინელთა ეპოპეა დამთავრდა!

წინ, ახალი წარმატებებისაკენ არქტიკის დაუფლების საქმეში!

გაუმარჯოს საბჭოთა არქტიკას!

გაუმარჯოს ჩვენს სიამაყეს—საბჭოთა ავიაციას!

გაუმარჯოს ჩელიუსკინელებს და საბჭოთა კავშირის გმირებს!

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, რომელმაც ასეთი ხალხი აღზარდა!

გაუმარჯოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს—ამხ. სტალინს, რომლის ხელმძღვანელობით ჩვენ ვიმარჯვებთ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.



მიტინგი წითელ მოედანზე მოსკოვში ჩელიუსკინელთა ჩამოსვლის გამო. კაპიტანი ვორონინი აძლევს სტალინს საშუალებას წრიდან მოხსნილ თეთრ ლენტს—„ჩელიუსკინი“. ეს უკანასკნელი რამ არის, რომელიც ყინულიდან წამოიღო ამხ. ვორონინმა.

## დაჯილდოვება

22 ივნისს კრემლში, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა გადასცა დოკუმენტები (წიგნაკები და სიგელები) და ლენინის ორდენები საბჭოთა კავშირის გმირებს ამხ. ა. ვ. ლიაპიდევსკის, ს. ა. ლევანევსკის, ვ. ს. მოლოკოვს, ნ. პ. კამანინს, მ. ტ. სლუპნიოვს, მ. ვ. ვოდოპიანოვს და ი. ვ. ლორონინს.

ორდენები და სიგელები გადაეცა აგრეთვე ზორტმექანიკოსებს და მეთვალყურე მფრინავებს, რომელნიც გმირ მფრინავებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ჩელიუსკინელების ხმელეთზე გამოყვანაში, ჩელიუსკინელებს ამხ. შმიდტის, ვორონინის, ბობროვის, კოპუსოვის მეთაურობით და გადარჩენის სამუშაოთა ორგანიზატორებს და მონაწილეებს ამხ. უშაკოვის მეთაურობით—სულ 124 კაცს.

ორდენების და სიგელების გადაცემას დაესწრენ ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. ვ. კუიბიშევი, ა. ი. მიქოიანი, ა. ს. ედანოვი და მთავრობის და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები.

არქტიკული ლაშქრობის მონაწილის, „ჩელიუსკინის“ ავარიის დროს დაღუპული ვ. გ. მოგილევიჩის წითელ დროშის ორდენი მიიღო ექსპედიციის ხელმძღვანელმა პროფ. ო. ი. შმიდტმა.

— ამ ორდენს მოგილევიჩის პორტრეტთან ერთად, — განაცხადა ამხ. შმიდტმა, — ჩვენ შევინახავთ არქტიკულ მუზეუმში.

ამხ. კალინინის წინადადებით, ცაკის პრეზიდიუმმა და ყველა დამსწრემ დაღუპულის ხსოვნას პატივი სცეს ფეხზე აღდგომით.

ორდენების და სიგელების ჩაბარების შემდეგ სიტყვები წარმოასთქვეს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა, პროფ. ო. ი. შმიდტმა და საბჭოთა კავშირის გმირმა მფრინავმა ა. ვ. ლიაპიდევსკიმ.

### ო. ი. შმიდტის სიტყვა.


— ძვირფასო ამხანაგებო! უღრმეს მღელვარებას განვიცდით ჩვენ აქ ხელისუფლების ცენტრალურ დაწესებულებაში—ს.ს.რ. კავშირის ცაკში.

ჩვენ დავალებული ვართ საბჭოთა კავშირისაგან იმით, რომ გვასწავლეს მუშაობა და მოგვცეს ისეთი სამუშაო ასპარეზი, როგო-



რიცხა ჩრდილოეთი, აგრეთვე იმით, რომ გადაგვარჩინეს, როცა ჩვენ, განვაგრძობდით რა მუშაობას, შიშვე მდგომარეობაში ჩავარდით. გადარჩენის სამუშაოები მოწყობილი იყო ჩვენი დიადი კავშირის შესაფერ და მხოლოდ ჩვენში შესაძლებელი სიმძლავრით, გაქანებით მოფიქრებით.

ამხ. კუიბიშევის კომისიის და პირადად ვალერიან ვლადიმერის ძის მუშაობა წარმოადგენდა არა მარტო ბოლშევიკური შეუპოვრობის ნიმუშს, არამედ აგრეთვე მოფიქრების, ორგანიზებულობის, გეგმიანობის ნიმუშს, და წარმატებაც ყველასათვის აშკარაა. ეს მუშაობა თავიდანვე გამსჭვალული იყო ამხანაგ სტალინის ყურადღებით და მითითებებით. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მთელი შემდგომი ცხოვრებით, საქმით დავამტკიცოთ ჩვენი ერთგულება პარტიისა და მთავრობისადმი. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ შესაძლებლობა გვაქვს შემდეგშიც განვაგრძოთ ეს საქმე.



სსრკ-ის ცაკის პრეზიდიუმის 22 ივნისის სხდომა. ჩნობ მჭირინაევისათვის დოკუმენტების გადაცემის შემდეგ სიტყვას ამბობს ო. ი. შმიდტი.

ის, რასაც საბჭოთა ხელისუფლება აკეთებს არქტიკის განვითარებისათვის, წარმოუდგენელია, არ ყოფილა და არც იქნება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენ ამჟამად, ძვირფასო ამხანაგებო, მეზღვაურები და მჭირინაევი, მოწამენი ვართ არქტიკაში წარმოებული მუშაობის ახალი მძლავრი აყვავებისა. ჩვენ გვეძლევა კიდევ უფრო დიდი დავალება: ჩვენგან მოითხოვენ კიდევ უფრო დაძაბულ მუშაო-

ბას, რათა სახეებით ავითვისოთ ჩრდილოეთი, მთლიანად ჩავაბათ  
აგი ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენ, მიხეილ ივანეს ძე,  
შუღამ მზადა ვართ განვაგრძოთ ეს მუშაობა, ჩვენ ეს მუშაობა გვიყ-  
ვარს, და ვიცით, რომ მუშაობა ასეთ ქვეყანაში, ასეთ სამშობლოს  
სასარგებლოდ უდიდესი ბედნიერებაა (მქუხარე ტაში).

#### ა. ლიაკიდევისკის სიტყვა.

მიხეილ ივანეს ძე! ნება გვიბოძეთ თქვენის სახით მადლობა  
გამოვუცხადოთ მთელს მთავრობას იმ უმაღლესი საჩუქრისთვის,  
რომლის ღირსიც ჩვენ ვაგხდით. ნება გვიბოძეთ თქვენის სახით სიტ-  
ყვა მივცეთ მთავრობას, რომ ჩვენ გაორკეცებული ენერგიით, კიდევ  
უფრო შეტი ენტუზიაზმით პარტიის ხელმძღვანელობით მთელ პრო-  
ლეტარიატთან ერთად ვიმუშავებთ უკლასო საზოგადოების აშენე-  
ბისთვის, ხოლო თუ საჭირო გახდა, თუ გაბედავენ და თავს დაესხ-  
მიან ჩვენს სამშობლოს, ჩვენ მხნედ, იმედიანად და მტკიცედ, ყვე-  
ლანი, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ ოქტომბრის მონაპოვართა  
დასაცავად (მქუხარე ტაში).

#### ბ. ი. კალინინის სიტყვა.

— ამხანაგებო! პირველ ყოვლისა ნება მიბოძეთ მოგესალმით  
მთავრობის სახელით და გამოვთქვა სიხარული, რომ ერთის გარდა,  
ყველა ჩელიუსკინელი გადარჩა, ყველა აქ იმყოფება და აქვე არიან  
მათი გადარჩენის მთავარი მონაწილენი.

„ჩელიუსკინის“ ეპოპეა და ამ ეპოპეის დამთავრება რამდენადმე  
მოგვაგონებს ისეთ მოვლენას ბუნებაში, როცა ჰაერი, ატმოსფერო  
ქარბად იფლენება ელექტრონით და ეს ელექტრონი თვალის მომ-  
კრულ ელვად გადმოიღვრება. „ჩელიუსკინის“ ლაშქრობა, ის გამბე-  
დაობა, სიმაჰაცე, სიმტკიცე და, პირდაპირ უნდა ითქვას, უნარი,  
რომელიც გამოიჩინეს ჩელიუსკინელების გადარჩენის დროს, და ბო-  
ლოს, ის შეხვიდრა, რომელნიც მფრინავებს და ჩელიუსკინელებს  
გაუმართეს კამჩატკიდან თვით მოსკოვამდე, — ყოველივე ეს გვიჩვენებს,  
თუ რა დიდმა გრძობამ, ალტაყების გრძობამ იჩინა თავი მთელ  
ჩვენს მუშურ-გლეხურ მასაში, როგორც ჩვენი უდიდესი მიღწევების  
გამოხატულებამ.

სოციალისტური მშენებლობა დღითიდღე ვითარდება. ეს მშე-  
ნებლობა, რომელიც ზრდის მატერიალურ ღირებულებებს, ამაგრებს

საბჭოთა ხელისუფლებას ზოგჯერ მთელ მსოფლიოს და თვით მშენებლების წინაშე მკაფიოდ თავს იჩენს ისეთ ეპიზოდებში, როგორცაა ჩელიუსკინელების გადარჩენა.

რას მოწმობდა ჩვენი სტრატოსტატის ასეულ 22.000 მეტრის ხიმაღლეზე? იგი მოწმობდა მეცნიერების მიღწევებს. მთელი მსოფლიოს ალტაცების, პატივისცემისა და გაცემის გრძნობა დამყარებულია იმაზე, რომ საბჭოთა კავშირმა მიაღწია ისეთ ტექნიკურ ბაზას, ისეთ ტექნიკურ მდგომარეობას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დაძლეულ იქნას ამგვარი მწვერვალები. აი ასეთი საზომით უნდა მივუდგეთ ჩელიუსკინელების გადარჩენას.

„ჩელიუსკინის“ დაღუპვა თავისთავად უსიამოვნო ამბავია, მაგრამ ამ დაღუპვის შემდეგ გაიშალა ჩელიუსკინელთა ეპოპეა, რომელმაც, როგორც სწორად თქვა ამხ. სტალინმა, მთელ მსოფლიოს დაანახა ყინულზე დარჩენილი კოლექტივის უდიდესი, წარსულში უმაგალითო ორგანიზებულობა და მკიდროდ დარაზმულობა. თქვენ თვითონ იცით, რომ ასეთ შემთხვევებში ყველაზე უფრო ძნელია შრომის უნარიანი კოლექტივის შენარჩუნება. და აი, ჩელიუსკინელთა კოლექტივის მკიდრო დარაზმულობა ეს, კაცმა რომ თქვას, პირველი დენოტრაციის მსოფლიოს წინაშე იმის, რომ ვეებერთელა კოლექტივმა ასი კაცის შემადგენლობით ჯოჯოხეთურ პირობებში—ყინულზე შეძლო დარაზმულიყო, მკიდროდ გაერთიანებულიყო, შეძლო ყველა ინდივიდუალური ძალა და ინტერესები დაემორჩილებია საერთო ინტერესებისათვის, დაემორჩილებია ს.ს.რ. კავშირის სახელმწიფო ინტერესებისათვის.

საიდან არის ეს? ევროპისათვის, მსოფლიოსათვის არის ეს ადამიანის ცალკე ღირსებათა შემთხვევითი თავმოყრა. იქ აღმოჩნდა ამხ. შმიდტი, რომელმაც შეძლო კოლექტივის დარაზმვა, აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც გმირობა გამოიჩინეს და მკიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ჩვენ ასე როდი გვესმის ეს საქმე.

ჩვენ ჯეროვანად ვაფასებთ ცალკე ადამიანების გმირობას, მათ ორგანიზატორულ უნარს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მთავარ დულაბს, რომელმაც უზრუნველჰყო ეს მკიდრო დარაზმვა,—წარმოადგენს კომუნისტური პარტია, კომუნისტური მსოფლმხედველობა თითოეულისა—პარტიულია იგი თუ უპარტიო.

შემცდარია ვინც ფიქრობს, რომ ჩვენში უპარტიოებს არ ესმით პარტიის ინტერესები. პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, და აი, მთელი ეს ხალხი—ყოველი შათვანი გაუდენთილია კომუნისტური მსოფლმხედველობით, ამიტომ შეძლეს.

მათ დამდგარიყვნენ საერთო ხაზზე და არ დაეხარათ კომუნიზმის დროშა. მათ შეძლეს ასე მაღლა დამდგარიყვნენ ყოველდღიურ ინტერესებზე, ყოველდღიურ კირვარამზე მხოლოდ იმიტომ, რომ ახსოვდათ და ესმოდათ, რომ ამ შორეულ წერტილზე მათ ააფრიალეს კომუნისტური პარტიის დროშა, დროშა, რომელსაც შეჭყურებს მთელი მსოფლიო—ჩვენი მტრებიც და ჩვენი მეგობრებიც.

ყოველ კომუნისტს და ყოველ პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს უნდა ესმოდეს, რომ იგი არის კომუნისტური დროშის, კომუნისტური მსოფლმხედველობის მატარებელი, რომ იგი მაღლა სწევს საბჭოთა კავშირის—პირველი პროლეტარული სახელმწიფოს დროშას. ყოველივე ამან უაღრესად გაადიდა ყინულზე მყოფი ამხანაგების წინააღმდეგობის ძალა, შესაძლოდ გახადა იმ ორგანიზაციული უნარის გამოჩენა, რომელიც აშშ. შმიდტს აღმოაჩინდა. ამაშია ჩვენი ვამარჯვება. და მე ვფიქრობ, რომ ამ უბედურებამ—გემის დაღუპვამ ამავე დროს მთელ მსოფლიოს დაანახვა უდიდესი არა მარტო ტექნიკური, არამედ აგრეთვე ორგანიზაციული გამოცდილება, დაგროვილი საბჭოთა კავშირის მიერ.

ჩელიუსკინელების მიერ გამოჩენილ ორგანიზებულობას, დისციპლინას და გამძლეობას მთელი მსოფლიო აღიარებს.

ახლა ცოტა ხანს შეეჩერდები ჩელიუსკინელთა გადარჩენის ეპოპეაზე, მე ამაზე ბევრს არ ვილაპარაკებ. იგი ყველასათვის ცნობილია. არ ვილაპარაკებ აგრეთვე იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მილიონებს შორის მოიპოება მრავალი ისეთი შვილი, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან გასწირონ თავი, თუ ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირის ინტერესები, პროლეტარიატის ინტერესები, სამშობლოს ინტერესები. ჩვენ ექვი არ გვეპარება, რომ კომკავშირელთა და მომწიფებულ, ფრიად მომწიფებულ ადამიანთა მილიონები უყოყმანოდ გასწირავენ სიცოცხლეს, როცა ეს საჭირო იქნება. ეს მთელმა მსოფლიომ იცის და არც შეიძლება არ იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირში ბლომად არიან გმირები, მაგრამ განსაკუთრებული გმირობის გარდა ამხანაგებმა გამოიჩინეს—და ეს განსაკუთრებული ღირსებაა—რთულ პირობებში დამოუკიდებლად გარკვევის უნარი. ამას თვით ჩვენი მოსისხლე მტერიც კი ვერ უარყოფს. ეს უდიდესი მიღწევაა. ათეული აეროპლანები დაფრინავდნენ გაუკვლეველ ტრასებზე, დაუსახლებელ ადგილებზე, მფრინავები პირველად მიდიოდნენ ამ ადგილებში და არც ერთი კაცი არ დაღუპულა. ჩვენი საპაურო ფლოტის ამ მიღწევამ არ შეიძლება გამოხმაურება არ ჰპოვოს მთელს მსოფლიოში.



ჩვენმა მტრებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იარაღს ატლარუნებენ, საბჭოთა სტრატოსტატის 22.000 მეტრის სიმაღლეზე ასვლის შემდეგ, იწყეს ლაპარაკი ჩვენს წარმატებებზე, ხოლო ჩელიუსკინელთა ეპოპების შემდეგ ყველამ აღიარა, რომ ჩვენი საპაერო ფლოტი სათანადო სიმაღლეზე დგას. ზოგჯერ ზედმეტი არ იქნება, ჩვენმა მტრებმა იცოდნენ, თუ რა სიმაღლეზე დგას ჩვენი ფლოტი, რათა მათ არ ექნეთ მისი ძალის გამოცდის დიდი სურვილი. და შემთხვევითი როდია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ჩელიუსკინელთა შესახებ გაზეთებს კრინტიც არ დაუძრავთ, მათ დუმილით აუარეს გვერდი ამ ამბავს. და ეს ისეთ სახელმწიფოებში, სადაც მთელ ბურჟუაზიულ პრესას, რომელიც გარეგნულად დამოუკიდებელია, თითქოს შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, მაგრამ მაინც არ გამოთქვა, არ მიაწოდა ინფორმაცია თავის მოსახლეობას ჩელიუსკინელთა გამარჯვების შესახებ.

ჩელიუსკინელების გადარჩენას უღრმესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამას ადასტურებდა ის სიყვარული, ის სითბო, ის ყურადღება, რომლითაც მუშები და გლეხები არქტიკის გმირებს ხედვბოდნენ ყველგან, პეტროპავლოვსკიდან—მოსკოვამდე. მე ექვი არ მეპარება, რომ როცა ამხანაგები ლენინგრადში წავლენ, იქაც მათ ასევე აღფრთოვანებით შეხვდებიან.

რით აიხსნება ასეთი დამოკიდებულება ამ ამბისა და თქვენდამი, ჩელიუსკინელებისადმი? თქვენ ფიქრობთ, რომ ეს გააზვადეს გაზეთებმა? არა, ეს არის იმ ჩვენი ორგანიზაციის ძალის გამოაშკარავება, რომელშიც გაერთიანებულია მრავალი მილიონი ადამიანი. ალტაცების გრძნობა, რომელმაც მოიცვა მთელი ხალხი, არ შეიძლება ხელოვნურად შეიქმნას. რატომ ასე ღრმად შეიჭრა მასებში შეგნებაში ალტაცების გრძნობა? და იგი შეიჭრა არა მარტო ქარხნებში, არამედ ოჯახებშიც, იგი დაეუფლო არა მარტო დიდებს, არამედ ბავშვებსაც. ხალხს ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ამბავს საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის. ხალხმა დაინახა, თუ რა ბევრი გმირი ჰყავს ჩვენს ქვეყანას, ხალხმა დაინახა, რომ მისი წიაღიდან გამოვიდა იმ გმირების და ადამიანების უდიდესი შასა, რომელთაც აქვთ ხელმძღვანელობის უნარი, რომელთაც შეუძლიათ გამოიჩინონ გმირობა ყველაზე მიზანშეწონილ, სახელმწიფოსთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ ფორმებში. აი რით აიხსნება ხალხის ალტაცების გრძნობა.

დასასრულ, ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მოგესალმოთ და გამოთქვა იმედი, რომ ხალხის ის დიადი შეხვედრა, ის უდიდესი შე-

ფასება, რომელიც თქვენს მუშაობას მისცა ამხ. სტალინმა, უკეთესი შეფასებაც ძნელია, ის ჯილდო, რომელიც თქვენ მთავრობისაგან მიიღეთ, და ბოლოს, ის დახმარება, რომელსაც პარტია უწევს მთელ ამ საქმეს, მე ვფიქრობ, მძლავრ სტიმული იქნება თქვენი შემდგომი მუშაობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ზრდისა და მისი ძლიერების ინტერესთა სასარგებლოდ (მქუხარე ტაში. ყველა ფეხზე დგება და ესალმება დაჯილდოებულთ).

## ჯილდო ღირსეულთ

„პრაუდა“, №4 ივნისი, 1934 წელი.

გუშინ საბჭოთა ქვეყანამ მფრინავებს — საბჭოთა კავშირის გმირებს, ჩელიუსკინელებს და მათი გადამრჩენი ექსპედიციების მონაწილეებს გადასცა მათ მიერ დამსახურებული უმაღლესი ჯილდო — წარჩინების საპატიო ნიშნები. საბჭოთა მთავრობამ ამით გამოხატა გრძობები, რომლებიც აღელვებენ პროლეტართა, კოლმეურნეთა და შრომელთა მილიონებს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს იქითაც. ჩელიუსკინელთა ტრიუმფალურ შეხვედრაში მათი მგზავრობის მთელ მანძილზე, ენტუზიაზმით აღსავსე შეხვედრაში, რომელიც მათ მოსკოვში მოუწყვეს, იმ სიყვარულსა და ალტაცებაში, რომელიც მათ მიმართ მთელმა ქვეყანამ გამოიჩინა, ორდენების გადაცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და სახეიმო მომენტს წარმოადგენს, თავისი საუკეთესო, უღირსეულები შეიღების დაჯილდოებით სამშობლო გვამცნევს, თუ რას მოელის იგი ყველასაგან.

მთავრობა მთელი საბჭოთა ქვეყნის სახელით საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლესი სახელწოდებით აღნიშნავს და აჯილდოებს მფრინავთა განსაკუთრებულ სიმამაცეს. მათი გაბედულება უსაზღვრო იყო. ასრულებდნენ რა მთავრობის და კომუნისტური პარტიის დავალებებს, მისდევდნენ რა ამხანაგ სტალინის მოწოდებას, ისინი ერთი წუთითაც კი არ ჩერდებოდნენ და არ იჩენდნენ მერყეობას დაბრკოლებათა წინაშე. თვითმფრინავებით ისინი ლახავდნენ მაღალ ქედებს, სადაც იძულებითი ჩამოშვება აუცილებელ სიკვდილს მოაწავებდა. მხოლოდ მრისხანე ურაჯანი ნიშნავდა მათთვის „არასაფრენოსნო ამინდს“. ძირს დაშვება უინულზე ტოროსების ქაოსში უცხოელ სპეციალისტებს შეუძლებლად გჩვენებოდათ. საბჭოთა მფრინავებმა დაამტკიცეს, რომ მათთვის ეს შესაძლებელია.

ჩვეულებრივ ასეთ სიმამაცეს და გაბედულებას სიგიჟეს უწოდებენ. მაგრამ იგი ნამდვილად დაფუძნებული იყო თვითმფრინავის ტექნიკის დაუფლებაზე, თავისი ძალების და ნიჭის გათვალისწინებაზე. ჩვეულებრივ ადამიანებს ეს ძალა და ნიჭი განსაზღვრული აქვთ. იშვიათი სიმამაცის ადამიანებს ისინი თითქმის განუსაზღვრელად გააჩნიათ. ასე იქმნება საგმირო საქმე.

საბჭოთა ქვეყანას ესაჭიროება გმირული გაბედულებით, გმირული სიმამაცით აღჭურვილი ადამიანები. საბჭოთა ქვეყანა მათ ჰპოვებოდა მუშებსა და მშრომელ გლეხებს შორის, როცა იგი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იბადებოდა. კომუნისტური პარტია კმნიდა გმირებს, როცა გულმკერდით ხვდებოდა საერთაშორისო იმპერიალიზმის პირველ გაშმაგებულ შემოტევას.

საბჭოთა ქვეყანას გმირული გაბედულებით და სიმამაცით გაჯღენტილი ადამიანები ამჟამად არა ნაკლებ ესაჭიროება, ვიდრე იმ წლებში, რადგან მეომარი იმპერიალიზმი გაორკეცებული გააფთრებით ამზადებს ყაჩაღურ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. და ჩვენი მფრინავების მიერ ჩელიუსკინელთა გადარჩენის დიადი ეპოპეა მოწმობს, თუ რა დაუშრეტელი რეზერვები მოეპოებათ-გმირული გაბედულებით აღჭურვილ საბჭოთა ადამიანებს. პარტიის და მთავრობის პირველ დამახებინთანავე ათასობით და ასი-ათასობით უფროსი და უმცროსი მებრძოლები—ლიაპიდევსკები და კამანიჩები სამშობლოსადმი ასეთივე უსაზღვრო თავდადებით ჩაებმებთან მის მტრებთან ბრძოლაში.

მთავრობამ მთელი საბჭოთა ქვეყნის სახელით უმაღლესი სახელწოდებით და საპატიო ნიშნებით დააჯილდოვა აგრეთვე ჩელიუსკინელთა მიერ გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცე და იშვიათი ორგანიზებულობა უმძიმეს პირობებში.

უმართებულო იქნებოდა ხელალებით დაგვეყო ჩელიუსკინელთა ეპოპეის ყველა გმირი ისეთად, ვინც გადაარჩინა და ისეთად ვინც გადაარჩინეს. ჩელიუსკინელებს რომ მოდრეიფე ყინულზე არ ეხსნათ თავი თავისი ბოლშევიკური დარაზმულობით, თავისი საბრძოლო დისციპლინით, თავისი გმირული გამძლეობით, მაშინ ჩვენი მამაცი მფრინავები საუკეთესო შემთხვევაში იმასლა მოახერხებდენ, რომ წამოეყვანათ დაშლილი, ნაწილობრივ დაღუპული ექსპედიციის ნაშთები. მამაცი ადამიანების ორგანიზებულობა იყო ყინულზე წარმატებით ბრძოლის და გადარჩენის პირველი პირობა.

ეს შესანიშნავი ორგანიზებულობა, რომელმაც მთელი მსოფლიო გააოცა, როდი იყო შემთხვევითი. მას საფუძვლად უდევს ბოლ-

შევიკ ჩელიუსკინელთა მუშაობა აშხ. ო. ო. შმიდტის მეთაურობით. მო-  
ღრეიფე ყინულზე ერთმა მუქა ბოლშევიკებმა გვიჩვენეს, რომ ისინი  
არიან დიდი ბელადის—აშხ. სტალინის ღირსეული მოწაფეები. ჩვენ  
ვიცნობთ ჩელიუსკინელთა პარტიული კოლექტივის მუშაობას. კატას-  
ტროფის შემდეგ მათი პირველი დავალება იყო: კომუნისტო  
მაგალითის მიმცემი უნდა იყოს უპარტიოებისა-  
თვის სიმამაცეში, ძალაში, საბრძოლო განწყობი-  
ლებაში. კომუნისტები პასუხისმგებელი იყვნენ პარტიული კო-  
ლექტივის წინაშე უპარტიოთა განწყობილებებისათვის. აქ სწყდებოდა  
უნარიანი პოლიტიკური ჯალბრდა. ამის შედეგად ჩელიუსკინელთა არა-  
ერთგვაროვანი შემადგენლობა, რომელშიაც შედიოდნენ პოლიტიკუ-  
რად ჩამორჩენილი ელემენტებიც, არასაკმაოდ მტკიცე ელემენტე-  
ბიც, ირა თუ შემჭიდროვდა ერთ ოჯახად, არამედ საგრძნობლა-  
დაც გაიზარდა პოლიტიკურად, შეიძინა საბრძოლო გამობრძმედი-  
ლობა.

ბოლშევიკ-ჩელიუსკინელებმა გვიჩვენეს, რომ უძნელეს პირობებ-  
ში მათ, თავისი ქვეყნისა და პარტიისაგან მოწყვეტილებმა, იციან,  
თუ როგორ გაუძღვენ მასებს ბრძოლაში, როგორ შექმნან მთლია-  
ნობა, რომელიც ყველას—კომუნისტური პარტიის წევრებსაც და  
უპარტიოებსაც—ხდის ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსეულ შვილებ-  
ბად. და ეს იცოდა, ამას ხედავდა, ამაში ყოველ ნაბიჯზე რწმუნ-  
დებოდა ყველა ჩელიუსკინელი—დაწყებული იმ მშენებლით, ვინც ყი-  
ნულზე გადმოსვლის დროს ჯერ კიდევ თითქმის წერა-კითხვაც არ  
იცოდა, გათავებული მაღალკვალიფიციური სამეცნიერო მუშაკით—  
რომ მათ გადაარჩენს ორგანიზებულობა და რომ ორგანიზაციის ხე-  
ლოვნება ბოლშევიკებსა და საბჭოთა ადამიანებში აღზარდა კომუნის-  
ტურმა პარტიამ.

ყოველმხრივ მტრებით გარშემორტყმულ საბჭოთა ქვეყანას  
ესაჭიროება ორგანიზაციის მაღალი ხელოვნება იმიტომ, რომ საბრ-  
ძოლო სიმამაცეს, უმაგალითო გმირულ გაბედულებას მხოლოდ ორ-  
განიზებულობის შემთხვევაში შეუძლია მოგვცეს საჭირო გამარჯვება.  
ჩელიუსკინელებმა ეს დაადასტურეს თავისი ბრძოლის მაგალითით.  
ამით მათ ცხადჰყვეს, რომ სხვა ძნელ პირობებშიაც—არა ყინულის  
მინდვრებზე, არამედ ბრძოლის ველზედაც, კომუნისტური პარტიის  
მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანები გვიჩვენებენ ასეთსავე „ჩელი-  
უსკინურ“ შემჭიდროებას, სიმტკიცეს, ორგანიზაციულობას.

გმირული გაბედულება და ფოლადისგებური ორგანიზებულობა  
—აი რას მოითხოვს საბჭოთა სამშობლო ყველა თავისი შვილისაგან.



როცა იგი აჯილდოებს ღირსეულთ. მფრინავთა გმირული გაბედუ-  
 ლების და ჩელიუსკინელთა ფოლადისებური ორგანიზებულობის მა-  
 გალითებს უნდა იცნობდეს საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელი, მთე-  
 ლი მსოფლიოს პროლეტარიატი. ამ მაგალითებზე უნდა აღიზარდოს  
 ახალგაზრდობა, ამიტომ ჩელიუსკინელთა ეპოპეა არ მთავარდება  
 ჩელიუსკინელთა გადარჩენით, არ მთავარდება მათი ტრიუმფალური  
 მგზავრობით და შეხვედრით, მათი ორდენებით დაჯილდოებით, ჩე-  
 ლიუსკინელებმა, მფრინავეებმა—საბჭოთა კავშირის გმირებმა და მა-  
 შველი ექსპედიციის ყველა მონაწილემ უნდა შეაგროვონ, შეაჯამონ,  
 სისტემაში მოიყვანონ მთელი თავისი უდიდესი გმირული მასალა.  
 არქტიკაში ბრძოლის და თვითმფრინავეებით გადარჩენის ტექნიკა  
 წარმოადგენს ისეთივე ღირებულებას, როგორც ცალკეული ადამიან-  
 ნების გმირობა, როგორც შრომის ორგანიზაცია ყინულზე, როგორც  
 საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრება ასეთ პირობებში, როგორც  
 პარტიული კოლექტივის მუშაობა.

გმირმა ჩელიუსკინელებმა და გმირმა მფრინავეებმა უნდა შექმ-  
 ნან წიგნი, რომელიც ეპოპეის ღირსეული ძეგლი იქნება, ბოლ-  
 შევიკური სიმამაცის, ბოლშევიკური ორგანიზებულობის წიგნი. ეს  
 წიგნი შევა პროლეტარულ საბრძოლო ლიტერატურას რკინის ფონ-  
 დში. ამ წიგნზე მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ფარ-  
 თო მასები ისწავლიან იმას, თუ როგორ უნდა ბრძოლა და გა-  
 მარჯვება.

## წერილები ი. ბ. სტალინისადმი

### საბჭოთა კავშირის გმირების

ძვირფასო იოხებ ბესარიონის ძევ!

ჩვენთვის, რომლებიც დავფრინავთ თავზე საბჭოთა ქვეყნას,  
 ყველაზე უფრო, ვიდრე ვინმესთვის, თვალსაჩინოა ის ისტორიული  
 ცვლილებანი, რომლებმაც მთლიანად შეცვალეს სახელმწიფოს სახე.  
 ყველგან მრავალმინდვრიანობა შეიცვალა საკოლმეურნეო მინდვრების  
 მასივებით, ძირითად ორიენტირებად გაფრენის დროს იქცენ  
 ახალ-ნაგები გიგანტები. ეს პანორამა, რომელსაც ჩვენ ყოველდღე  
 დავყურებთ ჩვენს წითელვარსკვლოვან მანქანებიდან, შექმნილია  
 მშრომელთა მილიონების ხელებით, ლენინური პარტიის ხელმძღვა-

წელობით, რომელიც თქვენ, ამხანაგო სტალინ, მიგყავთ უცვლელ გამარჯვებათა გზით.

ჩვენ ფიცით, რომ თქვენ, ამხანაგო სტალინ, იყავით ინიციატორი ჩელიუსკინელების გადასარჩენ გრანდიოზული ოპერაციებისა და ჩვენ მაღლობას გიძღვნით პატივისათვის, დიდი ნდობისათვის—მონაწილეობა მიგველო ამ ბრძოლაში სტიქიასთან, ჩელიუსკინელთა გადარჩენის საპატიო სახელისათვის.

ჩვენ ხვალ ჩამოვალთ მოსკოვში, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, რათა პირველ ყოვლისა ვუთხრათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობას და ვითხრათ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენ მზად ვართ გაუიღეთ ბრძოლაში ჩვენი დიადი სახელმწიფოს ძლიერებისა, სახელისა და ხელუხლებლობისათვის.

ამ ფიცით ჩვენ ფეხს ვდგამთ ჩვენი დედაქალაქის მიწაზე.

მოდოკოვი, დორონინი, კამანინი, სლეპნიოვი, ლიაპიდევსკი, ლევანევსკი, ვოდოპიანოვი, გალიშევი, პივენშტეინი და ყველა ბორტ-მექანიკოსი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ჩელიუსკინელების გადარჩენაში.

## ჩელიუსკინელების

ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძვე!

ხვალ ჩვენ ჩამოვალთ მოსკოვში. ხვალ ჩვენ ფეხს დავადგამთ ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის მიწაზე. ჩუკოტკის ზღვის ყინულებიდან გადარჩენილნი ზუთწლედის ფოლადის ფრინველების მიერ, ჩვენ გადავლახეთ მსოფლიოს ერთი მესამედი, და აი, ჩუკოტკიდან, კამჩატკიდან, შორეულ აღმოსავლეთიდან, ციმბირიდან და ურალიდან ჩვენ მოვიღივართ მოსკოვში, სადაც მუშაობს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სადაც მუშაობს ჩვენი მთავრობა, სადაც ცხოვრობ და მუშაობ შენ, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო, მუდამ ახლობელო ბელადო, მასწავლებელო, მშრომელი ხალხის გულშემატკივარო, მეგობარო, დიდო ლენინელო, რომლის სახელს იმედით და აღტაცებით იმეორებენ მსოფლიოს პროლეტარები—ს ტ ა ლ ი ნ.

ჩვენ ჩამოვდივართ მოსკოვში. ვერავითარი სიტყვით ვერ გადმოვცემთ ჩვენს ბედნიერებას. ყინულის გარემოცვაში, როცა ემართავდით კრებებს, ვიყავით რა ორი თვის განმავლობაში მოწყვეტილნი მსოფლიოს და ვიცოდით რა, რომ შორს ჩვენგან იმყოფე-

ბოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ჩვენი საბჭოთა მთავრობა, ჩვენ აღსავსე ვიყავით მტკიცე რწმენით, რომ გადაგვარჩენდნენ.

ჩვენ ვიცოდით, რომ შენ, ამხანაგო სტალინ, ზრუნავდი ჩვენზე შენ იყავი „ჩელიუსკინიდან“ პოლიარულ მკვლევართა გადარჩენის გრანდიოზულ ღონისძიებათა ორგანიზატორი.

როცა ჩრდილოეთისაკენ დაიძრენ გემები, ყინულისმკრელნი როცა მოფრინდნენ თვითმფრინავებო, ჩვენ ყოველთვის ახალი ამბით სიხარულითა და სიამაყით გავიძახოდით შენს სახელს: სტალინ.

როცა ჩუკოტაზე, კამჩატკაზე თავი მოიყარეს გემებმა, დირი-ჟაბლებმა, აერომარხილებმა, ტრაქტორებმა, როცა ყინულებს ზევით აგუგუნდნენ თვითმფრინავების მოტორები, როგორც არასოდეს, ვიგრძენით სიდიადე ხუთწლედის, ძღვევამოსილი ხუთწლედის, რომელიც შექმნა პარტიამ, რომელსაც ხელმძღვანელობ შენ, ბრძენო, გაბედულო ბელადო სტალინ!

გადმოყვანილნი ხმელეთზე ჩვენი საბჭოთა თვითმფრინავების, ჩვენი საბჭოთა მფრინავების მიერ, ჩვენ ვხედავდით ჩუკების იარაღებში, ნათელ სკოლებში, კულტურულ ბაზებში—შენს სახეს. და წარმოუდგენელ დაშორებულ, პარტიისა და მთავრობის მიერ სახეცვლილ მხარეში, ჩვენ ჩვენი თვალთ ვხედავდით პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის საუკეთესო ნაცოფს, შენ უმაგალითო ენერგიის, ლენინური მიზანსწრაფვის შედეგს. ვზრუნდებოდით რა შორეულ აღმოსავლეთის გზით, ჩვენ გავიგეთ, თუ რა რბგ მიუწოდომელია ფორპოსტი წყნარ ოკეანეზე, მშვიდობიანობის ეს ციხე სიმაგრე. წითელ არმია და ფლოტე საზღვრების საგუშაგოა, რომელმაც მზად არის ჩამოათალოს იმპერიალიზმს ღორული დინგე. შეიარაღებულია ხუთწლედის ტექნიკით. მებრძოლისა და წითელ-ფლოტელის თითოეულ ნაბიჯში ჩვენ ვგრძნობდით სამშობლოს ძლიერებას, ძლიერებას, შექმნილს პარტიის მიერ, მთავრობის მიერ, შენს მიერ, ფოლადის სარდალო!

შეხვედრა გზაში ჩვენი ქვეყნის ვეებერთელა ტერიტორიაზე, მუშებისა და კოლმეურნეობის მისალმებანი ერთდებოდენ ერთი მხრივ ძახილში: „გაუმარჯოს საყვარელ სტალინს!“

და ყველასთან ერთად, ჩვენ ბედნიერნი იმით, რომ შეგვეძლება განვაგრძოთ სოციალიზმის მშენებლობა, მთელი სულით და გულით გავიძახით: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“.

ფეხს ვადგამთ რა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის წმინდა მიწაზე, ჩვენ გეფიცებით შენ, ჩვენო ბელადო, იოსებ ბესარიონის ძე: ჩვენი ლიტოცხლე ეკუთვნის პარტიას, პარტიის საქმეს—სოციალიზმს, აღ-

ტაცებით ველოდებოთ პარტიისა და მთავრობის დავალებებს, რათა ევლავ შევეჭიდოთ არქტიკის სტიქიას, ან გადავეშვათ ბრძოლის ცეცხლში, სადაც წაგვიყვანს პარტია, სადაც წაგვიყვან შენ, ჩვენო კაპიტინო საბჭოთა ქვეყნისაჲ.—სტალინ!

ბობროვი, ფორონინი, ბაევსკი, ზადლოვი, კოპუხოვი, რუ-  
შნიაცევი, კოლესნიჩენკო, შირშოვი, ანოკინი, ჟიკოვი  
(ხელს აწერს ყველა ჩელიუსკინელთ).

## ნათესავების

ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის ძეგ!

ჩვენ გვსურს მხურვალე მადლობა გითხრათ თქვენ და თქვენი სახით პარტიას და მთავრობას, ჩელიუსკინელთა და მფრინავთა ოჯახებზე იმ განსაკუთრებული ზრუნვისთვის, რომელიც გამოჩენილ იქნა ჩელიუსკინელთა ლაშქრობის, ტყვეობის და განთავისუფლების რაუტინიარ დღეებში—მღელვარების და სიხარულის დღეებში. ჩვენ ახლა თითონ ხსნაზე არ ვლაპარაკობთ; არც გვგონია, რომ შესაძლებელი იყო სიტყვებით გამოითქვას ნათესავების გადარჩენით გამოწვეული ჩვენი უდიდესი მადლობის გრძნობები. ჩვენ გვინდა გაგაცნოთ ჩვენი განცდები ახლა, როცა ჩვენი უსაზღვრო სიხარული გაიზიარა მთელმა ქვეყანამ, გაიზიარეთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძეგ.

ჩვენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან თავი მოგვიყარეს მოსკოვში, რომ შეგვძლებოდა ერთად შეგვგებოდით ჩვენს მამაც ძმებს, წამებს და შვილებს, რათა ჩვენი სიხარული უფრო სრული ყოფილიყო. ჩვენ შეტად აგვალეღვა განსაკუთრებით გულთბილმა მიღებამ, განსაკუთრებულმა მზრუნველობამ ჩვენზე.

ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქი—პროლეტარული მოსკოვი—ჩვენ შეგვხვდა, როგორც მშობელი დედა. სხვა სიტყვებს ჩვენ ვერ ეპოულობთ. ჩვენ დავდიოდით ქუჩებში ყვავილებით მორთული მანქანებით, მოზეიმე ადამიანებს შორის და გვეგონა, რომ ეს რაღაც საუცხოვო, ერთადერთი და განუმეორებელი სიზმარი იყო.

შემდეგ ჩვენ ვიყავით კრემლში და იქ განახეთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძეგ, ვიწვინეთ თქვენი მშობლიური ალერსი, ყურადღება და თითოეულ ჩვენგანზე მზრუნველობა. რამდენ ხანსაც უნდა ვიცოცხლოთ, ჩვენ არასოდეს არ დაგვაფიწყდება ეს შეხვედრა და ეს ალერსი. ბავშვებს, შვილისშვილებს, მეგობრებს და მეზობლებს



ჩვენ მოვუთხრობთ ამბავს იმ უდიდესი სიხარულის გრძნობისას, რომლითაც აღსავსენი ვართ, მხოლოდ გვეშინია, რომ ჩვენ არ გვეყოფა სიტყვები და უნარი მოვუთხროთ ისე, როგორც ეს ჩვენ გვინდა.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ ისეთ დიად ქვეყანაში, როგორიც საბჭოთა კავშირია.

ნება მოგვეცით ხელი ჩამოგართვათ, ძვირფასო ოსებ ბესარიონის ძევ, და გადაგკოცნოთ, როგორც ყველაზე მახლობელი და ძვირფასი ადამიანი.

ამას მოსდევს ჩელიუსკინელთა ნათესავების ხელისშეწყობა.

## საბჭოთა კავშირის გმირებს

მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად აღფრთოვანებული ვართ პროლეტარიატის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის—საბჭოთა ავიაციის თავგანწირული გმირული ბრძოლით და გამარჯვებით.

არ მოიპოება ისეთი ქარხანა, ფაბრიკა, მალარო, სადაც განსაკუთრებული დაქიმიული ყურადღებით არ ადევნებდნენ თვალს იმ ბრძოლის ყველა ეტაპს, რომლებსაც აწარმოებდით თქვენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანების—სახელოვანი საბჭოთა პოლიარელების—ჩელიუსკინელების გადარჩენისათვის.

აუწერელია იმ აღფრთოვანების, პატივისცემის და სიამაყის გრძნობა, რომლითაც აღავსო თითოეული პროლეტარის გული თქვენმა ისტორიულმა გმირობამ. უძლეველია პროლეტარიატი, უძლეველია ბოლშევიკური პარტია, რომლებმაც ასეთი შვილები აღზარდეს.

საკავშირო პროფსაბჭო.

## მეცნიერების გმირები

ჩელიუსკინელთა გადარჩენა—საბჭოთა ავიაციის ეს ტრიუმფი,—უსაზღვრო სიხარულის გრძნობას იწვევს მთელ მსოფლიოს მშრომელებში. ტექნიკის და მეცნიერების გმირები სოციალიზმის ქვეყანაში სიამაყით და თავდადებულობით არ ჩამოუვარდებიან კაპიტალისტურ მსოფლიოში ბურჟუაზიის და ფაშიზმის წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის გმირებს.

გაფიცვებში ჟაბრიკებსა და ქარხნებში, შეიარაღებულ ბრძოლებში—ავსტრიაში, დემონსტრაციებში—საფრანგეთში, რევოლუციურ გამოსვლებში—ესპანეთში, მძიმე არალეგალურ მუშაობაში—ფაშისტურ გერმანიაში,—მთელს მსოფლიოში, ისე როგორც თავითმფრინავებზე არქტიკაში, იბრძვის იგივე გმირული კლასი, რომელიც ჩვენი უდიდესი ბელადის აშხანაფ სტალინის ხელმძღვანელობით გამოიყვანს მთელ კაცობრიობას სიღარიბის, უმუშევრობის, შიმშილის და ფალატაკების კაპიტალისტური ჩიხიდან, სისხლიანი ფაშიზმის და იმპერიალისტურ ომის საშინელებათაგან.

სახელი და დიდება საბჭოთა კავშირის.—მსოფლიო პროლეტარიატის სიამაყის მამაც მფრინავებს.

გ. დიმიტროვი.

## უცხოეთის მწერლები, მეცნიერები, მფრინავები, ავიოკონსტრუქტორები

კნუტ ჰამსუნი

ჟდიდესი მსოფლიო მწერალი.

ეს არის დაებრუნდი სახლში მოგზაურობის შემდეგ და ვნახე თქვენი გულთბილი წერილი, ძვირფასო ქ-ნო კოლონტაი. ამეპაშად ეს საკითხი უკვე არ არის აქტუალური, მაგრამ გთხოვთ დამიჯეროთ, რომ ყველა ნერვის უდიდესი დაძაბულობით ვადევნებდი თვალყურს გადასარჩენ მუშაობას ყინულებში. მე უკვე ძალზე მოხუცი ვარ და გულამომჯდარე ვტიროდი ყოველთვის, როცა ახერხებდენ ადამიანების კიდევ ახალი ჯვუფის გადმოყვანას ყინულებიდან მიწაზე. მე წავიკითხე, რომ ზოგიერთებს აეროპლანს გარედან აკრავდენ და ისე მოყავდათ. ეს ჯერ არასოდეს არ მომხდარა. მთელი გადასარჩენი მუშაობა მისი ფანტასტიური სიდიადით ჩემთვის მიუწვდომელია.

საბჭოთა მფრინავები გმირები არიან.

საერთოდ მე ღირსი არა ვარ შეეუერთო ჩემი ხმა ამ ღვიძლ გმირული საქციელის შეფასებას, მაგრამ, როცა ვკითხულობდი ამის შესახებ, მე აზრით და გონებით მათთან ვიყავი.

კიდევ მადლობას გიძღვნი თქვენი მეტად გულთბილი წერილისათვის.

თქვენი ერთგული კნუტ ჰამსუნი.

კნუტ ჰამსუნის წერილი წარმოადგენს პასუხს „იზვესტიას“ თხოვნაზე გამოეთქვა მას თავისი აზრი ჩელიუსკინელების გადასარჩენად საბჭოთა მფრინავების მიერ გაწეულ მუშაობაზე.

## მეჩვეულები უელსი

ცნობილი ინგლისელი შწერალი.

ჩელიუსკინელების გადარჩენა—ეს საბჭოთა კავშირის ტრიუმფია, მიღწეული ცივილიზაციისათვის. ეს გმირობა დასაწყისია იმ დიად საქმეების, რომელთაც იკისრებს კაცობრიობა მომავალში, როცა იგი გაერთიანდება ერთი მსოფლიო მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშ, მოსპობს სამუდამოდ ომს და ადამიანები გადაიქცევიან ერთმანეთის მოკავშირეებად სოციალური სამართლიანობისა და ბუნების დაპყრობისათვის ბრძოლაში.

მომავალში კაცობრიობა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვაგვარად, თუ არა ერთ მთლიან საზოგადოებრივ ერთეულად, რომელიც მთელი დედამიწის შემცველი იქნება, და მაშინ იგი ძალიან ემგვიანება საბჭოთა კავშირს.

## პ. რ. უ. სვეტლანა

ცნობილი პოლიარული მკვლევარი.

მე ეს—ეს არის წავიკითხე უკანასკნელ ჩელიუსკინელთა გადარჩენის შესახებ და ამის გამო მსურდა რამდენიმე სიტყვა გამეგზავნა „იზვესტიასში“. გათხოვთ დაბაულოთ და გადაუგზავნოთ მას ქვემოთ-მოყვანილი სტრიქონები.

„ახლა, როცა უკანასკნელი ჩელიუსკინელები გადარჩენილია, მე მინდოდა გამომეთქვა ჩემი უდიდესი აღტაცება იმ საუცხოვო მაშველი მუშაობით, რომელიც ჩაატარეს საბჭოთა მფრინავებმა. სიძნელეები, რომლებსაც ისინი აწყდებოდნენ, და ის რისკი, რომელსაც ისინი სწევდნენ, გასაგებია მხოლოდ იმათთვის, ვინც იცნობს არქტიკის პირობებს და მცურავ ყინულს. მე პირადად არ მიმაჩნდა შესაძლებლად, რომ მფრინავები ამდენჯერ შესძლებდნენ ყინულზე დაშვებას, რომ მათ შეეძლოთ ყველა იქ მყოფის გადარჩენა და ამიტომ მით უფრო დიდია ჩემი აღტაცება მათი მუშაობით. მე აგრეთვე მინდოდა გამომეთქვა ჩემი ღრმა პატივისცემა ჩელიუსკინელებისადმი, რომლებმაც მარცხი განიცადეს და რომლებმაც ორი მძიმე თვის განმავლობაში გაუძლეს სიძნელეებს ყინულებზე. ეს მოწმობს მათ სრულ ნდობას ხელმძღვანელისადმი და მათ მაღალ მორალურ დონეს; ბოლოს, მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს განსაკუთრებით მიეფულოცო იმათ-ვინც მოაწყო მაშველი მუშაობა.



მოვლენა, რომელიც შეიძლება გადაქცეულიყო ერთერთ უდიდეს უბედურებად არქტიკის გამოკვლევის ისტორიაში, გადაიქცა ერთერთ უბრწყინვალეს მიღწევად მსოფლიოში.

ბოლოს, ნება მიბოძეთ თქვენც გულწრფელად მოგილოცოთ მაშველი სამუშაოების საბედნიეროდ დაძვარება\*).

## კოდონი და რუსი

ცნობილი ფრანგი მფრინავები.

ის, რასაც ჩადიან ამჟამად საბჭოთა მფრინავები, რომლებიც ცდილობენ შეასრულონ თითქმის შეუძლებელი, ალტაცების ღირსია. არქტიკის რაიონებში თოვლი, ნისლი, ყინვა და ქარბუქი თითქოს გაერთიანებულან ფოლადის მფრინავების წინააღმდეგ საბრძოლველად. გაფრენის და მიწაზე დაჯდომის სიძნელეები ამ რაიონებში უფრო მეტია, ვიდრე სადმე. საბჭოთა მფრინავების გაფრენები გვაფროვანებენ.

## მიხელ ღებკუა

საავიაციო აკრომატიკის საუკეთესო ფრანგი სპეციალისტი.

საჭირო არ არის ვარწმუნოთ ვინმე, რომ გმირობის ეს აქტი ჩვენ უფრო გვალეღვებს, ვინემ სხვა ვისმე, რადგან, ჩვენ—პროფესიანელებმა კარგად ვიცით, რას წარმოადგენენ გაფრენები არანელსაყრელ ატმოსფერულ პირობებში, და როგორ მოქმედობენ ეს პირობები ადამიანებზე და მასალაზე. მთელი საფრანგეთი აღფთოვანებულია საბჭოთა ავიაციით.

## ლუხინე ვაბრი

თვითმფრინავების ინჟინერ-კონსტრუქტორი და აგრეთვე ფრანგი მწიგნობარი, რომელმაც მიიღო გრანკურების პრემია.

ყველა იმისათვის, ვინც იცის მოდრეიფე ყინულებზე თვითმფრინავის დაშვების სიძნელეები, ორიენტაციის სიძნელე, ბარომეტრული და ჰიდრომეტრული კოეფიციენტების მუდმივი ცვალებადობა, აგრეთვე აირების ნარევის ტემპერატურის შენარჩუნების სიძნე-

\* ეს ბარათი მიწერილია სსრკ-ის სრულფლებიან წარმომადგენელ აზს. კოლონტაისადმი.

ლე გაყინვის გამო, ყველა იმისათვის, ვინც ეს იცის, ჩელიუსკინელთა გადარჩენა წარმოადგენს შედეგს, როგორც მეცნიერული, ისე პილოტაჟის ტექნიკის თვალსაზრისით. მე აქ უკვე აღარ ვლაპარაკობ მშველელთა სიმამაცეზე და გადარჩენილთა თავგანწირვაზე, რომლებიც დიდი სულძელობით ელოდნენ თავიანთ რიგს.

### **რისეარ ლარსენი**

ცნობილი შვედი პოლიარული მოგზაური.

გადაეცით საბჭოთა კავშირის ხალხს ჩემი მხურვალე მისალმება ჩელიუსკინელთა გადარჩენის გამო. ვაღიარებ გადასარჩენ ოპერაციების არაჩვეულებრივ ბრწყინვალე ხელმძღვანელობას და გამოვთქვამ ჩემს უდიდეს აღტაცებას საბჭოთა მფრინავების საკვირველი გამბედაობით და ჩელიუსკინელთა ვაჟკაცობით, რომელიც მათ გამოამჟღავნეს ყინულოვან მინდორზე ყოფნის დროს.

### **ოლავ სვენსენი**

არქტიკის უდიდესი სკანდინაველი მკვლევარი.

არქტიკაში მე პირველად ვიმოგზაურე 1902 წელს. ამის შემდეგ მე თითქმის ყოველ წელიწადს მოვგზაურობ ჩუკოტკაში და ამ ხნის განმავლობაში მას კარგად ვავეცანი. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით გასაგებია, რას ნიშნავს ჩელიუსკინელთა გადარჩენა. შექველია, ეს არის საბჭოთა ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვება.

### **კლარენს ჩემბერლენი**

ერთერთი უდიდესი ამერიკელი მფრინავი.

ჩელიუსკინელების გადარჩენა—იმ მუშაობის ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც შესრულებულია მაქსიმალურად არახელსაყრელ პირობებში. საბჭოთა ავიაცია დგას გაცილებით უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ. საბჭოთა პილოტების მოქმედებამ ეს ნათლად დაამტკიცა.

## გონტროლი

ა. შ. შ.-ის სამხედრო-საზღვაო ავიაციის სამმართველოს ცნობილი მოღვაწე.

როცა ამ ამბებს ვკითხულობდი, ვფიქრობდი, რომ ყინულების ასეთი მდგომარეობის დროს გადარჩენა შეუძლებელია. ეს—არნახული გამარჯვებაა.

## ბ რ ი ლ ი

ცნობილი ამერიკელი პოლიარული მკვლევარი.

ჩელიუსკინელთა გადარჩენა განცვიფრებას იწვევს. პილოტების გმირობა მოწმობს იმას, რომ თვითმფრინავებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არქტიკის გამოსაკვლევად.

# მსოფლიო პრესის გამოძახილი

## საზრუნველობა

„ტან“, პარიზი.

საბჭოთა მფრინავების წყალობით, მშვიდობიანად დამთავრდა სახიფათო ამბები, რომლებიც, როგორც ზოგჯერ გვეჩვენებოდა, შეიძლებოდა ტრაგიკულად დამთავრებულიყო. საბჭოთა მფრინავების ერთგულება, გაბედულობა და შეუპოვრობა დღეს მთელი მსოფლიოს აღტაცებას იწვევენ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თვითმფრინავებმა გადაარჩინეს ის 8 ძალიც კი, რომლებიც ყინულის ველზე იმყოფებოდნენ.

საბჭოთა საელჩოს პარიზში მოდის მილოცვები, რომლებშიაც გამოთქმულია აღტაცება ჩელიუსკინელთა გადარჩენის ორგანიზაციით და საბჭოთა ავიაციის ბრწყინვალე მუშაობით.

„ერ ნუველ“, პარიზი.

მთელი მსოფლიო გულისფანცქალით ადევნებდა თვალს საბჭოთა მფრინავების მუშაობას ჩელიუსკინელთა გადასარჩენად. გუშინ მფრინავებმა ვოდოპიანოვმა, კამანინმა და მოლოკოვმა, მძიმე პი-

რობების მიუხედავად, მესძლეს შ მ ი დ ტ ი ს ბანაკში დარჩენილ უკანას-  
კნელ ჩელიუსკინელთა გადარჩენა. საბჭოთა მფრინავებმა გამოიჩინეს  
უმაგალითო გაბედულობა და სრულიად არ მოერიდენ საფრთხეს.  
მათ მოგვცეს იმის უდაო დამამტკიცებელი საბუთი, რომ საბჭოთა  
ავიაცია, რომელიც მსოფლიოში ერთერთ საუკეთესო ავიაციად ით-  
ვლება, დგას მაღალ მორალურ და ტექნიკურ დონეზე.

„ექსცელსიორ“, პარიზი,

შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს  
არქტიკაში მომხდარ დრამას, ადამიანთა ჯგუფებსა და სტიქიას შორის  
წარმოებულ ბრძოლას. ჩელიუსკინელთა ბედმა, რომლებიც ორ თვეს  
კუნძულზე ცხოვრობდნენ და რომლებსაც მუდამ საფრთხე მოელოდა,  
ააღელვა ყველანი. იმ მფრინავეთა გმირობა, რომლებსაც მოსკოვში  
კანონიერი სიამაყით ესალმებიან, ღირსია საყოველთაო აღტაცების.

## გერმანია

„ბერლინერ ბერზენ ცაიტუნგ“, ბერლინი.

არის სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ 103 ჩელიუსკინელი,  
რომლებიც ამჟამად ყინულებზე იმყოფებიან, ვერ იქნებიან გადარ-  
ჩენილი.

„ველკიშერ ბეობახტერ“, ბერლინი.

ჩელიუსკინელთა გადარჩენა მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის  
საქმე იქნება.

„ნახტაუსგაბე“, ბერლინი.

არის მოვლენები, რომელთა წინაშეც იწლება ყველა საზღვარი,  
იმსხვრევა დაბრკოლებანი და სდუმს ყოველგვარი წინააღმდეგობანი.  
გულშემზარავი სურათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყინულზე, სადაც  
ჩელიუსკინელთა ბანაკი იმყოფებოდა, დედა-მიწის ყველა ქვეყანაში  
განიცადეს ათეულ და ასეულ მილიონ ადამიანებმა. ეს იყო ადამი-  
ანების ბრძოლა სიკვდილის წინააღმდეგ, რომელიც წინასწარ ზეი-  
მობდა თავის გამარჯვებას. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ დადგენ  
ისეთი ადამიანები, როგორც მოლოკოვი, კამანინი და სლევნიოვი პი-  
რისპირ სიკვდილის წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა დაეცვათ  
მისგან ცოცხალი ადამიანები.



თავს დაესხნენ მას და გაიმარჯვეს.

თითქოს არაფერია, მხოლოდ იმიტომ, რომ დახმარებოდა გადარჩენაში, რომ დაენერგა რწმენა განსაცდელში მყოფთა შორის, უშაკოვი მიდის ყინულზე და ატარებს აქ საშიშროებით აღსავსე დღეებს. სლენიოვი, რომელმაც ყინულზე დაშვების დროს ავარია განიცადა, დაუყოვნებლივ იწყებს მუშაობას, რათა ერთი დღე-ღამის შემდეგ კვლავ მიიღოს მონაწილეობა გადარჩენაში.

კამანინი, რომელიც დღეში სამჯერ მიუტრინავს იქით და აქეთ, და, უწინარეს ყოვლისა, მოლოკოვი, რომლის მიმართაც თითქოს სიკვდილმაც დაკარგა თავისი ძალა“.

**„ლოკალანცაივერ“, ბერლინი.**

რადიომ და ავიაციამ, ჩვენი საუკუნის ტექნიკის ამ სასწაულ-მომქმედ ძალებმა გადალახეს ათასი კილომეტრი და მიუტანეს განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს დახმარება და გადარჩენა. მეცნიერების გულისათვის ხალხმა გასწირა თავისი სიცოცხლე და მეცნიერებამ თავისი მხრივ იხსნა ისინი. ტექნიკამ დაამარცხა ბუნება. ტექნიკაზე გაბატონებულმა ადამიანმა დაამარცხა სიკვდილი.

## ინგლისი

**„დეილი ტელეგრაფ“, ლონდონი.**

მთელი მსოფლიო ღირსეულად აფასებს რუსეთის იმ მფრინავების კვალიფიკაციას და სიმამაცეს, რომლებმაც გადაარჩინეს ჩელიუსკინელები მცურავი ყინულიდან. მათმა გმირობამ შექმნა ახალი საჭაერო ეპოპეა. საბჭოთა მთავრობამ არ დააყოვნა ეცნო მფრინავთა ერთგულება და სიმამაცე და დააჯილდოვა ისინი ახალი წოდებით— „საბჭოთა კავშირის გმირების“ სახელწოდებით. იმ ამბავმა, რომელიც შეიძლებოდა გადაქცეულიყო არქტიკის უდიდეს ტრაგედიად, შექმნა არქტიკის გმირობის გრძელი მოთხრობის ახალი თავი. ჩელიუსკინელთა სწრაფი მოსაზრების უნარი და ამტანობა გაკვირვებას იწვევს, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ გადარჩენის მეთოდები და სიმამაცე მფრინავებისა, რომლებმაც შესძლეს მიეღწიათ იმისათვის, რაც შეუძლებლად გვეჩვენებოდა, ისე რომ მათ არ დაუკარგავთ არც ერთი ადამიანის სიცოცხლე. მათ შექმნეს ახალი წარმოდგენა იმ სარგებლობაზე, რომლის მოტანაც შეუძლია თვით-მფრინავს კაცობრიობისათვის“.

„მანჩესტერ გარდიან“, ლონდონი.

„ჰაეროპლანები ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა გამოყენებული უფრო შესანიშნავი მიზნებისათვის, ვიდრე ჩელიუსკინელთა გადარჩენის რამდენიმე დღის განმავლობაში. მსოფლიოს, რომელსაც რადიოს მეოხებით შეეძლო ჰქონოდა წარმოდგენა მათ სასტიკ განსაცდელზე, საბჭოთა რუსეთთან ერთად უხარია მათი გადარჩენა და სათანადოდ შეაფასებს იმ მფრინავების სიმამაცეს, რომლებმაც გადმოიყვანეს ისინი ხმელეთზე“.

გადარჩენის სამუშაოებს გაზეთი უწოდებს „გმირობას განსაკუთრებით ავიაციისა, რომლითაც საბჭოთა კავშირს შეუძლია სავსების იამაყოს“.

„დეილი ჰერალდ“, ლონდონი.

„ჩელიუსკინელთა გადარჩენა—ეს ერთერთი ყველაზე უფრო დიდი მოვლენაა, რომლითაც ასე მდიდარია არქტიკის გამოკვლევის ისტორია. სულ ამ რამდენიმე წლის წინათ „ჩელიუსკინის“ ეკიპაჟი და პიონერები, რომლებიც მას მიჰყავდა, ასეთ მდგომარეობაში ჩაეარდნით აუცილებლად დაიღუპებოდნენ და მათი ბედი გამოურკვეველი დარჩებოდა მსოფლიოსათვის. რადიოს და ავიაციის განვითარებამ შექმნეს მათი გადარჩენის შესაძლებლობა, მაგრამ რადიოდ და ავიაციაც უძლური აღმოჩნდებოდა თუ არა მფრინავების კვალიფიკაცია და სიმამაცე. მთელი მსოფლიო ქება-დიდებათ იხსენიებს ამ გმირებს.

## იტალია

„კორიერა დელლასერა“, რომი.

მდგომარეობა ეკიპაჟის, რომელმაც მარცხი განიცადა, უფრო და უფრო სახიფათო ხდება. დღემდე მათი გადარჩენის ყოველგვარი ცდა მარცხით დამთავრდა და ძნელია ვიფიქროთ, შეძლებენ თუ არა მათ ბანაკამდე მიღწევას. ამ უბედურთა მომავალი შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

„ტრიბუნა“, რომი.

საბჭოთა მფრინავებმა დაუფიწყარი გმირობა ჩაიდინეს. მათ მოგვეცეს თავიანთი ოსტატობის, ყინულოვან უდაბნოში მოქმედების განსაცვიფრებელი უნარის ბრწყინვალე საბუთი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მათ დაანახვეს მთელ მსოფლიოს ადამიანთა სოლიდარობის ამალეღვებელი მაგალითი.

„მესსაჯერო“, რომი.

საბჭოთა მფრინავებმა გამოიჩინეს განსაცვიფრებელი სიმამაცე და ოსტატობა: მათ იხსნეს ჩელიუსკინელები აუცილებელი დაღუპვისაგან.

„ჯორნალე დ'იტალია“, რომი.

ჩელიუსკინელების გადარჩენამ მიიბყრო საყოველთაო ყურადღება და დაგვანახვა ის უდიდესი პოლიტიკური სამეცნიერო მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში. სამი წლის განმავლობაში საბჭოთა თვითმფრინავები და ყინულისმჭრელები ეწევიან ჩრდილოეთის მიწების სისტემატიურ გულმოდგინე გამოკვლევას.

## პოლონეთი

„აბცს“, ვარშავა.

ნურავინ ნუ იტყვის, რომ ჩელიუსკინელები გადაარჩინა ტექნიკამ. საუკეთესო მანქანებიც კი უსარგებლო აღმოჩნდებოდნენ, რომ მანქანების მმართვენი არ ყოფილიყვნენ ადამიანები, რომელთაც აღმოაჩნდათ უნარი ასულიყვნენ თავგანწირვის უმაღლეს მწვერვალებზე. მცურავ ყინულებზე მყოფ ჩელიუსკინელების გადარჩენას მფრინავების მიერ აქვს სიმბოლიური მნიშვნელობა.

„კურიერ პორანი“, ვარშავა.

„მთელმა მსოფლიომ თავისუფლად ამოისუნთქა, როცა მოვიდა ცნობა გადარჩენის სამუშაოთა დამთავრების შესახებ. ყველგან, სადაც კი მიაღწია ცნობამ 103 კაცის ტრაგედიის შესახებ, რომლებმაც განიცადეს 60 გრძელი პოლიარული ღამე—ცნობა მათი გადარჩენის შესახებ იწვევს უდიდეს აღტაცებას გადარჩენილთა გმირობით და უსაზღვრო მადლობას იმ გმირების მიმართ, რომლებმაც ისინი გადაარჩინეს. ჩვენს მკაცრ დროში, რომელიც მოკლებულია სენტიმენტალობას და ადამიანისაგან მოითხოვს არა მარტო ფიზიკურ ძალთა მაქსიმალურ ნაყოფიერებას, არამედ აგრეთვე სულის ნებისყოფის და ხასიათის სიმტკიცეს, ჩელიუსკინელთა კატასტროფის და გადარჩენის გმირული ეპიზოდი წარმოადგენს კაცობრიობის მონაპოვართა უღამაზეს ფურცელს, სოლიდარობის და თავგანწირვის კოლექტიური გრძნობის საუკეთესო ნიმუშს. სიხარული, რომლითაც აღსავსეა ჩე-

ლიუსკინელთა და მათ გადამრჩენთა თანამოქალაქეების გული, მთელი მსოფლიოს სიხარულია. ჩვენ ყველასთან ერთად ვიზიარებთ ამ სიხარულს და თანაბრად აღტაცებული ვართ პროფესორი შმიდტით, რომელიც წარმოადგენს მეცნიერების მსახურთა მთელბ შეუდრეკელობის განსახიერებას, რომელნიც მზად არიან გასწირონ სიცოცხლე მეცნიერულ მიღწევათა მოპოებისათვის, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების და უშიშარი მფრინავების მხრივ წარმოებულ გადარჩენის სამუშაოთა მომხიბლავი ორგანიზებულობით“.

### ჰოლანდია

„ნოიე როტტერდამერ კურანტ“, ამსტერდამი.

ნობილეს ექსპედიციის საშველი მუშაობა გამანცვიფრებელი იყო, მაგრამ ამაზე უფრო გამანცვიფრებელი და ყოველი მხრივ ბრწყინვალეა საბჭოთა მფრინავების მუშაობა ჩელიუსკინელთა გადასარჩენად. გაკვირვებას იწვევს ის, თუ როგორ მიმდინარეობდა ნორმალური ცხოვრება ბანაკში, რომელსაც ყინულოვანი შეკუმშვა ემუქრებოდა. საბჭოთა მთავრობის მიერ ზომების მიღება ექსპედიციის გადასარჩენად ყოველგვარ ხოტბაზე მაღლა დგას.

### ზვეცია

„გეტებორგს განდელსტიდნიგ“, სტოკჰოლმი.

არქიტეიკის ყინულოვანი ბრწყალებისგან 103 კაცის გამოხსნა და საბჭოთა მფრინავების სიმამაცე ქედს ახრევიენტს მსოფლიოს მათი გაბედულობის წინაშე.

სლენიოვი, მოლოკოვი, კამანიინი—ამ სახელებს ჩვენ აღვბეჭდავთ კაცობრიობის მხეხიერებაში. თუ გადამრჩენები შესძლებენ ყველას გადაყვანას უშიშარ ადგილზე—ეს გამოიწვევს სასიხარულო განცვიფრებას და ბოლოს მოუღებს იმ ტრაგიკულ მოვლენას, რაც დაკავშირებულია არქიტეიკის გამოკვლევასთან. ტრაგედია იცვლება ადამიანის საზრიანობის და თანამედროვე ტექნიკის ტრიუმფით. უელენის კონცხთან მომხდარი ამბები იძლევიან სტიმულს შემდგომი გმირობისათვის. ყოველივე ეს ერთად აღებული მოწმობს საბჭოთა კავშირის გრანდიოზულ შეტევას არქიტეიკის დარგში, რომლის გამოცდი-



ლებასაც დიდი მნიშვნელობა ექნება. კატასტროფა, რომელიც შმიდტის ექსპედიციამ განიცადა, მძიმე განსაცდელია. მით უფრო დიდია მაშველი სამუშაოების წარმატება.

## თურქეთი

„აქსან“, სტამბოლი.

იმ დროს, როცა მსოფლიო ფართხალობს პოლიტიკურ წინააღმდეგობებში და იარაღს აჯარუნებს, ჩრდილოეთის ზღვაზე გათამაშდა არაჩვეულებრივი დრამა, რომელმაც კაცობრიობის ისტორია გაამდიდრა ახალი სასახელო ფურცლებით და საბჭოთა მეცნიერებას შესძინა ახალი წარმატება, ადამიანთა შემოქმედების ნებისყოფის და გმირობის ახალი დამამტკიცებელი საბუთი.

## ჩეხოსლოვაკია

„ჩესკე სლოვა“, პრაგა.

ჩელიუსკინელებმა მსოფლიოს მისცეს კაცობრიობის შესაძლებლობათა ბრწყინვალე მაგალითი, თუ იგი თავის ნიჭსა და უნარს მოახმარს შემოქმედებით შრომას და არა ძმათა სისხლისმღვრელ ომებს. მამაცი ჩელიუსკინელები და მათი სახელოვანი მხსენელები ხდებიან სიმბოლოდ, რომელიც ახდენს თანამედროვე ცივილიზაციის რეაბილიტაციას.

## ლატვია

„ოსტზეე ბეობახტერ“, კაუნასი (ლატვია).

103 ადამიანი ჩრდილოეთის ყინულებზე. მეცნიერების ნამდვილი გმირები რამდენიმე კვირის განმავლობაში ცივ ყინულოვან ზღვაზე ეწეოდნენ ბრძოლას ისეთ პირობებში, როცა ყოველი წუთი შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო.

თავი დახარეთ მეცნიერების უსახელო გმირების წინაშე, თავი დახარეთ საბჭოთა გმირ მფრინავების წინაშე, რომლებიც იბრძოდნენ ჩელიუსკინელთა გადასარჩენად.

სად იყვნენ ცნობილი მსოფლიო მფრინავები, რომელთაც დაუმყარებიათ სწავლასხვა რეკორდები?

მ. ი. შვილიძე.

## ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია სამეცნიერო მუშაობა

მე ჯერ კიდევ იმ გრანდიოზული გულითადი შეხვედრის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, რომელიც მოგვიწყო ჩვენ მთელს გზაზე, განსაკუთრებით კი მოსკოვში, საბჭოთა კავშირმა. უეჭველია, ეს უძლიერესი განცდაა ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში შეიძლება ასეთი მაღალი გრძობა, ასეთი სიყვარული სახიფათო უბნებზე გაგზავნილ თავისი თანამოქალაქეებისადმი.

მალე დაბრუნდება ყველა ჩელიუსკინელი. ჩვენთვის სასიხარულო მოვალეობა იქნება ანგარიში წარუდგინოთ საბჭოთა საზოგადოებრიობას, უამბოთ დაწვრილებით ჩვენი მუშაობა, ჩვენი ცხოვრება და ჩვენი გადარჩენის ამბავი. ამ წერილში კი, მე ხაზი მინდა გაუსვა ექსპედიციის მხოლოდ სამეცნიერო შედეგებს.

ყველა სამეცნიერო ჩანაწერი, დღიური, გამოანგარიშება, ქარტები და სხვა მასალები მთლიანად გადარჩენილია. ვერ წამოვიღეთ ჩვენ მხოლოდ წყლის მრავალფეროვანი სინჯი ქიმიური ანალიზისა და ბიოლოგიური კოლექციებისათვის.

ჩვენი სამეცნიერო მასალა ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი შეიცავს ჩრდილოეთის მთელ საზღვაო გზას—მურმანსკიდან ბერინგის სრუტემდე. როგორც ცნობილია, ეს გზა უახლოეს დროში თანამედროვე სამეცნიერო ინსტრუმენტებით აღჭურვილი გემების მიერ გავლილია მხოლოდ ერთჯერ — ჩვენ მიერვე „სიბირიაკოვით“ 1932 წელს, ამიტომ „ჩელიუსკინის“ მასალებს აქვს ძალიან

დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა მასალების მეორე ნაწილი, რომელიც შეიცავს ჩელიუსკინელების ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალებს ჩუკოტკის ზღვის ყინულებში, „ჩელიუსკინის“ დრეიფისა და ჩვენი იქ ყოფნის დროს დაგროვილს.

ჩუკოტკის ზღვა-საბჰოთა არქტიკის ყველაზე ნაკლებ გამოკვლეული ნაწილია. ჩვენ დიდხანია გვქონდა განზრახვა მოგვეწყო ექსპედიცია ცნობილი შანსენის „ფრამის“ ტიპის პატარა ხის გემზე, რომლის გაგზავნას ჩვენ ვაპირებდით ჩუკოტკის ზღვის ცენტრში. წინასწარ გვქონდა გადაწყვეტილი, რომ მას შეხვდებოდა ზამთრობა და დრეიფი ამ ადგილებში. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიგველო ცნობები მდინარეობათა, ყინულთა განაწილების, მათი მოძრაობის და მეტეოროლოგიურ მოვლენებთან, ზღვის ფიზიკასა და ქიმიასთან ამ მოვლენების კავშირის შესახებ. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ეს პატარა გემი შეძლებდა ზამთრობას, რადგან იგი თავისი სიმსუბუქით და განსაკუთრებული ფორმის გამო გადაურჩებოდა გასრესას, რადგან ყინულები ვერ მოიმწყვდევდენ მას და ააცურებდენ ზედაპირზე.

„ჩელიუსკინის“ და ჩვენი ბანაკის დრეიფმა ეს ამოცანა უფრო ფართოდ გადაწყვიტა, რადგან ჩვენი გემი არ იყო პატარა გემი მეცნიერთა განსაზღვრულ რაოდენობით, არამედ იგი წარმოადგენდა ყველაზე დიდს, სამეცნიერო ძალებისა და სამეცნიერო მოწყობილობის მრავალფეროვანების მიხედვით, იმ საარქტიკო ექსპედიციებს შორის, რომლებიც ოდესმე მოუწყვიათ. „ჩელიუსკინის“ მასალების დამუშავების შემდეგ, საფუძველი გვექნება ვთქვათ, რომ ჩვენ დაახლოვებით გავიცანით და შევისწავლეთ ჩუკოტკის ზღვა.

მე უკვე ვაცნობე გაზეთებს, რომ მუშაობა ყინულზედაც გრძელდებოდა, ჩვენი მეცნიერები, როგორც ექსპედიციის ყველა წევრი, აეროდრომების გასაწმენდათ, შენობების ასაგებად ყოველდღიურ მძიმე ფიზიკურ მუშაობას ეწეოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ერთ დღესაც არ შეუწყვეტიათ მეცნიერული დაკვირვება. „ჩელიუსკინის“ დრეიფის ქარტა ზედმიწევნითი სიზუსტით შეადგინეს ჩვენმა გეოლუგისტმა ი. ი. გაკელმა და ჰიდროლოგმა პ. კ. ხმიზნიკოვმა, შეადგინეს იშვიათი სიზუსტით, რადგან სარგებლობდნენ რა ყინულით, როგორც მყარი მოედნით, გემის ადგილის გამოსარკვევად ისინი იყენებდნენ გემის არა ტლანქ ინსტრუმენტებს, არამედ ზუსტ ასტრონომიულ ინსტრუმენტებს.

ამავე დროს ჩვენი მეტეოროლოგები ო. და ნ. კომოვები და ჰაეროლოგი ნ. ნ. შპაკოვსკი აწარმოებდნენ დაკვირვებებს მეტეოროლოგიურ მოვლენებზე და ატმოსფეროს გარღმავებულ გამოკვლევას რადიოზონდით. შტურმანები, განსაკუთრებით გ. მ. მარკოვი, რომელნიც სამეცნიერო მუშაობაზე გადავიდნენ, ზომავდნენ ყინულის დრეიფის მიმართულებას და სიჩქარეს. ყველა ამ სიდიდის დაპირდაპირება საშუალებას მოგვცეს, დამუშავების შემდეგ, გადავწყვიტოთ უაღრესად საინტერესო თეორეტიული საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად დაპირობებულია მდინარება წყნარ ოკეანეში ქარის მიმართულებით და რამდენი შვენილობა აქვს სხვა მიზეზებს, სახელდობრ რამიზეებს. საბოლოო შედეგებს ჩვენ მივიღებთ შეგროვილი მასალების ლენინგრადის საარქტიკო ინსტიტუტში ყოველმხრივი დამუშავების და აღრიცხვის შემდეგ.

მე დარწმუნებული არა ვარ, მიიღო თუ არა ჩვენმა პრესამ ჩვენი დებეზა, სადაც ჩვენ ვიუწყებოდით, რომ „ჩელიუსკინის“ დრეიფის დროს ჰაეროლოგმა ნ. ნ. შპაკოვსკიმ დაამყარა იმ დროისათვის 20 კილომეტრზე უფრო მაღლა რადიო-ზონდის აშვების რეკორდი. ცნობილი საბჭოთა პროფესორის მოლჩანოვის მიერ გამოგონილი რადიო-ზონდი წარმოადგენს, როგორც ჩვენ დავრწმუნდით არქტიკაში, ატმოსფეროს გამოკვლევის ერთერთ უძლიერეს იარაღს. „ჩელიუსკინის“ რადიო-მიმღებში ჩვენ გარკვევით გვესმოდა რადიო-ზონდიდან ავტომატიურად გამოგზავნილი სიგნალები, რომლებიც აღნიშნავდნენ, სიმაღლეს, დაწოლას, ატმოსფეროს სხვადასხვა ფენების ტემპერატურას, იმ ფენების, სადაც მიფრენდა აპარატი, რომელიც გამობმული იყო წყალბადით სავსე 13 სფეროზე.

ჩვენი მეცნიეროა მეორე ჯგუფი ჰიდრობიოლოგ პ. პ. შირშოვის და ზოოლოგ ვ. ს. სტრახოვის მეთაურობით სწავლობდა ზღვებისა და ყინულების ცხოველთა და მცენარეთა სამეფოს.

ორიგინალური იყო გემის კორპუსზე ყინულის მოქმედების შესწავლა და დაკვირვება, რომელიც წელს პირველად წარმოებდა. ფიზიკოსი ი. ფაკიდოვი და ინჟინერ-კონსტრუქტორი პ. გ. რასსი ზუსტი ინსტრუმენტებით არკვევდნენ გემის კორპუსის სხვადასხვა ნაწილის დეფორმაციას, მოძრაობის, ყინულზე დაჯახების და ყინულების შეკუმშვის დროს. ეს მასალა გამოგვადგება სერიოზულ ფუნდამენტად ყინულისმჭრელების, თეორეტიულად უფრო ზუსტი და პრაქტიკულად უფრო სრულყოფილი, დაპროექტებისათვის.



ახალ პოლიარულ მეცნიერებას ჩაუყარა საფუძველი ფიზიკოსმა ფიკიდოვმა, რომელიც კაპიტან ვორონინთან ერთად აკვირდებოდა თვალისთვის შეუმჩნეველ ყინულზე მარბენალ უმცირეს ტალღებს. როგორც სჩანს, აქ ისახება ახალი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა წინასწარ შევიტყოთ ყინულების შეკუმშვის მოახლოება. ფიზიკოსი ფიკიდოვი და კაპიტანი ვორონინი მთელი დღეების განმავლობაში იხსდნენ კარავში, რომელიც ფიკიდოვმა დადგა ყინულზე ჯერ კიდევ „ჩელიუსკინის“ დაღუპვამდე, და აკვირდებოდნენ ფიკიდოვის მიერ დიდი გამჭრიახობით კონსტრუირებულ ხელსაწყოს, რომელიც აღნიშნავდა ყინულის უმცირეს რყევას. ეს კარავი შეიქნა ეგოედწოდებულ უმიდტის ბანაკის წინამორბედი: პირველად ამ კარავში მოთავსდნენ ქალები და ბავშვები, როცა გემი იძირებოდა და ევაკუაცია მიმდინარეობდა.

ჩვენს მუშაობაში მეცნიერება და პრაქტიკა უშუალოდ უკავშირდება ერთმანეთს, და უექველია გემის ჟურნალის დაწვრილებითი ჩანაწერები, რომელსაც აწარმოებდა კაპიტანი თავის თანამემწეებით — შტურმანებით, წარმოადგენენ აგრეთვე სერიოზულ განძს პოლიარულ მეცნიერებისათვის.

„ჩელიუსკინის“ რეისი მთლიანად და აგრეთვე ჩვენი გადამრჩენი მფრინავების ბრწყინვალე გაფრენები უაღრესად აფართოვებენ ჩვენს ცოდნას და გამოცდილებას ჩრდილოეთის ათვისების საქმეში. მიმდინარე წლის კამპანიას ჩვენ დავიწყებთ გაცილებით უკეთ შეიარაღებული, რომ გადავლახოთ უკანასკნელ დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ელობებიან ჩრდილოეთის გზის გახსნას პრაქტიკული ნაოსნობისათვის.

დასასრულ, არ შემიძლია უღრმესი მადლობა არ გამოვუცხადო პარტიის ცენტრალურ ორგანოს — „პრავდას“ და მისი სახით მთელ საბჭოთა პრესას — ჩვენი ლაშქრობის შესახებ ინფორმაციის ბრწყინვალე ორგანიზაციისათვის, ჩვენი დახმარებისათვის და იმ უნარისათვის, რომელმაც მას საშუალება მისცა აეყვანა მთელი ეს საქმე დიდ პოლიტიკურ სიმაღლეზე.

ჩვენთვის უდიდეს სიხარულს წარმოადგენდა საკავშირო დებეშათა სააგენტოს ყოველდღიური ცნობები, რომელთაც სპეციალურად ჩვენთვის აღგენდნენ და რომლებსაც ბანაკის მთელი მოსახლეობა რყავდა მსოფლიო ამბების და ჩვენი მშენებლობის წარმატებათა კუპრსში.

რადიოს დაზოგვა და ჩრდილოეთის ქსელის დატვირთვა ჩელიუსკინელთა გადასარჩენი მუშაობით გეაიძულებდა ჩვენ სრულიად შე-

გვეწყვიტა კერძო დეპეშების მიღება და ძალზე შეგვეზღუდა მიღება მისალმებებისა, რომელთაც გვიგზავნიდნენ ჩვენ, — როგორც შემდეგ გავიგეთ, — ასობით, ჩვენი საყვარელ სამშობლოს ყოველ კუთხიდან. თითოეული ასეთი დეპეშა ჩვენამდი მოღწეული, გვაძლევდა ახალ ძალას, გვეხმარებოდა გვეგრძნო და შეგვეგნო, რომ ჩვენ გვეხმარება სამშობლო, რომ ჩვენ მარტონი არ ვართ, რომ ჩვენ დიდი საბჭოთა კავშირის შვილები ვართ.

მ. ი. შოკოლნინი.

„ჩელიუსკინის“ კაპიტანი.

## სატრანსპორტო პრობლემები

არქტიკაში გემს უხდება უდიდეს ყინულოვან დაბრკოლებათა გადალახვა. გემის წინამძღოლმა უნდა იცოდეს გემის სიმაგრე და სიზუსტით ერკვეოდეს ყინულოვან ვითარებაში.



შეჰყავს რა გემი ყინულებში, გემის წინამძღოლმა თავისთავის წინაშე ორი საკითხი უნდა დასვას: რითი ამტვრიოს ყინული და როგორ ამტვრიოს. პასუხი კითხვაზე — რითი ამტვრიოს, შეიძლება გაცემული იქნას გემის სიმაგრეზე და მანქანის ძალაზე დამყარებით. პასუხს კითხვაზე, როგორ ვამტვრიოთ, — გაცემენ ყინულები. კაპიტანი უნდა მოქმედებდეს იმის მიხედვით, როგორია ყინულების მასა და სიმ-

კვრივე. ეს კი ირკვევა ყინულის ფერით და მისი წყლის ზედა ნაწილით.

არქტიკაში ვხვდებით ან მთლიან ცინულოვან მინდვრებს, ან მსხვილნაჭროვან და წვრილნაჭროვან ცინულებს.

უპირატესობა უნდა მიეცეს სვლას წვრილნაჭროვან ცინულში, მაგრამ ხშირად იგი მჭიდროდ შემორტყმულია ცინულოვან მასით და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მანქანის ძალა.

მსხვილნაჭროვანი ცინული თეთრ ზღვაში უფრო ხშირად შემკიდროებული და პერიოდულად მოძრაობაშია. თუ ცინული მჭიდროდ არ არის შეკუმშული და გემს აქვს მაგარი კორპუსი და ძლიერი მანქანა, შეიძლება წინსვლა ისე, რომ იშვიათად მიმართონ დარტყმას.

არქტიკის მსხვილნაჭროვან ცინულებში არ შეიძლება ისე სწრაფად სვლა, როგორც თეთრ ზღვაში, რადგან ეს ცინულები უფრო მასიურია. ამიტომ არქტიკის ცინული გემის წინამძღოლისგან მოითხოვს მეტ ყურადღებას და აიძულებს კაპიტანს ხშირად შეცვალოს სვლა.

ცინულოვანი მინდვრები, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ ყინვისაგან გადაბმულ, შეკავშირებულ ცინულს, რომლის სისქე თანაბარი არ არის. ასეთ მინდორს აქვს უსწორმასწორო ზედაპირი. გემის წინამძღოლმა უნდა გაითვალისწინოს სად შეიძლება ასეთ ცინულში სწრაფი სვლა, ცინულოვანი მინდვრის რომელი ფართობია დაფარული ახალგაზრდა ცინულით, როგორია მისი სისქე და რღვევადობა მზის სხივების ზეგავლენით. დასასრულ, გაუძღვებას თუ არა ცინულოვან მინდორს გემი.

სხვაგვარია ცინულოვანი მინდორი, რომელიც წმინდა წყალზე ჩნდება. ასეთი მინდვრები თანაბარი სისქის არიან. ზედაპირი მათი სწორია. გემის წინამძღოლის ამოცანაა—გამოარკვიოს მხოლოდ ცინულის სისქე და აიღოს საჭირო მიმართულება სვლის დასაჩქარებლად.

„სიბირიაკოვის“ ტიპის გემების ტვირთზიდვა საკმაო არ არის, არაა ხელსაყრელი მათი კომერციული ექსპლოატაცია ჩრდილო-აღმოსავლეთის გზაზე. ჩემის აზრით, ამ გზას მომსახურებას უნდა უწევდენ გემები, რომელთა სასარგებლო ტვირთზიდვა 1,5—2000 ტონაზე ნაკლები არ უნდა იქნეს („სიბირიაკოვის“ სასარგებლო ტვირთზიდვა 500 ტონას არ აღემატება) და რომელთაც უნდა ექნეთ მაგარი კორპუსი და ძლიერი მანქანა. პირველ ხანებში საჭიროა ავაგოთ 4—5 ასეთი გემი იმ ანგარიშით, რომ მათ დავაკისროთ ჩრდილო-აღმოსავლეთის გზაზე მოძრაობა ტვირთების მისატანად ლენისა და კოლიმისათვის.

ცინულების გამო ძნელად გასავლელ უბნებს (დასავლეთით დიქსონის კუნძულს და ჩელიუსკინის კონცხს, აღმოსავლეთით—კოლიმს და ბერინგის სრუტეს) მომსახურებას უნდა უწევდეს დამხმარე ცინულისმკრელები, რომლებიც მოაცილებენ აქ გემებს. შეუფერხე-

ბელი რეისების უზრუნველყოფისათვის საჭირო იქნება ქვანახშირის რამდენიმე ბაზა. ჩემის აზრით, ეს ბაზები უნდა მოეწყოს ან მატოჩკინზე, ან დიქსონზე, ტიქსის ბუხტაში, ლენაზე, და დათვის კუნძულების გამოკვლევის შედეგად, კოლიმს ახლო იმ შემთხვევაში, თუ გამოძებნილი იქნა მისადგომი.

საჭიროა ფართო მასშტაბით მოეწყოს ჰიდოგრაფიული მუშაობა საზღვაო ქარტების შესასწორებლად და ლოციების შესადგენად.

პირველი უბანი, რომელიც ყველაზე ადრე უნდა იქნეს გამოკვლეული, არის კუნძული დიქსონი, კონცხი ჩელიუსკინი და ვილკიტკის სრუტე. ექსპედიცია უნდა გაიგზავნოს მურმანსკიდან ან არხანგელსკიდან.

მეორე ექსპედიცია უნდა წავიდეს ლენიდან. მისი უბანია—ფადევსკის და კოტელნის კუნძულების დასავლეთ ნაწილები ჩელიუსკინამდე.

ლენიდან გამგზავრებულმა მესამე ექსპედიციამაც უნდა გამოიკვიოს დიმიტრი ლაპტევის და საენიკოვის სრუტეები კოლიმამდე.

საარქტიკო მიმოსვლის პირობებში თვითმფრინავი აუცილებელი რამ არის, - მაგრამ მისი მუშაობისათვის საჭიროა ან სწორი ყინულოვანი ფართობი ან წმინდა წყალი. ძალიან ხშირად არც ერთი არის, არც მეორე. მე მებადება აზრი არქტიკაში მცურავ გემების მომსახურებისათვის გამოყენებული იქნან აგროსტრატები.

თუ აგროსტრატები იფრენენ 400—500 მეტრის სიმაღლეზე, მათ ექნებათ საკმაო ჰორიზონტი, რომ გამოარკვიონ ყინულების მდგომარეობა გემის მახლობლად და გაურკვიონ მათ გზა უფრო გათხელებულ სივრცეში.

კარგად უნდა მოვიფიქროთ და გადავსწყვიტოთ ყინულოვან ველებზე ასაფეთქებელ სამუშაოების ორგანიზაციის საკითხი. ჩრდილოეთის საგზაო გზის სამმართველომ უნდა უზრუნველყოს გემი ამფეთქებელთა მომზადებული კადრებით და მაღალ ხარისხოვანი ასაფეთქებელი ნივთიერებით. ჩრდილო-აღმოსავლეთის გზა გასავლელად აუცილებლად მისაწდომია ყინულოვან ველებზე, სამიმოსვლოდ კარგად მომზადებულ გემებისათვის.

ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვაო გზა, — ეს არის გზა არქტიკის უღვეველ სიმდიდრეებისაკენ, გზა ახალ კულტურული ცხოვრებისაკენ ჩრდილოეთის უზარმაზარ სივრცეზე დასახლებულ მრავალ ათას ადამიანისათვის.



## როგორი თვითმფრინავია საჭირო არქტიკისათვის

ჩვეულებრივ, მკვლევარებს საექსპედიციო და სხვა სამუშაოებისათვის ჩრდილოეთში მიქონდათ ის თვითმფრინავები, რომელნიც სახელდახელოდ შეხვდებოდათ, ან წარმოადგენდნენ საინტერესო საავიაციო სიახლეს საერთოდ, მაგრამ რომელნიც ოდნავ არ იყვნენ შეგუებულნი არქტიკაში მუშაობას.

შემჩნეულია სრული სხვადასხვაობა სისტემებისა, რომელთაც ხმარობენ ერთნაირი მეტეოროლოგიურ პირობების მქონე ადგილებში.

რა ტიპის თვითმფრინავია გამოსადეგი და აუცილებელი არქტიკაში სამუშაოდ?

თვითმფრინავების სიდიდის შესახებ არსებობს დაუსაბუთებელი აზრი, თითქოს არქტიკაში საჭირო იყოს დიდი თვითმფრინავები გრძელი გაფრენების მოსახდენად. აქ აშკარად ერთმანეთში ურევენ ორ ცნებას: თვითმფრინავის სიდიდეს და მის შორეულ მანძილზე ფრენის უნარს. არ არსებობს არავითარი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ დიდი თვითმფრინავები უფრო შორ მანძილზე ფრინავენ. წინააღმდეგს კი ამტკიცებს ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ტრანსატლანტიური გადაფრენა შესრულებულია მცირე ზომისა და ერთმოტორიან თვითმფრინავებით.

სიჩქარის ფაქტორი ნამდვილად წარმოადგენს შორეულ მანძილზე ფრენის, ე. ი. მოქმედების დიდი რადიუსის დადებით ელემენტს. ამ თვალსაზრისით საკითხი ამკრების შასის შესახებ დაუყონებლივ უნდა გადაწყდეს.

ოპერაციები დიდი თვითმფრინავით უაღრესად რთულ საქმეს წარმოადგენს. ძნელი ხდება მისი დატვირთვა ყინულისმჭრელზე, ან გემზე და გადმოტვირთვაც, რაც ხშირად აუცილებელია ჩრდილოეთში მუშაობის დროს.

ჩვეულებრივ ჩრდილოეთის ბაზებზე ხალხის ნაკლებობაა, ამიტომ ცვალებადობა კი მოითხოვს გაფრენისათვის ყოველგვარი შესაძლებლობის გამოყენებას, მოითხოვს მანქანის მუდამ მზად ყოფნას.

ყოველი თვითმფრინავი ფრთის ზედამდებარეობით, შესაჩერებელ ადგილზე უფრო ნაკლებად დაიფარება თოვლით, ვიდრე თვითმფრინავი ფრთის ქვედამდებარეობით, ანუ თვითმფრინავი—ბიპლანი. მრავალ იმ კატასტროფის მიზეზად, რომელიც ოფიციალურად ცნობილი არიან გამოურკვეველი მიზეზით გამოწვეულ კატასტროფად, უამხდარა თვითმფრინავის შემოსვა ყინულით. ნოლთან დახლოვებულ ტემპერატურაში ფრენის დროს თვითმფრინავის ნაწილებზე ჩდება ყინულის ფენა, რომელიც ხურავს მიმღებ მილებს და გამოყავს ისინი რიგიდან, შემდეგ ედება მინებს, ბოლოს ისე ამძიმებს მანქანას, რომ მოტორს უჭირს მისი დაძვრა და მანქანა ქვასავით ეშვება მიწაზე. მეცნიერები იკვლევენ და სწავლობენ საკითხს, თუ როგორ უნდა იქნას აშორებული თვითმფრინავის ყინულით შემოსვა, მაგრამ ჯერ ეს საკითხი გადაჭრილი არ არის. ცხადია მხოლოდ ის, რომ რამდენათაც თვითმფრინავს ნაკლებად აქვს ყინულის მიმღები ნაწილები, მით უკეთესი. მაშასადამე, უმისაბჯენებო მონოპლანი უკეთეს სისტემად უნდა იქნას ცნობილი ყინულის საშიშროების აცდენის თვალსაზრისით.

მოტორის საკითხი უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილია იმ მოტორების სასარგებლოდ, რომელთაც აქვთ ჰაერით გასაცივებელი, ამდენად ნათელია დღეს წყლით გასაცივებელის უხერხულობა.

უკიდურეს ჩრდილოეთს უახლოეს მომავალში ჯერ კიდევ ვერ ექნება ხელოვნური აეროდრომები, ბუნებრივი აეროდრომების გამოყენების დროს კი თვითმფრინავს უხდება აფრენა ან წყლის ზედაპირიდან ან თხილამურებზე. ეს აყენებს ამფიბიის საჭიროების საკითხს. ამგვარად არქტიკაში სამუშაოდ საჭიროა:

1. მონოპლანის ტიპის თვითმფრინავი ზედამდებარეობის თავისუფლად მფრინავი ფრთით;
2. ჰაერით გასაცივებელი მოტორი თვითდასაშვებით.
3. პროპელერი ფრენის მომწესრიგებელი ლაპატით.

ეს სამი ელემენტი მოითხოვს მცირე დასაჯდომ სისწრაფეს. თვითმფრინავის მოქმედების რადიუსი უნდა იქნეს მანძილი 3000 კილომეტრამდე უმზვაროდ და 1500—2000 კილომეტრი ტვირთით.

სასურველია, თუ თვითმფრინავი იქნება ამფიბიის ტიპისა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა მოხდეს მოქმედების რადიუსის და სიჩქარის ხარჯზე.

ჩემის აზრით, თვითმფრინავი უნდა იტევდეს 4—6 კაცს და უნდა ჰქონდეს სამგზავრო კაბინი სავენტილიაციო გასათბობი მოწყობილობით.

მოწყობილობა პილოტის კრილში უნდა იყოს აბსოლუტურად თანამედროული; ეგრედწოდებული ავტომატიური პილოტი სასურველია.

თვითმფრინავი უნდა იქნეს რადიოფიციურებული, უნდა ექნეს საკმაო ძალის ელექტროდადგმულობა სინათლის მისაღებად, როგორც დაჯდომის დროს, ისე დაჯდომის შემდეგ მიწაზე შეშობის დროს.

მე ვიწყევ თვითმფრინავების და მოტორების მშენებელ ინსტიტუტებს დაუყენებლივ შეუდგენ თვითმფრინავის გაკეთებას არქტიკისათვის.

ეს იქნება შესანიშნავი ძეგლი „ჩელიუსკინის“ ეპოპის.

## ი. ი. გაკელი.

„ჩელიუსკინის“ გეოდეზისტი.

# „ჩელიუსკინის“ დრეიფი ყინულებში

„ჩელიუსკინის“ დრეიფი გაგრძელდა 985 მილის მანძილზე. მთელ ამ სიგრძეზე გემის ვახტა ყოველ საათში ახდენდა დრეიფის ფიქსაციას ყინულის კრილში ჩაშვებული ხელსაწყო საძირავის საშუალებით. ყოველ საათში ხდებოდა აგრეთვე ქარის მიმართულების გამორკვევა. დღელამეში ერთხელ, ხანდახან უფრო ხშირად გემის ადგილმდებარეობა ირკვეოდა ასტრონომიული დაკვირვებით მზეზე, უმეტეს წილად კი ვარსკვლავებზე. ასტრონომიულ დაკვირვებისათვის ჩვეულებრივად მიღებულ სექტანტის ნაცვლად ხმიზნიკოვმა გააკეთა, თავისი კონსტრუქციის მიხედვით, უნივერსალური ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლეოდა გამოგვერკვია გემის ადგილმდებარეობა 0,1 მილის სიზუსტით.

ამგვარად მოპოვებულმა მასალამ საშუალება მოგვცა შეგვედგინა „ჩელიუსკინის“ დრეიფის ზუსტი და დაწვრილებითი ქარტა.

იმავე ხერხებით წარმოებდა გაზომვები შმიდტის ბანაკში, მაგრამ აქ გაზომვა ხდებოდა უფრო იშვიათად, მხოლოდ ერთჯერ დღელამეში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დრეიფის სიჩქარის გაზომვა.

„ჩელიუსკინის“ და შმიდტის ბანაკის მთელი დრეიფის დაწვრილებით ანალიზს 2004 კილომეტრის მანძილზე იძლევა მასალა, რომლის მიხედვით შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა მდინარეებზე, ყინულების საშემოდგომო და საზამთრო რეჟიმზე, კერძოდ ყინულების მოძრაობასა და შეკუმშვაზე.

თუ ჯერჯერობით განხილვიდან გამოვრიცხავთ დრეიფის იმ ნაკვეთებს, რომელიც აშკარად დაპირობებული იყო მდინარეებით (მაგალითად დრეიფი ბერინგის სრუტიდან ჩრდილოეთის კონცხობისაკენ), შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი წინასწარი დასკვნები:

ყინულის დრეიფის მიმართულება მეტწილად შეესაბამება ქარის მიმართულებას ჩვეულებრივი გადახრით მარჯვნივს, რაც დედამიწის ბრუნვით არის გამოწვეული. მიწის ახლო მიმავალ დრეიფის ნაკვეთებზე ეს შესაბამისობა ირღვევა ნაპირებზე ყინულების შეხლავთმომხლის შედეგად. ცვლილება დრეიფის მიმართულებაში წინ უსწრებს ქარის მიმართულების შეცვლას ამ ადგილში.

ყინულებს შუა მოქცეულ გახსნილი წყლების თანდათანობით გაყინვის შედეგად, ზამთრის განმავლობაში ყინულოვანი ველების დრეიფის რადიუსი ამა თუ იმ მიმართულებით ხდება უფრო და უფრო ნაკლები. იმის მიხედვით, თუ როგორ ივსება ზღვა ყინულებით, ესა თუ ის ყინულოვანი ველი დრეიფობს, ინარჩუნებს რა ერთხელ აღებულ წინმავალ მოძრაობას.

ყინულოვანი ველების მბრუნავი მოძრაობის არ-არსებობა ჩუკოტკის ზღვის ყინულთა საზამთრო რეჟიმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ზამთრის სეზონში ყინულების დრეიფი ხდება უმთავრესად ნაპირების გასწვრივ, ე. ი. ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით. ყინულების შეკუმშვის ხაზი მოწოლილ ქარების დროს მიყვება აგრეთვე მეტწილად ნაპირებს. ყინულის ძლიერი მოწოლის დროს შეკუმშვა ხდება პარალელური კვალებით; იკუმშება სანაპირო ყინულიც.

### პ. პ. შირშოვი.

„ჩელიუსკინის“ ჰიდრობიოლოგი.

## ზღვის ორგანული ნივთიერება

ზღვის და მისი სიცოცხლის ჩვეულებრივ გამორკვევათა პროგრამაში შედის პლანქტონის, ე. ი. ზღვის წყლის სიღრმეში მყოფი მიკროსკოპიულ ცხოველთა და მცენარეთა თავისებური სამყაროს შესწავლა.



მიკროსკოპიული მცენარეები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ზღვის ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაში. მიწის ზედა პირის მცენარეების მსგავსად, ზღვის მცენარეებს აქვთ უნარი სინათლეზე დაშალონ ნახშირმჟავა ნახშირბადად და მჟავადად, და ნახშირბადის შეთვისებით მოახდინონ ორგანული ნივთიერების სინთეზი. პლანქტონის წყალმცენარეები წარმოადგენენ ზღვის ცხოველთა მთელ სამყაროსათვის ორგანული კვების პირველად წყაროს.

ოკეანეგრაფული ექსპედიციისათვის, ჩვეულებრივ პლანქტონის შესწავლის გარდა, „ჩელიუსკინის“ მთელს გზაზე მე ვარკვევდი მცენარეული პლანქტონის პროდუქტივობას. ასეთი მუშაობა მე ჩავატარე კარის, აღმოსავლეთ ციმბირის და ჩუკოტკის ზღვების სხვადასხვა პუნქტებში.

აღმოჩნდა რომ ამ პოლიარული ზღვების იმ რაიონებში, სადაც წყალმცენარეთა რაოდენობა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანია (რამდენიმე ათიათასეული უჯრედი ერთ ლიტრში), დღელამეში ჩნდება 0,5—0,7-მდე მილიგრამი ორგანული ნივთიერება. ამის მიხედვით თუ გამოვიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ მოკლე პოლიარული ზაფხულის განმავლობაში ზღვის ზედაპირის ქვევით ერთ ჰექტარზე ჩნდება 2—2,5 ტონამდე ორგანული ნივთიერება.

ეს სიდიდეები დაახლოებითია, მაგრამ მაინც საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ორგანული ნივთიერების პროდუქცია, რომელიც მოდის ზღვის ზედაპირის ერთ ჰექტარზე (უფრო სწორად, ზღვის ზედაპირის ქვეშ მდებარე წყლის სისქეზე) ძალზე უახლოვდება მიწის ზედაპირის მცენარეულობის პროდუქციას ხმელეთის იმავე ზომის ფართობზე. ყველაფერი ეს განსაკუთრებით საინტერესოა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველა სასიცოცხლო პროცესი პოლიარულ ზღვებში მიმდინარეობს მეტად დაბალი ტემპერატურის, ხშირად ნოლზე დაბალი ტემპერატურის პირობებში.

## ოტო შმიდტი

ოტო იულის-ძე შმიდტი. ეს სახელი, უეჭველია, გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულიარული სახელი ჩვენს ქვეყანაში. იგი ცნობილი შეიქნა მთელი კულტურული კაცობრიობისათვის. ტრაგიკულმა მდგომარეობამ, რომელშიაც მოხვდა ამხ. შმიდტის ხელმძღვანელობით გამგზავრებული საბჭოთა პოლიარულ მუშაკთა რაზმი, იშვიათმა ვაჟაკობამ, რომლითაც იგი შეხვდა სიკვდილის ყინულოვან სუნთქვას, მის მიერ გამოძღვანებულმა გმირობამ ჩრდილოეთის სტიქიონთან ბრძოლაში გაადვილეს გადასარჩენ სამუშაოების ორგანიზაცია და მოუხვეჭეს ჩელიუსკინელებს მსოფლიო სახელი.

შაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ოტო შმიდტი—არქტიკის ზღვების ეს დაულალავი მკვლევარი—არის მრავალმხრივი, ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანი, სწავლული, სამეცნიერო მუშაობის დიდი ორგანიზატორი. შემთხვევითი არ არის ის, რომ როცა პარტიამ გადასწყვიტა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა, მან ეს საქმე დააკისრა ოტო შმიდტს. ბევრმა როდი იცის, რომ 1917 წლის რევოლიუციამ ოტო იულის ძეს მოუსწრო, როგორც უკვე გამორკვეულ სამეცნიერო მუშაკს; 1916 წელს იგი უკვე იყო კიევის უნივერსიტეტის მათემატიკის პრივატ-დოცენტი.

შრომასა და კაპიტალს შორის გაჩაღებულ დიად ბრძოლაში კვალიფიციური ინტელიგენტი—ოტო შმიდტი ეძებს გზას პროლეტარიატისაკენ და ღებვა მის მებრძოლთა რიგებში.

1918—1920 წლები. ამ პერიოდში ოტო იულის ძეს ვხედავთ სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრის საბრძოლო პოსტზე.

სამოქალაქო ომის შემდეგ, ოტო შმიდტი იყო სახალხო განათლების ერთი ორგანიზატორი, მუშაობდა ამ ფრონტის სხვადასხვა



უბანზე. 1921—24 წლებში იგი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო გამოცემლობას. 1923-დან 1930 წლამდე იგი იყო რ. ს. ფ. ს. რ.-ის განსახკომის კოლეგიის წევრი.

მათემატიკის პროფესორი, ამჟამად უკრაინის სამეცნიერო აკადემიის წევრი ამხ. შმიდტი ითვლება საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნების შესანიშნავ მცოდნედ.

1928 წელს იგი მონაწილეობს გერმანულ—საბჭოთა პამირის ექსპედიციაში. 1929 წელს მეთაურობს პოლიარულ ექსპედიციას ფრანც—იოსების მიწაზე. 1930 წელს კვლავ მიემგზავრება ექსპედიციით ჯერ ფრანც—იოსების მიწაზე, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთის მიწაზე. ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ ერთერთ კუნძულს უკვე ეწოდება მისი სახელი.

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ოტო შმიდტი დაინიშნა არქტიკის ინსტიტუტის დირექტორად.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებამ დღის საკითხად დააყენა შორეული ჩრდილოეთის საწარმოო ძალების დაუფლების ამოცანა. ამასთან დაკავშირებით რიგში დადგა არხანგელსკიდან ბერინგის სრუტემდე აქეთ-იქით საზღვაო მიმოსვლის საკითხის გადაჭრა. 1932 წელს პარტიამ და მთავრობამ ექსპედიციას შმიდტის მეთაურობით დააკისრა ყინულისმჭრელ „სიბირიაკოვით“ ერთ სანავიგაციო წლის განმავლობაში შეესრულებია მოგზაურობა თეთრი ზღვიდან წყნარ ოკეანეში. ასეთი პრეცედენტი არქტიკის ზღვაოსნობის ისტორიას არ ახსოვს.

ექსპედიციას მოუხდა უდიდესი დაბრკოლების გადალახვა. ჩრდილოეთის სტიქიასთან ბრძოლაში ყინულისმჭრელმა განიცადა რამდენიმე ავარია და ბოლოს დაჰკარგა მთავარი ხრახნი. ექსპედიცია აღმოჩნდა ძალიან მძიმე, ერთის შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაში. განსაკუთრებულმა ვაჟაკობამ, ექსპედიციის ხელმძღვანელების და მონაწილეების ძალების დაძაბვამ, კოლექტივის იშვიათმა ორგანიზაციულობამ თავისი გაიტანეს. უხრახნოთ, სახელდახელოდ გაკეთებული აფრებით, ყინულოვანი მთების აფეთქებით ექსპედიციამ გზა გაიკაფა წყნარ ოკეანისაკენ.

არქტიკის ზღვაოსნობის ისტორიაში პირველად გავლილი იქნა ჩრდილოეთის საზღვაო გზა ერთ სანავიგაციო პერიოდში. ოქტომბერში შმიდტი გზაენის პატაკს, რომ პარტიისა და მთავრობის დავალება ექსპედიციამ შეასრულაო. უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი ქვეყანა საბჭოთა პოლიარელების გამარჯვებას. ძლევა მოსილ ექსპედიციას მიესალმენ ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი, მ ო ლ ო ტ ო ვ ი და



საკავშირო ცაკის პრეზიდიუმი. ამხ. შმიდტი და ექსპედიციის სხვა ხელმძღვანელები დაჯილდოვებული იქნენ უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდებით.

ჩრდილოეთის ლაშქრობიდან დაბრუნებისთანავე შმიდტი ხელს კიდებს ჩრდილოეთის საზღვაო გზის სამმართველოს საორგანიზაციო მუშაობას. ამავე დროს იგი უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებს დიდ საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო მუშაობაში.

„სიბირიაკოვის“ ლაშქრობის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ, საბჭოთა ქვეყნის წინაშე უშუალო ამოცანად ისახება — დიდი ჩრდილოეთის გზის ათვისება. 1933 წლის 12 ივლისს პარტია და მთავრობა ოტო იულის-ძე შმიდტს ავალებს გაიმეოროს „სიბირიაკოვის“ ლაშქრობა და იგიც მიემგზავრება ახალი ექსპედიციით „ჩელიუსკინზე“.

იშვიათი შეუპოვრობით, სიმტკიცით და ორგანიზაციულობით დახვედნ ჩელიუსკინელები მათ თავზე დატრიალებულ კატასტროფას.

ისტორიამ იცის მრავალი გმირი პოლიარელი, მაგრამ ისეთ სიმამაცეს, ისეთ დარაზმულობას, რომლებიც გამოამყლავნეს საბჭოთა პოლიარელებმა შმიდტის ბანაკში, ჩვენი პლანეტა პირველად ხედავს, და ეს სიმტკიცე მათ გამოიჩინეს იმიტომ, რომ გრძნობდნენ, მათ ზურგს უკან იდგა უდიდესი ქვეყნის ძლევამოსილება, ისინი გრძნობდნენ განუწყვეტელ კავშირს ამ ქვეყანასთან, თავის კლასთან, თავის პარტიასთან. ის აძლევდა მათ სიმტკიცეს და რწმენას, რომ ექსპედიციის საშველად ფეხზე დადგებოდა მთელი საბჭოთა კავშირი.

## ანატოლი ლიაპიდევსკი

პილოტი ანატოლი ლიაპიდევსკი 25 წლისაა. დაიბადა 1908 წელს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ოჯახში. 12-13 წლის ანატოლი ლიაპიდევსკი იძულებული გახდა მიეტოვებია სკოლა და წასულიყო სამუშაოების საძებრად და ერთხანს მოჯამაგირეობდა სტაროშჩერბინის სტანიცაში (ყუბანის ოლქი).

1924 წლის შემოდგომაზე ლიაპიდევსკი მოჯამაგირეობაში აღებული ფულით გაემგზავრა ქ. ეისკში და იქ განაგრძო შეწყვეტილი მაცადინეობა. იმავე წელს ის შევიდა კომკავშირში. წელიწადზე მეტს მუშაობდა ზეთის სახდელ ქარხანაში, ხოლო 1926 წლიდან კომკავშირის ეისკის სარაიონო კომიტეტი ჰგზავნის მას ავიაციის სამხედრო — თეორეტიულ სკოლაში.

სკოლის დამთავრებისთანავე ლიაპიდევსკის ჰგზავნიან საზღვაო მფრინავების პრაქტიკულ სკოლაში, რომლის კურსს იგი ამთავრებს 1929 წელს. ორი წლის შემდეგ 23 წლის ანატოლი ლიაპიდევსკი უკვე ამხ. სტალინის სახელობის მფრინავთა საზღვაო სკოლის ინსტრუქტორია.

1933 წლის მარტში ამხ. ლიაპიდევსკი, რომელსაც აქვს საუკეთესო პილოტის კვალიფიკაცია და არასდროს არც ერთი ავარია არ მოსვლია, გადადის სამოქალაქო საჰაერო ფლოტში.

შორეული აღმოსავლეთის საჰაერო ხაზზე რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ, პილოტი ლიაპიდევსკი გადაყვა ჩრდ. საზღვაო გზის სამმართველოს სამუშაოებზე და გზავნიან თვითმფრინავ „AHT—4“-ით კონცხ უელენზე.

ლიაპიდევსკი იყო პირველი, რომელიც მიფრინდა შმიდტის ბანაკში და გადმოიყვანა იქიდან ათი ქალი და ორი ბავში.

## სერგეი ლევანევსკი

სერგეი ლევანევსკი—მკედლის შვილი, სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე—საბჭოთა ავიაციის ერთერთი ძველი მუშაკია. 1924 წელს იგი მუშაობდა საზღვაო მფრინავების სკოლაში.

1933 წლის იენისს-იელისში მძიმე ჰიდროთვითმფრინავ „CCC H-8“-ით მან შეასრულა დიდი სახმელეთო გადაფრენა სევასტოპოლიდან ხაბაროვსკში.

როცა ცნობილ ამერიკელ მფრინავს მატერნს ანადირთან ავარია შეემთხვა, ლევანევსკი ხაბაროვსკიდან მიფრინდა ანადირში და განსაკუთრებულ მძიმე პირობებში მიიყვანა მატერნი ალიასკაში, რითაც მან სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდა მას ფრენა ალიასკიდან ვანკარემში, როცა მას მიჰყავდა ამხანაგი უშაკოვი.

მხოლოდ განსაკუთრებული უნარით და წონასწორობის დაცვით შესძლო მან ნისლისა და ქარის დროს გაყინული თვითმფრინავის გამოყვანა შტოპორიდან და თავისი მგზავრების გადარჩენა აუცილებელი დალუპვისაგან.

## ვასილი მოლოკოვი

მფრინავი ვასილი მოლოკოვი მუშაა, პარტიის წევრი. დაიბადა 1895 წელს, 1921 წელს დაამთავრა სამხედრო მფრინავების სკოლა. ჩრდილოეთში მოლოკოვი მუშაობს 1932 წლიდან. მანამდე იგი

ექვს წელს მუშაობდა სკოლის ინსტრუქტორად, 1930 წლიდან მომსახურებას უწევდა აეროფლოტის ლამის ხაზებს. 1933 წელს კარის ზღვაზე ლენის და კარის ექსპედიციების საჰაერო გამცილებლად მუშაობის დროს მოლოკოვმა გამოამუღავნა ბრწყინვალე მუშაობის უნარი.

თავდაბლობა—გმირების განსხვავებული თვისებაა; ვასილი მოლოკოვი უაღრესად დაჯილდოვებულია ამ თვისებით. წყნარად, მშვიდად, შეუშინებლად იწყებს მოლოკოვი უაღრესად სარისკო, სახიფათო ოპერაციებს. ასევე მშვიდად და უხმაუროდ ამთავრებს იგი ამ ოპერაციებს.

ვასილი მოლოკოვი—ორგანიზაციის და დისციპლინის განსახიერებაა: იგი მედგარი, ბოლშევიკურად შეუპოვარია. თუ კი რამე განიზრახა, მოლოკოვი შეასრულებს განზრახულს, რათაც არ უნდა დაუჯდეს.

1933 წლის ზამთარში მოლოკოვს ივარკაზე დააკისრეს გაფრენილიყო ყინულოვან ველზე და გადაერჩინა იქ იძულებით დაფრენილი მფრინავი. მოლოკოვს მოუხდა სამ საათზე მეტი ფრენა უმძიმეს მეტეოროლოგიურ პირობებში. მფრინავი გადარჩენილ იქნა. მოლოკოვს ულოცავდენ გამარჯვებას. იგი უხერხულად ილიმებოდა და დარცხვენით უპასუხებდა:

— მაინცდამაინც ისეთი არაფერი მოხმდარა. ეს რა გაფრენაა, რაღაც სამი საათი. 10-12 საათი რომ შემხვედროდა ფრენა კიდევ 30! მაშინ მართლაც ვიქნებოდი ღირსი მოლოკოვის.

ამ სიტყვებში—მთელი მოლოკოვია.

1933 წელს ზაფხულზე სანავიგაციო პერიოდში მოლოკოვი გაიგზავნა კარის ზღვაში ყინულების დასაზვერად და გემების გასაცილებლად. მოლოკოვი ფრინავდა „DBH-2“-ით. დავალება ჰქონდა ეფრინა ას ოთხმოცი საათი. მიუხედავად მძიმე პირობებისა, მოლოკოვმა გადაჭარბებით შეასრულა გეგმა და იფრინა 315 საათი... მოლოკოვის მუშაობის ამ პერიოდზე ჩრდილოეთის გზის სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელები მეტად დიდი აზრის არიან:

— მოლოკოვის გაფრენები კარის ზღაში შეიძლება ჩავთვალოთ იმის ნიმუშად, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა მფრინავი.

ის თვისებები, რომელნიც აქვს მოლოკოვს როგორც მფრინავს, დამახასიათებელია მისთვის ხმელეთზეც. კერძოდ, ეს თვისებები მკაფიოდ მჟღავნდება მოლოკოვის პარტიულ მუშაობაში. მოლოკოვი გამობრძმედილი პარტიული მუშაკია, რომელიც ბევრს მუშაობს თავისი თეორეტიკული და პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლად. იგი შესანიშნავი მგრძნობიერი ამხანაგია.

„ჩელიუსკინის“ კატასტროფის მომენტმა ვ. მოლოკოვს მოუსწრო კრასნოიარსკ-ივარკა-დუდინკის ხაზზე, სადაც ჯერ კიდევ გასულ წელს მან ბრწყინვალედ შეასრულა რამდენიმე დავალება.

როცა მთავრობამ გადასწყვიტა ჩელიუსკინელთა საშველად საპაერო ექსპედიციების გაგზავნა, საავიაციო წრეებში თითქმის ყველა იმ აზრის იყო, რომ ერთი იმათგანი, რომელიც პირველად მფრინდებოდა შმიდტის ბანაკში, იქნებოდა მოლოკოვი. ეს ასეც მოხდა.

21 თებერვალს, მთავრობის განკარგულებით მოლოკოვი მოიხსნა კრასნოიარსკ-ივარკას ხაზიდან და კამინინის რგოლის სხვა მფრინავებთან ერთად გაიგზავნა არქტიკაში, სადაც მან შეასრულა რამდენიმე გაფრენა, რომელმაც დაუჭკნობელი დიდებით შემოსამისი სახელი.

## ნიკოლოზ კამანინი

მეწალის და ფეიქარი ქალის შვილი, ჩამომავლობით საპატიო პროლეტარი—ასეთია კომკავშირულ ნიკოლოზ კამანინის არაართული საგვარეულო ისტორია.

კამანინი დაიბადა 1908 წელს ქ. მელენკიში (გლადიმირის გუბერნია). ბავშობისას მამასთან ერთად მუშაობს მეწალეთა არტელში და ამავე დროს სწავლობს კიდევ, იკაფავს რა გზას ცოდნისა და ავიაციისაკენ, რომელზედაც იგი სიყრმიდანვე ოცნებობს. 1925 წელს იგი შედის კომკავშირში და მაცადინეობის დასრულებამდე შეუცვლელად მუშაობს კომკავშირულ კოლექტივის მდივნად.

19 წლის კამანინი შედის სამხედრო თეორეტიულ სკოლაში. ერთ წელში ამთავრებს მას და გადადის მფრინავთა სკოლაში. აქ ისხამს ხორცს მისი ოცნება, იწყება შეუპოვარი ბრძოლა სტიქიასთან. მან იცის, რომ მას, მფრინავთა სკოლის კომკავშირულ უჯრედის მდივანს, მოეთხოვება იყოს პირველი დამოუკიდებელი გაფრენის უფლებისათვის ბრძოლაში. იგი ღრმად და ყოველმხრივ სწავლობს ფრენის რთულ ხელოვნებას და 1929 წელს პირველ მოწაფედ ამთავრებს სკოლას.

1930 წელს მას ღებულობენ პარტიაში. დიდი ნებისყოფით დაჯილდოვებული, მკაცრი და მომთხოვნი აღმზრდელი, იგი მუდამ მზად იყო მოქმედებისათვის, შეუფერხებელი მკაფიო მუშაობისათვის. 1933 წლის ივნისში მას, მიუხედავად მისი სიყმაწვილისა, ნიშნავენ რაზმის უფროსად. მოკლე, ძალიან მოკლე ხანში იგი თავი-



სი პირადი მაგალითით აღწევს იმას, რომ მისი რაზმი ხდება უავარიო და საუკეთესო ყველა დისციპლინებში.

დისციპლინიანობა, გამბედაობა, მიხვედრილობა—აი ნიკოლოზ კამანინის შესანიშნავი თვისებები.

ეს თვისებები შეიძლება ჰქონდეს ნამდვილ პროლეტარს, ნამდვილ ბოლშევიკს, ადამიანს, რომლის შკერდში სცემს კომკავშირული გული. მას რომ ეს თვისებები არ ჰქონოდა, ვერ შესძლებდა შეუძლებელს, ვერ გაჰკვეთდა ნისლს, პურგას, თოვლის დამაბრმავებელ კორიანტელს და ვერ გადმოიყვანდა ესოდენ მძიმე პირობებში ჩელიუსკინელთა ჯგუფს.

## მავრიკი სლეპნიოვი

მავრიკი ტროფიმეს-ძე სლეპნიოვში უცნაური თავისებურებით შეთავსებულია ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე თვისება: ველური, თითქმის ავადმყოფური მისწრაფება რისკისაკენ და მეთოდური, ჯკუადამჯდარი განსჯის უნარი.

სლეპნიოვის ერთი ამხანაგი, რომელიც მასთან მუშაობდა სამოქალაქო ომების დროს პირველ რევოლუციურ ავიო-რაზმში, ამბობს, რომ სლეპნიოვს ყოველთვის მოსწონდა რისკიანი გაფრენები და არ ერიდებოდა თავის სიცოცხლისათვის საშიშ ოპერაციებს. მავრამ ამავე დროს სლეპნიოვში არასოდეს არ ცხრება ფრენოსნობის დარგში ახალი ცოდნის მოპოვების წყურვილი.

იგი შეუხვეწებლად მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მას დამთავრებული აქვს რამდენიმე სკოლა. დაეუფლა რა სავსებით საფრენოსნო საქმის ტექნიკას, სლეპნიოვმა შუა აზიის ზაზზე დაამყარა ყველა შესაძლებელი რეკორდი: მიაღწია ორი წლის განმავლობაში საზღვრით კილომეტრაჟს—ფრენით გაიარა 450 ათასი კილომეტრი. ირკუტსკ—აკუტსკის ახალ, თითქმის გაუვალ გზაზე იგი იყო ერთერთი პირველი პილოტთაგანი. სლეპნიოვი პირველი და ერთადერთი მფრინავია, რომელიც გაფრინდა პროვიდენიის ბუხტაში „სტავროპოლის“ გადასარჩენად. სლეპნიოვმა იპოვა ამერიკელ პილოტის ეილსონის და მისი ბორტმექანიკოსის გვამები და მიიტანა ისინი ნომში. სლეპნიოვმა პირველმა განაცხადა სურვილი გამგზავრებულყოფილ ამერიკაში, შეეძინა იქ თვითმფრინავი, რომლითაც იგი უშაკოვთან და ლევანევსკისთან ერთად ალიასკით უნდა გაფრენილიყო ჩელიუსკინელთა დასახმარებლად.

შმიდტის ბანაკის ყინულში დაშვების დროს თვითმფრინავზე გამჭიმის გაწყვეტამ დროებით რიგიდან გამოიყვანა სლენიოვის მანქანა, მაგრამ მიიღო თუ არა ბანაკში მიფრენილ მოლოკოვისგან ახალი გამჭიმები, სლენიოვმა ყინულიდან მოხსნა რამდენიმე ჩელიუსკინელი და გმირულად გასწია ვანკარემისაკენ.

## მიხეილ ვოდოპიანოვი

მიხეილ ვასილის-ძე ვოდოპიანოვი დაიბადა 1899 წელს სოფელ სტუდენკის (იპეცკის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში.

1919 წელს შევიდა მოხალისედ წითელი არმიის (საჰაერო გემების დივიზიონში. მონაწილეობდა ბრძოლებში მამონტოვის და ვრანგელის წინააღმდეგ. 1920 წლის დამლევს ამავე დივიზიონში გახდა შოფერი და მანქანის საჭე არ გაუგდია ხელიდან 1924 წლამდე. ამ წლიდან კი იგი გადავიდა საჰაერო ფლოტის ავიომოტორების შემკეთებელ სახელოსნოში.

1925 წელს ჩააბარა გამოცდა ბორტმექანიკოსობაზე და მონაწილეობა მიიღო კალიის საწინააღმდეგო ექსპედიციაში. ამ ფრონტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვებულია ავიაქიმის სიგელით და აქტივისტის ნიშანით.

ბორტმექანიკოსად ამხ. ვოდოპიანოვი მუშაობდა 1928 წლამდე. თვითმფრინავის მართვის დაუფლებისთანავე იგი გადაყვანილი იქნა მფრინავად. მას ფრენით გავლილი აქვს 320 ათასი კილომეტრი, უფრენია 2000 საათზე მეტი. ამ პერიოდში მას მონაწილეობა მიუღია შორეულ აღმოსავლეთისაკენ მოწყობილ 4 სასწრაფო გადაფრენაში.

1930 წელს მან პირველად გახსნა საჰაერო ხაზი სახალინისაკენ. იმავე წელს ამ ხაზზე ფრენით გაიარა 5.000 კილომეტრი.

1931—32 წლებში ამხ. ვოდოპიანოვი მუშაობდა „პრავდას“ საგანგებო ავიო-რაზმში, რომელსაც მატრიცები გადაქონდა. ამხ. ვოდოპიანოვი მატრიცების სწრაფი და შეუფერხებელი გადატანისათვის დაჯილდოვებულია ოქროს საათით.

მე-16 პარტყრილობის დღეებში ამხ. ვოდოპიანოვი ერთ ხუთდღიურში ოთხჯერ მიფრინდ-მოფრინდა მოსკოვიდან ლენინგრადში, ჰყრიდა რა „პრავდას“ მატრიცებს ლენინგრადში მიწაზე დაუშვებლად და უკანვე მოსკოვში ბრუნდებოდა.

გაიარა რა 5 ათას კილომეტრზე მეტი, ამხ. ვოდოპიანოვმა გადაჭრა ანადირის ქედი, მიფრინდა შმიდტის ბანაკში და წამოიყვანა 7 ჩელიუსკინელი.

## ივანე დორონინი

მფრინავი ივანე ვასილის-ძე დორონინი დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. ამჟამად იგი 31 წლისაა. ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელი არ ჰქონდა დასრულებული, როცა 17 წლის დორონინი შევიდა მოხალისედ წითელ საზღვაო ფლოტში და იქ მეცადინეობა დაიწყო ტექნიკოსების კურსებზე. ერთი წლის შემდეგ ნიჭიერი კურსანტი გადაიყვანეს სამხედრო საზღვაო სასწავლებელში. აქ დორონინმა გამოიჩინა ავიაციის დიდი სიყვარული და ბოლოს გადავიდა კიდევ მფრინავთა სკოლაში. 1925 წელს ზაფხულში დორონინი ამთავრებს სკოლას და ისევ უბრუნდება საზღვაო ფლოტს, როგორც საზღვაო მფრინავი. სამ წელიწადს ეწევა ამხ. დორონინი საგარეო სამსახურს შავი ზღვის ფლოტის სხვადასხვა გემზე. მფრინავის სანიმუშო თვისებების გამოაშკარავებისათვის 1928 წელს ამხ. დორონინი ინიშნება საზღვაო მფრინავების სკოლის ინსტრუქტორად.

1929 წელს დორონინი გადადის სამოქალაქო ავიაციაში სამუშაოდ. შავი ზღვიდან იგი გადაყავთ შორეულ ჩრდილოეთში. მას აძლევენ საპასუხისმგებლო დავალებას—გააცილოს კარის ექსპედიციის გემები. მან ეს დავალება სასახელოდ შეასრულა.

მისი ლოზუნგია—„არასოდეს არ დაჰკარგო საფრენი ამიდის არც ერთი წუთი“. აი რატომ ეჯიბრებოდა იგი ასეთი წარმატებით ირკუტსკ—ირკუტსკის ხაზზე პირველ მომუშავე პილოტს გალიშევს. ამ სამწლიან შეჯიბრებაში იგი ხანდახან გამარჯვებული გამოდიოდა.

1932 წელს დორონინი თვითმფრინავ „П-5“-ით აწყობს გადაფრენას მოსკოვ—ირკუტსკზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ დიდი წარმატებით ახდენს გადაფრენას ირკუტსკ—სრედნიკანის უძნელეს ტრასაზე.

მფრინავ დორონინს ფრენით გავლილი აქვს 300 ათას კილომეტრზე მეტი. მას ჯერ ერთი ავარიაც არ შემთხვევია. სანიმუშო მუშაობისათვის მას მინიჭებული აქვს „სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პოლიტ—მექანიკოსის“ სახელწოდება.

დორონინმა შეასრულა უძნელესი გადაფრენა წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროების გასწვრივ. ეს სანაპიროები, სადაც ძლიან ხშირია ნისლიანი ღღეები, ძლიერი თოვლიანი პურგა, წარმოადგენენ ფრენისათვის უძნელეს მხარეს თითქმის მთელ მსოფლიოში.

ეს სიძნელე განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ისეთი შორი გაფრენების დროს, რომლებიც ასეთ ბრწყინვალედ მოახდინეს დორონინმა და ვოდოპიანოვმა.

თვითმფრინავების ხაბაროვსკის რეგლიდან დორონინმა პირველმა მიაღწია შმიდტის ბანაკს და გადმოიყვანა იქიდან მატერიკზე ჩელიუსკინელთა ჯგუფი.

## VIII

### სსრკ-ის ცაკის დადგენილებანი

#### **ჩელიუსკინელთა გადამარჩენ მფრინავებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მიკუთვნება.**

აღნიშნავს რა მფრინავთა უმაგალითო გმირულ მუშაობას, რომლებმაც განახორციელეს ჩელიუსკინელთა გადარჩენა, ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება:

ა. ვ. ლიაპიდევსკის, ს. ა. ლევანევსკის, ვ. ს. მოლოკოვის, ნ. პ. კამანინს, მ. ტ. სლევნიოვის, მ. ვ. ვოდოპიანოვის, ი. ვ. დორონინს-

ს. ს. რ. კავშირის ცენტ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტ. აღმ. კომიტეტის მდივანი ა. ენუშიძე.

მოსკოვი, კრემლი.

20 აპრილი, 1934 წელი.

#### **ჩელიუსკინელთა გადარჩენის უფულო მონაწილეთა ლენინის ორდენით დაჯილდოვება.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საბჭოთა ავიაციის მიღწევების უნარიანად გამოყენებისათვის, ყინულოვან ოკეანის ნაკლებად შესწავლილ პირობებში, უაღრესად იხიციადიური, მკაფიო, თავდადებული მუშაობისათვის, რამაც უზრუნველყო ჩელიუსკინელთა გადარჩენის ოპერაციის წარმატებით შესრულება, დაჯილდოებულ იქნან ლენინის ორდენით მფრინავეები:

ა. ვ. ლიაპიდევსკი,

ს. ა. ლევანევსკი,

ვ. ს. მოლოკოვი,

ნ. პ. კამანინი,



- მ. ტ. სლეპნოვი,
- მ. ვ. ვოდოპიანოვი,
- ი. ვ. დორონინი.

აგრეთვე ისინი, ვინც უზრუნველყო მოტორების საიმედო მუშაობა ჩელიუსკინელთა გადასარჩენად ყინულზე გადაფრენის დროს ბორტმექანიკოსები და შეთვალყურე მფრინავები:

- ლ. ვ. პეტროვი—მფრინავი-შეთვალყურე.
- მ. ა. რუკოვსკი—ბორტმექანიკოსი.
- უილიამ ლევარი—ბორტმექანიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე.
- პ. ა. პილიუტოვი—ბორტმექანიკოსი.
- ი. გ. დევიატნიკოვი—ტექნიკოსი.
- მ. პ. შელიგანოვი—შტურმანი.
- გ. ვ. გრიბაკინი—ბორტმექანიკოსი.
- არმისტეტ კლაიდი—ბორტმექანიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე.

- ვ. ა. ალექსანდროვი—ბორტმექანიკოსი.
  - რატუშკინი—ბორტმექანიკოსი.
  - ა. კ. რაზინი—უფროსი მექანიკოსი.
  - ი. გ. სავინი—ბორტმექანიკოსი.
- მიეცეს ამ დადგენილებით დაჯილდოებულთა ერთდროული ფულადი ჯილდო წლიური ჯამაგირის რაოდენობით.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. ენუჰიძე.

მოსკოვი, კრემლი.  
20 აპრილი, 1934 წელი.

**ჩელიუსკინელთა პოლიარული ლაშქრობის მონაწილეთა  
წითელი ვაკსკვლავის ორდენით დაჯილდოვება**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი  
ადგენს:

1. იშვიათი სიმამაცისა, ორგანიზაციულობისა და დისციპლინისათვის, რომელიც პოლიარელთა რაზმმა გამოიჩინა, ყინულოვან ოკეანის ყინულებში გემ „ჩელიუსკინის“ დაღუპვის მომენტში და შე-

მდეგ, რამაც უზრუნველყო ადამიანთა სიცოცხლის, ექსპედიციის სამეცნიერო მასალების, ქონების გადარჩენა და შექმნა საჭირო პირობები დახმარების აღმოჩენისა და დახმარებისათვის, დაჯილდოებულ იქნან წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. ო. ი. შმიდტი — ექსპედიციის უფროსი.
2. ვ. ი. ვორონინი — „ჩელიუსკინის“ კაპიტანი.
3. ა. პ. ბობროვი — ექსპედიციის უფროსის თანაშემწე.
4. ე. ტ. კრენკელი — ექსპედიციის უფროსი რადისტი.
5. ბ. გ. მოგილევინი — რომელიც დაიღუპა 1934 წ. 13 თებერვ. „ჩელიუსკინზე“.
6. ო. ვ. გუდინი — „ჩელიუსკინის“ კაპიტანის უფროსი თანაშემწე.
7. მ. გ. მარკოვი — კაპიტანის მეორე თანაშემწე.
8. ბ. დ. ვინოგრაძოვი — კაპიტანის მესამე თანაშემწე.
9. ვ. ვ. პავლოვი — დუბლიორი, კაპიტანის უფროსი თანაშემწე.
10. ნ. კ. მატუსევიჩი — უფროსი მექანიკოსი.
11. ფ. პ. ტოიკინი — მეორე მექანიკოსი.
12. ა. პიონტკოვსკი — მესამე მექანიკოსი.
13. ა. ს. კოლესნიჩენკო — პრაქტიკოსი მექანიკოსი.
14. მ. გ. ფილიპოვი — მექანიკოსი-პრაქტიკოსი.
15. ვ. ვ. ივანიუკი — რადისტი.
16. ა. ა. ზაგორსკი — ბოცმანი.
17. ა. ლ. ჟუში — დურგალი.
18. გ. ა. დურასოვი — პირველი კლასის მეზღვაური.
19. ი. ვ. სერგეევი — პირველი კლასის მეზღვაური.
20. ნ. მ. ლომონოსოვი — პირველი კლასის მეზღვაური.
21. ვ. გ. სინცოვი — პირველი კლასის მეზღვაური.
22. გ. მოსოლოვი — პირველი კლასის მეზღვაური.
23. ა. ე. ხარკევიჩი — მეორე კლასის მეზღვაური.
24. ა. ე. მირონოვი — მეორე კლასის მეზღვაური.
25. გ. ს. ბარანოვი — მეორე კლასის მეზღვაური.
26. მ. კ. ტკაჩი — მეორე კლასის მეზღვაური.
27. ვ. ფ. ბარმინი — პირველი კლასის მეზღვაური.
28. ს. ფ. ფეტინი — პირველი კლასის მეზღვაური.
29. ლ. დ. მარტისოვი — პირველი კლასის მემანქანე.
30. პ. ი. პეტროვი — მეოთხე მექანიკოსი.
31. ი. ს. ნესტეროვი — მეორე კლასის მემანქანე.

32. ა. პ. ანოკინი—მეორე კლასის მემანქანე.
33. ვ. ა. ზადოროვი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
34. ი. ს. რუმინცევი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
35. ს. ნ. კისელევი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
36. ე. ლ. მარკოვი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
37. ა. ნ. აგაფონევი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
38. ვ. ი. გრომოვი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
39. ვ. ლ. პარშინსკი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
40. ა. გ. ულიევი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
41. ყ. ს. ბუტაკოვი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
42. ბ. ა. კუკუშკინი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
43. გ. პ. ერმილოვი—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
44. ფ. ს. სერგეევი—მზარეული.
45. ი. ს. მოროზოვი—მზარეული.
46. ნ. ს. კოზლოვი—მზარეულის თანაშემწე.
47. ვ. მ. აგაპოვი—პურისმცობელი.
48. ა. ა. გორსკაია—დამლაგებელი.
49. პ. ნ. ბურკოვა—დამლაგებელი.
50. ტ. ა. მილოსლავსკაია—დამლაგებელი.
51. ა. ი. რუდასი—დამლაგებელი.
52. ვ. ს. ლეპეხინა—დამლაგებელი.
53. ი. ი. მელხოვსკი—მეორე კლასის ცეცხლფარეში.
54. ა. ე. ლესკოვი—პირველი კლასის მეზღვაური.
55. ი. ა. კოპუსოვი—ექსპედიციის უფროსის მოადგილე.
56. ი. ლ. ბაევსკი—ექსპედიციის უფროსის მოადგილე.
57. ი. ი. გაკელი—გეოდეზისტი.
58. პ. გ. ლობზა—ჰიდრომექანიკოსი.
59. ვ. ს. სტახანოვი—ზოოლოგი.
60. ნ. ნ. შპაკოვსკი—აეროლოგი.
61. პ. პ. შირშოვი—ჰიდრობიოლოგი.
62. ი. გ. ფაკიდოვი—ინჟინერ-ფიზიკოსი.
63. პ. კ. ხმიზნიკოვი—ჰიდროგრაფი.
64. პ. კ. ნოვიცკი—ფოტოგრაფი.
65. ა. მ. ივანოვი—მოტორისტი
66. ფ. პ. რეშეტნიკოვი—მხატვარი.
67. ბ. ვ. გრომოვი—„იზვესტიას“ კორესპონდენტი.
68. ა. მ. შაფრანი—კინო-ოპერატორი.
69. ს. ა. სემიონოვი—ექსპედიციის მდივანი.

70. ა. ა. კანცელი—ბუფეტის გამგე.
71. ვ. რ. გორდოვეი—ამფეტქებელი.
72. გ. ს. ბაბუშკინი—პილოტი.
73. გ. ს. ვალავინი—ბორტმექანიკოსი.
74. პ. გ. რასსი—ინჟინერი.
75. ი. პ. შულმანი—სტუდენტი-მკვლევარი.
76. პ. ს. ბუიკო—ვრანგელის კუნძულის სადგ. უფროსი.
77. ლ. ფ. ბუიკო (კოჟინა).
78. ვ. გ. ვასილიევი—გეოდეზისტი.
79. დ. ი. ვასილიევა.
80. ნ. ნ. კომოვი—უფროსი მეტეოროლოგი.
81. ო. ნ. კომოვა—მეტეოროლოგი
82. ლ. ო. ბელოპოლსკი—ბიოლოგი.
83. ა. პ. სუშკინა—ისტოლოგი.
84. კ. ა. ნიკიტინი—ექიმი.
85. ა. ე. პოდოსოვი—უფროსი მექანიკოსი.
86. ვ. ე. გურევიჩი—მეკუჭნავე.
87. ე. ს. პროკოპოვიჩი—ფაქტორიის გამგე.
88. ს. ა. ივანოვი—რადისტი.
89. ა. ი. ზვერევი—მზარეული.
90. კ. ფ. კოჟინი—მსახური.
91. ვ. ი. რიცკი—გეოლოგი.
92. ზ. ა. რიცკი.
93. ვ. ა. რემოვი—მთავარი ინჟინერი.
94. ი. კ. ნიკოლაევი—მელუმელე.
95. მ. ი. ბერეზინი—მელუმელე.
96. დ. ი. ბერეზინი—მელუმელე.
97. პ. ნ. სოროკინი—დურგალი.
98. ფ. ი. სკვორცოვი—დურგალი.
99. ვ. მ. ბარანოვი—დურგალი.
100. ნ. ნ. კულინი—დურგალი.
101. დ. ი. კუდრიავეცივი—დურგალი.
102. პ. ი. ვორონინი—დურგალი.
103. ვ. ს. გოლუბევი—დურგალი.
104. ა. ი. იუგანოვი—დურგალი.

2. მიეცეს ყველა ჩელიუსკინელს ერთდროული ფულადი ჯილდო ნახევარი წლის ჯამაგირის რაოდენობით.

ს.ს.რ. კავშირის ცენტ. აღმ. კომიტეტის

თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის ცენტ. აღმ. კომიტეტის

მდივანი ა. ვნუშიძე.

მოსკოვი, კრემლი.

20 აპრილი, 1934 წელი.



აძე. ბ. ა. უშაკოვის, გ. მ. პეტროვის, ვ. ლ. გალიშევის, ბ. ა. პი-  
ვენშტაინის, ბ. ვ. ბასტანჟიევის და ი. მ. დემიდოვის წითელი ვა-  
სკლავის ორდენით დაჯილდოვება.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი  
ადგენს:

1. ჩელიუსკინელთა გადარჩენის საქმის უაღრესად უნარიანი  
ორგანიზაციისათვის ადგილობრივად არსებული ყველა საშუალების  
მაქსიმალურად გამოყენებით, საუკეთესო სატრენოსნო ძალების სწო-  
რად განაწილებისათვის, რამაც უზრუნველყო ყინულოვან ოკეანეს  
ყინულებიდან ჩელიუსკინელთა ექსპედიციის გადმოყვანის საქმეში  
საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ დასახულ ამოცანების წარმა-  
ტებით, სრულიად უმსხვერპლოდ შესრულება, აგრეთვე პირადი სი-  
მაშაცის, საბოლოო მიზნის მიღწევაში ენერჯიის გამოჩენისათვის  
დაჯილდოებულ იქნან წითელი დროშის ორდენებით:

1. გ. ა. უშაკოვი—მთავრობის მიერ ჩელიუსკინელთა გა-  
დასარჩენად გამოყოფილი კომისიის რწმუნებული.

2. გ. გ. პეტროვი—ჩელიუსკინელთა გადასარჩენად გამო-  
ყოფილი საგანგებო სამეულის თავმჯდომარე.

3. ვ. ლ. გალიშევი—მფრინავი.

4. ბ. ა. პივენშტეინი—მფრინავი.

5. ბ. ვ. ბასტანჟიევი—მფრინავი.

6. ი. მ. დემიდოვი—მფრინავი.

2. მიეცეს გ. ა. უშაკოვს, გ. გ. პეტროვს, ვ. ლ. გალიშევს,  
ბ. ა. პივენშტეინს, ბ. ვ. ბასტანჟიევს, ი. მ. დემიდოვს ერთდროული  
ფულადი ჯილდო ნახევარი წლის ჯამაგირის რაოდენობით.

ს. ს. რ. კავშირის ც. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს. ს. რ. კავშირის ც. აღმ. კომიტეტის მდივანი ა. ვნუშიძე.

მოსკოვი, კრემლი.

20 აპრილი, 1934.

### კოლიარული ლაშქრობის სამახსოვრო მონაშენების აგება.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი  
ადგენს:

1. „ჩელიუსკინის“ 1933—1934 წლის პოლიარული ლაშქრობის,  
რაც მიმდინარეობდა უაღრესად ძნელ პირობებში ყინულოვან ოკეა-  
ნეს ყინულებში და დამთავრდა 1934 წ. 13 თებერვალს გემ „ჩელიუსკი-  
ნის“ ყინულებით გასრვისისაგან გამოწვეული დაღუპვით, შემდეგ  
ორი თვის განმავლობაში ლაშქრობის მონაწილეების ყინულებზე

„შმიდტის ბანაკში“ მამაცურად ყოფნის, ექსპედიციის მონაწილეთა, მისი სამეცნიერო მასალების და ქონების გადარჩენის სამუშაოთა წარმოების და დამთავრების (1934 წლ. 13 აპრილი) გამოჩენილი გმირობის სამახსოვროდ აგებულ იქნას მოსკოვში მონუმენტი.

მონუმენტის ასაგები აღგილის ამოსარჩევად, მისი აგების სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის დასამუშავებლად შეიქმნას მთავრობის კომისია აშხ. ვ. ვ. კუიბიშევის (თავმჯდომარე), ა. ს. ენუქიძის და ნ. ა. ბულგანინის შემადგენლობით.

ს. ს. რ. კავშირის ც. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე

ა. კალინინი.

ს. ს. რ. კავშირის ც. აღმ. კომიტეტის მდივანი ა. ვნუპიძე.

მოსკოვი, კრემლი.

20 აპრილი, 1934.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟამონცემლობისაგან . . . . .	83. 3
<b>I. ბრძოლა ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზისათვის</b>	
1553 წლიდან „ჩელიუსკინის“ ეპოპემდე . . . . .	5
საბჭოთა არქტიკა . . . . .	8
„ჩელიუსკინის“ წინამორბედნი . . . . .	13
<b>II. „ჩელიუსკინის“ ეპოპეა</b>	
დიად დღეების ქრონიკა . . . . .	17
ო. ი. შმიდტი—ჩვენი ლაშქრობა . . . . .	24
ბორ. გრომოვი—ბრძოლა კალიუჩინთან . . . . .	38
ლ. ზვატი—„ჩელიუსკინის“ უკანასკნელი საათი . . . . .	45
სერ. სემიონოვი—უჯრედი ყინულზე . . . . .	53
ლევონიდ მარტისოვი—პოლიარული რობინზონები . . . . .	61
ი. ნესტეროვი—წითელი არმიის დღე ბანაკში . . . . .	70
მ. ს. ბაბუშკინი—აეროდრომი ყინულზე . . . . .	74
ერნესტ კრეჩკელი—რადიოს დადგმა ბანაკში . . . . .	80
ბორ. გრომოვი—ყინულის ზევი . . . . .	84
ბ. ვინოგრადოვი—უკანასკნელი ვახტა ყინულზე . . . . .	91
გ. უშაკოვი—დაუფიწყარი დღეები . . . . .	95
სერ. სემიონოვი—როგორ გადმოიყვანეს ოტო იულევიჩი ბანაკიდან . . . . .	104
ა. ნ. ბობროვი—უკანასკნელი ექვსი . . . . .	113
ი. ბაევსკი—ჩვენ ვცოცხლობდით ერთი სიცოცხლით დიდ კავშირთან ერთად . . . . .	118
<b>III. საბჭოთა ფრთები ყინულეთში</b>	
ბელადების მისალმება გმირ მფრინავებისადმი . . . . .	128
ი. ვ. დორონინი—პურგაში . . . . .	129
ს. ა. ლევანევსკი—ავარია . . . . .	131
ა. ვ. ლიაპიდევსკი—ეპიზოდები . . . . .	133
ვ. ს. მოლოკოვი—ტრასი არ იყო ადვილი—ეს იყო და ეს . . . . .	136
მ. ტ. სლუპნიოვი—„ბერინგსტრიტზე იდგა ნისლი“ . . . . .	140
მ. პ. კამანინი—უცნობ ქედებზე . . . . .	145
ნ. ვ. ვოდოპიანოვი—უკანასკნელი რეისი შმიდტის ბანაკში . . . . .	149
მფრინავი პივენშტეინი—ჩემი დღიურიდან . . . . .	150
ვ. უშაკოვი—შამაცი და გულმაგარი . . . . .	152

IV. „ჩელიუსკინის“ ეპოქა და საბჭოთა კავშირი

„პრავდა“—საბჭოთა ავიაციის ტრიუმფი . . . . .	157
გამარჯვების პირველი საათები შორეულ ჩრდილოეთში . . . . .	162
მ. გორკი—ეს გმირობა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოების ქვეყანაში . . . . .	163
ნ. ბუხარინი—იერიში და გამარჯვება . . . . .	165
კარლ რადეკი—ფრთოსანი კომკავშირი . . . . .	168
ნ. ბუხარინი—პროლეტარული ვიკინგები . . . . .	170
ა. კამენოვგორსკი—გზა ყვავილების . . . . .	172
„პრავდა“—შესანატრია ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ასეთი გმირები და შესანატრია გმირები, რომელთაც აქვთ ასეთი სამშობლო . . . . .	177
„პრავდა“—სალამის დემონსტრაცია . . . . .	182
დაჯილდოვება . . . . .	198
„პრავდა“ ჯილდო ღირსეულთ . . . . .	184
წერილები ი. ბ. სტალინისადმი . . . . .	197
ხაკავშირო პროფსაბჭო—საბჭოთა კავშირის გმირებს . . . . .	201
გ. დიმიტროვი—მეცნიერების გმირები . . . . .	„

V. „ჩელიუსკინის“ ეპოქა და უცხოეთი

უცხოეთის მწერლები, მეცნიერები, მფრინავები, ავროკონსტრუქტორები . . . . .	203
მსოფლიო პრესის გამოძახილი . . . . .	207

VI. „ჩელიუსკინის“ ექსპედიციის სამეცნიერო შედეგები

ი. ი. შმიდტი—ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია სამეცნიერო მუშაობა . . . . .	214
ვ. ი. ვორონინი—სატრანსპორტო პრობლემები . . . . .	218
მ. პ. სლუპნიოვი—როგორი თვითმფრინავია საჭირო არქტიკისათვის . . . . .	221
ი. ი. გაკელი—„ჩელიუსკინის“ დრეიფი ყინულებში . . . . .	223
პ. პ. შინშოვი—ზღვის ორგანული ნივთიერება . . . . .	224

VII. ძველანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს

ოტო შმიდტი . . . . .	226
ანატოლი ლიპინდევსკი . . . . .	229
სერგეი ლევანევსკი . . . . .	230
ვასილი მოლოკოვი . . . . .	230
ნიკოლოზ კამანინი . . . . .	232
მავრიკი სლუპნიოვი . . . . .	233
მიხეილ ვოდოპიანოვი . . . . .	234
ივანე დორონინი . . . . .	235

VIII. ს ს რ კ-ის ტაკის დადგენილებები . . . . . 236





3260 5 826.

91  
R 427

